თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და
ეთნოგრაფიის ინსიტიტუტი

ქეთევან პავლიაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში

გამომცემლობა"გიორგი აფრიდონიძე"
თბილისი
2000 წელი

სამეცნიერო გამოკვლევაში მოცემულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 1917-1921 წლებში; წარმოჩინებულია საქართველოს ეკლესიის, მისი კრებულისა და ქართველი საზოგადოებრიობა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა 1917 წლის რევოლუციების წინა პერიოდში. ამასთან, ნაშრომში გამორკვეულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებასთან დაკავშირებული რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკა. მის მიერ ახალი რუსეთის სახელმწიფოში ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა; შესწავლილია კავკასიის სამიტროპოლიტოსა და ქართული ეკლესიისაგან სოსუმის ეპარქიის გამოყოფის მიზეზები და ამით გამოწვეული შედეგები.

მრავალრიცხოვან მასალაზე დაყრდნობით მოცემულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეკლესიის ადგილი და დანიშნულება; ქართული ეკლესიის დამოკიდებულება დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი და ამ უკანასკნელის სარწმუნოებრივი პოლიტიკა.

მონოგრაფიაში გაშუქებულია ქართველი სამღვდელოების ბრძოლა სასულიერო განათლების ნაციონალიზაცია-დემოკრატიზაციისათვის; მის მიერ განხორციელებული სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზაცია და ამ საქმესთან ეროვნული კულტურის ყველა სფეროს უშუალო დაკავშირება.

სამეცნიერო ნაშრომი განსაზღვრულია როგორც საქართველოს ეკლესიისა და საერთოდ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებრიობისათვის.

რედაქტორი -
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჟორდანია

რეცენზენტები:
1.ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი მერაბ ვაჩნაძე
2.ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული
3.პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

მონოგრაფია ეძღვნება ქრისტეშობიდან 2000 წლისთავს

შესავალი

ძველი დროიდან მოყოლებული, უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი ერის ისტორიის ამოცანათა ახსნა ერთ-ერთ ურთულეს პროცესს წარმოადგენს. მისი მხოლოდ მიუკერძოებლად რეალობის აღწერა, ან ობიექტურად გაშუქება არ არის საკმარისი, არამედ, საჭიროა შესწავლილ იქნეს ისტორიული განვითარების მთლიანი პროცესი; გამოაშკარავდეს მისი ყოველი ევოლუციური ეტაპი, რამდენადაც შესაძლებელია აიხსნას მთლიანად ამა თუ იმ ისტორიის მსვლელობა. ეკლესიის ისტორია, საზოგადოდ საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ნაწილს, მხარეს წარმოადგენს და საერთო ისტორიისაგან განსხვავებით, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ განვითარებას ასახავს, ეკლესიის ისტორია ერის სულიერ – ზნეობრივი, დეგრადაცია-ამაღლებას, მისი გადარჩენისათვის გაწეულ ღვაწლს წარმოაჩენს. მოცემული ორი ფაქტორი იმდენად ღრმად ეჯაჭვება საზოგადოების ცხოვრებას, რომ პოლიტიკური ისტორიის ფონი ხშირ შემთხვევაში მიმდინარე საეკლესიო მოვლენებით აიხსნება. მათ ერთმანეთზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამით არის განპირობებული, რომ ნებისმიერი ქვეყნისა და ერის ისტორიის შესწავლა და მასზე მეცნიერული კვლევის ჩატარება წარმოუდგენელია ეკლესიის ისტორიის გარეშე და პირიქით.

ზემოაღნიშნული პირდაპირ ესადაგება საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის ისტორიის კვლევის საკითხს. ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ღრმა და ობიექტური შესწავლა ეჭვგარეშეა წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიის, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების

გარეშე, რადგან ორივე მხარეს როგორც მძლავრი ორგანიზაციები (სახელმწიფო და ეკლესია) უდიდეს როლს ასრულებენ ერის განვითარების ისტორიაში, ეს მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ.

ისტორიული ტრადიციით, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის სახელმწიფოებრივ განვითარებაში საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებულად რთული და უაღრესად საპასუხისმგებლო ფუნქცია ეკისრებოდა; სახელმწიფოებრივი ძლიერების, მისი წყობილების იდეოლოგ-დამცველი იყო; ქვეყნის ერთიანებისათვის საზოგადოების ყველა ფენის გამაერთიანებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის აქტიური მონაწილე, გარეშე ძალთა წინააღმდეგ მებრძოლი და ეროვნული კულტურის დამცველ-ქომაგი, მისი განვითარებისა და წინსვლის, ეროვნული ცნობიერების ბურჯი იყო.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, მასში გაერთიანებულ ცალკეულ რესპუბლიკებს ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის საშუალება მიეცათ.ამ მეტად მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც აუცილებლობა ითხოვს მათი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრას მსოფლიოს სამყაროში, როდესაც უნდა გამოვლინდეს მათი ეროვნული თვითმყოფადობის ისტორიული ტრადიცია და ამ ტრადიციის დამადასტურებელი უნარი, ისტორიული ეტაპის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მაგალითზე, წინა რიგში წამოიწია ერის ისტორიული წარსულის არა გაზვიადებულად, ან მიკერძოებით წარმოჩენამ, არამედ ობიექტურად გააზრება-განზოგადებამ, რიგი ფაქტორისა და მოვლენის შეფასებამ და თანამედროვე დონეზე ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სამსახურში ჩაყენებამ. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა "ძველ ხანას და ძველ ადამიანებს მიეტევებათ ლეგენდების შექმნა, მაგრამ თავის მხრივ ჩვენ გვეეალება განვასხვაოთ ლეგენდები ისტორიული ჭეშმარიტებისაგან... გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის

უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს, ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა, მოგეხსენებათ, მისაბაძავად კი არ არის საჭირო ჩვენთვის, შესასწავლად და გასათვალისწინებლად, თვითცნობიერების გრძნობის დასაკმაყოფილებლად".

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, ისტორიკოსების წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს - ღრმად და ობიექტურად იქნეს შესწავლილი საქართველოს ისტორიის ნებისმიერი ეპოქა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარების ეტაპთა ფონზე.

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, საქართველოს ისტორიოგრაფიაში არა ერთ თითქმის შეუსწავლელ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთი.

საბჭოთა იმპერიის რღვევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ დადგა დრო, როდესაც ქართველ ისტორიკოსებს მიეცათ საშუალება ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლისათვის და მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე ამ მიმართულებით არა ერთი საკითხი იქნა გაშუქებული, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ქართული ეკლესიის კვლევა მაინც ვაკუუმშია მოქცეული და მოითხოვს მეცნიერულად ობიექტურ გააზრებას. ამ მხრივ კიდევ ერთი ფაქტი იწვევს სირთულეს: წარსული დროით შექმნილმა დაბრკოლებებმა ქართველ მეცნიერებს შეუზღუდა უახლესი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთის ობიექტურად გააზრების შესაძლებლობა და ბუნებრივია, საბჭოურ რეჟიმში ეკლესიის ისტორიის კვლევა ტაბუდადებულ საკითხად გამოცხადდა. ვფიქრობთ, დღეს, ქართველი ისტორიკოსებისათვის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად სწორედ საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი უნდა იქცეს, სადაც

სხვადასხვა სფეროთა გაშუქებით ნათელი მოეფინება ისტორიულ სამართლიანობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ობიექტი გახდა საქართველოს ისტორიის ჯერ კიდევ მთელი სისრულით შეუსწავლელი მონაკვეთი – დემოკრატიული საქართველოს მოღვაწეობის ხანა, ქართული სამოციქულო ეკლესიის ადგილისა და დანიშნულების ფონზე.

ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო 1917-1921 წლებს მოიცავს. საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის მოცემული ქრონოლოგია მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან ის ერთდროულად სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ და ნაწილობრივადაც მსგავს პერიოდს შეიცავს: თვითმპყრობელური რუსეთის პოლიტიკური კრიზისის ხანა, რუსეთის დროებითი ხელისუფლების კავკასიის დროებითი მთავრობის პერიოდის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეპოქა. ქართული საეკლესიო ისტორიის თვალსაზრისით, მოცემული ქრონოლოგიური ჩარჩო გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან სამივე ეპოქაში საქართველოს ეკლესიას თვითმოწესეობისა და გადარჩენისათვის უხდება ბრძოლა. ვინაიდან, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, მისი მდგომარეობა, როლი, ადგილი და დანიშნულება XX-ე საუკუნის 10-იან წლებში, ნათელი გახდა, რომ ამ მცირე მონაკვეთში, ერთმანეთისაგან სწრაფად ცვალებად პოლიტიკურ კატაკლიზმებში ეკლესიას ერთი და იგივე მდგომარეობა გააჩნდა და მასაც ერთნაირ ძალებთან უხდებოდა დაპირისპირება.

• რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მისი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროიდან იწყება ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა ამ უკანასკნელთა აღდგენისათვის. ქართველმა ხალხმა გაიაზრა ეროვნული ეკლესიის ისტორიული როლი და გაითავისა მისი დანიშნულება და გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა-აშენების საქმეში.

თავისი ამ მიმართულებით მეცადინეობისას ძლიერი წინამძღვარი შექმნა საქართველოს ეკლესიისა და მისი კრებულის თავისუფლების გამოცხადების ფაქტისათვის.

წარმოდგენილ ნაშრომში, პირველად ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად შევისწავლეთ კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნასთან სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიიდან ჩამოცილების კავშირი, რაც რუსეთის დროებითი მთავრობის კავკასიაზე ბატონობის შენარჩუნების პოლიტიკით იყო განპირობებული. პირველად საკითხის ისტორიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა რუსეთის დროებითი ხელისუფლების რეალური ზრახვები საქართველოსადმი, რაც მის დამოკიდებულებაში გამომეღავნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისადმი. მოცემული მოვლენების მეცნიერულმა ანალიზმა მოითხოვა რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის ამ მიმართულებით მუშაობის გაშუქება და შესაბამისად დახასიათდა რუსეთის სახელმწიფოში ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის რეალური მნიშვნელობა. აქვე, განზოგადებულ იქნა ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის თავდაუზოგავი ბრძოლა მოპოვებული ავტოკეფალიის დაკანონებისათვის, რომლის ერთ-ერთი დასტურიც ორი ეკლესიის - რუსული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების ქონებრივი გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტა იყო. ამ შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიას უნდა დაებრუნებინა რუსეთის თვითმპყრობელურ-სარწმუნოებრივი პოლიტიკით დაკარგული საეკლესიო ქონება და ამ კუთხითაც დაესაბუთებინა მოპოვებული დამოუკიდებლობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკურად რუსულ ეკლესიაზე დამოკიდებული ქართული ეკლესია რეალურად ავტოკეფალურად არ ჩაითვლებოდა. ნაშრომში გაშუქებულია ყველა ის სირთულე, რაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შეექმნა საქართველოს ეკლესიას როგორც რუსეთის დროებითი მთავრობის, ისე უწმინდესი სინოდის ხელისუფლებისაგან.

მონოგრაფიაში, პირველად საისტორიო მეცნიერებაში

განისაზღვრა კავკასიის საეგზარქოსოს დაარსების მიზანი და მისი დანიშნულება ახალი, "დემოკრატიული" რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში; მოცემულია კავკასიის საეგზარქოსოს დაარსება-მოღვაწეობის მთელი ისტორია; მისი ინტერესები კავკასიაში და დროებითი ხელისუფლების სამსახურში მოღვაწეობა.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდს. აქ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში გაშუქდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა, მისი დამოკიდებულება რელიგიისა და კონკრეტულად ქართული ეკლესიისადმი. აქვე, სათანადო ადგილი დაეთმო საქართველოს ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების დამოკიდებულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მთავრობისადმი.

წარმოდგენილმა ნაშრომმა მიზნად დაისახა წარმოეჩინა ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ; ასევე, მისი აქტიური მეცადინეობა თავისი არსებობა-გადარჩენა-განვითარებისათვის. სერიოზული ადგილი დაეთმო მონოგრაფიაში დემოკრატიულ საქართველოში ქართული საკათალიკოსოს სტრუქტურულ-ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნის პროცესს, მისი განხორციელების მიზანსა და ამით მიღებულ შედეგებს. ასევე, მეცნიერულად გაშუქდა ქართული ეკლესიის მიერ სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლა; ქართველი სამღვდელოების დამსახურება ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში მიზნად დავისახეთ დაგვემტკიცებინა, რომ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით შექმნილი დროებითი ხელისუფლება და მისი ეკლესია საქართველოსთან მიმართებაში ავლენს ეგრეთწოდებულ დემოკრატიული რუსეთის მზაკვრულ სამომავლო პოლიტიკურ გეგმას. ამ მხრივ,

განსაკუთრებული აგრესია ქართული ეკლესიის მიმართ ვლინდება, რომლის საბაბიც მისი ავტოკეფალიის გამოცხადება იყო.

საქართველოს ეკლესია, მისი სასულიერო კრებული და მთელი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა წინ აღუდგა ბურჟუაზიული რუსეთის პოლიტიკურ მიზნებს, რომელიც ცარიზმის მსგავსად უწმინდესი სინოდის მეშვეობით ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს პოლიტიკური გავლენა კავკასიაზე.

1917 წლის ბურჟუაზიული და ოქტომბრის რევოლუციების მანძილზე და მის შემდგომ, ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების შენარჩუნებისათვის ბრძოლა რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს: ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება, ახალ რუსეთის სახელმწიფოში ქართული ეკლესიის უფლებების დაარსების წინააღმდეგ ბრძოლა, ქართული ეკლესიის ეროვნულ-ტერიტორიალური საზღვრების დადგინებისათვის მეცადინეობა, აფსაზეთის საეპარქიოს შენარჩუნებისათვის ბრძოლა, კავკასიის საეგზარქოსოს წინააღმდეგ გამოსვლა, რუსული და ქართული ეკლესიების ქონებრივი პრობლემების მოგვარება, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკისადმი დაპირისპირება, ეროვნული სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის აღდგენა-აღორძინება, სასულიერო სწავლების ნაციონალიზაცია-დემოკრატიზაცია და მათი ორგანიზაციული მოწყობა და ა.შ.

მონოგრაფიული გამოკვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის განსაზღვრა-წარმოჩინება დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის პერიოდში. სათანადო კვლევამ გვიჩვენა და საარქივო მასალის განზოგადებამ დაგვანახა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში ქართული ეკლესია თავისი ერის მბრუნველ დედა-ეკლესიად ჩამოყალიბდა და ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ სარბიელზე. მან უდიდესი როლი

შეასრულა მოსახლეობაში დემოკრატიული მთავრობის ავტორიტეტის შექმნა-დამკვიდრებაში.

სათანადო წყაროებით დადგინდა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მენშევიკურმა მთავრობამ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე გამოაცხადა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სარწმუნოებისა და ეროვნული ეკლესიის მიმართ. მან კატეგორიულად უარყო ქართული ეკლესიის ჩართვა ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში და საამისოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საკითხი დააყენა. ამ პროექტის შედეგად, საქართველოს ეკლესია ჩამოცილებულ იქნა სახელმწიფოსა და მისი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებიდან, ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახდა და მისი ფუნქციები მხოლოდ მრევლის საეკლესიო მოთხოვნილებათა უმრუნველყოფით შემოიფარგლა.

წარმოდგენილ ნაშრომში სათანადო ადგილი დაეთმო ქართული ეკლესიის ბრძოლას თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. დემოკრატიული საქართველოს მთავ-რობისაგან უარყოფილი ეკლესია ცდილობს ძლიერი ორგანიზაციული აპარატის შექმნას, რაც მისი შემდგომი არსებობა-განვითარების გარანტი იქნება. 1918-1921 წლებში საქართველოს ეკლესიაში გატარებულმა საორგანიზაციო რეფორმებმა, ის, მორალურ-ზნეობრივი, ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით იმდენად განამტკიცა და მაღალ საფეხურზე აიყვანა, რომ ამ ეპოქით განპირობებული შემდგომი დროის მძიმე სერიოზულ წინააღმდეგობებს გაუძლო.

საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ქართული ეკლესიის ისტორიის პრობლემების მიმართულებით კვლევა გარკვეულწილად იკრძალებოდა და ქართული ისტორიოგრაფიის ეს სფერო ტაბუდადებულად ითვლებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ საბჭოთა ისტორიოგ-რაფიაში მაინც მიმდინარეობდა ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხთა გაშუქება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესწავლა სერიოზულ სირთულეებს უკავშირ-

დებოდა, მით უფრო თუ ის ეროვნული ეკლესიის პრობლემათა დადებითად წარმოჩენასთან იყო დაკავშირებული.

საბჭოთა წყობილების გაუქმებისთანავე, ქართველ მკვლევარებს აბსოლუტური საშუალება მიეცათ ღრმად და ობიექტურად ეკვლიათ დემოკრატიული საქართველოს ეპოქა, ემსილათ მისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რომელ გარემოცვაშიც საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას მოუხდა მოღვაწეობა. ამ მხრივ უკანასკნელ ათწლეულში შეიქმნა სოლიდური სამეცნიერო გამოკვლევები: ლ.თოიძის, ა. მენთეშაშვილის, მ. ვაჩნაძის, ვ. გურულის, მ. მაცაბერიძის, დ. შველიძისა და სხვათა ფუნდამენტალური ნაშრომები.

საქართველოს ქართულ და რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებში სერიოზული დაინტერესება შეინიშნება 1918-1921 წლების საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კუთხით ამ ეპოქაზე თითქმის არაფერი მოგვეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სულ ცოტა ხნის წინ ს. ვარდოსანიძის ნაშრომის – "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში" (2000 წ.), მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, აღნიშნული ნაშრომი დღის წესრიგში ისევ სტოვებს მოთხოვნილებას საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესწავლისას დემოკრატიულ საქართველოში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია–"საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში " - შესრულებულია მრავალრიცხოვანი ახალი დოკუმენტური მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; რიგი საარქივო წყარო პირველად ჩვენს მიერ შესაძლებლობების ფარგლებში არის შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში და გათვალისწინებულია თითქმის ყველა გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ცენტარლურ საისტორიო არქივშია დაცული.

XX-ე საუკუნის რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის პოლიტიკურ- ეკონომიკურ და კულტურულ მიზნებზე

საქართველოს მიმართ - მნიშვნელოვანი წყაროებია დაცული "კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის" (ფ.13), "კავკასიის სამოქალაქო მთავარმართებლის კანცელარიის" (ფ.12) ფონდებში, ხოლო რუსეთის სასულიერო უწყების პოლიტიკის ამსახველი მასალა შემონახულია "საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის" (ფ.488), "საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის" (ფ.489) ფონდებში.

ამიერკავკასიის დროებითი ხელისუფლების პოლიტიკის შესახებ ღრმადმნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან: "ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის" (ფ.1818), "ამიერკავკასიის კომისარიატის" (ფ.2081) და "ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომი)" ფონდები, ხოლო მათი სასულიერო უწყებების კავკასიაში საქმიანობას გვამცნობს: "კავკასიის საეგზარქოსოს კანცელარიის" (ფ.1701) ფონდი. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ამსახველ დოკუმენტებს ისინი დაცულია: "იუსტიციის სამინისტროს" (ფ.1938) და "შინაგან საქმეთა სამინისტროს" (ფ.1863) ფონდებში.

ქართული სასულიერო განათლების პრობლემებზე მუშაობისას ფართოდ ვისარგებლეთ "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს" (ფ.1935) ფონდით.

მრავალრიცხოვან საინტერესო მასალას მოიცავს ქართული ეკლესიის და მისი კრებულის ბრძოლაზე ეროვნული ეკლესიის თვითმოწესეობის შენარჩუნებისათვის და მის კულტურულ მოღვაწეობაზე შემდეგი ფონდები: "თბილისის ანჩისხატის მონასტერი" (ფ. 1683), "ალავერდის ეპარქიალური საბჭო" (ფ.1698), "საქართველოს ეპარქიის საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი" (ფ. 1471), "თბილისის გუბერნიის მონასტრები" (ფ.500).

დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ამსახველ ფაქტებს შეიცავენ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ფონდები და მათში დაცული მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენენ 1917-1921 წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-

ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ მოვლენებს. მათ შორის უნდა დავასახელოთ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული კირიონ საძაგლიშვილის (ფ.1458), ლეონიდე ოქროპირიძის (ფ.1459), ბორის და სიმონ ესაძეების (ფ.1438), პოლიევქტო კარბელაშვილის (ფ.1461), და სხვათა პირადი ფონდები.

1917-1921 წლების პერიოდიკა საინტერესო და მრავალფეროვანი წყაროა იმ პერიოდის საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობის შესასწავლად. საყურადღებო მასალებსა და ცნობებს შეიცავენ ხელისუფლების ოფიციალური ორგანოების, ბურჟუაზიული პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამოცემები. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მმართველი პარტიის პერიოდული პრესა.საინტერესო ცნობებს იძლევიან გაზეთები: "საქართველო", "ერთობა", "სახალხო ფურცელი", "ზვირთი" და სხვა.

1921 წელს დასრულდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ეპოქა და მასთან ერთად ქართული ეკლესიის ისტორიის ერთი ფურცელიც. ამ პერიოდიდან, საქართველოს წინაშე ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელ საქმეშიც საქართველოს ეკლესიას ისევ ღრმადმნიშვნელოვანი ისტორიული მისია დაეკისრა, მაგრამ ეს საკითხი უკვე კვლევის ახალ სფეროს მოიცავს და ჩვენს სამეცნიერო ინტერესებში ამჟამად არ შედის.

წინამდებარე მონოგრაფია, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავს 1917-1921 წლების საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის მონოგრაფიულ შესწავლას; თუ რამდენად შევძელით დასახული ამოცანის თავის გართმევა, იგი მკითხველთა განსჯისათვის მიგვინდია.

კარი პირველი
საქართველოს ეკლესია 1917 წელს

თავი პირველი - საქართველოს ეკლესია და ქართველი საზოგადოებრიობა ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (1906-1917 წწ.)

ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს ეკლესიას უაღრესად საპასუხისმგებლო ფუნქცია ეკისრებოდა - გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, იდეოლოგიურად ხელმძღვანელობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენათა ერთიანობის საკითხს, წამყვანი წვლილი შეჰქონდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში და სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას.

საქართველოს ეკლესიის ზემოაღნიშნულმა მოვალეობამ მთელი სიმძლავრით იჩინა თავი XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, მისი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის თვითმყოფადობის გაუქმებისთანავე. ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთის ხელისუფლება მთელი ძალისხმევით იღწვის იდეოლოგიური დაპყრობით საბოლოოდ მოახდინოს საქართველოს ათვისება. ამ საქმეში კი ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია რუსული მმართველობის სასულიერო ორგანოს - "საქართველოს საეგზარქოსოს" დაეკისრა. მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის რეალური გაბატონება კავკასიაში მტკიცედ მოაკიდინებდა ფეხს ცარიზმს ამ რეგიონში და მისი საბოლოო მორჩილების გარანტი იქნებოდა.

რუსეთის თვითმპყრობელობის რეაქციულმა, ანტიხალხურ-ანტიეროვნულმა პოლიტიკამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. მათ შორის ძლიერი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა ეროვნული ეკლესია, რადგან ახალ,

რუსულ საეკლესიო წყობას, როგორც ქართული საერო და სასულიერო ცხოვრების წესისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომს არ შეეძლო დადებითი, ერისთვის სასარგებლო ძვრების მოხდენა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართველი ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება ახალი მმართველობის წესისადმი. ქართველი ერი დღიდან რუსეთის გაბატონებისა საქართველოში არასოდეს შეგუებია დამპყრობლურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას და მისდამი დაპირისპირების სხვადასხვა ფორმით ცდილობდა ქვეყნის გადარჩენას მოახლოებული საფრთხისაგან. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია XX საუკუნის დასაწყისის ეპოქა, როდესაც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გამოცდილებით, დამპყრობთა ჩაგვრის მეთოდ-ხერხების, ფორმების, მიზნებისა და მმართველობის შინაარსის გააზრებამ ერთად მოიყარა თავი, როდესაც საქართველოში მიმდინარე ცარიზმის ექსპლოატატორული რეჟიმის და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი მჭიდროდ დაუკავშირდა საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას და მას მწვავე შეურიგებელი ხასიათი მიანიჭა (12,4-5).

რუსული თვითმპყრობელური აპარატისა და მისი ეკლესიის ერთობლივი თანამშრომლობა, თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული და ხალხთა დაპყრობა-ჩაგვრის პოლიტიკა ძირითად მიზეზად იქცა რუსული საეკლესიო პოლიტიკის მარცხისა კავკასიაში. საერო და სასულიერო ხელისუფლების თანამშრომლობამ გამოააშკარავა მათი ჭეშმარიტი მიზნები კავკასიაში, დაუპირისპირა მათ კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მოსახლეობა. ყოველივეს შედეგად, ქართველი ერის ბრძოლა რუსული სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ ითვალისწინებდა რუსული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

ცარიზმის პოლიტიკის კრიზისი რელიგიურ საკითხში აღმოჩნდა თვითმპყრობელობის საერთო კრიზისის

გამოვლინება, რაც მთელი სიმძაფრით გამომჟღავნდა მის საშინაო პოლიტიკაში 1905-1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდის დროს. ამ კრიზისის ძირითადი მიზეზები მოიძებნებოდა წინარეფორმის დროის კაპიტალიზმის მძლავრ განვითარებაში, თვითმპყრობელურ-მემამულურ წყობაში, რაც ქვეყნის პოლტიკურ-ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებდა, ამწვავებდა მასების კლასობრივ ბრძოლას, ზრდიდა დაპყრობილი ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას (38, 172).

პირველ სახალხო რევოლუციაში განმანთავისუფლებელი მოძრაობის მარცხმა, ეროვნული იდეოლოგიისა და განწყობილებათა საერთო გაძლიერებამ იმპერიის "განაპირა რეგიონებში", რაც უკავშირდებოდა პირველი მსოფლიო ომის მოახლოება-დაწყებას, რუსეთის იმპერიის რღვევა დააჩქარა და გამოიწვია სამხედრო-პოლიტიკური გავლენის შესუსტება ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც (89,5). ზემოჩამოთვლილი ფაქტორები ბუნებრივია, წინა ხაზზე აყენებდნენ ეროვნული საკითხის გააქტიურებას, რაც თავისთავად ითხოვდა ეროვნული ერთიანობის აუცილებლობას და რეალურიც გახდა მისი შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის შედეგად XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ხანგრძლივი და უწყვეტი ბრძოლა, რომელსაც ქვეყნის საზოგადოებრიობა აწარმოებდა სამშობლოს გადარჩენისა და ეროვნული ეკლესიის გადაგვარების ასალაგმავად. ასეთ შემთხვევაში, ისტორიული გამოუცდელობის გათვალისწინებით, მთელი ქართველი საზოგადოება, მისი მოწინავე ძალები: ინტელიგენცია, სასულიერო კრებული, მშრომელი მასები ერთი მიზანით გაერთიანდნენ – ქვეყნის ეროვნული თავისუფლება ეკლესიის თავისუფლებას დაუკავშირეს. ასეთი ფონით მიმდინარე ბრძოლის პროცესში, უდაოა ქართული ეკლესიის მოწინავე როლი. ის ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ და იდეოლოგ-მედროშედ გვევლინება, რომლის წინა რიგში ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებ-

ლობის აღდგენის საკითხს აყენებს – "ისტორიულად საქართველოს ეკლესია და ქართველი ერი სხვადასხვა ცნებები არასოდეს არ ყოფილა, რადგან ეკლესია მორწმუნე ერის ერთობლიობაა და, ბუნებრივია, ყველა ის პრობლემა, რაც ხალხს აწუხებს, ეკლესიის საზრუნავიცაა" - აღნიშნავს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II (53,7).

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკა, ხალხის ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა და ყოველივეს შედეგად ეროვნული ეკლესიის გადაგვარება გულგრილს ვერ დატოვებდა ქართველ სამღვდელოებას და მათ ქვეყნის ბედ-იღბლის მოჭირნახულად აყალიბებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ მეტად მამულიშვილურ საქმეში დაირაზმა ქართველი ერის დემოკრატიული ძალები. ალ. ცაგარელი აღნიშნავდა - "... მსნედ იყავით, ვიბრძოლოთ სიტყვით და კალმით, ვერ შეგვაშინებენ, ქართველი ხალხი გამძლეა, ბევრს უბედურებას გადაუელია მის თავზე, მაგრამ არ წაქცეულა..." (77°, 144). ქართველი საზოგადოებრიობისა და ეკლესიის ასეთი ერთსულოვნება იყო ამ უკანასკნელის უდიდესი გამარჯვება, რაც მისი ავტოკეფალიის აღდგენით დასრულდა.

ქართული სასულიერო ფენა, მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, ავტოკეფალიის მოთხოვნაში ხედავდა ქვეყნის განთავისუფლებაში გადადგმულ გაბედულ ნაბიჯებს - "ეკლესიის თავისუფლება, - ჩვენი ეკლესიის ისტორიული უფლების აღდგენა, რესაკვირველია არ ნიშნავს ეროვნულ თავისუფლებას, მაგრამ იგი პატარა ჩანასახი მაინც არის ერის უფლებებიდან" - აღინიშნებოდა გაზეთ "ქართული გაზეთის" ფურცლებზე (77,7). ქართველმა სამღვდელოებამ იცოდა, რომ საქართველოში, საუკუნის დასაწყისში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობა თავისი შინაარსით სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო, რომლის მიზანი არა მხოლოდ კოლონიური ჩაგვრის მოსპობა იყო, არამედ ის რუსეთის იმპერიაში დამკვიდრებული სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოუკიდებლობის ძირეულ შეცვლას გულისხმობდა (1,130;

15, 77), რომლის გამარჯვებასაც ასე ცდილობდა რუსეთის იმპერია კავკასიაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველი საზოგადოების ჩაბმა დემოკრატიულ მოძრაობაში, რათა თავი დაეხსნა რუსული სასულიერო უწყების ბატონობისაგან (93,3; 100,101) და აღედგინა ტრადიციული, ქართული საეკლესიო მართვის სისტემა საქართველოში. ამიტომ იყო, რომ პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, ქართველმა საზოგადოებამ ავტოკეფალიის საკითხის წამოყენებით გამოხატა თავისი თანადგომა ეროვნულ- დემოკრატიულ და სოციალურ მოძრაობასთან და იმთავითვე განსაზღვრა თავისი ბრძოლის მიზანი - განთავისუფლებულიყო გაბატონებული რუსული საერო და სასულიერო მმართველობის ზეწოლისაგან, ეროვნული თავისუფლება მოეპოვებინა და აღედგინა ისტორიული ავტორიტეტი თავისი ქვეყნის მოსახლეობაში (65,2; 111,1).

სამღვდელოების ბრძოლის ამ მიმართულებით წარმართვაში მთავარი ადგილი მათ ერთიან მოქმედებას, ურთიერთთანადგომას უნდა დათმობოდა, ამ მიზნით მოქმედებდა "საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობა". "ძმობა" მოუწოდებდა მთელს საზოგადოებას და სამღვდელოებას სოლიდარობისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის აღსრულებისაკენ – "ეკლესიის დაცვა, პატრონობა, როგორც ერის კულტურული განძისა, რომელიც აღჭურვილია მრავალ საუკუნეების განმავლობაში სუვერენული უფლებებით, ყველასათვის ვისაც კი სწამს ერი, მისი თავისუფლება, სავალდებულო უნდა იყოს" (62,6; 52,2).

ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გათავისება, საქართველოს საზოგადოებრიობის საერთო საკითხად გამოცხადება, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა, ეპოქის უპირველეს პრობლემად გამოაცხადა საქართველოში. ქართველმა საზოგადოებამ ეროვნული ეკლესიის თვითმმართველობა საზოგადოდ ქვეყნის თვითმმართველობის აზრის განმტკიცებას დაუკავშირა, ურთიერთგამომ-

რიცსავ მოვლენად გამოცხადდა და ერის ჭეშმარიტი თავისუფლება ეკლესიის თვითმოწესეობას დაუკავშირა. (52,2). ამიტომ იყო, რომ საზოგადოების ყველა ფენას მოწოდებით მიმართავს ქართული ეკლესია, რათა მხარში დაუდგეს სასულიერო ფენას საერთო ქართულ საქმეს – ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების მოთხოვნის სისრულეში მოყვანას – "როგორც კი რუსეთის ცხოვრება რომელსამე საეკლესიო საკითხს წამოაყენებს, რომელიც ჩვენი ეკლესიის სვეს შეეხება, აქ მთელი მორწმუნე ქართველობა უნდა გამოვიდეს აღძრული საკითხის განსასჯელ-გადასაწყვეტად და არა მხოლოდ ქართველი სამღვდელოება" - აღნიშნავდა გაზეთ "სახალხო ფურცელის" ერთ-ერთი წერილის ფსევდონიმი ავტორი (59, N 524,3).

ასეთი მოწოდების ფონზე, სულ უფრო აშკარა, აქტიური პროპაგანდისტული და ქმედითი მუშაობა გაიშალა როგორც სასულიერო, ისე საერო ფენაში. ქართველი სასულიერო ფენა არ წყვეტდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის იდეის პროპაგანდას საქართველოს სხვადასხვა სამრევლოში, სადაც ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ "...საქართველოს ეკლესიის საკითხი მთელი ერის საკითხია, რომ შეუძლებელია ეს ძვირფასი განძი რომელიმე ერთ წოდებას მიუგდოთ და მას დავაკისროთ მისი დაცვა და მოვლა-პატრონობა..." (71,3).

XX საუკუნის 10-იან წლებში გამძაფრებული საეკლესიო რეფორმის კამპანია, რომელსაც რუსეთის უწმინდესი სინოდი მთელი ძალით აწარმოებდა, არაჩვეულებრივ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ქართული ეკლესიისა და მისი მორწმუნე მრევლისათვის ახალი ძალებით გაეჩაღებინათ ავტოკეფალიის აღდგენისათვის მეცადინეობა. ასეთ ვითარებაში, გააქტიურდა საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საერო ნაწილი, მათ გაიაზრეს თავიანთი მამულიშვილური ვალი ეროვნული ეკლესიის წინაშე და მთელს ერს მოწოდებით მიმართეს – "ბევრს დღესაც ჰგონია, ვითომც "საქართველოს ეკლესია" - ეს "ქართველი სამღვდელოება" იყოს და ვითომც საეკლესიო საქმის გადაწყვეტაც მთლიანად ქართველი

სამღვდელოების საჭირისუფლოს შეადგენს. ნამდვილად კი სამღვდელოება მხოლოდ მცირე ნაწილია ეკლესიისა, მისი უდიდესი და უმთავრესი ნაწილი თვით მორწმუნე ერია, რომლის გარეშეც ეკლესია არ არსებობს...” (59,N 524,3).

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ რთულ ვითარებაში სამღვდელოებაში თავი იჩინა ეროვნული საქმისადმი დამოკიდებულების არაერთგვაროვნულობის ფაქტებმა. ცარიზმის პოლიტიკის გატარების სამსახურში, საკუთარი კეთილდღეობისათვის მოწოდებული ქართველი სამღვდელოების ერთი ნაწილი ავტოკეფალიის მოთხოვნას არ ითავისებდა, ან კიდევ მიკერძოებული შეხედულებანი გააჩნია ზემოხსენებული საკითხის ირგვლივ. პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება და სამღვდელოება ასეთ შემთხვევასაც აძლევს თანამედროვე შეფასებას და საზოგადოების თვალის ახელის მიზნით პრესის ფურცლებზე აშუქებს ამ მიმართულებით ფესმოკიდებულ მანკიერ მსარეებს –“სამღვდელოების აწყმო უბედურება იმაშია, რომ მასში არ მოიპოვება ერთი სახელმძღვანელო აზრი, ერთი განსაზღვრული გეგმა: ის არ წარმოადგენს ერთ მთლიან კომპაქტურ ერთეულს!... თუ სამღვდელოება ჩამორჩენილია, მაშინ თვით ერმა უნდა აიღოს ხელში ცხოვრების ალამი და საეკლესიო საქმე თავის პირდაპირ საქმედ გაიხადოს...” (86,4; 66,3).

ქვეყანაში ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკით ავტორიტეტშელახული ქართული ეკლესია, მოსახლეობაში ნდობის მოპოვებისათვის ბრძოლაში მოქმედების ობიექტურ თვითკრიტიკის მეთოდს მიმართავს. მათს საზოგადოების წინაშე სამსჯელოდ გამოაქვთ თავისი წარსული შეცდომები, აწმყოს სავალალო ვითარება და მისით გამოწვეული მძიმე შედეგები; ერთგულებასა და თავდადებას ჰპირდება მათ ქვეყნის განვითარების საქმეში და სათანადოდ დადებითი წვლილი შეაქვს ეროვნული სახელმწიფოსა და ეკლესიის აღდგენისათვის მოძრაობაში.

ავტოკეფალიის მოპოვებისათვის, რომ ეროვნული

თვითშეგნების ამაღლება იყო საჭირო კარგად უწყოდა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში გაცნობიერებულ ქართველ საზოგადოებას. მაგრამ, ამ მეტად წინააღმდეგობებით აღსავსე სამამულო საქმეს, თავად ეკლესიასა და მის სასულიერო კრებულში არსებული რთული ვითარება კიდევ უფრო ამძიმებდა.

XX საუკუნის 10-იან წლებში სასულიერო კრებული პირობითად სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული დამოკიდებულება-შეხედულებანი გააჩნდათ ეროვნული ეკლესიის თვითმოწესეობის დადგინების საკითხისადმი. პირველ ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ ცარიზმის სამსახურში მდგომი სამღვდელოება, რომლებსაც არსებული რეჟიმით კმაყოფილთ არ აწუხებდათ ეროვნული ეკლესიის განადგურების საკითხი; და რადგან არსებული მართვა-გამგეობისაგან მეტს ელიან, მისდამი ერთგულებასა და მორჩილებას ამეღავნებენ – "ივერიის ეკლესიის თავისუფლების დროს მღვდლები ქალამნებით დადიოდნენ და ეხლა აპოიკების წაღები აცვიათ...." (47,3)- შენიშნავდა ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მეორე ჯგუფს ეკუთვნოდა სამღვდელოების ახალგაზრდა თაობა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე ავტოკეფალური მოძრაობის დაწყების შემდგომ გამოვიდა. მათი რუსული ორიენტაციის სწავლა-განათლება ხელს არ უწყობდა ეროვნული მისწრაფებებისაკენ, და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ვერ ერკვეოდა რას ნიშნავდა ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენა, ეროვნული იდეა და მათი ერთობლიობა სამშობლო ქვეყნის გადარჩენისათვის. მესამე ჯგუფია საქართველოს სასულიერო და საერო განათლებამიღებული ფენა, რომელიც ეროვნულ ფესვებს მოუწყვეტლივ უშუალოდ განიცდის მშობელი ეკლესიის და ხალხის დევნა-შევიწროებას. საქართველოს სამომავლო ბედის გადაწყვეტა სამღვდელოების მხოლოდ ამ ფენას ხელეწიფებოდა. პროფესორი ტარასოვი შენიშნავდა: "ყველაზე უფრო

ენერგიულ, შრომისმოყვარე ნაწილს შეადგენენ სემინარიელები. ესენი იყვნენ სოფლის მღვდლების, დიაკვნების და " პრეჩეტნიკების" შვილები, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ სასულიერო სკოლა, სემინარია და მღვდლობის მაგიერ უნივერსიტეტისაკენ გაეშურნენ. ეს იყო თითქმის მათხოვრობამდის მისული ახალგაზრდობა. ბევრი სემინარიელი მიდიოდა ქვეითად მოსკოვში გამოცდების ჩასაბარებლად 100 ვერსის მანძილზე - ენერგიულნი, შრომის უნარიანნი და ძლიერ გაბოროტებულნი" (23,13).

ქართველი სამღვდელოების ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურობას დიდად აფასებდა ქართველი საზოგადოება, მისი ინტელიგენცია. ეროვნული საკითხის გადაჭრაში ქართველი ინტელიგენცია ქართულ ეკლესიას ეყრდნობოდა და მას ქართველი ერის მორალური გაერთიანების იდეოლოგად მიიჩნევდა - "საარჩევნო უფლება ეკლესიის სფერაში მიანიჭებს ერს მეტს სიფხიზლეს, მეტ გამჭრიახობას, მეტს მზრუნველობას საერთო ინტერესებისთვის და გადაიქცევა მშვენიერ მოსამზადებელ სკოლად საპოლიტიკო არჩევნებისათვის, რომელთაც ახლა უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა დროთა ბრუნვამ, თავისუფალი უფლების გამეფება ეკლესიის სფერაში, ძლიერ დაეხმარა ამავე პრინციპის გამეფებას პოლიტიკურ სფერაშიც" (4,112-113) - აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1906 წელს, საწყის ეტაპზე ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის დაყენების ეროვნული ეკლესიის დიდი ქომაგი იაკობ გოგებაშვილი. ამით იყო განპირობებული ინტელიგენციის ესეოდენ სწრაფვა ეკლესიისაკენ და მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა (16,109-113).

XX ს-ის 10-იან წლებში გაჩაღებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში წამოყენებულ საეკლესიო საკითხს სამღვდელოებასა და ინტელიგენციასთან ერთად მხარი დაუჭირა განმანათლებლურ-ხალხოსნურმა, სოციალ-დემოკრატიულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა მიმდინარეობებმა. ქართველი სამღვდელოების მიერ

ეროვნული ეკლესიის აღდგენის მოთხოვნისათვის შედგენილ პროგრამა-პეტიციებში აშკარად ხაზგასმით არ არის აღნიშნული ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მაგრამ ეს მოთხოვნები მხოლოდ ეკლესიის დამოუკიდებლობის პრობლემით არ შემოიფარგლებოდა; ქართველი საზოგადოება პირდაპირ აყენებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად ეკლესიის განთავისუფლების საკითხსაც, მოუწოდებს ხალხს ამ მეტად აუცილებელი მოვლენის განხორციელებისათვის გაერთიანებისაკენ – "რომელი ერთი ქართული საქმე შეედრება თავის ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, თავის კულტურულ – ქონებრივ და ორგანიზაციული შედეგებით, თავის ეროვნულ ღირებულებით იმ საქმეს, რომელსაც ეწოდება საქართველოს ეკლესიის უფლებრივი აღდგენა. ნუ თუ ეგზომ დიდი ეროვნული საკითხი, რომელიც სფეროებში ლამის მორიგ სარეფორმო საკითხად გადაიქცეს, ქართველი ადამიანის შეგნებაში ეროვნულ საკითხად არ იქნება მიჩნეული? ნუ თუ ივერიის ეკლესიის უბედურება ისეთ ეროვნულ ღირებულებად არ უნდა ჩაითვალოს, რომელიც მთელს ქართველობას გარს შემოიკრებს? ამ საქმეში უნდა ჩაებას თვით სამღვდელოება და თავადაზნაურობა, ქალაქის თვითმმართველობა. ნუ თუ, ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართეელი ერის მთელ სულიერ-რელიგიურ სამყაროს ფლობდა, დღეს იმად არ ღირს, რომ ჩვენ ჩვენი პატრიოტული დოქტრინის პატარა ღმერთი ჩავაჩუმოთ და მიუძღვნათ მას მაღალი შეგნება უზადო, უანგარო ეროვნული მოვალეობისას?" (71,3).

ასეთი მოწოდებით პოლიტიკურ შეხედულებათა დაქსაქსულობა საეკლესიო საკითხში ერთსულოვანი გახდა, რამაც ქართველი სამღვდელოება იმ პერიოდში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან შემოქმედებითად დააახლოვა. თვით უკიდურესი მემარცხენეებიც კი, სამღვდელოებასთან ერთობლივ მოთხოვნაში აღმოჩნდნენ – აღდგენილიყო ეროვნული სახელმწიფოებრიობა და

დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია. რევოლუციის პერიოდში მოღვაწე ყველა პოლიტიკური პარტია კატეგორიულად ითხოვდა თვითმპყრობელობის ზეგავლენისაგან ეროვნული ეკლესიის განთავისუფლებას (12,120-121) გასათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ თითოეულ პოლიტიკურ პარტიას თავისი შეხედულება-მოსაზრებანი გააჩნდა საზოგადოდ ეკლესიისა და ამ უკანასკნელის სახელმწიფოსთან კავშირზე, ერთი კი პირუთვნელია, რომ ეროვნული ეკლესიის თავისუფლება აუცილებელი და გადამჭრელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ხალხთა მასების სოციალური უღლის გადაგდებისათვის და აღნიშნულის განხორციელება რიგი მათგანისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნით მოიაზრებოდა.მაგალითად, სოციალ-დემოკრატთა ფრთას საერთოდ საეკლესიო საკითხი კერძო საქმედ, სინდისის, რწმენის პრობლემად მიაჩნდა - "რადგან ეკლესია თავისუფალია, იმდენად მუშა ხალხი თავისუფალია თავის მოქმედებაშიც, ამიტომ მუშათა კლასისათვის ეკლესიის თავისუფლება კლასიკურ მიზანს შეადგენს..." (52,2) - აღნიშნავდა ამ პარტიის ორგანო გაზეთი "ზვირთი".

XX ს-ის პირველ წლებში რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიასა და "განაპირა მხარეებში" აზვირთებული სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ხანაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდითმა მუშაობამ ხალხთა მასებში გამოიწვია საზოგადოდ ეკლესიისა და სასულიერო ფენისადმი აგრესიული დამოკიდებულება, მისი ისტორიული ავტორიტეტის შელახვა. აქედან გამომდინარე, მშრომელ მასებში საეკლესიო საკითხი პოპულარობით ვერ სარგებლობდა, რადგან სამღვდელოებას გაბატონებულ კლასად მიიჩნევენ და მათ მჩაგვრელად აღიქვამენ. სოციალ-დემოკრატთა საეკლესიო საკითხის პროპაგანდა ხალხში შემდეგი სახით გამოიხატებოდა - "ეკლესიის თვითმმართველობის აზრს ჩვენ იმიტომ არ ვიცავდით, რომ

ეკლესია ხალხს აღატაკებს, ჩაგრავს. თუ ეკლესიამ ასეთი ხასიათი სამომავლოდაც უნდა გამოიჩინოს, ჩვენ მას უნდა შევებრძოლოთ" (522). ზემოხსენებული პარტიისათვის ეკლესიის თავისუფლება ნიშნავდა მის საქმიანობაში ხალხთა მასების მონაწილეობის მიღებას. აქედან გამომდინარე, მათთვის (მუშათა კლასისათვის – ქ.პ.) ეკლესია საჭიროც კი გახდა : თუ საქართველოში გაბატონებული ცარიზმის ეკლესია პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია და მისი მეშვეობით რუსეთის სახელმწიფო რეაქციულ პოლიტიკას ატარებს, მისი მიზნების განმახორციელებელ თაობას ზრდის, ბუნებრივია, ქართული სოციალ-დემოკრატიული მიმართულება, როგორც თვითმპყრობელობის ოპოზიციაში მდგომი ვერ შეეგუება მის ბატონობას, ეკლესიისა და სახელმწიფოს ამ კუთხით ჰარმონიულ თანმშრომლობას, ასეთ შემთხვევაში, მოცემული პარტია უპირისპირდება საზოგადოდ არა ეკლესიას და ეროვნულ სამღვდელოებას, არამედ რუსულ საეკლესიო პოლიტიკას და მის სამსახურში მდგომ სასულიერო ფენას.ამით იყო განპირობებული, რომ სოციალ – დემოკრატთა ქართული ფრთა ითხოვდა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხოლოდ მისი სახალმწიფოსაგან გამიჯვნის შედეგით. მათ სწამდათ, რომ, როგორც კი თვითმპყრობელობა დაემხობა, და სახელმწიფოს ზეგავლენა ეკლესიაზე მოისპობა, ამ უკანასკნელის სამსახური პირველისადმი დასრულდება, ეკლესია აღიდგენს თვითმმართველობას, ის კულტურულ ხასიათს მიიღებს და ასეთ შემთხვევაში მშრომელი მასებიც პირდაპირ დაინტერესდებიან ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით. ასეთი მიმართულებით მუშაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ 1916-1917 წლების სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდში, ხმამაღლა გაიეღერა ქართული მშრომელი მასების მოთხოვნამ – დაბრუნებოდა ეროენულ ეკლესიას ისტორიული თვითმოწესეობა (140,3).

ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის ჩართვა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რუსეთის

ხელისუფლების უკიდურეს რეაქციას იწვევდა. ავტოკეფალიის მოხოვნას ის (რუსეთის მთავრობა - ქ.პ.) მათ პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებს და ამის გამომწვევ მიზეზად რევოლუციას მიიჩნევს (120,3; 43 VI). თვითმპყრობელობა ავტოკეფალისტებს რევოლუციონერობას სწამებდა, რომელთა მიზანიც კავკასიის ამხედრება იყო ხელისუფლების წინააღმდეგ (31,9). რუსეთის ხელისუფლების შენიშვნით ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი მხოლოდ ქართველი სამღვდელოების უმაღლესი იერარქიის ცალკეულ პირთა კერძო ინტერესები იყო (110,22). აღნიშნული მოსაზრების პასუხად მთავარეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძე) ვოლჟინს მიმართა: "... საქართველოს ეკლესიის საჭიროების შესახებ ჩვენ ნუ დაგვიჯერებთ, დაეკითხეთ ჩვენ საზოგადო მოღვაწეებს და მათგან გაიგებთ ყველაფერს..." (68,1).

აღსანიშნავია, რომ ქართველი სამღვდელოების მოძრაობის თანმხვედრი იყო რუსეთის სამღვდელოების მღელვარებანი რუსული ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობისათვის. XX ს-ის დასაწყისისათვის რუსეთის სასულიერო ორგანოს – უწმინდეს სინოდს თითქმის საუკუნოვანი კოლეგიალური მმართველობის ფორმა გააჩნდა, რომელიც XVIII – ს-ის 20-იანი წლების საეკლესიო რეფორმის საფუძველზე თვითმპყრობელობას მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით დაუკავშირდა. ამ დროიდან უწმინდესი სინოდი ცარიზმის მმართველობის მანქანის განუყოფელ ნაწილად იქცა და მისი ძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა (36,19-20,212). თვითმპყრობელობისა და ეკლესიის თანამშრომლობა მთელი ამ ხნის მანძილზე აქტიურ და ნაყოფიერ ხასიათს ატარებს: სინოდი ინტენსიურად ერეოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მის ავტორიტეტს იმპერიაში ზრდიდა და მას განსაკუთრებულ მდგომარეობას ანიჭებდა (29,10-12). მართულია, რუსული მართლმადიდებელი ეკლესია

სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ნიადაგზე ამ უკანასკნელისაგან უსვი პრივილეგიებით სარგებლობდა და ქვეყნის მმართველობითი სისტემაც, მისი სიმტკიცე მართლმადიდებლურ მრწამსსა და მის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ რუსი სამღვდელოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ვერ ეგუებოდა საერო ხელისუფლებაზე დამოკიდებულებას, მისი საეკლესიო თვითმოწესეობის ალაგმვას, პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტის მოსპობას, ხალხში სულიერი მოძღვრის ფუნქციის დაკარგვას და ყოველ შესაფერის შემთხვევაში ოპოზიციურ მდგომარეობას იკავებდა საერო ხელისუფლებასთან მიმართებაში. რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციური ვითარებანი საამისო კარგ შესაძლებლობას იძლეოდნენ. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ქვეყნის ორი ეკლესიის უფლებააყრილი მდგომარეობა ერთობლივი მიზნისთვის გაერთიანებას ითხოვდა; ორივე ეკლესიას როგორც ქართულ, ისე რუსულს ამ დროს უნდა გამოეხატათ თავიანთი ობიექტური დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი (93,2; 96,3) ხოლო ქართულ ეკლესიას კი კიდევ ერთი ამოცანის გადაჭრა მოუხდებოდა - განთავისუფლებულიყო რუსული ეკლესიის ბატონობისაგან. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე ეკლესიის მოწინავე სამღვდელოება ცდილობდა ერთმანეთისადმი თანადგომას. ქართული სასულიერო ფენა დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ პატრიარქობის აღდგენითა და რუსული ეკლესიის სახელმწიფო ბიუროკრატიისაგან გამიჯვნით, შესაძლებელი იქნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა - "... საამისოდ საჭიროა ერთსულოვანი და მეგობრული თანამშრომლობა რუსი და ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოებრიობის. თუ რუსული ეკლესია ამისგან არ განთავისუფლდა, ქართული ეკლესიის განთავისუფლებაზე ოცნებაც კი ზედმეტია" - აღნიშნავდა ქართველი სამღვდელოების ერთი ჯგუფი გაზეთ "ტფილისის" ფურცლებზე (96,2). ქართველ სამღვდელოებას სწამდა, რომ რუსული

ეკლესიის განასლება დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების გარანტი იქნებოდა, ხოლო დემოკრატიული რუსეთი დემოკრატიულ პრინციპებს შეიტანდა საეკლესიო ცხოვრებაში და არ დაუშვებდა ეკლესიის მორჩილ მდგომარეობას სახელმწიფო სისტემაში (60, N 817,1-2). ქართველი სამღვდელოების ამგვარ მოსაზრებას, რომ განსორციელება არ ეწერა სულ მალე გამოვლინდა რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ, როცა რუსულმა ეკლესიამ პატრიარქობა ნაწილობრივ აღიდგინა, ქვეყანა ნორმალურ დემოკრატიული მმართველობის ფორმათა დანერგვას შეუდგა, ხოლო საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკურ-რელიგიური ბრახვები არ შეიცვალა; იმ ეტაპზე კი საქართველოს ბედი იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის უკავშირდებოდა რუსული ეკლესიის სამომავლო ბედს (122,2).

თავის მხრივ, პროგრესულად მოაზროვნე რუს საზოგადოებრიობას, მის ინტელიგენციას და სამღვდელოებასაც კარგად ჰქონდათ გააზრებული ქართული ეკლესიის მხარდაჭერის მნიშვნელობა. ამით იყო განპირობებული, მათი ხელშეწყობა ავტოკეფალისტებისათვის, რაც გამოისატებოდა: ქართველთა ავტოკეფალიის აქტიური მოთხოვნის პროპაგანდის ხელშეწყობაში; უწმინდესი სინოდის სხდომაზე ქართული ეკლესიის საკითხისადმი მსარდაჭერაში, რომელთა შორისაც იყვნენ როგორც რუსი სასულიერო, ისე საერო პირებიც. მ.გ. კოვალნიცკი აღნიშნავდა – "თუ აქამდე რუსულ ეკლესიას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი პატივისცემა ეროვნული ეკლესიის მისამართით, ახლა შესანიშნავი საშუალება ეძლევა ჩაერთოს ქართული ეკლესიის საკითხში, რომლის გადაწყვეტაც იქნება შესანიშნავი დასტური რუსული ეკლესიის პატივისცემისა თავისი დის - ქართული ეკლესიის მიმართ" (155,30). თანდათანობით რუსეთის პროგრესულ საზოგადოებაში დაინერგა აზრი, რომ ქართული ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილება არ ვნებს რუსული

სახელმწიფოს ინტერესებს და პირიქით, ის შესაძლებელია რუსი ერის პროგრესული განვითარების საწინდარიც გახდეს. (125,3) აღნიშნულის შედეგი იყო, რომ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ინტენსიური ხასიათი მიეცა რუსულენოვანი პერიოდიკის ფურცლებზე ქართული ეკლესიის საკითხის ობიექტურ გაშუქებას. მაგალითად, ნ. დურნოვოს (16,85,131), ა. კატანსკის (31,3-4; 101, N 51, 2235), ნ. ვისოცკის (16,85,131), (31,34,101,N 51,2235); (98,235); (101,N 7, 1323); (95,3); აგეევის (101,N 7,1323), გორაინის (98,235) პუბლიკაციები, სადაც ავტორები აკრიტიკებენ რუსულ საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში და ქართული ეკლესიის უფლებათა მიმნიჭებლად მხოლოდ მსოფლიოს საეკლესიო კრებას მიიჩნევენ. ასეთი სახის წერილებით პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოება მოსახლეობისათვის ცდილობდა აეხსნა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნის მიზეზთა სამართლიანობა და არსი, რომელსაც თავად რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიისათვისაც უნდა მოეტანა სარგებელი (120,157).

ასეთი ვითარების ფონზე, აშკარა ხდება, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა არა თუ მარტო შეშფოთება გამოიწვია რუსეთის ხელისუფლებაში საქართველოში ეროვნულ ძალთა გაერთიანების გამო, არამედ თავად რუსეთის სახელმწიფოში განხეთქილება გამოიწვია, რამაც მისი შიდა კრიზისი კიდევ უფრო დააჩქარა. იმპერიის საზოგადოება და სამღვდელოება მოცემულმა საკითხმა ურთიერთსაპირისპირო ნაწილად გაჰყო. პროგრესულად მოაზროვნე მოწინავე ნაწილი, რომელიც უპირისპირდება თვითმპყრობელობის საერთო პოლიტიკას და ქართველი ერისადმი თანაგრძნობის გამოხატვით ხაზს უსვამს თავისი ეკლესიის დამონებულ მდგომარეობას, სარგებლობს საქართველოს ეკლესიის მოთხოვნით და ცდილობს მასთან ერთად მიაღწიოს თავისი ეკლესიის სახელმწიფო მართველობისაგან განთავისუფლებას (85,2). რაც შეეხება მეორე ნაწილს - ის რეაქციულია, იმპერიის სამსახურში

თავისი კეთილდღეობისათვის მდგომი და მისი კოლონიზატორული პოლიტიკის იდეოლოგ-განმასორციელებელი.

პროგრესულად მოაზროვნე რუს საზოგადოებაში, ზემოაღნიშნული პრინციპით მოქმედებდნენ: პროფ. მ.პოკროვსკი, ვ. სოლოვიოვი,ნ. დურნოვო, გ. ვოლხოვსკი და სხვ. ისინი ქართული ეკლესიის საკითხს უმძიმეს პირობად მიიჩნევდნენ იმპერიის საეკლესიო საქმეში, რომლის მიზეზსაც ივერიის უძველესი ეკლესიის კანონიკური უფლებების დარღვევასა და მის პოლიტიკასთან გადაჯაჭვაში ხედავდნენ. მათი აღნიშვნით, ყოველივე ეს ხორციელდებოდა საერო ხელისუფლების მიერ, ხოლო უწმინდესი სინოდი კი ამ ქმედებათა გამართლებას ლამობდა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რომ იმპერიის წმინდა პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული, რუსი საზოგადოება პერიოდულ პრესაშიც აღნიშნავდა, (190,4) - "... ერთნი უცოდინარობისა და უგნურობის გამო "ავტოკეფალიას" აიგივებენ პოლიტიკურ სეპარატიზმთან, ხოლო მეორენი მცოდნენი და გაგებულნი ხელოვნურად უჭერდნენ მხარს ამ ქაოსურ აზროვნებას... " (122,35,). რუსეთის საზოგადოება კატეგორიულად ითხოვდა ხელისუფლებისაგან საეკლესიო საკითხისთვის ჩამოეშორებინა ყოველგვარი პოლიტიკური მოსაზრება.

პროგრესულად მოაზროვნე რუსეთის სამღვდელოება და ინტელიგენცია ხედავდა, რომ რუსეთის ეკლესიისა და ივერიის ეკლესიათა გარეგნულმა ერთობამ ვერ გაუძლო დროთა გამოცდას, პირიქით, ისინი სამკვდრო- სასიცოცხლოდ დაუპირისპირა ერთმანეთს და ურჩევდა ხელისუფლებას ამ ეკლესიათა მშვიდობიან, სულიერ შეერთებას - "მივცეთ ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიას და სამართლიანად ვაღიაროთ, რომ ეს აქტი ხელს ვერ შეუშლის ამ ორ ეროვნებას, დროთა განმავლობაში გარეგნულ ერთიანობის დაუხმარებლად სულიერად შეერთდნენ..." (103,16-24) - აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1906 წელს, უწმინდეს სინოდზე

ქართული ეკლესიის საკითხის განხილვის პერიოდში ჟურნალ "საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის" მაშინდელი რედაქტორი მ. პოკროვსკი. ნიშანდობლივია, რომ მის მიერ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილის გამო, ის გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და სტავროპოლში გადაიყვანეს. ზემოაღნიშნული წერილი მოგვიანებით, 1915 წ. დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოს" 87-ე ნომერში.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე რუსეთის ინტელიგენცია ქართველი საზოგადოების მოთხოვნის სამ მიზეზს ასახელებდა:

"1). ივერიის ეკლესიის კანონიერად ავტოკეფალური უფლების გაუქმება არ მომხდარა საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით;

2). მხოლოდ თავისუფალ ეკლესიას აქვს უფლება პასუხი აგოს თავისი სამწყსოს რელიგიურ-მნეობრივ დონესა და შესაძლებლობებზე;

3). ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობისათვის აუცილებელია მატერიალური სახსარი:

ა). ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალური უფლების დაბრუნება და მცხეთა-ივერიის საკათალიკოსოს აღდგენა ძველ უფლებებში (გუბერნიებში: ტფილისი, ქუთაისი, ბათუმი, სამურზაყანო, აფხაზეთის, ზაქათალის ოლქებში), რომლის სათავეში იდგება კათალიკოსი;

ბ). არჩევითი პრინციპის აღდგენა; სამრევლო ირჩევს უფლებამოსილ კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლობა კი კათალიკოსს და სამღვდელოების მაღალ სხვა ჩინოსანთ. შერჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს საეკლესიო კრება ივერიის ეკლესიისა, რომლის სათავეშია კათალიკოსი და სინოდი, ხოლო კათალიკოსს უმაღლესი ხელისუფლება;

გ). საკათალიკოსო სინოდი განაგებს ყველა ეკლესია-მონასტერს, სამღვდელოებას, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებას, სამოწყალო დაწესებულებებს;

დ). ივერიის ეკლესიისათვის მთელი საეკლესიო ქონების დაბრუნება" (30,33).

რუსეთის ინტელიგენცია გმობდა ცარიზმის ანტიეროვნულ-სარწმუნოებრივ პოლიტიკას და ხმამაღლა უცხადებდა მის ხელისუფლებას – "არც ერთ ხალხს, არ აქვს ეკლესიაში განსაკუთრებული მტრობისა და ბატონობის უფლება, მაგრამ, ამასთან ერთად, არც ერთი ხალხი არაა საეკლესიო ცხოვრების ფუყე და განურჩეველი მასა. ყოველი ხალხი წარმოადგენს ქრისტეს სამყაროსეული სხეულის მოქმედ ორგანოს" - (67,59) აღნიშნავდა პროფესორი ვ. სოლოვიოვი.

1916 წლიდან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის ბრძოლა განვითარების ახალ ფაზაში შეეიდა. ამ მოვლენას მრავალი ფაქტი განაპირობებდა, რომელიც უშუალო კავშირში აღმოჩნდა როგორც რუსეთის საშინაო და საგარეო პირობებთან, ისე კავკასიასა და კერძოდ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რუსეთის ჩართვა პირველ მსოფლიო ომში, სადაც 1916 წლისათვის აშკარა გახდა, რომ თვითმპყრობელური წყობა რუსეთს ომში წარუმატებლობის მეტს არას უქადდა. რუსეთის ომში მონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, იყო ქვეყანაში მოახლოებული რევოლუციური აღმავლობა, რევოლუციური სიტუაციის სიმწიფე, საზოგადოებრივ -პოლიტიკური მღელვარებანი, "განაპირა მხარეებში" ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. ომით გამოწვეულმა სირთულეებმა კიდევ უფრო დაძაბა ზემოჩამოთვლილი ვითარება. რაც შეეხება საქართველოს, აქ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა უკიდურესად დაიძაბა, რაშიც ქართველ საზოგადოებას არ ჩამოუვარდებოდა მისი სამღვდელოება; ის სარგებლობს იმპერიაში შექმნილი რთული ვითარებით და მთელი სიმძაფრით აყენებს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა კავკასიის ადმინისტრაცია, როგორც საერო, ისე სასულიერო უწყებანი, ის ვეღარ ერკვეოდა კავკასიასა და კერძოდ საქართველოს პირობებში და, როგორც იმპერიის

უმაღლესი მმართველობა შენიშნავდა - "... ის საამისოდ არ იყო სათანადოდ მომზადებული უმაღლესი სახელმწიფოს ინტერესებისათვის" (121, 100). ნაცვლად იმისა, რომ კავკასიის ხელისუფლებას შესაფერისი მეთოდ - ხერხები გამოეყენებინა საქართველოსთან მიმართებაში, მან ისედაც მკაცრი პოლიტიკა კიდევ უფრო გაამკაცრა. საქართველოს საკითხთან დაკავშირებით კავკასიის მთავრობისთვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა ქართული ეკლესიის საკითხი.მიმდინარე სახალხო მოძრაობის შეჩერებისათვის, სადაც წამყვანი ადგილი ეკლესიის პრობლემასაც ეკავა, ცარიზმმა საქართველოს ეგზარქოსად განაწესა უკიდურესად რეაქციონერი მღვდელმთავარი პლატონი (1915-1917 წწ.), მაგრამ განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. 1916 წლის მიწურულს (დეკემბერი) საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ქართლში, კახეთში, იმერეთში მოწვეულმა სამღვდელოების კრებებმა ქართული ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენის გადაწყვეტილება გამოიტანეს (74, 3). კრებების მონაწილე სამღვდელოება ოფიციალური მოთხოვნით მიმართავდა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს, რომ საეკლესიო რეფორმათა გატარებისას სერიოზული ყურადღება გაემახვილებიანათ და გაეთვალისწინებინათ ქართველთა ეროვნულ-საეკლესიო ინტერესები. ასეთ შემთხვევაში, უწმინდესი სინოდი ქართველთა თვალის ახვევის მიზნით კითხვებით მიმართავდა ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობას, თუ რა და როგორი ხასიათის რეფორმები იყო დასაშვები ქართული ეკლესიისათვის, ფაქტიურად კი კითხვებზე პასუხის შეტყობინებით რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდებოდა ქართველი საზოგადოების ინტერესები, მათი ბრძოლის მიზნები. ბუნებრივია, ასეთ დროს თვითმპყრობელობისათვის უფრო წარმატებიანი იქნებოდა დაპირისპირება პროგრესული ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ. საარქივო მასალით ცნობილი ხდება იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის

(ოქროპირიძე) პასუხ-მოთხოვნები უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კითხვებზე, სადაც ქართული ეკლესიის სახელით ეპისკოპოსი ცდილობს დაარწმუნოს იმპერიის სასულიერო უწყებანი ისეთი საეკლესიო რეფორმის გატარებაში, რომელიც არა თუ ქართული ეკლესიისათვის, არამედ მთელი იმპერიისათვისაც დროული და სიკეთის მომტანი იქნებოდა. მართალია, ჩვენ ხელთ არ გვაქვს ობერ-პროკურორის კითხვათა ნუსხა, რითაც შეიძლებოდა წარმოდგენა გვქონოდა იმპერიისათვის საშიშ საკითხებზე, ანუ შეგვეტყო, თუ რა აწუხებდა განსაკუთრებით ცარიზმის ხელმძღვანელობას, რაში ხედავდა საქართველოს მოსახლეობის მღელვარების გამომწვევ მიზეზებს, მათი ალაგმვის მეთოდ-ხერხებს, მაგრამ ეპისკოპოსის მოცემული პასუხებით აშკარა ხდება, რომ მთავრობამ უკვე იცის რა მიმართულებით შეიძლება ებრძოლოს ქართველ ავტოკეფალისტ- განმანთავისუფლებლების მოთხოვნებს. აღნიშნული კი აშკარად ვლინდება ბრძოლის იმ ფორმებში, რომელსაც თვითმპყრობელობის საერო და სასულიერო ხელისუფლება ახორციელებს მთელი 1916-1917 წლების მანძილზე. განვიხილოთ ეპისკოპოსის პასუხები ცალკეულად და შევეცადოთ თითოეულის მიმართ უწმინდესი სინოდის რეაქციებთან პარალელის გავლება. პირველი პასუხით ნათელია, რომ სინოდი შეკითხვით მიმართავს ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობას, რომ საეკლესიო რეფორმის შემთხვევაში, როგორ წარმოუდგენიათ ეროვნული ეკლესიის ორგანიზაცია. ეპისკოპოს ლეონიდეს პასუხიდან ჩანს, რომ ქართველებისათვის სასიცოცხლო-ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება პატრიარქობის აღდგენას, სადაც ეკლესია-მონასტრებს გარკვეულ დონეზე, განსაზღვრული უფლებები ექნებათ, როგორიც მსოფლიო კრების მიერაა დადგენილი. ბუნებრივია, რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობა ასეთ მოთხოვნას რეფორმის დროს არ დააკმაყოფილებდა და პირიქით, შეეცდებოდა მისი გასაბათილებელი ვერსიების წამოყენებას. აღნიშნული კი უკვე ცნობილი გახლავთ, რადგან

რუსეთის თვითმპყრობელობა არაფრით დაუშვებდა ეროვნული ეკლესიის აღდგენას, რადგან ის ეროვნული ინტერესების გამტარებელი იქნებოდა, ხოლო რუსული ეკლესიის გაბატონების მცდელობა იმით იყო მთავრობისათვის გამართლებული, რომ მას ანტიეროვნული, ველიკორუსულ-დერჟავული იდეოლოგია უნდა დაემკვიდრებინა საქართველოსა და მთელს კავკასიაში. საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ ქართველი სამღვდელოება რუსულ ეკლესიას ურჩევს ქართულ კათალიკოსობასთან ერთად რუსული პატრიარქობის აღდგენასაც.

ეპისკოპოსის ერთ-ერთ პასუხში ჩანს მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით დადგენილი წესის აღდგენის მოთხოვნაც, კერძოდ: სამ წელიწადში ერთხელ სრულიად რუსეთისა და საერთო-იეერიის ეკლესიათა ცალკეული კრებების მოწვევა; ყოველწლიური სამიტროპოლიტო შეკრებების ჩატარება, წელიწადში ორჯერ საეპარქიო კრების მოწვევა, სადაც საერო ნაწილიც მიიღებს მონაწილეობას ხმის მიცემის უფლებით; ყოველი ეპარქიის ხელისუფლების სრული უფლებამოსილების აღდგენას თავისი ეპარქიის ფარგლებში; ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო მაღალი პირების არჩევის ძველი წესის აღდგენა, საღაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების გამორჩეული ფენა. ასეთი სახის მოთხოვნებს უწმინდესი სინოდი ვერ გაითვალისწინებდა, რადგან ის თვითმპყრობელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო შეუზღუდველი უფლებებით ვერ სარგებლობდა და, რადგან მას პირველის პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, ბუნებრივია, სასულიერო მაღალი რანგის თანამდებობები ცარიზმის ერთგულ სამღვდელოებაში ნაწილდებოდა და ხალხს ამ საქმეში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ეპისკოპოს ლეონიდის რჩევანი კი აშკარად საეკლესიო დამოუკიდებლობაზე მიანიშნებდა, ეს კი რუსული ეკლესიის უფლებებში არ შეიდიოდა და თავის უსუსურობას ქვეყნისა და ერის წინაშე მისი ნების დამოუკიდებლად ავლენდა.

ქართველი სამღვდელოების მნიშვნელოვან მოთხოვნად

შეიძლება მივიჩნიოთ სასულიერო კონსისტორიებისა და სინოდალური კანტორის გაუქმების საკითხი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რამდენიმე შტატის დატოვება, რომელიც პირადად ეპისკოპოსის განკარგულებაში იქნებოდა. აქედან ნათელია, რომ ქართველმა სამღვდელოებამ კარგად იცის ამ დაწესებულებათა მიზან-დანიშნულება, მათი პოლიტიკურ-კოლონიზატორული მისწრაფებანი, რუსეთის თვითმპყრობელობის მოთხოვნილებათა რეალიზაციის შესაძლებლობანი და ა.შ. ყოველივეს ისიც ემატება, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი დაწესებულებები დაფინანსებას ითხოვდა, რომელთა გამოყენება უფრო საჭირბოროტო საქმისათვის შეიძლებოდა. ამ შემთხვევაშიც, უწმინდესი სინოდისა და ქართული ეკლესიის შესედულება-ინტერესები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდნენ.

საყურადღებოა საეკლესიო სამართლის საკითხებიც. საეკლესიო რეფორმის გატარებისას ეპისკოპოსი ლეონიდე ურჩევს უწმინდეს სინოდის ხელმძღვანელობას საეკლესიო-სასამართლოს სერიოზულ რეორგანიზაციას, კერძოდ, მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობათა გათვალისწინებით საეპარქიო, სამიტროპოლიტო და საპატრიარქო სასამართლოების დადგინებას. ეს უკანასკნელი უნდა მიჩნეულიყო უმაღლეს სასამართლოდ.

როგორც ობერ-პროკურორის კითხვარზე პასუხების გაცემიდან ჩანს, იმპერიის მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა სასულიერო სასწავლებლის პრობლემა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემას მრავალი მიზეზი გააჩნდა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სასწავლებელთა ჩართვა საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში, სადაც აქტიურობდა სასულიერო განათლების კერები. მოსწავლე ახალგაზრდობის მრავალრიცხოვან პოლიტიკურ მოთხოვნათა შორის იყო როგორც ეროვნული, ისე ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხიც. ეპისკოპოსი ლეონიდი ურჩევს უწმინდეს სინოდს ჩატარდეს ძირეული რეფორმა სასულიერო განათლების

სფეროში, სადაც უცილებრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული ეროვნული განათლების ტრადიციები. რუსეთის ხელისუფლება ამ მოთხოვნასაც ვერ დაეთანხმა და აშკარა ხდება მისი საწინააღმდეგო პოლიტიკა ეროვნული სასულიერო სასწავლებლის მისამართით, რაც ვლინდება კიდეც 1916-1917 წლების ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკაში. თბილისისა და ქუთაისის სამხედრო ხელისუფლება საკითხში გარკვევისათვის ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს ეგზარქოსს (60, N 785,3). 1917 წლიდან მთელს რუსეთის იმპერიაში გამძაფრებული ხასიათი მიიღო ანტიქართულმა საეკლესიო კამპანიამ. იმპერიის პერიოდულ გამოცემებში დამახინჯებული სახით სისტემატიურად შუქდებოდა ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოების ეროენული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხი. აქ წამყვანი ადგილი ეკავა:

1). ქართველთა სეპარატისტულ მისწრაფებებს, რაც ეკლესიის დამოუკიდებლობაში გამოიხატა,

2) ქართული ეკლესიის "ამბიციებსა" და კავკასიაზე ჰეგემონობის პრეტენზიებს;

3). საქართველოს ეკლესიის მესვეურთა დადანაშაულებას რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფალთა პოლიტიკის წარუმატებლობაში კავკასიის რეგიონში (88,3).

მაგალითად, გაზეთ "გოლოსში" კორესპოდენტი შემდეგნაირად ახასიათებს საქართველოს ეკლესიას – "ქართველი სამღვდელოება ყოველთვის აცხადებდა – კავკასიის ეკლესიათა საქმეს მე უნდა უძღვებოდეო. მას სურდა და სურს კიდეც დაიმორჩილოს კავკასიის ქრისტიანული ერები. რუსეთის მთავრობა ხშირად სცდებოდა, როდესაც ქართველ ერს ანგარიშს უწევდა სხვა ერებთან ერთად და ხელში აძლევდა მისიონერობის უფლებას, მაშინ, როდესაც მრავალი მთიელი ხალხი მზად იყო ქრისტიანობა პირდაპირ ჩვენგან მიეღოთ, ვიდრე ქართველების ხელით. მისიონერთა პოლიტიკის შეცდომის გამო ქრისტიანობამ ვერ გაიმარჯვა ისლამზე" (88,3,). ამ მეტად ტენდენციურ და

შეურაცხმყოფელ წერილს თავის დროზე გამოეხმაურა და ცხოველი პოლემიკა გაუმართა პროფესორმა სოგიუსტმა გაზეთ "პეტროგრადსკაია ვედემოსტის" ფურლებზე (88,3).

ქართველი სამღვდელოების ბრძოლას ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მოწინავე ქართველი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებათა ლიდერები. მათ აუცილებლობად მიაჩნდათ, პოლიტიკურ იდეათა შეუთანხმებლობის აღმოფხვრა და ქვეყნისა და ეკლესიის ინტერესებისათვის ერთობლივი დარაზმვა (34,N 72,3). ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიათა გაერთიანების – "საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირის" (1916 წ.) მოწოდება და მიმართვა რუსეთის ხელისუფლებისადმი. რიგ პოლიტიკურ და საერო საკითხების გვერდით კავშირმა დააყენა საეკლესიო საკითხიც - "...საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს:

1. ყველა მისი საეკლესიო და სამოქალაქო უფლებანი;
2. ყველა საეკლესიო მამული, მოძრავი, თუ უძრავი;
3. საეკლესიო ადმინისტრაცია და იერარქია, თანახმად ჩვენი ეკლესიის ტრადიციათა, ამორჩეული უნდა იყოს მთელი ერის წარმომადგენელთაგან;

სამღვდელოებამ, თანახმად ხელშეკრულებისა, უარი უნდა განაცხადოს რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა. ჩვენ - კი ერისანი, თანახმად დაუჭერთ მხარს სამღვდელოებას ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის საქმეში..." (127,3).

ამრიგად, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, მის სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის გაუქმებისთანავე, საქართველოში არ შეწყვეტილა ბრძლა ამ უკანასკნელთა აღდგენისათვის, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის. XX ს-ის დასაწყისიდან მთელს რუსეთის

იმპერიაში მიმდინარე საერთო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოში არსებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მანძილზე, სულ უფრო გამწვავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეკლესიის ავტოკეფალიისათვის წარმოებული გულისხმევა. ქართველმა ხალხმა, საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში გააერთიანა და ერთმანეთს სისხლხორცეულად დაუკავშირა საერო და საეკლესიო საკითხები. ამ მოძრაობას სათავეში ედგა პროგრესულად მოაზროვნე ეროვნული საზოგადოება, სადაც ეკლესიის საკითხში წამყვანი ადგილი სასულიერო ფენას ეკავა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მოსახლეობის როგორც საერო, ისე სასულიერო ფენა ერთსულოვანი აღმოჩნდა ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნაში. მათ გაიაზრეს ამ უკანასკნელის დატვირთვა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საქმეში და გაითავისეს იგი. ეს გახლდათ ის საძირკველგამაგრებული წანამძღვარი, რამაც შესაძლებლობა მისცა ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობას თამამი და გაბედული, უკომპრომისო ნაბიჯი გადაედგა ეკლესიის თავისუფლების გამოცხადებაში. ასეთმა შემთხვევამ რეალიზება ჰპოვა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, დროებითი ხელისუფლების მმართველობის ხანაში, როცა საერო ნაწილი მიხვდა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის შორეულ მიზნებს საქართველოსთან მიმართებაში.

თავი მეორე - კავკასიის სამიტროპოლიტო და საქართველოს ეკლესიიდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის ისტორია (1906- 1917 წწ.)

აფსაზეთის რეგიონის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ-სტრატეგიული მნიშვნელობის გამორკვევისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი წინა ისტორიის მიმოხილვა. როგორც ცნობილია, უცხოური, კერძოდ ბერძნულ-ლათინური და ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით,აფხაზეთში ღვთის სიტყვის ქადაგება მოციქულებს: ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს, მატათასა და სხვებს მიეწერებათ, უკვე ქრისტეშობიდან IV ს-ში ეხვდებით წმინდა ანდრიას ქადაგების ისტორიას აფხაზეთში ტირის ეპისკოპოსის წმ. დროთეოსის ჩანაწერებში, ხოლო IV ს-ის შუა წლებში მის მონათხრობს იმოწმებს ეკლესიის ისტორიის დიდი სწავლული, კიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე (†403 წ.) და ნეტარ იოანე სოფრონელის ერთ-ერთი მოწაფე. (27,77-78). მოციქულთა ქადაგებანი აფხზეთის მოსახლეობაში (ქრისტეშობიდან დაახლოებით 55 წ.) საწყის ეტაპზე დიდად წარმატებიანი არ ყოფილა, და, თუმცა პირველი თემები აქ იბერიელთა მეფის ადერკის მიერ არა ერთ გზის განადგურდა, კერპთაყვანისმცემლობის ძველი ძალა და უფლებამოსილება სერიოზულად შეირყა. (26,33-34).

საეკლესიო იერარქია საქართველოს ამ რეგიონში ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებს უკავშირდება, რადგან სათანადო წყაროებით დგინდება, რომ სევასტოპოლის, ანუ ნიკოფსიის ეპისკოპოსი მონაწილეობას იღებდა IV მსოფლიო საეკლესო ქალეკდონიტთა კრებაში 451 წელს, ხოლო გაგრის ეპისკრპოსი წმ. მოწამე იპათი კი I მსოფლიო საეკლესიო კრებაში 325 წელს. შემდგომი პერიოდის ისტორია არ ჩანს წერილობით წყაროებში, მას ეხვდებით მხოლოდ VI ს-ის 30-იანი წლების ანალებში, სადაც გადმოცემულია ძველი ნიკოფსიის (ანაკოფიის) ანუ იგივე ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის აგების ისტორია, რომელიც კონსტანტინოპოლის

საპატრიარქოს იურისდიქციაში იყო. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ მოიძებნა არავითარი ცნობა, რომელიც წარმოდგენას მაინც შეგვიქმნიდა აფხაზეთში ქრისტიანობის მდგომარეობაზე პირველი საუკუნიდან მეექვსე საუკუნემდე. დასაშვებია, რომ ქრისტიანობა დამკვიდრდა ბერძენთა და რომაელთა მიერ დაკავებულ სანაპირო პუნქტებში, მაგრამ ფაქტია, რომ მკვიდრი მოსახლეობა ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლურ ცხოვრებას აგრძელებდა, რაზეც შემდგომი სანის წყაროებიც მეტყველებენ.

დაახლოებით 840 წლიდან, ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსებმა მიიღეს აფხაზეთისა და ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსის წოდება, ხოლო 1050 წლიდან გარკვეული უფლებებით მოიპოვეს ავტოკეფალიური მდგომარეობაც.

1795 წლიდან, აფხაზეთ-იმერეთის საკათალიკოსოს გაუქმების მერე, აფხაზეთის რეგიონი შეუერთდა ჯერ ცაგერის მიტროპოლიას, შემდეგ ჭყონდიდს, რომელსაც ის ექვემდებარებოდა აფხაზეთისა და საქართველოს პოლიკიტურ-სარწმუნოებრივ ცხოვრებაში რუსეთის იმპერიის გამოჩენამდე.

აფხაზეთის სამეფოს კულტურულ-სარწმუნოებრივი აღმავლობა საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ძლიერების ეამს უკავშირდება, როდესაც აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთ რეგიონს წარმოადგენდა. აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად დაიფარა "ივერიის არქიტექტურის" სახელით ცნობილი ეკლესია-მონასტრების ქსელით, მათ კედლებზე შემორჩენილი ქართულენოვანი წარწერებითა და ღვთისმსახურებით. ქრისტიანული სარწმუნოების აყვავების პერიოდი აფხაზეთში XVI საუკუნემდე გაგრძელდა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ, აფხაზეთი აჭარა-ქობულეთთან ერთად ოსმალთა იმპერიის იურისდიქციაშია, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი, გელათს შეფარებული ცდილობს მრევლთან არ გაწყვიტოს კონტაქტი. ოსმალთა ბატონობამ გამოიწვია აფხაზეთში

ქრისტიანული სარწმუნოების დევნა, ნადგურდებოდა ეკლესია-მონასტრები, რომლებიც აქაური მოსახლეობის ქართულ ორიენტაციასა და უძველეს კულტურულ-სარწმუნოებრივ მაღალ განვითარებაზე მეტყველებდნენ. ერთ დროს ქრისტიანული სარწმუნოების ძირძველი კულტურის მატარებელი ხალხი მის უარყოფამდე მივიდა; დაიწყო გადაგვარების მასიური პროცესი.

1810 წელს აფხაზეთის სამთავროს უფლებები რუსეთის იმპერიამ გააუქმა და ის თავის იმპერიულ იურისდიქციას დაუქვემდებარა. ამის შემდგომ, ეს რეგიონი თურქეთის იმპერიასთან მომიჯნავეობის გამო რუსეთ-თურქეთის ომების ჟამს საომარ მოქმედებათა თეატრონად იქცა. სწორედ ამით იყო განპირობებული რუსეთის მიერ საქართველოს ამ რეგიონით ესოდენ დაინტერესება, აქაურ მოსახლეობაში რუსული ორიენტაციისათვის ბრძოლის გაძლიერება და ამით თურქეთის საუკუნოვანი ბატონობით გამოწვეული პროთურქული მიმართულების აღმოფხვრა. ეს საპასუხისმგებლო საქმე იმპერიის ხელისუფლებამ თავისი იდეოლოგიის გამტარებელ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას დააკისრა, რომელიც ჩინებულად მოქმედებდა - "მართლმადიდებლობა – თვითმპყრობელობის პრინციპით". რუსული ეკლესიის ამ მიმართულებით ძალისხმევა, მისი რელიგიური პოლიტიკა აფხაზეთში ევოლუციის რამდენიმე ეტაპს გადის, რაზეც ქვევით ვისაუბრებთ და შევეცდებით მათ ცალკეული დახასიათება - სამეცნიერო ანალიზის წარმოჩენას.

აფხაზეთის საომარ ასპარეზად ქცევამ კიდევ უფრო დააჩქარა ამ რეგიონის მოსახლეობის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გადაგვარების პროცესი, რასაც თან ერთვოდა რუსეთის იმპერიის მათ ტერიტორიაზე ძალით შეჭრა და იქაურობის საომარ ფრონტად ქცევა. აღნიშნული, მოძალადეთა მიმართ სიძულვილს იწვევდა; საომარ მოქმედებათა მერყევი მდგომარეობა ხალხს არამდგრად ორიენტაციისაკენ უბიძგებდა. იმის მიხედვით, თუ რომელი მხარისაკენ იყო წარმატება, მოსახლეობაც მისკენ იხრებოდა

და მის რწმენას ემორჩილებოდა. მიმდინარე ეს პროცესები კიდევ იმით იყო ნაკარნახევი, რომ აფხაზეთის რეგიონში, როგორც შევნიშნეთ თურქთა ბატონობის გამო ქრისტიანული სარწმუნოება სერიოზულ დევნას განიცდიდა, მაღალმთიან რეგიონებში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა წარმართობის ძლიერი ელემენტები და სხვა.

მიახლოებითი წარმოდგენა, რომ ვიქონიოთ აფხაზეთში მართლმადიდებელი ქრისტიანობის მდგომარეობაზე, მოვიყვანთ ცაიშის მიტროპოლიტის გრიგოლის 1822 წლის 3 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათიდან ნაწყვეტს საქართველოს ეგზარქოსს იოანესადმი (ვასილევსკი 1821-1832 წწ.). მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ "მთავარმა დადიანმა გრიგოლს დაუფასა ნახევარსაუკუნოვანი ერთგული სამსახური მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი და ის სამთავროს მიტროპოლიტად განაწესა. სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში მოექცა ტერიტორია მდ. ენგურის მხრიდან მდ. ღალიძგამდე, სადაც მოსახლე აფხაზები მასიურად მოექცნენ ქრისტიანებად". ბარათში, მიტროპოლიტი საქართველოს ეგზარქოსისაგან ითხოვს სამიტროპოლიტოს საეპისკოსოდ გარდაქმნას, რათა შემდგომში აფხაზეთის მოსახლეობაში გაძლიერდეს ქრისტიანული მოქცევის პროცესი, (147,37-40). მოგვიანებით, ვნახავთ თუ როგორ იყენებს თავის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ინტერესების განხორციელებისათვის ეპისკოპოს გრიგოლის თხოვნას რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლება საქართველოს ამ რეგიონში.

მიტროპოლიტ გრიგოლის თხოვნას საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორა ყურადღებით გაეცნო და გაითვალისწინა რა უწმინდესი სინოდის 1821 წლის 19 ნოემბრის დადგენილებების მე-7 პუნქტი (144,11), რომლის ძალითაც სამეგრელოს მთავარს თავისი სამღვდელოება საქართველოს საეგზარქოსოს უფლებამოსილებაში უნდა გადაეცა, თხოვნით მიმართა ადგილობრივ მთავარმართებელს. 1922 წლის 15 დეკემბრის N 3912 (145,9)

ბრძანებულების თანასმად აღნიშნული საქმის შესწავლა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის დაწყების საქმე აფხაზეთ-სამეგრელოში დააკისრა გენერალ-მაიორს, თავად გორჩაკოვს. ეს უკანასკნელი კი მოგვიანებით იტყობინებოდა – "... საგანგებო ვითარების გამო, ჯერ კიდევ ვერ შეეძელი დავალებული საქმის წესრიგში მოყვანა, მით უფრო, რომ სამეგრელოს მეზობელ აფსაზეთში მიმდინარე 1829 წლის ზაფხულის ამბოხებებმა ერთგვარად შეაყოვნა ჩვენი საქმეც..." (146,32). გაითვალისწინა რა, რუსეთის მთავრობამ გენერალ-მაიორ გორჩაკოვის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე; ამასთან, მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ ხელისუფლება აიძულა დროებით შეეჩერებინა დადგენილების მე-7 პუნქტის, ე.ი. სამეგრელოსა და აფხაზეთში საეკლესიო რეფორმის განსორციელება, ყოველივე ეს კი, აფსაზეთში სამისიონერო საქმიანობის ათწლეულით შეყოვნებას იწვევდა.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას აფხაზეთში თავისი სარწმუნოებრივ-პოლიტიკური გამარჯვებისათვის სამეგრელოს და აფხაზეთის რეგიონის სამღვდელოება ესაჭიროებოდა, მხოლოდ აქაურ ქართველ სასულიერო ფენას ხელეწიფებოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან სულიერი კონტაქტის დამყარება, მათში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა-განმტკიცება. ნიშანდობლივია, რომ სამურზაყანოს მხარის ქართველი სამღვდელოება ზედმიწევნით ფლობდა აფხაზურ ენას, მისი ხალხის ბნე-ჩვეულებას და ბუნებრივია, რუსეთის მთავრობისათვის ეს უკანასკნელი თავისი ინტერესების განხორციელების შესანიშნავი იარაღი იყო. ამით იყო განპირობებული, საუკუნის დასაწყისში სამეგრელო-სამურზაყანოს მოსახლეობისადმი რუსეთის ხელისუფლების ე.წ. დათმობითი პოლიტიკა, მათი იმპერიის სამსახურში ჩაყენებისათვის მეცადინეობა.

XIX ს-ის დასაწყისში, სოხუმის, ანუ აფხაზეთის სამისიონერო რეგიონის შემადგენლობაში შედიოდა: მთლიანად სოხუმის ოლქი, რომელიც მოიცავდა ოთხ უბანს: გუდაუთას, გუმითს, კოდორს და სამურზაყანოს. ეს რეგიონები

ძირითადად დასახლებული იყო აფხაზი აბორიგენებით და ე.წ. სამურზაყანოელებით (ქართველი მოსახლეობა - ქ.პ.).

რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მიზნების განხორციელებას აფხაზეთში მთელი რიგი ფაქტორი აბრკოლებდა. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის იმპერიას აფხაზეთში უკიდურესად სავალალო მდგომარეობა დახვდა, მძიმე ვითარებაში იყო გამ-ულმებული თურქთა ლაშქრობისა და რუსეთ-თურქეთის ომიანობით შელახ-ული ქართ-ული კულტურის ძეგლები. იმპერიის მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა დანგრეული ეკლესია-მონასტრები, რომელთაც რუსული კოლონიზატორული იდეოლოგიის განხორციელების ობიექტის როლი უნდა შეესრულებინათ. ამიტომ 10-იანი წლებიდან რუსეთი მათი აღდგენა-განახლებისათვის იბრძვის, სადაც წამყვანი ადგილი ამ ეკლესია-მონასტრების რუსული საეკლესიო არქიტექტონიკის ელემენტთა განხორციელებას უკავია. ამ ეერაგული საქმიანობის პირველი მსხვერპლი აფხაზეთის ქრისტიანული კულტურის ცენტრი - ბიჭვინთის მონასტერი გახდა. ჯერ კიდეე 1821 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I საქართველოს მმართველს ერმოლოვს დაავალა ბიჭვინთის მონასტრის აღდგენა, რაც ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ აფხაზეთის ტერიტორია რუსეთ-თურქეთის საომარ ასპარეზს წარმოადგენდა. 1831 წლის უმაღლესი ბრძანებულებით დაარსდა აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრა (27,72), რამაც შექმნა სასწრაფო აუცილებლობა ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის აღდგენისათვის. 1832 წელს მის შესაკეთებლად მეორე ბრძანება გაიცა. იმ დროს რუსეთის საზოგადოების ავტორიტეტული მოღვაწე მურზაკევიჩი 1838 წ. 17 ნოემბერს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს გრაფ პრატასოვს ატყობინებდა - "... ეს მონასტერი თავისი მოცულობით და სიძველით ნამდვილად დიდ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ სიძველის გამო მთლიანად დაზიანებულია. მონასტერი მოითხოვს არა მარტო რომელიმე ნაწილის, ან მხარის

შეკეთებას, არამედ მთლიანად თავიდან ფუნდამენტალურ აღდგენა-აშენებას, რაც საჭიროებს სოლიდურ თანხას. ყოველივეს ერთვის ისიც, რომ ადგილზე სამშენებლო მასალა არ მოიპოვება, რაც სახელმწიფო ხაზინიდან დიდძალი თანხების გამოყოფას მოითხოვს, ჩემის აზრით, ამხელა მონასტერის აგება არ არის აუცილებელი, რადგან მის სიახლოვეს არ არის დასახლება და აფხაზებიც მცირე ნაწილის გარდა მაჰმადიანები არიან. ეს მონასტერი გამოადგებათ მსოლოდ იქ ჩასახლებულ სამხედრო ჩინოსნებს, მათ ოჯახებს და სამხედრო ნაწილებს. მიმაჩნია, რომ მონასტრის ამჟამინდელი მდგომარეობა ასეთ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელია...” (143,21).

XIX ს-ის 20-30-იან წლებში აფხაზეთში არსებული ქრისტიანული სარწმუნოების მძიმე მდგომარეობა რუსეთის პოლიტიკური ზრახვების გამარჯვებისათვის შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ნაყოფიერი შედეგი სამისიონერო მოღვაწეობას შეეძლო მოეტანა, რადგან ისტორიულად ძველი ნაცადი ხერხის გამიყენება, აფხაზეთის მოსახლეობაში ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის საბაბით, რუსული სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ინტერესების გამარჯვება-დამკვიდრება, ახალდაწყებული კოლონიზატორული პროცესი, იმპერიის ხელისუფლებას ერთდროულად რამდენიმე პრობლემას მოუხსნიდა და ქვეყნის ერთ-ერთ სასიფათო საზღვარს თურქეთთან საბოლოოდ გაამაგრებდა.

აფხაზეთში რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო-მისიონერული მოღვაწეობა ორ ეტაპად იყოფა: რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე და მის შემდგომ. პირველისაგან განსხვავებით, მეორე ეტაპზე, რუსეთი აღარ ერიდებოდა თურქეთ-სპარსეთის “განაწყენებას” და როგორც კი XIX ს-ის 10-იანი წლებიდან იმაგრებს პოლიტიკურ პოზიციებს საერთაშორისო არენაზე, მაშინვე აშკარად და გაბედულად იწყებს აფხაზეთის კულტურულ-იდეოლოგიური ათვისებისათვის აქტიურ მეცადინეობას. და რადგან, ამ

პოლიტიკური ამოცანის გადაჭრაში სარწმუნოებრივ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, მთელი ძალით ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებების: "ოსეთის სასულიერო კომისიის", სამისიონერის ძმობების მუშაობა.

მეორე ეტაპზე, ქართველ სამღვდელობაზე რუსეთის მიერ დაკისრებულმა მისიამ თავისი ფუნქცია ამოწურა, მაგრამ ვინაიდან, იმპერიის ხელისუფლება ერიდებოდა თავისი მიზნების გამოააშკარავებას 30-იან წლებამდე ამ რთულ რეგიონში ჯერ კიდევ სტიქიურად მიმდინარეობდა ქართველი საზოგადოების შესაძლებლობათა გამოყენება.

რუსეთის ინტერესების გამარჯვებისათვის აფხაზეთი, რომელიც თავისი მოსახლეობის ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჭრელით გამოირჩეოდა რთულ რეგიონს წარმოადგენდა და ნაცადი სამისიონერო მოღვაწეობის მეთოდ-ხერხების გადასინჯვას ითხოვდა. რუსეთის ერთ-ერთი ეპარქიის მთავარეპისკოპოსი ევგენი აფხაზეთში სამისიონერო მუშაობის გააქტიურებისა და წარმატებისათვის აღნიშნავდა: "პირველად, ყურადღება უნდა გამახვილდეს წინა პერიოდის სასულიერო კომისიის მუშაობაზე; დაწერილებით გადაისინჯოს კავკასიაში ქრისტიანობის წარუმატებელი გავრცელების ნამდვილი მიზეზები, ასევე მოიძებნოს უკეთესი საშუალებანი მუშაობისათვის..." (109,24,7). რუსი სამღვდელოების რწმენით, წინა პერიოდში ამ კუთხით დაშვებულმა შეცდომებმა შეაფერხა რუსეთის მიერ არა თუ მხოლოდ აფხაზეთის, არამედ საერთოდ კავკასიის პრობლემის საბოლოო გადაჭრა (35, 85). განვლილი მუშაობის ანგარიშის გაცნობა-გადამოწმებამ ცხადყო, რომ რუსეთი ჯერ ვერ გამორიცხავდა აფხაზეთში ქართველი სამღვდელოების წამყვან როლს, რომლის მეშვეობითაც იყო შესაძლებელი დასახული მიზნების განხორციელება. ამ მხრივ საინტერესოა მიტროპოლიტ იოანეს საიდუმლო მიმართვა გრაფ პასკევიჩისადმი (1839წ. 26. I, N 377), (108,248-249), სადაც ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთშიც სამოღვაწეოდ უპირატესობას ქართველ

სამღვდელოებას ანიჭებს: "... გთხოვთ შეარჩიოთ ქართველი მღვდლები, რომლებიც გამოირჩევიან გონიერებითა და მორჩილებით ხელისუფლებისადმი.... ეს უნდა მოხდეს საიდუმლოდ, რომ არ გამწვავდეს მათი ეროვნული ფანატიზმი..." – შენიშნავდა მიტროპოლიტი იოანე (108, 249).

ამ პერიოდში სამურზაყანო-აფსაზეთის რეგიონში განაწილდნენ შემდეგი ქართველი მისიონერები:

1). მღვდელი ვასილ კუცია ერთი მედავითნით სოფელ ოქუმში; 2). სავა თოფურია დიაკვნით გალში; 3). ნიკოლოზ კუპრავა, დავით სვანიძე და მიხეილ გაგუა ნაბაკევის სოფლებში; 4). მარკოზ შონია და მარკოზ არქანია სოფლებში: საბერიო და ლაჩარია; 5). დავით ანთელავა დიხაზურგში; 6) იესე სოჭოლავა მუხურში; 7). პეტრე ქლენტი ილორში; 8). იესე მიქაბერიძე იყო ზემოჩამოთვლილი მღვდლების ზედამხედველი, სოფელ დარჩელში მოღვაწე. არქიმანდრიტ ანტონს მიტროპოლიტად განუწესეს ჯერ ცაგერის მონასტრის იღუმენი დავით ასვლედიანი, შემდგომ თეოფანე გაბუნია, ღვთისმსახურ- მღვდლებად: გიორგი ბერიძე და ანდრია გელოვანი, დიაკვნებად: პავლე დეკანოზიშვილი და ვასილ ნემსაძე (37,75). ამ მისიონის ყველა წევრი 1820 წ. იმპერიის ხელისუფლების ბრძანებით წარმატებიანი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის სამკერდე ჯვრებით დაჯილდოვდა (37,75).

საარქივო მონაცემები მოწმობენ, რომ აფხაზეთში აქტიური სამისიონერო საქმიანობა 1831-1834 წლებიდან იწყება, როდესაც ამ სამუშაოს უძღვება არა სასულიერო, არამედ საერო-სამხედრო ფენა, კერძოდ სამხედრო ნაწილის უფროსი და ამავდროულად სამოქალაქო მმართველობის თავკაცი, გენერალ-ადიუტანტი პანკრატოვი. ის 1831 წლის 21 აგვისტოს წერილით საქართველოს ეგზარქოსს იოანეს ატყობინებდა, რომ აფხაზეთის მთავარი, თავადი მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა აფხაზეთის ეპარქიის სათავეში ცაგერის მონასტრის მოძღვრის ანტონ დადიანის დანიშვნას, რომელიც კარგად იცნობს აფხაზეთის მოსახლეობის ენასა და ზნე-ჩვეულებებს

და მათი ქრისტიანობის მოქცევის საქმეს გააადვილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზების მჭიდრო კონტაქტები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, რუსეთის მმართველობისათვის ხელსაყრელი არ იქნებოდა.(142,7).

გენერალ ადიუტანტი პანკრატოვი საქართველოს ეგზარქოსისაგან ითხოვდა აღნიშნული საკითხის საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორის საერთო სხდომაზე განხილვას. მოგვიანებით, სინოდიალურმა კანტორამ თავად მ. შარვაშიძეს თხოვნაზე უარი შეუთვალა, რის მიზეზადაც დაასახელა უწმინდესი სინოდის 1821 წლის 19 ნოემბრის დადგენილება, სადაც აღნიშნულია: "... ეპარქიების არსებობა დასაშვებია საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში, მღვდელმთავრებად კი ინიშნებიან იქ, სადაც სათანადო რაოდენობის ეკლესიებია ღვთისმსახურებით, ამასთან იქ, სადაც ხალხი მისდევს მართლმადიდებლურ რწმენას" (142,10-11).

ზემოაღნიშნული აღასტურებს, რომ აფხაზეთის მთავრის მ. შარვაშიძისათვის ცნობილია რუსეთის სამომაველო ბრძანებები და ითხოვს სოხუმის საეპარქიო კათედრაზე ქართველი სასულიერო პირის განწესებას. რაც შეეხება რუსეთს, მისთვის მიუღებელია აფხაზეთის ქართული კულტურის სფეროში მოქცევა და პირველ ეტაპზე არა სოხუმის ეპარქიის ამოქმედებას ცდილობს, არამედ იქ მისიონერული საქმიანობის გაჩაღებას, რომლის შეშვეობითაც უფრო შესძლებს გაბატონებას აფხაზეთში. ამიტომ იყო, რომ სამისიონერო მიმართულებით მუშაობისათვის საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორა დაეთანხმა თავად შარვაშიძის თხოვნას სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების უშუალო ჩართვაზე ამ საქმეში და დაადგინა: "1. დაინიშნოს იღუმენი ანტონ დადიანი სან-არქიმანდრიტის პოსტზე, ხოლო რადგან იგი ცაგერისა და ლეჩხუმის მონასტრებს განაგებდა, ერთ-ერთი მათგანი გადაეცეს სამეგრელოს ეპარქიის განმგებლობას; 2. უშუალოდ მას დაევალოს აფხაზეთსა და სამეგრელოში ურწმუნოთა მოქცევა; 3. გასამჯელოს დანიშვნა დაევალოს

საქართველოს მმართველის განმგებლობას“ (145,13-15).

XIX ს-ის მეორე ნახევარში რუსეთმა ფაქტიურად დაასრულა კავკასიის ტერიტორიული დაპყრობა, დაამყარა ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობა, შეუდგა მისი იდეოლოგიური დაპყრობის აქტიურ პოლიტიკას და ბუნებრივია, ეკლესიას უფრო ქმედითი და აშკარა ნაბიჯების გადადგმა დააკისრა, ასეთ პირობებში, ბუნებრივი მოვლენა გახდა აფხაზეთის საეპისკოპოსოს ამოქმედება, რომელიც 1851 წლის 30 აპრილიდან რუსეთმა დამოუკიდებელ, რუსეთის სასულიერო ორგანოზე დაქვემდებარებულ კათედრად გამოაცხადა. ამაშინვე უწმინდესი სინოდის განკარგულებით აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის კათედრას დაუდგინდა შემდეგი შტატები: 1) ერთი არქიმანდრიტი, ან იღუმენი - 700 მანეთის ანაზღაურებით; 2). 3 იერმონარქი - 500 მანეთი; 3). იეროდიაკვანი - 400 მანეთი; 4). 2 მედავითნე - 250 მანეთი; 5). 2 მთარგმნელი - 250 მანეთი; 6). ექსტრაორდინალური ხარჯისათვის 100 მანეთი (33,79-80).

საქართველოს ისტორიაში XIX ს-ის 70-80-იანი წლები განსაკუთრებულად რთული პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება, ამ პერიოდიდან მოკიდებული, რუსეთის პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოს კოლონიზაციის გაძლიერებას. რუსეთი საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებდა ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართველი ერის დაშლისა და მისი სხვადასხვა კუთხის ერთმანეთისათვის დასაპირის-პირებლად, მშობლიური მიწისაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად. ცარიზმის პოლიტიკა ხალხთა შორის მტრობის თესვას ემსახურებოდა, ერთმანეთს უპირისპირებდა ერთი და იგივე ერის სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, აწყობდა მათ რბევას. ისინი იმპერიაში შემავალ მცირერიცხოვან ერებს დაბალ, არასრულფასოვან რასად მიიჩნევდნენ, ზღუდავდნენ მათ მშობლიურ ენას, ახდენდნენ ქვეყნის ახალ-ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას, რათა ამ გზით საბოლოოდ

მოესპოთ ის ერები, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდათ.

ქართველი ერის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირება და მათი არაქართველ და არაქრისტიან ერად გამოცხადება იმ პერიოდში, როცა უკვე მიმდინარეობდა ქართველი ხალხის გაერთიანების პროცესი, მთელი კაცობრიობის წინაშე უდიდეს დანაშაულს წარმოადგენდა.

რუსეთის მთავრობა, რადგან ქვეყნის გარუსებით, მკვიდრი დასაყრდენის შექმნას ცდილობდა, ამ საქმეში ფართოდ იყენებდა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევართა გამრავლების ხერხს. რუსეთის ამ პოლიტიკის ერთ-ერთი სახე იყო ქართული მიწებიდან მისი მკვიდრი მოსახლეობის აყრა-შევიწროება და სხვა ქვეყნებში განდევნა, ხოლო განთავისუფლებულ ტერიტორიებზე კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლება. ყოველივე კი, მოსულ-დამხვდურთა შორის მტრობას სთესდა. კოლონიზაციამ, განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რეგიონში, მათ შორის ყველაზე მეტად აფხაზეთი დაზარალდა.

რუსეთის მთავრობის ასეთმა პოლიტიკამ ხალხის ერრვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მძლავრი აღმაღლობა გამოიწვია. გასული საუკუნის 80-იან წლების დამდეგს ამ მოძრაობის დროშის ქვეშ გაერთიანდა საქართველოს თითქმის ყველა საზოგადოებრივი ძალა.

ქართველი ხალხი, მისი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ნათლად ხედავდა რუსეთის მზაკვრული პოლიტიკით შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ერს, მის ენას, ისტორიას, იტაცებდა მის მიწა წყალს, აუკაცრიელებდა მის ტერიტორიას ძირძველი მოსახლეობისაგან. ამიტომ, ერის საუკეთესო შვილები წინ აღუდგნენ ამ მძლავრ ტალღას და რუსეთის ამგვარ პოლიტიკას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს.

თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას წინ აღუდგნენ ქართული ეროვნული ძალები, საქართველოს კულტურულ-

საგანმანათლებლო დაწესებულება-ორგანიზაციები, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი – ი.ჭავჭავაძე, ი.გოგებაშვილი, ს.მესსი, დ. ყიფიანი, ნ.ნიკოლაძე და სხვ.

ქართველი ხალხის საერო ნაწილს ღირსეულად უმშვენებდნენ მსარს ქართველი სამღვდელოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შორის სავსებით დამსახურებულად უნდა მოვიხსენიოთ იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), აფსაზეთის რეგიონის დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მოქვის მღვდელ - მსახური ათანასე ჟორდანია, კოდორის ხეობის მისიონერი ბესარიონ დღებია, სამურზაყანოს მისიონერი იოსებ ბერძენიშვილი და სხვ. ისინი იბრძოდნენ არა მხოლოდ აფხაზეთში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენისათვის, არამედ მრავალტანჯულ მხარეს კულტურის, განათლების გამავრცელებლებადაც მოევლინენ. მათ სახელს უკავშირდება ქართული სასულიერო ლიტერატურის შექმნა აფსაზეთის ეკლესია-მონასტრებში, მზადდებოდა ჭეშმარიტად ქრისტიანული, ეროვნული თაობა. ისინი გასული საუკუნის სამოციანელთა მხარდამხარ იბრძოდნენ რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და ენერგიას არ იშურებდნენ თურქეთში უკანონოდ გადასახლებული აფხაზი მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნებისათვის. მათი მოღვაწეობის შედეგად, XIX ს-ის 60-80-იან წლებში ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ძლიერად მოიკიდა ფეხი აფხაზეთში, დაიწყო მისი ქართული კულტურისაკენ შემობრუნების მძლავრი პროცესი, რასაც მოჰყვა 30-მდე ეკლესია-მონასტრის ამოქმედება, გაიხსნა რამდენიმე პირველდაწყებითი სამრევლო სკოლა და სხვ. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის ახალმოქცეული მოსახლეობა უშუალო მონაწილეობას იღებს ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებში, და სამწყსოდან დაშორებული მღვდელმთავართა დახმარება-შენახვის სურვილს გამოთქვამს. აფხაზეთის მოსახლეობის 4\5 ნაწილი თავის ძველ სარწმუნოებას დაუბრუნდა.

XIX ს-ის 70-იან წლიდან პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა აფხაზეთის მოსახლეობის რიცხობრივი შემცირება გამოიწვია. მთიანი აფხაზეთის მაჰმადიანურ ნაწილს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართველი მისიონერები. ჩრდილოეთ კავკასიასთან მეზობლობის გამო, ისინი ძირითადად მაჰმადიანები იყვნენ. ამას ისიც ერთვოდა, რომ ბუნებრივი პირობების გამო ეს ადგილები ძნელად მისადგომი იყო. ხშირად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეს ხალხი მოწყვეტილი იყო სულიერ კონტაქტს მღვდელმსახურებთან. ასეთ ვითარებას რუსეთი მოხერხებულად იყენებს. აფხაზეთში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებით შეშფოთებული რუსეთი მაქსიმალურად ავიწროებდა აფხაზეთის მოსახლეობას, რაც გამოიხატებოდა თურქეთში მასობრივი განდევნით. ყოველივემ, განსაკუთრებით დააზარალა შუა აფხაზეთის მთიანი მხარე (კოდორის ზედა ნაწილი), წებელდა, ბზიფის აფხაზეთი, სოხუმის მთიანი რეგიონი და სხვა. რაც შეეხება აფხაზეთის შუა ბარის ნაწილს (დღევანდელი გალისა და ოჩამჩირის რეგიონები), აქ მოღვაწე ქართველ მისიონერთა მეშვეობით, ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებ დაზარალდა.

ქართველ საეკლესიო პირთა მიზანდასახული ეროვნული მოღვაწეობა სერიოზულად ეწინააღმდეგებოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ინტერესებს აფხაზეთში. ყოველივემ კი განაპირობა XIX ს-ის 80-იანი წლების დამლევსა და 90-იანი წლების დამდეგს რუსული რეაქციული ძალების დაპირისპირება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, რაც იმაში, გამოიხატებოდა, რომ აფხაზეთის ეკლესიას მთლიანად ჩამოაცილეს ქართველი სამღვდელოება და თავად ის რუსეთის წმინდა სინოდს დაუქვემდებარეს (75,5).

როგორც საარქივო მასალები გვამცნობენ, 1887 წლიდან სოხუმის საეპისკოპოსო კათედრაზე მსოლოდ რუსი

ეროვნების სამღვდელო პირნი ინიშნებიან, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცნობნი იყვნენ მათი ენისა და ზნე-ჩვეულებათა უცოდინარობის გამო. რუს სამღვდელოებას უკიდურესად უჭირდა მათთვის რთულ ბუნებრივ გარემოსთან შეგუება, გაუვალ ჭაობიან ადგილებში მოგზაურობა და აქედან გამომდინარე, მათი მეცადინეობაც შედეგიანი არ იყო. ისინი ძირითადად სოხუმში ცხოვრობდნენ, ხოლო სამისიონერო საქმის აღსრულება ან პოლიციის დახმარებით, ან სშირ შემთხვევაში სამოხელეო აპარატის კარგად გაწერთნილ პოლიციას ევალებოდა, რომელიც აფხაზებს ძალის გამოყენებით ნათლავდა. ასეთ ქმედებას ბუნებრივია, დადებითი შედეგი არ მოჰქონდა და იძულების წესითა და შიშით გაქრისტიანებულ აფხაზებს მართლმადიდებლური ქრისტიანობისადმი სიძულვილი უჩნდებოდათ.

ადგილობრივი მოსასლეობის მხრიდან სერიოზულმა წინააღმდეგობებმა, რუსეთის მთავრობა აიძულა გამოეცა კანონი ნებაყოფლობითი სჯულის გამოცვლის თაობაზე. ყოველივემ ხელი შეუწყო აფხაზთა სურვილის განხორციელებას და "ცეცხლითა და მახვილით" სჯულშეცვლილი მოსახლეობა მასიურად უბრუნდებოდა მაჰმადიანობას. ამრიგად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სოხუმის ეპარქიის 40.000 აფხაზი ისევ ძველ სარწმუნოებას დაუბრუნდა. აქედან, მხოლოდ მეოთხედმა შეინარჩუნა ქრისტიანობა.

აშკარა გახდა, რომ 1887-1906 წლების განმავლობაში, აფხაზეთის ქრისტიანული მოსახლეობა თურქეთის ბატონობასთან შედარებით, უკეთეს ვითარებაში არ აღმოჩნდა. მხოლოდ 1905 წელს, სოხუმის საეპისკოპოსო კათედრაზე უწმინდესი სინოდის მიერ დანიშნულმა მამა სერაფიმმა ამოიცნო არსებული ვითარების მიზეზი, გააცნობიერა ცარიზმის სარწმუნოებრივი პოლიტიკის მარცხი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო სოხუმის კათედრა ისევ ქართველ სამღვდელოებას დაბრუნებოდა.იგი ცდილობდა

წმინდა სინოდის მოხელეთა დარწმუნებას, რომ სოხუმის საეპარქიო კათედრაზე საჭირო იყო დანიშნულიყო ქართველი ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). მაგრამ სერაფიმის მოსაზრებამ გაამართლა. კირიონის მოღვაწეობის პერიოდში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც საეკლესიო წიგნების აფხაზურ ენაზე თარგმნა ევალებოდა.

აფხაზები, რომლებიც საკუთარი სურვილის გარეშე დაუქვემდებარეს რუსეთის იმპერიას და ეს უკანასკნელი ძალდატანებით ცდილობდა მათ გაქრისტიანებას მტრულად განეწყნენ რუსი სამღვდელოების პირთა სამისიონერო საქმისადმი, ყველა ღონეს ხმარობდნენ მათი განდევნისათვის მშობლიური მხარიდან. რუსი იერარქების მოღვაწეობამ აფხაზეთის არც ერთ კუთხეში არა მარტო დადებითი შედეგი არ გამოიღო, არამედ პირიქით შეაჩერა, ერთგვარად შეურაცხყო და შეასუსტა ქრისტიანობის აღდგენითი საქმიანობა ამ რეგიონში. სახიფათო შეცდომა, რომელიც რუსმა სამღვდელოებამ დაუშვა აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენისას, გახლდათ ამ საქმეში პოლიტიკის ჩართვა. ქრისტიანული საბურველით შემოსილი და საღვთო მოღვაწეობას ამოფარებული პირები, თავიანთ ერთ-ერთ მიზნად არა ეკლესიისადმი სამსახურს ისახავდნენ, არამედ პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებას, კარიერის შექმნას. ასეთი სახის მქადაგებლებს, ეჭვგარეშეა არ შესწევდათ უნარი ადგილობრივ მოსახლეობაში პატივისცემა და ნდობა მოეპოვებინათ. ამის გამო მოძღვარსა და მის მრევლს შორის ამოუვსები ნაპრალი გაჩნდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სიჯიუტესა და მკაცრ პროტესტში გამოიხატებოდა სამღვდელოებისადმი, ეკლესიებში არ დაიარებოდა და მიზეზს ეძებდა ზურგი ექცია მართლმადიდებლობისათვის და მაჰმადიანობას დაბრუნებოდა.

აღსანიშნავია, რომ თვით რუსი სამღვდელოების წარმომადგენლები არ უარყოფდნენ თავიანთი საქმიანობის წარუმატებლობებს, აღიარებდნენ ადგილობრივი მოსახლე-

ობის მშობლიური ენის უცოდინარეობას, მათ ადათ-წესებში გაურკვეველობას. ისინი გამაგრებულნი იყვნენ სოხუმში და იქიდან, დაახლოებული პირებისა და პოლიციის მეშვეობით ცდილობდნენ ქრისტიანობის დამკვიდრებას.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმპერიაში აუცილებლობა შეიქმნა შემუშავებულიყო განსაკუთრებული ზომები ერთხელ და სამუდამოდ ამ ადგილებში ქრისტიანობის საყოველთაო რელიგიად გამოცხადებისათვის.

1864 წლიდან, აფხაზეთში რუსული მმართველობის საბოლოო გამარჯვებისთანავე, რუსულმა ეკლესიამ აქ ცარიზმის სარწმუნოებრივ-პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის საქმე "კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას" დააკისრა. მუშაობის დაწყებისთანავე სელისუფლებამ "საზოგადოებას" შემდეგი დადგენილებები წაუყენა: 1. ეთხოვოს "კავკასიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების" კომიტეტს თავისი ბიუჯეტის ნაწილი მოახმაროს ქრისტიანობის აღდგენის საქმეს აფხაზეთში; 2. სამასწავლებლო სკოლების დამთავრებისთანავე, სახალხო მასწავლებლების უმრავლესობა განაწილდეს აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონში; 3. ის მღვდლები, რომლებიც სათანადო ვადის გასვლის შემდეგ ხელმეორედ განაწილდებიან აფხაზეთში, დაენიშნოთ წელიწადში 500-დან 600 მანეთამდე სელფასი; 4. აღნიშნული რაიონებიდან წამოსულ მღვდლებს დაენიშნოთ სათანადო პენსია საზოგადოების ბიუჯეტიდან (129,32 -33).

ზემოაღნიშნული მოთხოვნა-დადგენილებები წმინდა სინოდმა სპეციალურად ქართველი სამღვდელოების მისაზიდად შეიმუშავა, რადგან კარგად უწყოდა, რომ სამისიონერო საქმიანობის წარმატება მხოლოდ ქართველ მღვდელმთავრებზე იყო დამოკიდებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ვითარებაც, რომ რადგან აფხაზეთი რუსეთის იმპერიის მეტად სტრატეგიულ საზღვარს წარმოადგენდა, აქ განსაკუთრებული სახის სამხედრო

ნაწილები იყო განლაგებული, რომელთა დიდი ნაწილიც სამხედრო სამსახურის შემდეგ სამუდამოდ აფხაზეთში რჩებოდა. ამ მხრივ ყურადსაღებია ბიჭვინთის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილების საქმიანობა. აფხაზეთის სამხედრო ნაწილი გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ნებსით თუ უნებლიედ სარწმუნოებრივ-პოლიტიკური აქტის ერთ-ერთ წამყვან ფიგურად იქცა. ნაწილის უფროსები და ჯარისკაცები იასლოვებდნენ აფხაზ ბავშვებს. მშობლები ხედავდნენ, რომ ბავშვები სამხედროებთან საერთოს ნახულობდნენ, იკვებებოდნენ, ხშირად შემოსილნიც ბრუნდებოდნენ შინ, და რაც მთავარია, ზოგიერთი აფხაზური ოჯახი დიდ სიხარულს გამოხატავდა, რომ მათ შვილებს საშუალება ეძლეოდათ სამხედროებთან ხშირი კონტაქტების მეშვეობით აეთვისებინათ რუსული ენა. ასეთ ვითარებაში სამხედროთა ძალისხმევა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა.

რუსეთის უწმინდესმა სინოდმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და "კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ" სამხედრო პირების წასახალისებლად ერთდროული ჯილდო დააწესა 100 მანეთის ოდენობით. რაც შეეხება სამხედრო ნაწილის უფროსს, კაპიტან ეორონოვს, იმპერატორის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა და მაღალი ჩინი ებოძა (130,17-19). იმ ბავშვებს, რომლებიც სწავლისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ავლენდნენ და.სამხედროების ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ, "საზოგადოება" თავისი ხარჯით სწავლის მისაღებად ქუთაისის სასულიერო სემინარიაში აგზავნიდა.

სამხედროების საქმისადმი ასეთმა თავდადებამ "საზოგადოებას" საქმე შეუმსუბუქა. რასაც " საზოგადოებამ" წლების განმავლობაში ვერ მიაღწია, სამხედროებმა მოკლე ვადაში შეასრულეს. თუ " საზოგადოების" მიერ გახსნილ სკოლებში სწავლა სავალდებულო იყო და ბავშვებს სისტემატიურად უნდა ევლოთ სკოლებში, სამხედრო სასწავლებლებში ისინი ნებაყოფლობით დადიოდნენ და მშობლებს ნაკლები პრეტენზიებიც ჰქონდათ. სირთულე იმაში

მდგომარეობდა, რომ ბავშვი უპირველეს ყოვლისა აფხაზურ ოჯახში მუშახელს წარმოადგენდა. მოსავლის აღებისა და მიწის სამუშაოების ჩატარების ჟამს ბავშვს მშობელი სკოლაში არ უშვებდა. მათ სწავლისათვის მხოლოდ ზამთრის პერიოდი რჩებოდათ, აქედან გამომდინარე, ამ შესაძლებლობით შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებიც სკოლასთან შედარებით ახლოს ცხოვრობდნენ. რაც შეეხება მაღალმთიან ადგილებში მცხოვრებ ბავშვებს, ისინი ამ სარგებელს მოწყვეტილნი იყვნენ.

სამხედრო ნაწილებთან არსებული სკოლები ამ მხრივ უპირატესობით სარგებლობდნენ. ბავშვს სამხედრო ნაწილთან კონტაქტი წლის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლო, რაც მათ მშობლებს ნაკლებ აღიზიანებდა. ბიჭვინთის სამხედრო ყაზარმის სახელდახელო სკოლა 20-მდე ბავშვს აერთიანებდა. აქ სწავლებისათვის ყველანაირი პირობა იყო შექმნილი თავად სამხედრო ნაწილის უფროსის ვორონოვის ზედამხედველობის ქვეშ. აფხაზი ბავშვები ცოდნას ეუფლებოდნენ, რომელთაგან ზოგიერთი სამხედრო ნაწილში რჩებოდა და ადგილზე სამხედრო თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. ყოველივესთან ერთად იმპერიის დიდი სასარგებლო საქმე კეთდებოდა - გარუსებული აფხაზეთის ახალი თაობა რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში დგებოდა.

შემდგომი წარმატებებისათვის ნაწილის უფროსმა ვორონოვმა სწავლების ერთგვარი მეთოდოლოგიაც შეიმუშავა: 1. ყმაწვილები უნდა მოეთავსებინათ სამხედროებთან ყაზარმებში. სამხედროები მათთან პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩაატარებდნენ რუსულ ენაში. მათ გამოეყოფოდათ საკვები ულუფა, ხოლო ჯარისკაც-პედაგოგებს კი ყოველდღიურად დაენიშნებოდათ ჯამაგირი 4-დან 5 მანეთამდე. თუ ყმაწვილებისათვის საჭირო იქნებოდა სპეციალური შენობის გამოყოფა, ვორონოვი ამ საქმეს თავის თავზე აიღებდა და საზოგადოებას ამ მოთხოვნილებისაგან გაანთავისუფლებდა; 2. აღნიშნულ სკოლაში ვორონოვი

აფხაზური ენის პედაგოგად იწვევდა ბიჭვინთის აფხაზ იუნკერს ივანე გერბაიას, რომელიც თვით ვორონოვის მიერ იქნა გაგზავნილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ცოდნის მისაღებად და იმავამად ფოთის არალეგალურ საცხენოსნო პოლკში მსახურობდა (136,11-14).

დროთა განმავლობაში, ბიჭვინთის სამხედრო ნაწილი მთავრობისაგან სულ უფრო მეტ ყურადღებას ითხოვდა და სათანადო პრეტენზიებსაც აცხადებდა. მიუხედავად მცირევადიანი მოღვაწეობისა, მათ მაინც სათანადო წარმატებებს მიაღწიეს. რუსეთის იმპერიას აფხაზი ახალგაზრდობის რამდენიმე თაობის ერთგული მოხელე აღუზარდა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესიც მხოლოდ დროებითად წარმატებული აღმოჩნდა იმ დიდი მიზნების განხორციელებისათვის, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში რუსეთის იმპერია კავკასიას უკავშირებდა.

XX ს-ის დასაწყისიდან, აფხაზეთის რეგიონში რუსეთის პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლა განვითარების ახალ ფაზაში შედიოდა. რუსეთის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობამ (მხედველობაში გვაქვს პირველი მსოფლიო ომი; იმპერიის შიდა და განაპირა რეგიონებში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება; საერთო სახალხო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა; განაპირა მხარეებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება და აღნიშნულის მიმართ ცარიზმის პოლიტიკის გამკაცრება) ქართულ ეკლესიას კიდევ ერთხელ უბიძგა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის დაყენებისაკენ. აღნიშნულმა მთელი სიმწვავით თავი იჩინა ახალი რევოლუციური სიტუაციის მომწიფების ჟამს (1916 წ.). წინა მცდელობის მსგავსად, თვითმპყრობელობამ საქართველოს ეკლესიის მოთხოვნას მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა, ავტოკეფალიის საკითხს კიდევ ერთხელ უწოდა ქართველი ერის სეპარატისტული გამოვლინება და ახალი საეკლესიო რეფორმის მომზადება-გატარების სახით კონტრშეტევაზე

გადავიდა (12,172). საეკლესიო რეფორმას უნდა გადაეწყვიტა საქართველოს საეგზარქოსოს მომავალი ბედი. რეფორმები ითვალისწინებდა იმპერიის ტერიტორიების მისი სამუდამო იურისდიქციაში დადგენას, რომელსაც საეკლესიო საზღვრების ხელახალი გადანაწილება უნდა მოჰყოლოდა. რადგან რუსეთისათვის ზედმიწევნით კარგად იყო ცნობილი მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობა სახელმწიფო და საეკლესიო საზღვრების თანხვედრაზე, ამიტომ მის დაქვემდებარებაში შემავალი ხალხების ეკლესიები, რომლებიც რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ემორჩილებოდნენ, საეკლესიო საზღვრებითაც მის იურისდიქციაში უნდა მოხვედრილიყვნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებული დატვირთვა რეფორმის შემუშავებისას გააჩნდა იმპერიაში ეპარქიათა და საეპისკოპოსოთა რაოდენობრივი ზრდის საკითხს, განსაკუთრებული ოლქების შექმნას.

საქართველოს საეგზარქოსოსთან მიმართებაში, უწმინდეს სინოდს უნდა განეხილა სამი წარმოდგენილი პროექტი:

1. კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება;
2. სოხუმის ეპარქიის საკითხი;
3. საქართველო-იმერეთის სინოდიალური კანტორის დახურვის პროექტი.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო პროექტებს პირველი ორი წარმოადგენს, რომელთა შექმნის იდეა და მისით გამოწვეული ისტორია XX ს-ის პირველსავე წლებიდან იწყებს მოქმედებას და 1916 წლისათვის განვითარების მწვერვალს აღწევს. ნიშანდობლივია, რომ ორივე პროექტი ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვულია და საერთო მიზანს ემსახურება - დაისაჯოს ქართველი სამღვდელოება ეროვნული ეკლესიის თვითმოწესეობის მოთხოვნისათვის; დაარღვიოს მისი საეკლესიო საზღვრები, რომელიც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უკვე დარღვეულია და, რაც სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიიდან ჩამოცილებით უნდა განხორციელებულიყო. ყოველივე ეს მოხდებოდა

საერთო კავკასიური სამიტროპოლიტოს დაარსებით, ე.ი. საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც საეკლესიო ორგანიზაციაში ავტონომიური უფლებით სარგებლობდა, როგორც ეს ზოგად ეკლესიის კანონში იყო მიღებული, ამის შემდგომ იერარქიულ კიბეზე დაქვეითდებოდა და მხოლოდ სამიტროპოლიტოს სახით გაერთიანდებოდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში. კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, საქართველოს ეკლესიის საკითხს ერთხელ და სამუდამოდ ლიკვიდირებულად სცნობდა (48,10), რომელიც ჯერ კიდევ 1906 წელს უწმინდესი სინოდის სხდომებზე მსჯელობის საკითხი იყო (122, 123, 124, 125, 126, 127), და რომელმაც იმ ეტაპზე, 1905-1907 წწ-ის რევოლუციის გამო კრასი განიცადა.

სანამ უშუალოდ 1916 წლის მოვლენებს შეეხებოდეთ, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ XX ს-ის პირველ წლებზე, სადაც კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნისა და სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიისაგან მოწყვეტის ისტორია იწყება.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის წამოყენების საკითხმა ამ უკანასკნელისადმი ხელისუფლების მხრიდან მკაცრი რეპრესიები გამოიწვია, რაზეც ქართველმა ხალხმა უკურეაქციით უპასუხა. საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, იმპერატორი იძულებული გახდა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის 1906 წლის 11 აგვისტოს მოხსენების საფუძველზე გაეცა განკარგულება, ქართული ეკლესიის საკითხი განსახილველად წარდგენილიყო რუსეთის უახლოეს (141ა, 137,48) საეკლესიო კრებაზე. საქართველოს ეკლესიის ოპონენტებად სინოდის სხდომაზე გამოდიოდნენ პროფესორები: გლუბოკოვსკი, ბერდნიაკოვი, ალმაზოვი, ოსტროუმოვი; ეპისკოპოსი სტეფანე, მიტროპოლიტები: ვლადიმირი და მაკარი, ტვერის ეპისკოპოსი სერაფიმი, ეპისკოპოსი ინოკენტი, დეკანოზები: ვოსტორგოვი და ბუტკევიჩი (120,51;227-228). ისინი

უარყოფითად აფასებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და მას ქვეყნის ავტონომიის საკითხს უკავშირებდნენ, რის გამოც საეკლესიო საკითხი პოლიტიკურ საკითხად მიიჩნიეს და, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში. სინოდის სხდომის მონაწილე 20 პირიდან მხოლოდ 4 იყო ქართველი, ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდი, გიორგი, ექვთიმე (ელიაშვილი) პროფესორები: ალ.ცაგარელი, ალ. სასანაშვილი, ნ.მარი. ეს უკანასკნელნი მხოლოდ საზოგადო კრებაზე დასწრების უფლებით სარგებლობდნენ და ევალებოდათ ქართული ეკლესიის ისტორიის მეცნიერული ობიექტურობით გაშუქება (11,211-212;155,34). ამ სხდომაზე ქართული ეკლესიის საკითხმა კრახი განიცადა.

უწმინდესი სინოდის დამამთავრებელ სხდომაზე, რომელსაც ქართველი სამღვდელოება და საერო პირნი აღარ ესწრებოდნენ,დეკანოზმა ვოსტორგოვმა სხდომის წევრებს ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის სავარაუდო ორი პროექტი წარუდგინა, რომელიც სადისკუსიო საკითხად აყენებდა საქართველოს საეგზარქოსოს შენარჩუნებას და მის ნაცვლად სინოდს კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებას სთავაზობდა. ამ უკანასკნელის შექმნის დანიშნულებას წარმოადგენდა ქართველი სამღვდელოების მოძრაობის აღმოფხვრა, რაც საეგზარქოსოს უფლებათა ალაგმვაში და მის აბსოლუტურ დაქვემდებარებაში გამოიხატებოდა რუსული ეკლესიისადმი (115,2). რეაქციული რუსი სამღვდელოების მოსაზრებამ ნაწილობრივ გაამართლა - ამ დროიდან, ქართველი სამღვდელოების ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება - დროებით შეინარჩუნონ საეგზარქოსოს სოციალური ინსტიტუტი (12,130). მიუხედავად, რუსი სამღვდელოების მცდელობისა, იმ ეტაპზე ვერ განსორციელდა მოცემული პროექტის რეალიზება, რომლის მიზეზზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი.გარდა აღნიშნულისა, კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნის საკითხმა სინოდის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა წამოჭრა.მათი აზრის

ერთიანობა გამოიხატებოდა შემდეგში : საქართველოს საეგზარქოსო იმპერიის სხვა ეკლესიებთან შედარებით საეკლესიო იერარქიაში მაღალ და პრივილიგირებულ ინსტიტუტად ითვლებოდა, მასში გაერთიანებულ მრევლში ამბიციებსა და სეპარატისტულ გრძნობებს იწვევდა, ხოლო სამიტროპოლიტოდ მისი გადაკეთება, იმპერიის ყველა ეკლესიის მრევლთან უფლებით გათანაბრდებოდა და მის მოთხოვნებს სამუდამოდ ალაგმავდა. (118,52), ეროვნულ სხვადასხვაობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სინოდის წევრთა ნაწილი მიტროპოლიის შექმნის საკითხს არადროულად მიიჩნევდა, რადგან ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაამძიმებდა საქართველოსთან ურთიერთობას და იმპერიას სავალალო შედეგებს მოუტანდა (92,4). როგორც საქმის შემდგომი მსვლელობით ირკვევა, ბოლო მოსაზრებამ გაიმარჯვა და მიტროპოლიის შექმნა სამომავლოდ გადაიდო.

ზემოაღნიშნულმა საკითხმა ასალ ამპულაში რევოლუციის დამარცხების შემდგომ იჩინა თავი, როდესაც თვითმპყრობელობის რეაქციამ კულიმინაციას მიაღწია. ის განსაკუთრებულად შეეხო საქართველოში მიმდინარე ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთ და მათ შორის ქართველ ავტოკეფალისტებსაც. პროექტის განხორციელებისათვის მცდელობა განპირობებული იყო საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობით. უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელობა ამ საქმეში ადანაშაულებდა ქართველ ავტოკეფალისტებს, საქართველოში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას, რადგან ქართველისათვის საეგზარქოსო პოლიტიკური ბრძოლის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა, რათა კავკასია რუსეთისათვის მოეწყვიტათ და საქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. უწმინდესმა სინოდმა მთელი კატეგორიულობით განაცხადა, რომ "სანამ საეგზარქოსო არსებობს, ქართული სეპარატიზმი ყოველთვის ნახავს მასში თავისი განვითარების ნაყოფიერ ნიადაგს." (91,392).

უწმინდესმა სინოდმა ოფიციალურად დააყენა საკითხი საქართველოს საეგზარქოსოს არსებობაზე. მიტროპოლიტებმა ვლადიმირმა და ფლაბიანემ შეიმუშავეს საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების პროექტი და მისი დანაწილება სამ დამოუკიდებელ ეპარქიად: სამეგრელო-გურიის, საქართველოსა და ბაქოს ეპარქიებად. აღნიშნულ ფაქტზე გაზეთი "დროება" იუწყებოდა - "სინოდთან შემდგარა კომისია, მასში შედის სამი მიტროპოლიტი და ორი ეპისკოპოსი. მან უნდა გამოარკვიოს საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების და საქართველოში რამდენიმე დამოუკიდებელ საეპისკოპოსოს დაარსების საკითხი" (49,3). ასეთი გადაწყვეტილებით, რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ აშკარად აღიარა, რომ იმპერიის გარეუბნების შემომტკიცებისათვის მხოლოდ სამხედრო ძალისსმევა არ იყო საკმარისი, აუცილებელი იყო მათი ცენტრთან სულიერი ქსელით დაკავშირება, ანუ თავისი იდეოლოგიური საყრდენის შექმნა, რაც უფრო მტკიცე და საიმედო იყო ძალისმიერ ფიზიკურ მეთოდებთან შედარებით (139,1).

საქართველოს ეკლესიის წიაღში რუსული დამოუკიდებელი სამიტროპოლიტოს დაარსება საბოლოოდ დაუპირისპირებდა ერთმანეთს ორ ერს და მათ ეკლესიებს შორის განსეთქილებას გამოიწვევდა. პროგრესულად მოაზროვნე რუს საზოგადოებაში მოცემული მოვლენა უარყოფითად შეფასდა. მათი აზრით დასაშვები იყო მხოლოდ საქართველოს ეკლესიის უწმინდეს სინოდში რუსი ეპისკოპოსის წევრობა, რომელიც განაგებდა ამიერკავკასიის რუსულ ეკლესიებს, რაც ორ ეკლესიას ერთობას შეუნარჩუნებდა (97,2). საგულისსმოა, რომ ნ. დურნოვოს ამ მოსაზრებამ შედარებით გვიან,1917-1918 წლებში იწყო ამოქმედება, როდესაც მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული იურისდიქციის უარყოფა. ასეთი მოსაზრება გამოთქვა გაზეთ "რეჩში" რუსეთის სათათბიროს დეპუტატმა, მღვდელმა ნ. ოგნევმა, რისთვისაც რუსეთის მთავრობამ მას ორივე წოდება ჩამოართვა. ეს წერილი გაზეთ "დროებაშიც" დაიბეჭდა (84,3).

სამიტროპოლიტოს შექმნის საკითხის ხელახალმა წამოყენებამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება საქართველოში, ფაქტიურად დაუმორჩილებელი ხდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, რომელსაც კავკასიის მეფისნაცვალი სინოდის წევრთა აჩქარებული გადაწყვეტილებით ხსნიდა. სანკტ-პეტერბურგის საინფორმაციო წყაროები იტყობინებოდნენ, რომ "კავკასიის ნამესტნიკმა უმაღლეს მთავრობაში მოხსენება წარადგინა საქართველოს საეგზარქოსოს შესახებ. ნამესტნიკის აზრით, ეგზარქოსის თანამდებობის არსებობა საშიშს არაფერს წარმოადგენდა იმპერიის საერთო პოლიტიკური ინტერესებისათვის. ამ მოხსენების შემდეგ უმაღლეს წრეებში საეგზარქოსოს საკითხის შესახებ აზრი გამოიცვალეს. ნამესტნიკის აზრს იცავდა მინისტრ-პრეზიდენტი სტოლიპინი" (83,3; 43,105-106;117.7,). ამ მოვლენას დადებითად გამოეხმაურა რუსეთის მოწინავე საზოგადოება - "სინოდის პოლიტიკის ამ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან გზაზედ გასვლას არ შეიძლება არ მივესალმოთ (საუბარია საქართთველოს საეგზარქოსოს გაუქმების შეჩერებაზე – ქ.ჰ.) ამით, რამდენიმე ხნით მაინც გადაიდო გორდის ამ კვანძის გახსნა, რომელშიც დაიხლართა ურთიერთობა ორ ეკლესიას - რუსეთსა და საქართველოს შორის. ყოველ შემთხვევაში აგრესიული პოლიტიკის შეცვლა მცირე იმედს მაინც იძლევა, რომ ორი ეკლესიის სადაო საკითხი მშვიდობიანად, "საეკლესიო" გზით გადაწყდება" - აღნიშნავდა ნ. ოგნევი (84,3).

რუსეთის იმპერიაში რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, ისევე აზვირთდა ეროვნულ- განმანთავისუფლებელი მოძრაობა განაპირა რეგიონებში, საქართველოში კი ეროვნული სახალმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლასთან ერთად გააქტიურდა საეკლესიო საკითხისათვის ბრძოლაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1916 წელს უწმინდეს სინოდში ქართველი ავტოკეფალისტების საწინააღმდეგოდ აქტიურად დაიწყო საეკლესიო რეფორმის შემუშავება. რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი კავკასიის

სამიტროპოლიტოს შექმნა იყო. ამ უკანასკნელის შექმნა და საეგზარქოსოს გაუქმება საქართველოს ეკლესიის საკითხის საბოლოო ლიკვიდაციის მცდელობა იყო (48,2,) რომელიც უწმინდესმა სინოდმა 1906 წელს ვერ გადაწყვიტა (122,25,44-45).

უწმინდესი სინოდის 1916 წლის 29 თებერვლიდან –1 მარტის N 1463-ის გადაწყვეტილებით, სინოდთან შეიქმნა სპეციალური კომისია პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტის პიტირიმის თავმჯდომარეობით. კომისიის დანიშნულება იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რიცხობრივი ზრდა, მისი საზღვრების გადანაწილება რუსული ეკლესიის და თვითმპყრობელობის სასარგებლოდ. საზოგადოდ რუსეთის საეკლესიო საზღვრები იმპერიის პოლიტიკური საზღვრების შესატყვისი უნდა ყოფილიყო და შემდგარიყო რვა სამიტროპოლიტო ოლქისაგან, რომელთა შორის ერთ-ერთი იქნებოდა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი. იმპერიის სასულიერო უწყება ეპარქიათა რიცხობრივი ზრდის გადაწყვეტილებას ხსნიდა იმით, რომ იმპერიის 105 მილიონიან მართლმადიდებლურ მოსახლეობას მხოლოდ 63 ეპარქია გააჩნდა, რაც არ იყო დამაკმაყოფილებელი მათი სასულიერო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად (122,18).

კავკასიის სამიტროპოლიტოს საზღვრებს უნდა მოეცვა როსტოვიდან არზრუმამდე ტერიტორია და მისი კათედრა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქში დაიდებდა ბინას (82,3). ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ იმპერიის ხელისუფლება პირდაპირ ახორციელებდა იმპერიის ამ ფართო და ეროვნული შემადგენლობით მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ერთმანეთში ასიმილაციას, იმპერიის მოსახლეობასთან შერწყმას. რაც შეეხება ქართულ ეკლესიას და მის მრევლს, ის საბოლოოდ დაჰკარგავდა ეროვნულ სახეს და მნიშვნელობას და რუსული ეკლესიის მცირე დანამატად იქცეოდა.

უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით საქართველოში

მხოლოდ ორი საეიკარიო უნდა დარჩენილიყო: გორის და კახეთის; აქედან პირველს დაექვემდებარებოდა 169 სამწყსო, მეორეს - ალავერდის საეიკარიოს –133 სამწყსო, ამასთან უნდა გაზრდილიყო ადგილობრივად ეპისკოპოსთა უფლებები. სინოდი ეარაუდობდა, რომ საქართველოში კიდევ ერთი საეპისკოპოსო უნდა ამოქმედებულიყო - დუშეთის, ანუ სამთავროს საეპისკოპოსო (122,18). რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ განმგებელს, რომელიც კავკასიის მიტროპოლიტს დაექვემდებარებოდა უნდა მინიჭებოდა ქართლ-კახეთის მიტროპოლიტის სტატუსი (122,27).

გარდა წმინდა ქართული საეპარქიოებისა, საქართველოში უნდა შექმნილიყო რუსულენოვანი მოსახლეობისათვის რუსული ეპარქია (114,28). ასეთ გადაწყვეტილებას უწმინდესი სინოდი იმით ამართლებდა, რომ საქართველოში მცხოვრებ რუსებში მძლავრად იყო მოძალებული სხვადასხვა სექტანტური მიმდინარეობანი: დუხობორობა, მალაკნობა, სუბოტნიკობა, სტაროობრიადობა, ორმოცდაათიანელობა.

ბუნებრივი იყო, რომ საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმება და მასზე დაბალ ინსტანციაზე მდგომი კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსება ქართველ საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა. ქართველი ხალხი საეგზარქოსოს სახით ჯერ კიდევ მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი საეკლესიო ცხოვრების ნაშთს ხედავდა და ამ უკანასკნელის განადგურებაც მანიშნებელი იქნებოდა ერის თვითმყოფადობის, მისი კულტურის საბოლოო ამოძირკვისა. თავად პროგრესულად მოაზროვნე რუსეთის საზოგადოება ამ ფაქტს უარყოფითად აფასებდა. ქართული ეკლესიის მოჭირნახულე ნ. დურნოვო აღნიშნავდა - "კავკასიის საეკლესიო ოლქის შექმნით ჯვარი დაესვა იბერიის ეკლესიის არსებობას და ქართველი ავტოკეფალისტების კანონიერ მოთხოვნას" (54, N 52,3).

მიუხედავად საქართველოსა და მოწინავე რუსი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა და

პროტესტისა კავკასიის სამიტროპოლიტოს პროექტისადმი, (უწმინდესმა სინოდმა 1916 წლის 29 თებერვალის –1 მარტის სხდომებზე დაამტკიცა პროექტი,) ხოლო მის ცხოვრებაში გატარებას რეზოლუცია დაადო უწმინდეს სინოდის ხელისუფლებამ. აღნიშნული სხდომების მონაწილეთ არ გაითვალისწინეს რიგი ფაქტორი:

1. რომ საქართველოს ეკლესიას არ დაუკარგავს ავტოკეფალურობის ფლობის კანონიკური უფლება, რადგან არ არსებობდა არანაირი კანონიკური აქტი არსად და არავისაგან შემდგარი, რაც მას ამ უფლებას ჩამოართმევდა.

2. რომ ქართული ეკლესია იმსანად უპატრონოდ (ეროვნული ხელმძღვანელის ქ.პ.) - იყო დარჩენილი, რის გამოც ის ფაქტიურად ჩამოცილებული იყო ავტოკეფალური უფლებების განხორციელებას, რადგან ის რუსეთის ეკლესიის ეგზარქოსის მიერ იმართებოდა;

3. ის ფაქტი, რომ ახალი რეფორმა – კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის დაარსება, რომელშიც გაერთიანდებოდა საქართველოს ეკლესიაც, აშკარა წინააღმდეგობაში მოდის მართლმადიდებლურ საეკლესიო კანონებთან, რომელიც კატეგორიულად კრძალავს ერთი ავტოკეფალური ეკლესიის მიერ მეორის ტერიტორიების მიტაცებას. ეს ფაქტი აღმოჩნდა ახალი უკანონო აქტი განხორციელებული საქართველოს ეკლესიის ნების წინააღმდეგ. აღნიშნული მძლავრი საშუალება იქნებოდა ქართველი სამღვდელოების ეროვნული სახის დაკარგვისათვის;

4. და ბოლოს, უწმ. სინოდის გადაწყვეტილება – აქტი კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნაზე მართალია იმპერიის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ქმედება არ იყო, მაგრამ იმ ხანად – 29 თებერვლისა და 1 მარტის პერიოდში იმპერატორს არ ჰქონდა სათანადო ბრძანება გაცემული და შეიძლება ითქვას მისი ნების გარეშე შესრულდა, ე.ი. უკანონო იყო. იმპერატორმა პირველ ეტაპზე კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის პროექტის განხილვა დაავალა

საეკლესიო კრებას და არა გადაწყვეტილების გამოტანა.

უმაღლესი საერო ხელისუფლების ბრძანება სინოდისადმი შეიცავდა შემდეგ გასათვალისწინებელ მომენტებს:

ა). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების აღდგენამდე შენარჩუნებული იქნეს საეგზარქოსო, განსაკუთრებული საეკლესიო ერთეულის სახით – ნებისმიერი ახლადდაარსებულ სამიტროპოლოში გაერთიანების გარეშე;

ბ). ამ საეკლესიო ერთეულის ტერიტორიული საზღვრები შემოიფარგლებოდეს საქართველოს ეკლესიის ისტორიული საზღვრებით (გუბერნიები: თბილისი და ქუთაისი, ბათუმის რეგიონი, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, არდაგანისა და ოსეთის, ყარსის რეგიონი);

გ). გავრცელდეს საქართველოს ეკლესიაზე ყველა ის უფლება, რაც ახალი რეფორმით დაუდგინდებათ ახალაღმოცენებულ სამიტროპოლიტო ოლქებს. (116, 4) ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი ბუნებრივია დროებით ხასიათს ატარებდა, მანამ, სანამ იმპერატორის ნებით არ გადაწყდებოდა საბოლოოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კარდინალური საკითხი. როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, იმპერიის უმაღლესი ხელისუფლება თავს იკავებდა იმ ეტაპზე გადამჭრელი ზომის მიღებისაგან, რადგან ქვეყანაში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება მას ამის საშუალებას არ აძლევდა.

უწმინდესი სინოდის მიერ მიღებული კანონის პრაქტიკული განხორციელება საქართველოს საეგზარქოსოში რადიკალური ცვლილებების შეტანას საჭიროებდა. უპირველეს ყოვლისა მას ცალკე უნდა გამოყოფოდა სოხუმის ეპარქია. ამით ის ქართული სამრევლოების რიცხვს მოსწყდებოდა, რუსი მოსახლეობის რუსულ ეპარქიად ჩამოყალიბდებოდა, აფხაზეთის ქართველი, აფხაზი, ბერძენი, სომეხი და სხვა ერების ასიმილაციას მოახდენდა რუს მოსახლეობასთან და ბუნებრივია, კავკასიის სამიტროპოლიტოში შემავალი სხვადასხვა ერების ეკლესია-ეპარქიათა რიცხვში გაერთიანდებოდა. გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ

უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მთელი იმპერია 8 სამიტროპოლიტოდ უნდა დაყოფილიყო და მათ შორის იქნებოდა კავკასიის სამიტროპოლიტოც, ე.ი. სოხუმის ეპარქია პირველ ეტაპზე საქართველოს რუსი და არაქართველი მოსახლეობის ეპარქია იქნებოდა, სოლო შემდგომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების აღდგენის შემთხვევაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში მოექცეოდა და არა ქართულ საეკლესიო საზღვრებში. საქართველოს ტერიტორიული დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში, აფხაზეთი მის გარეთ დარჩებოდა, რადგან მას საეკლესიო ახალი საზღვრები უფლებას აღარ მისცემდნენ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე. ნიშანდობლივია, რომ ქართული ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენის შემდეგ,კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსების მოთხოვნებმა სწორედ სოხუმის ეპარქიის ზემოაღნიშნული წინადადება წამოაყენეს.

XX-ე საუკუნის 10-იანი წლების საეკლესიო რეფორმით რუსული ეკლესია ერთგულ სამსახურს უწევს თვითმპყრობელობას, ცდილობს რა გააძლიეროს თავისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. საეკლესიო რეფორმით რუსული ეკლესია ილტვის საზოგადოების ჩამოცილებისაკენ პოლიტიკური ინტერესებიდან და სისტემატიური მონარქიული იდეების პროპაგანდით მათი ყურადღების გადატანას საეკლესიო ცხოვრებაზე, რადგან ეკლესია სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობას სთვლიდა ღმერთის წინააღმდეგ ამბოხებად (29,12).

პოლიტიკისა და ავტოკეფალიის მოთხოვნისაგან საქართველოს საზოგადოების ჩამოცილების ერთ-ერთი საბუთარად 10-იანი წლების მეორე ნახევრიდან იქცა სოხუმის ეპარქიის საკითხი რომელიც 1916 წლამდე ყოველთვის იდგა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების წინაშე. რუსული ეკლესიის ძალისხმევის შესახებ აფხაზეთში XIX საუკუნეში უკვე ზევით შევნიშნეთ, მაგრამ სოხუმის ეპარქიის გამოყოფის

საკითხმა საქართველოს ეკლესიიდან რეალური დასაბამი მაინც XX -ე საუკუნის პირველიეე წლებიდან დაიდო. ამ პერიოდში ესოდენ საინტერესო საკითხის წამოწყება მეტად დიდ რისკთან და სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არა ერთ გზით აღინიშნა, რომ ეს არის რევოლუციურ-დემოკრატიული, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობათა აზვირთების ეპოქა, რაც რუსეთის ხელისუფლებას როგორც კოპრომისული, ისე რადიკალურად რეაქციული ქმედებისაკენ უბიძგებდა. ყოველივე ელინდება როგორც საერო-სამოქალაქო, ისე საეკლესიო სფეროებშიც. სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოცილებისათვის ბრძოლამ XX ს-ის დასაწყისში ევოლუციის საინტერესო გზა ზნელო.

როგორც უკვე აღვნიშნოთ, რუსეთის იმპერია საქართველოს დაპყრობამდე და მისი დამორჩილების შემდგომაც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა აფხაზეთისადმი; ეს რეგიონი მისთვის თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ უბანს წარმოადგენდა (12,70). აფხაზეთის მეშვეობით რუსეთი ცდილობდა პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ჩრდილო კავკასიაზე და სამხრეთის საზღვრებზე მშვიდობიანობის დამყარებას, ამიტომ რუსეთის მთავრობა აფხაზეთის ათვისებას ერთ-ერთ "ურთულეს საკითხად" მიიჩნევდა (6,210-223).

საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც აფხაზეთში რუსეთის თვითმპყრობელობის იდეოლოგიის გამტარებელი იყო, თავის საეკლესიო ღონისძიებებს აფხაზეთის მოსახლეობის გარუსებისაკენ მიმართავდა. აღნიშნულ პოლიტიკას უპირისპირდებოდა როგორც აფხაზეთის არაქრისტინული, ისე ქრისტიანული მოსახლეობა. დაპირისპირებამ კულიმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად მასიურად დაზარალდა მაჰმადიანური რწმენის მიმდევარი მოსახლეობა. მიმდინარეობდა მათი იძულებით სამშობლო მიწიდან აყრა და თურქეთში გადასახლება. დარჩენილი მოსახლეობისადმი

გატარებულმა მკაცრმა პოლიტიკამ XX საუკუნის დასაწყისიდან ახალმოქცეულ აფხაზეთის მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია, რაც ქრისტიანობის უკუგდებისა და ძველ სარწმუნოებაზე დაბრუნებაში გამოვლინდა. რაც შეეხება აქაურ ახლადჩასახლებულ რუს მოსახლეობას მათში მძლავრობდა სექტანტური მიმდინარეობები.

საქართველოს ეკლესია ვერ ეგუებოდა საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის გამარუსებელ პოლიტიკას აფხაზეთში. ქართველი სამღვდელოება მთელი ძალისხმევით იღწვოდა საქართველოს ამ უძველეს საეპარქიოში ეროვნული მართლმადიდებლური რწმენისა და კულტურის გადარჩენისათვის და, როდესაც ახლადმოქცეულთა მაჰმადიანურ რწმენაზე მიბრუნებით საქართველოს საეგზარქოსოს სერიოზული პოლიტიკური მარცხი გამოვლინდა, ქართველი სასულიერო ფენა ქართული რწმენის, ეროვნული თვითშეგნების, ენისა და კულტურისადმი ინტერესის გაღვიძებისათვის თავდაუზოგავ ბრძოლას აგრძელებს (148, 26-7). მიმდინარე პროცესებს თვითმპყრობელობა მტკივნეულად განიცდის, ნათლად ხედავს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს ქართველი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის მუშაობა - აღადგინონ ამ რეგიონში ქართული კულტურა, აწარმოონ საამისო პროპაგანდისტული საქმიანობა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, სოხუმის ეპარქიის ჩამოცილება ეროვნული დედა ეკლესიისაგან სასწრაფო გადაწყვეტილების მიღებასა და ქმედითი ღონისძიებების გაბატონებას ითხოვდა; ცარიზმმა საჭიროდ მიიჩნია, რაც შეიძლება სასწრაფოდ მოეხდინა ამ ეპარქიის იზოლირება ქართული ზემოქმედებისაგან და საამისო საქმიანობაც არ დააყოვნა, როდესაც შექმნილ რთულ ვითარებას საქართველოს ეგზარქოსი 1901 წლის დეკემბერში ამცნობს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს (113,8).

საქართველოს ეგზარქოსის ამ ინფორმაციას დასტურით გამოეხმაურა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-

მართებელი თავადი გრ. გოლიცინი.1902 წლის 31 მარტს თბილისიდან ის ობერ-პროკურორს კ.პ. პობედონოსცევს ატყობინებდა საქართველოს ეგზარქოსის შეხედულებებს მიმდინარე მოვლენებისადმი აფხაზეთში (112,16). მოცემული მასალით დგინდება, რომ რუსეთის სასულიერო ხელისუფლებაში ჩნდება აზრი ყუბანის რეგიონთან სოხუმის ეპარქიის გაერთიანებაზე. აღიძრა საქმე, დაიწყო მუშაობა სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიიდან ჩამოცილებაზე. სოხუმისა და ყუბანის რეგიონების გაერთიანებას საქართველოს ეგზარქოსი აფხაზეთში მცხოვრები, კომპაქტურად დასახლებული რუსი ხალხის სიმრავლით ხსნიდა. მას სამღვდელმთავრო კათედრის ადგილსამყოფელიც განუსაზღვრავს და უწმინდეს სინოდს საამისოდ ქ. ეკატერინოდარს სთავაზობს, ხოლო სოხუმს საეკარიოდ მოიაზრებს, რომლის თავი - ეპისკოპოსი მას შემდეგ, რაც განთავისუფლდება საეპარქიო მმართველობის მოვალეობისაგან, მიზანშეწონილად მიიჩნევს მისი მუშაობის წარმართვას სამისიონერო საქმიანობისაკენ აფხაზებში (112,16). საქართველოს ეგზარქოსის ამ მოსაზრებას სრულიად დაეთანხმა გრ. გოლიცინი.

საქართველოს ეგზარქოსის წამოყენებული წინადადება უწმინდეს სინოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მას იზიარებდა არა თუ მხოლოდ უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება, არამედ ადგილობრივი, აფხაზეთის რუსი იერარქებიც; ეს უკანასკნელნი სხვადასხვა არგუმენტაციით ცდილობდნენ სოხუმის ეპარქიის რუსულ ეკლესიასთან გაერთიანების საჭიროების დასაბუთებას. მაგ. სოხუმის ეპისკსკოპოსი არსენი სოხუმის ყუბანში გაერთიანებას აფხაზეთის თბილისიდან სიშორით ხსნიდა, რაც თითქოს ართულებდა მის კონტაქტს საეგზარქოსოს ხელმძღვანელობასთან და ეპარქიის მართვაში დაბრკოლებებს უქმნიდა. მისივე აღნიშვნით, აფხაზეთი სერიოზულ ქართულ გავლენას განიცდიდა და რუსეთის პოლიტიკური ინტერესების განხორციელებას ხელს უშლიდა. მიუხედავად ამ საქმის დიდი ენთუზიაზმით წამოწყებისა, საუკუნის პირველ წლებში მას

განხორციელება არ ეწერა; დაიწყო სრულიად იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც სერიოზული რევოლუციური მღელვარებები. საქართველოში მან საგლეხო გამოსვლების სახე მიიღო, სადაც გლეხობა პოლიტიკური პარტიების ზემოქმედებით დაუპირისპირდა ეკლესიას (იგულისხმევა რუსული ეკლესიის პოლიტიკა - ქ.პ.). რუსეთის ხელისუფლებამ ვეღარ მოახერხა ზემოხსენებული პროექტის განხორციელებისათვის, რადგან ამ უკანასკნელის სისრულეში მოყვანა კიდევ უფრო გაამწვავებდა საქართველოში ეროვნულ მისწრაფებებს (135,2).

პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მარცხისა და რეაქციული პოლიტიკის დაწყების დროს, როდესაც რუსეთის ხელისუფლება იწყებს ე.წ. დამსჯელ ექსპედიციებს მთელს იმპერიაში და განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, კვლავ წამოიჭრა სოხუმის ეპარქიის საკითხი. ამ შემთხვევაში, სასულიერო ხელისუფლების ინტერესები უფრო ფართო სპექტრს მოიცავდა, ის დაიხვეწა და ბევრად უფრო დაუნდობელი გახდა. დაიწყო საქართველოს ეგზარქოსის გაცხოველებული მუშაობა ამ მიმართულებით. თავისი გასაიდუმლოებული მიმოწერებით სოხუმის ეპისკოპოსთან და კავკასიის მეფისნაცვალთან (130,1) ის სთავაზობს მათ, რომ სოხუმის ეპარქიაში ქართული ელემენტის აღმოფხვრისათვის და გარუსების პოლიტიკის სწრაფი წარმატებისათვის სამეგრელოს ეპარქიას უნდა ჩამოეჭრას სამურზაყანოს ის ნაწილი, სადაც მეგრელი (ქართველი - ქ.პ.) მოსახლეობა ცხოვრობს(დაახლოებით 25 ათასი) და შეუერთდეს სოხუმის ეპარქიას.იგივე ბედი უნდა გაიზიაროს ქ. ბათუმმაც, რომელიც უნდა ჩამოსცილდეს გურიის საეპარქიოს (32,152). აქვე ეგზარქოსმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ლეჩხუმის მაზრა, ანუ სვანეთი მთელი თავისი სამწყსოსასწავლებლებით უნდა ჩამოშორდეს სამეგრელოს ეპარქიას და სოხუმთან გაერთიანდეს. ასეთ მოსაზრებას საქართველოს ეგზარქოსი იმით ხსნიდა, რომ სვანეთი ზაფხულის გარდა მიუდგომელია, იქ მისასვლელი გზა არის მხოლოდ

ქუთაისიდან, რაჭიდან, ან შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან მდინარე ენგურით. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში ამ უკანასკნელ გზაზე მიმდინარეობდა შოსეს გაყვანის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და საამისოდ 120.000 მანეთიც გამოყო. ეგზარქოსი იყენებს ამ ცნობას თავისი მოსაზრებების გასამაგრებლად და მიიჩნევს რომ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ნებისმიერ დროს სვანეთთან სოხუმის ეპარქიის ხელმძღვანელთა კონტაქტი. ყოველივეს კი მოპყვებოდა აქტიური სამისიონერო საქმიანობა (გარუსების პოლიტიკის განხორციელება-ქ.პ.).მხოლოდ ასეთი გზით მიაჩნია დასაშვებად საქართველოს ეგზარქოსს ალექსის სვანეთის ჩამოცილება სამეგრელოსა და იმერეთის ეპისკოპოსთა გავლენისაგან და მისი დამორჩილება სოხუმის ეპარქიაზე. ამ მიზნის განხორციელებისათვის ეგზარქოსმა შესაფერისი კანდიდატურაც შეარჩია, სოხუმის ეპარქიაში საგანგებო დავალებით გაიგზავნა საოლქო - საეკლესიო საქმეთა ზედამხედველი, რეაქციონერი დეკანოზი იოანე ეოსტორგოვი (141,1).

საქართველოს საეგზარქოსოს ხელმძღვანელობის აქტიურ მეცადინეობას სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიისაგან ჩამოსაცილებლად და აქ რუსული მმართველობის საბოლოო დამკვიდრებას მთელი ენთუზიაზმით ემსახურებოდა რეაქციული ინტელიგენცია - "სოხუმის ეპარქიაში მისი დაარსებისთანავე იყვნენ რუსი ეპისკოპოსები, რასაც უთუოდ მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა ოლქში რუსული გაკლენის განსამტკიცებლად..... ვიცავთ რა ქართული ეკლესიის ხელშეუხლებლობას, ჩვენ ამაევ დროს მივიჩნევთ, აუცილებელ პირობად რათა გატარებული იქნეს გადამჭრელი ზომები სოხუმის ოლქში ეკლესიის დასაცავად ქართული გავლენისაგან. რასაც მივყავართ ოლქის მოსახლეობის გაქართველებასთან. ამისათვის საჭიროდ ვთელით გეყავდეს სოხუმის ეპარქიაში რუსი ეპისკოპოსი და რუსი სამღვდელოება და ღვთის მსახურება წარიმართოს სლავურ ენაზე" (28,26).

1908 წლიდან საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ უწმინდესი სინოდისაგან მიიღო დასტური დაწყებულიყო საუშაოები პროექტის განსორციელებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ამ ეტაპზე სოხუმის ეპარქიის პროექტს კიდევ ერთი ახალი პროექტი შეემატა - ბაქოს ეპარქიის პროექტი (139,1). 1908 წლის 23 აპრილს (119,1) სოხუმის ეპარქიისა და ბაქოს რეგიონის სასულიერო ხელმძღვანელობა იღებს საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მოხსენებით ბარათს. ბარათში ეგზარქოსი იძლევა მითითებებს - "იმისათვის, რომ საქართველოს საეგზარქოსოს გამოეყოს ორი ახალი დამოუკიდებელი ეპარქია: ბაქოსი და სოხუმის, მათში საეპარქიო მმართველობის შემოღებით, რომლებიც იმპერიის დანარჩენი ეპარქიის მსგავსნი იქნებიან] საჭიროა შეგროვდეს შემდეგი ცნობები:

ა). შესაქმნელ ეპარქიის ტერიტორიაზე საზღვრებზე ინფორმაცია;

ბ). ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეთნოგრაფიული, სარწმუნოებრივი, რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობის ირგვლივ ცნობები;

გ). იქ არსებული საულიერო - საგანმანათლებლო დაწესებულებათა საჭიროების ცნობები;

დ). ახალ საეპარქიოში ახალი მმართველობის მოწყობის ირგვლივ მოსაზრებები;

ე). ახალი მმართველობისათვის საჭირო სახსრებზე ცნობები" (119,1).

პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მარცხით განპირობებულმა რეაქციამ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება იმპერიაში, საქართველოში გაძლიერდა ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობა, გააქტიურდა ეროვნული ეკლესიის საკითხიც. ასეთ ფონზე, რუსეთის იმპერიას გაუჭირდა მართვის სადავეების მტკიცედ პყრობა. ის იძულებულია რიგ კომპრომისზეც წავიდეს, რადგან 10-იანი წლების დასაწყისში ახალი ძალით აგვირთდა სახალხო დემოკრატიული მოძრაობის ტალღა. ხელისუფლების

კომპრომისი ყველა საკითხში იჩენს თავს, მათ შორის საეკლესიო საკითხშიც. მართალია, რუსეთის სასულიერო ხელისუფლება აზრადაც არ უშვებს ქართული ეკლესიის თავისთავადობის აღიარებას, მაგრამ მისი დათმობითი პოლიტიკა იმაში ვლინდება, რომ სოხუმის ეპარქიის პროექტის განხორციელებაზე დროებით ხელს იღებს და ელის შესაფერის დროს მისი ხელახალი წამოყენებისათვის. ასეთი დრო (რიგით მესამედ–ქ.პ.) 1916 წელს დადგა, როდესაც უწმინდესი სინოდი იხილავდა კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებას და საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას. სამიტროპოლიტოს პროექტი პირდაპირ ითვალისწინებდა სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესანიშნავ შესაძლებლობას. საამისო ბრძოლამ აქტიური სახე მიიღო. ამ შემთხვევაში, სოხუმის ეპარქიის დამოუკიდებელი არსებობის აუცილებლობას წინასაგან განსხვავებულად ხსნიდა რუსეთის სასულიერო მთავრობა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სოხუმის ეპარქია განსაკუთრებით განიცდის სარწმუნოებრივ დეგრადაციას, რომ მის მოსახლეობაში ძლიერად შეინიშნებოდა ქრისტიანობისადმი ინდეფერენტიზმი, რაც გამოწვეული უნდა იყოს მათი პოლიტიკური და ავტოკეფალია- ავტონომიურობისაკენ მისწრაფებით საქართველოსთან. რუსეთის სასულიერო ხელისუფლების მიზანი გახდა საქართველოს საეკლესიო საზღვრების აშკარა რღვევა და თავად საქართველოს არა განაპირა მხარედ, არამედ რუსული ეკლესიისა და სახელმწიფოს "დანამატად" ქცევა. აფხაზეთში შექმნილი რუსეთისათვის არახელსაყრელი ვითარების გამო, ის ვეღარ იცლის იქაური რუსი მოსახლეობის რელიგიურ-ზნეობრივი მდგომარეობის მოწესრიგებისათვის, მით უფრო, რომ ისინი ბოლო ჟამს აშკარა სექტანტურ მიდრეკილებას განიცდიან და ამ რეგიონის საბოლოო დაღუპვას აჩქარებენ (11,6,28). ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საჩქარო საქმე იყო აქ, რუსეთის მოსახლეობისათვის რუსული საეპარქიოს დაარსება და ეს საქმე სოხუმის ეპარქიას უნდა ეტვირთა.

1916 წელს სოხუმის ეპარქიის ბედის გადაწყვეტისას აღდგა

საუკუნის პირველ წლებში წამოყენებული მოსაზრება მისი ყუბანის რეგიონთან გაერთიანებაზე. ამ შემთხვევაშიც, ძველი პროექტის წამომყენებელი ისევ საქართველოს ეგზარქოსია, რომელიც ამ მოსაზრებას იმით ამართლებს, რომ საქართველოს საეგზარქოსოს არავითარი სახსრები არ გააჩნია სოხუმის ეპარქიის დასაფინანსებლად, რომელიც საჭიროებს დიდ ყურადღებას: ღატაკი სამღვდელოებისთვის, სასულიერო პირთა ხელფასებისათვის, სამღვდელოების შვილთა სწავლებისათვის და ა.შ. (112, 12).

მიმდინარე მოვლენებზე, ქართველ საზოგადოებას, მის პრესას ეცნო და ვითარებაში უკეთ გარკვევისათვის გაზეთმა "საქართველოს" რედაქციამ მიმართა პეტროგრადში თავის წარმომადგენელს, ნაფიც ვექილ დ. ჭიაბრიშვილს, სადაც ქართველი საზოგადოების სახელით მისგან ითხოვდა ხელისუფლებისათვის ემცნოთ, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგი არ არის შავი ზღვის ოლქის საგანგებო საეპარქიოს შექმნისა, "...რაც შეეხება სოხუმის ოლქს კი, რომელიც ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ლინგვისტურად საქართველოს საკათალიკოსოს განკვეთილი ნაწილია, ქართველობა მას თავის დღეში ეეღარ დათმობს. ვეძიოთ სიმართლე, რომ ცოცხალ ქართულ ეკლესიურ ორგანიზმს არ ჩამოეჭრას საღი ნაწილი" (69,2). პეტროგრადიდან იმავე წლის 22 მარტით დ. ჭიბრიშვილის პასუხისთანავე – "საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყვანის პროექტი უკვე დამზადებულია. ზის განხილვას სინოდი სააღდგომოდ შეუდგა. პროექტით საეგზარქოსოს ფარგლებში წმინდა ქართული სამრევლოები მოექცევა, დანარჩენები შევლენ ახალად შექმნილ შავი ზღვის ეპარქიაში " (69,2) - ქართველი საზოგადოება იწყებს გააფთრებულ ბრძოლას უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამ მსრივ აქტიურობს გაზეთი "საქართველო", სადაც მოწინავე ქართველი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის აღშფოთებული წერილები იბეჭდებოდა - "საქართველოს საეგზარქოსო უნდა

დარჩეს იმ დღემდის, როდესაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდება. ამ მსრივ ქართველებმა ხმა უნდა აღიმაღლონ ეხლავე: ხმა უნდა ამოიღონ მათ სახელმწიფო სათათბიროში, ხმა უნდა ამოაღებინონ მათ ვინმეს სინოდში, განსაკუთრებით მიტროპოლიტ პიტირიმს. აქაც, ადგილობრივ, სათანადო დეპუტაცია უნდა გაუგზავნოთ მეფის ნაცვალს და ახალ ეგზარქოსს "- წერდა დეკანოზი კორ. კეკელიძე (72, 1). ქართული საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ფენა გამოეხმაურა ქართული ეკლესიის მოწოდებას. ისინი უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებებში - კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებასა და სოხუმის ეპარქიის ეროვნული ეკლესიიდან მოწყვეტაზე – ხედავდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის წინააღმდეგ მიმართულ საქმეს. ეს აქტი ქართველი ხალხისა და მისი სამღვდელოების შეურაცხმყოფელ ფაქტად გამოცხადდა (149, 7).

დეკანოზ კორნელი კეკელიძის მიმართვამ საზოგადოებისადმი თავისი ნაყოფი გამოიღო და საქართველოს ეგზარქოსს იმავე წლის 15 მარტს ეწვია ნ. ნიკოლაძე საქართველოს საეგზარქოსოს სამომავლო საზღვრებზე საუბრისათვის (59, N 529, 2,), ხოლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდმა 1916 წლის 14 მარტს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა საქართველოს ეგზარქოს პლატონს – "როგორც ქართული ეკლესიის შვილი, მუხლმოყრილი გევედრებით და გთხოვთ, თქვენს უწმინდესობას გამოექომაგოთ მოქვითინე ქართულ მრევლს და დაიცვათ მათი ინტერესები, დაუბრუნდეს მათი სულები სამყაროს და დაუბრუნდეს ისევე სიმშვიდე, დააჯეროთ ვინც არის საჭირო შემდეგში: ან აღიარონ მრავალტანჯული ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიური უფლებები და არ დააყენონ იგი კავკასიის მიტროპოლიტის მფარველობაში, არ მოწყვიტონ სოხუმის ეპარქია დედა ეკლესიას, ან თქვენი უდიდებულესობის ნებართვით დატოვონ იგი ამჟამინდელ მდგომარეობაში მომდევნო სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე" (149,3).

ქართულ პრესაში დაბეჭდილმა წერილმა უკიდურესად ააფორიაქა აფხაზი მოსახლეობა. 30 მაისს საქართველოს ეგზარქოსს წარუდგა აფხაზი მოსახლეობის დეპუტაცია თავად ა.გ. შარვაშიძის მეთაურობით, რომელმაც ეგზარქოსს რიგი შუამდგომლობა წარმოუდგინა (122,31). მან სთხოვა ეგზარქოსს გამოეყენებინა გავლენა და ავტორიტეტი, რათა საქართველოს საეგზარქოსოდან არ გამოეყოთ სოხუმის ეპარქია, არ ჩამოეცილებინათ ის ქართული კულტურისაგან, რომელსაც იქაური მოსახლეობა სისხლსორცეულად შეთვისებოდა. ნიშანდობლივია, რომ ეს თხოვნა ითვალისწინებდა ასევე აფხაზეთის ეკლესიებში ქართული ენის საღვთისმეტყველო ენად დანერგვას, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ცალკე დისციპლინად ქართული ენის შემოღებას და სხვა. (122,31). ყოველივე ეს, საფუძველი უნდა ყოფილიყო სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიის იურისდიქციაში დარჩენისა. საქართველოს ეგზარქოსი პლატონი დეპუტაციას დაჰპირდა დახმარებას, ასევე სამურზაყანოს სამრევლოს სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებას (46,2). აღნიშნული დაპირება, რომ ყალბი იყო აშკარად ვლინდება იქიდან, რომ უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებას კავკასიის მიტროპოლიისა და სოხუმის ეპარქიის ცალკე გამოყოფას ეგზარქოსი პლატონი პირველი შეხვდა მოწონებით და ენთუზიაზმით, განსაკუთრებით მისი აღფრთოვანება გამოიწვია უკანასკნელმა, რამეთუ ის გარანტი უნდა ყოფილიყო საერთო რუსულ-კავკასიური სამიტროპოლიტოს შექმნისა (114,28).

სასოწარკვეთილი აფხაზობა, რომელიც გრძნობდა თავის ეროვნული თვიდმყოფადობის საბოლოო განადგურების საფრთხეს ქართული ეკლესიისა და კულტურის მოწყვეტის შემთსვევაში, გაგზეთ "საქართველოს" მეშვეობით და აფხაზი თავადების: მელ. ემუხვარისა და პ. ანჩაბაძის ხელმოწერილი წერილით თხოვნით მიმართავდნენ ქართველ საზოგადოებას დახმარება აღმოეჩინათ აფხაზებისადმი, რათა მათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ეროვნული ნიშან-თვისებანი (122,31).

ქართველი და აფხაზი საზოგადოების ერთობლივ ძალისხმევას დადებითი შედეგის პირი არ უჩანდა. მაშინ აფხაზმა ხალხმა შუამდგომლობით მიმართა თავად უწმინდეს სინოდს:"უძველეს დროიდან, რუსეთთან შეერთებამდე, აფხაზეთში ქრისტიანობა ვრცელდებოდა ქართველი სამღვდელოების მიერ, რომელიც საერთო იყო აფხაზეთის ქართულ ეკლესიისათვის..... ამ სამღვდელოებას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთში და საოცარი უნარი და მსნეობა გამოიჩინა ქრისტიანობის გავრცელებაში ყველა იმ რაიონებში, სადაც მას დამაბრკოლებელი მიზეზით ფეხი ვერ მოეკიდნა. შემდეგ, აფხაზეთი, როგორც საქართველო რუსეთს შეუერთდა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა სინოდიდან მორჩილებით ქრისტიანობის გავრცელების საქმე და მისი პოპულარიზაცია მეტად შეფერხდა..... სარწმუნოების დაცვის გამო, გთხოვთ არ გამოგვთიშოთ და გამოგვყოთ ძველადვე არსებულ წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნეების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიულ და კულტურული ცხოვრების მიერ" (45,3).

მიუხედავად ერთობლივი ძალისხმევისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ რუსეთის სასულიერო ხელისუფლებამ თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა და ამით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადება დააჩქარა. ქართული პრესა დაუნდობელ წერილებს აქვეყნებდა ხელისუფლების ასეთ არაობიექტურ გადაწყვეტილებაზე და ახსენებდა ქართველ საზოგადოებას 10-იანი წლების მოვლენებს, სადაც ასევე ნათლად გამოავლინა რუსეთის ხელისუფლებამ თავისი მზაკვრული მიზნები არა მხოლოდ ცალკე აფხაზეთის, არამედ მთლიანად საქართველოს მიმართ.-"....რუსებს ეს სჭირიათ იმისათვის, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდონ, მათში ეროვნული მძულვარება ჩამოაგდონ და ამ ნიადაგზე გამოატყვრინონ "რუსთა საქმე კავკასიაში"(87,3).

1917 წლის პირველივე თვეებიდან, გამოყოფილ ეპარქიაში

რუსეთის ხელისუფლებამ ახალი რეორგანიზაცია დაიწყო, რაც კიდევ უფრო ვერაგული აღმოჩნდა. 10 თებერვალს ეპარქიის მღვდელმთავარს ოფიციალურად განუცხადა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწემ თავადმა ქევახოვმა, რომ სოხუმის ეპარქია ორად გაყოფილიყო: ჩერნომორიის გუბერნიას უნდა დადგენოდა თავისი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო კათედრა ქალაქ ნოვოროსიაში, ხოლო სოხუმის ოლქი - აფხაზეთი მიეწერებოდა ქუთაისს (44,4), რაც სოხუმში საეპისკოპოსო კათედრას საბოლოოდ სპობდა. თავად ქევახოვის ეს ბრძანებულება სოხუმის ქალაქის საბჭოს სხდომაზე განსახილველად 27 თებერვალს წარადგინა დეკანოზმა გოლუბცოვმა. გაირკვა, რომ ქ. ქუთაისში არსებობდა სამიტროპოლიტო კათედრა, რომელსაც დაემორჩილებოდა აფხაზეთის ეპარქია. საბჭოზე აზრთა მკვეთრად დაპირისპირებული მხარეები გამოიკვეთა: ერთნი ითხოვდნენ სოხუმის საეპარქიო კათედრის დატოვებას (ნ. ჯანაშია, ტიმოთე ანუა); მეორენი, გოლუბცოვის მეთაურობით მის გაუქმებას. კენჭისყრის შედეგებით გამოვლინდა, რომ გულუბცოვის პარტიამ მიიღო 8 თეთრი და 7 შავი, ხოლო მეორემ – 17 თეთრი და 8 შავი, სამმა თავი შეიკავა. საბჭოს სხდომამ გამოიტანა გადაწყვეტილება:

"....Сухумская городская дума, осведомившись о предпологаемыхъ измененияхъ въ деле управления сухумской епархиею в смысле объединения последней с Иверскою церковью, приветствует такое начинание, как первый шагъ къ возстановлению историческихъ и каноническихъ правъ Абхазской-Грузинской Церкви и просить святейший Правительствующий Синодъ объ оставлении Сухумской кафедры съ наименованием ея Абхазской" (44,4)

სხდომამ ასევე გაითვალისწინა დადგენილების მიღებისას ქ. სოხუმის სარწმუნოებრივი საბჭოს თავმჯდომარის მღვდელ აშრბას მიმართვა საქართველოს ეგზარქოსისადმი 1917 წლის 31 იანვარს (132,9), სადაც ის ითხოვს გაითვალისწინონ

აფხაზეთის ეკლესიის ისტორიულად მძიმე ხვედრი, რომ ბოლო დროის მოვლენებმა, როდესაც აფხაზ ხალხს თავისი ეროვნული ეკლესია ეღირსა, უკანონო იქნებოდა აქ სოხუმის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმება.

რუსეთის უწმინდეს სინოდს მსედველობაში არ მიუღია არც ქართველი და, არც აფხაზი საზოგადოების მოთხოვნები, მით უფრო სოხუმის საბჭოს დადგენილება და ეს საკითხი თავისი ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტა. მაგრამ ამ საქმეს განსორციელება არ ეწერა, რადგან რუსეთში მოხდა დიდი პოლიტიკური გადატრიალება, რამაც ნებსით თუ უნებლიედ არეკვლა საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაზეც ჰპოვა.

თავი მესამე - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917წ).

§ 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება და რუსეთის დროებითი მთავრობა.

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა, იმპერიის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ, 1916 წლიდან ახალი რევოლუციის მომწიფება დააჩქარა, და, რაც უფრო აღსანიშნავია, მთელი იმპერიის მასშტაბით შეიქმნა ბურჟუაზიულ – დემოკრატიული რევოლუციის ის ძირითადი კვანძი, რომელიც დაინტერესებული იყო არა მხოლოდ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, არამედ ერთა ინტერესების ნაწილობრივი აღსრულებითაც. ამ ბრძოლამ გააერთიანა ყველა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა. ასეთ, პირობებში, ოპოზიციურ ძალთა მიერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მხარდაჭერა უგრუნველყოფილი იყო. 1917 წელის თებერვალში რუსეთში დაემხო მეფის ხელისუფლება; გაიმარჯვა მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რაც რუსეთის იმპერიაში უდიდესი გარდატეხის მომასწავებული იყო (18, 328).

რუსეთის თებერვლის რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, არამედ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისთვისაც. ამიტომ იყო, რომ ეს უკანასკნელი, ამ ფაქტს დადებითად შეხვდა და მაშინვე დროებითი მთავრობის სამსახურში ჩადგა – "აღსრულდა ნება ღვთისა, რუსეთი დაადგა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ გზას. ღმერთმა აკურთხოს ჩვენი სამშობლო" (128,5). რუსული ეკლესია ამ დღიდან მთელი ძალისხმევით იღწვის დროებითი მთავრობის სამსახურში, რის სანაცვლოდ ელოდა დამოუკიდებლობის მოპოვებას (პატრიარქობის აღდგენას - ქ.პ.) სახელმწიფოსაგან. ასევე, იმედი ჰქონდა, რომ ახალი ხელისუფლება დაიცავდა ეკლესიას რევოლუციური

მოძრაობიდან და აუმაღლებდა ძველ ავტორიტეტს ქვეყანაში (12,174). თავის მხრივ, რუსეთის ეკლესია ცდილობდა მოსახლეობის სულიერ, ეკლესიურ ცხოვრებაში ჩართვას, რათა ის ჩამოეცილებინა დემოკრატიული მოძრაობისაგან (152, 1-2).

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის მეცადინეობას დიდი თანადგომა გამოუცხადა საქართველოს ეკლესიამ, რადგან ამ უკანასკნელს იმედს აღუძრავდა რუსული ეკლესიის მხარდაჭერისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებაში. ამიტომ იყო, რომ ქართველი ავტოკეფალისტების ამ მიმართულებით ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა. 1917 წლის იანვარს საქართველოს ეგზარქოსის წინაშე წარსდგა სრულიად საქართველოს სამღვდელოებათა დეპუტაცია პროტოიერების: ი. ოქროპირიძის, ვ. კარბელაშვილის; კეთილდამწყსველების: ს. დევიძის, დ.ჩხაიძის და კ. ანთაძის შემადგენლობით. დეპუტაციამ ეგზარქოსს ქართველი სამღვდელოების გადაწყვეტილება გააცნო საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ (12, 175).

მთელს იმპერიაში არსებული პოლიტიკური უწესრიგობა საქართველოს საეგზარქოსოს აიძულებდა ფრთხილი პოლიტიკის გატარებას, მით უფრო, რომ იმ ეტაპზე ის უკვე რუსეთის ახალ მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებდა. ამით იყო განპირობებული, რომ დეპუტაციის წევრებს ეგზარქოსმა დახმარება აღუძრა და კავკასიის დროებით ხელისუფლებასთან საკითხის განხილვას დაჰპირდა (94, 3; 124,4).

აშკარა გახდა, რომ თვითმპყრობელობის დამხობა და დროებითი მთავრობის მცდელობა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის შენებისთვის არ ნიშნავდა მისი ინტერესების დაკარგვას საქართველოსა და საერთოთ კავკასიისადმი. მისი მიზანი იყო ახალ სახელმწიფოში შემუშავებულიყო მმართველობისა და პყრობის ახლებური მეთოდ-ხერხები, რაც

თავის ძალაუფლებაში დატოვებდა კავკასიას. ამ საქმეში დროებით მთავრობას ცარიზმის მსგავსად რუსული ეკლესიის დახმარება ესაჭიროებოდა, ხოლო ეს უკანასკნელიც არ აპირებდა თავისი სასულიერო ზეგავლენის დაკარგვას კავკასიაზე. ისე, რომ სამომავლოდ, ამ ორი ძალის საერთო ინტერესების სფერო, მაინც ვერ მიჯნავდა მათ მიზნებს და ბუნებრივია, მათ თანამშრომლობასაც ვერ აღკვეთდა.

ქართველი საზოგადოება უკვე ისტორიული გამოცდილებით კარგად ერკვეოდა რუსულ შოვინისტურ ზრახვებში და მთელი ძალით აგრძელებდა მიზანდასახულ ბრძოლას. ფაქტი იყო, დროებითი მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის კომპეტენციის შეწყვეტას და, ამიტომ მას დაუმორჩილებლობას უცხადებდა, და საამისოდ მთელს ერს მჭიდრო შეკავშირების, ერთსულოვნებისა და თანადგომისაკენ მოუწოდებდა (63,4). უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხრივ საქართველოს საზოგადოებამ შესაშური სიმტკიცე და ერთსულოვნება გამოიჩინა. ამიტომ, თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის მომდევნო პერიოდის საქართველოს ისტორიაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადება.

1917 წლის 12 მარტს, კვირას, მცხეთის საკათედრო ტაძარში შეიკრიბა 10.000-მდე მოქალაქე. მათ შორის იყვნენ ქართული ეკლესიის მღვდელმთავრები: გურია - სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, გორის ეპისკოპოსი ანტონი და ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი, ქართლ–კახეთის არქიმანდრიტი ნაზარი, იმერეთის, გურია- სამეგრელოსა და თბილისის სამღვდელოება; საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო ხელმძღვანელობა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მთელი ქართველი საზოგადოება. მცხეთის ტაძარში წირვა აღავლინა ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). წირვაზე მოიხსენიეს საქართველოს თავდადებული მეფენი, სასულიერო პირნი.

"მრავალყამიერი" უმღერეს საქართველოს ეკლესიისათვის თავისუფლების მებრძოლ სასულიერო პირებს: კირიონს, დავითს, ამბროსის, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ (11,228-230).

შეკრებაზე საზოგადოებას ოფიციალურად წაუკითხეს მცხეთაში შედგენილი გადაწყვეტილება:

"1. 12 მარტიდან გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია;

2. კათალიკოსის არჩევამდე, დროებით, საქართველოს ეკლესიის გამგებლად ინიშნება გურია –სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე;

3. საქართველოს ეკლესიის მმართველობა ეეალება აღმასრულებელ კომიტეტს. ხელს აწერენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, იმერეთის ეპისკოპოსი და გორის ეპისკოპოსი ანტონი" (34,9). გურია – სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი ხელისუფლება, მასში შედიოდნენ: ეპისკოპოსები გიორგი, ანტონი, პიროსი; პროტოიერები: კ.კეკელიძე, კ.ცინცაძე, ნ. თალაკვაძე, მღვდლები: ვ. კარბელაშვილი, პ.კარბელაშვილი, ხ. ციცქიშვილი; დიაკვანი – თ. ბაკურაძე; მედავითნე – გ. ყუბანეიშვილი. სამრეველო წარმომადგენლობიდან: ვ. ბარნოვი, ა. ნატროშვილი, პ. კიზირია, ს. მგალობლიშვილი, გ. ყიფშიძე, ი. ვართაგავა, ს. გიორგაძე, დ. დავითაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, თ. სახოკია, ს. ახვლედიანი, პ. ბარათაშვილი, ს. მაჭავარიანი. სულ დროებითი კომიტეტი 25 კაცს მოიცავდა (34,10).

მცხეთის თავყრილობაზე არა ერთი ქართველი გამოვიდა სიტყვით, ხოტბა შეასხა, სამომავლო წარმატებები უსურვა საქართველოს ეკლესიას მოპოვებული უფლების შენარჩუნებისათვის – "... დღეს აქ ეკლესიური კრება მოვაწყვეთ თავისუფლად, რამაც შარაგზაზე უმწეოდ გართხმული მშობელი ეკლესია ფეხზე წამოაყენა, ხელი უპყრა მას და თავოსნური ცხოვრება აღუდგინა!... " (51,2) -

აღნიშნა დეკანოზმა ნიკ. თალაკვაძემ. კრებაზე საგანგებოდ იქნა წაკითხული ავტოკეფალიისათვის დიდი მებრძოლის, ვიტებსკში გადასახლებული კირიონ საძაგლიშვილის ტელეგრამა - "გილოცავთ ავტოკეფალიას. ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერიის ეკლესიას, რადგანაც დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე, მდაბიო ერად იყო ქცეული ხალხი, ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა,ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას (57,10).

1917 წლის 13 მარტს ეპისკოპოსმა ლეონიდმა საქართველოს ეგზარქოსს პლატონს ეპისკოპოსებთან ანტონთან და პიროსთან ერთად გადასცა წერილობითი განცხადება, რომელსაც ერთვოდა მცხეთის საეკლესიო დადგენილება, რომლის ძალითაც ის გადაყენებული იყო თანამდებობიდან, ჩამოერთვა ქართლ-კახეთის ეპისკოპოსის წოდება და საქართველოს ეპარქია-სამრევლოების იურისდიქციაში შემავალი სასულიერო დაწესებულებების და სასწავლებლების ხელმძღვანელობის უფლება. ამასთან, ეგზარქოსი მოვალე იყო საქართველოს საეკლესიო ქონება და ყოველი საქმე უკლებლივ გადაეცა ეპისკოპოს ლეონიდისათვის (54, N 63,3). მოხსენებით ბარათში აღნიშნული იყო XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობის გაუქმება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე, რაც ფაქტიურად ქართული ეკლესიისათვის დამღუპველი იყო. ეპისკოპოსი ლეონიდი შეახსენებდა ეგზარქოსს ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლის ფაქტებს, რომლებიც აქამდე გადაუჭრელი დარჩა (34,10-11).

ეპისკოპოსი ლეონიდის მიმართვას საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა პროტესტი გამოუცხადა, რადგან მიიჩნევდა, რომ ის ამ თანამდებობაზე უმაღლესმა სასულიერო ხელისუფლებამ განაწესა და, რომ აქედან განთავისუფლება მასვე ხელეწიფებოდა და არა მასზე "კანონიკურად" დაქვემდებარებულ ეკლესიას. საქართველოს ეგზარქოსი

ეპისკოპოს ლეონიდს დაჰპირდა, რომ ამ სიტუაციაში გაარკვევს უწმინდეს სინოდს და მისგან დაელოდება გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მანამდე საქართველოს ეკლესიის განმგებლად დარჩება და ამ უფლებითაც ისარგებლებს (34,11). სასულიერო პირთა შეხვედრიდან მეორე დღეს, საქართველოს ეგზარქოსი სინოდიალური კანტორის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.სხდომას ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ: ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრიტი ნაზარი,პროტოიერები: მ. ტყემალაძე და კ. კეკელიძე. საქართველოს ეგზარქოსმა პლატონმა სხდომის წევრებს იგივე განუცხადა, რაც ეპისკოპოს ლეონიდს და დამატებით დასძინა, რომ – "... ის არა მარტო მსოლოდ ქართველთა სულიერ მწყემსად განაწესეს, არამედ ასევე მართლმადიდებელი რუსების, ბერძნების, აისორებისა და სხვა ერის ხალხების და მათი თანხმობის გარეშე ასევე უწმინდესი სინოდის ნებადაურთველად არ აპირებს ეგზარქოსის ტახტის დატოვებას" (34,10-11). ინტერესმოკლებული არ იყო პლატონის აზრი საეკლესიო ქონების დაბრუნების თაობაზე, რაზეც ეგზარქოსმა კატეგორიული უარი განაცხადა უწმინდესი სინოდისა და დროებითი მთავრობის ნების შემთხვევაშიც კი, რადგან ეს საკითხი მან ცალკე მსჯელობის საგნად, რთულ გადასაჭრელ პრობლემად მიიჩნია.

ასეთი განცხადების შემდგომ, ქართველი საზოგადოებისათვის უკვე ნათელი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტისადმი ეგზარქოსის დამოკიდებულება. ამიტომ იყო, რომ ქართველი სამღვდელოებისათვის სინოდიალური კანტორის ეს სხდომა უკანასკნელი აღმოჩნდა. მათ ამ შემთხვევაშიც არ სცნეს კანტორის კომპეტენტურობა და შემდგომ მას აღარ დასწრებიან. რაც შეეხება პლატონს, მან თავისი მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურა და სინოდიალურ კანტორაში სხდომების ჩატარებამ მეტად ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რაშიც მხოლოდ კავკასიაში მოღვაწე რუსი სამღვდელოება მონაწილეობდა (60, N 828,3).

საქართველოს ეგზარქოსის აქტიური საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მან 14 მარტს ორი სასწრაფო ტელეგრამა გაგზავნა პეტროგრადში: ერთი უწმინდესი სინოდის, ხოლო მეორე ობერ-პროკურორის სახელზე. პირველი წერილის შინაარსი იყო ეპისკოპოს ლეონიდის მოთხოვნები, ხოლო მეორეთი კი ის ითხოვდა აქტიური მოქმედებისათვის ნებართვას და საამისოდ საგანგებო ბრძანებულებას. ეგზარქოსი ობერ –პროკურორს თხოვდა სასწრაფო გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, თუ ვის უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი არაქართული სამრევლოები, რომელთა რიცხვი შემდეგი იყო: 130 რუსული სამრევლო, 76 - ბერძნული და 5 - აისორების (34,12-13). ეგზარქოსი ასევე დაინტერესებული იყო საეპარქიო მღვდელმთავრების, კონსისტორიისა და სასწავლო საბჭოს მომავალი ბედით, კერძოთ, ვის უნდა მოეხდინა მათი ორგანიზაცია-მართვა და, რა სახსრებით? და საერთოდ, რა ბედი ელოდა საეგზარქოსოს მთლიან აპარატს? ეგზარქოსის ყველაზე მტკივნეულ საკითხად სოხუმის საეპარქიო ჩანს, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ეგზარქოსის გამგეობაში იყო.

ობერ-პროკურორისადმი გაგზავნილ ამ წერილს ხელს აწერდნენ: მთავარეპისკოპოსი პლატონი, ერევნის ეპისკოპოსი დამიანე და სინოდალური კანტორის პროკურორი მ. პოპოვი. ნიშანდობლვია, რომ საქართველოს ეგზარქოსს არც ერთი ადრესატისაგან გამოხმაურება არ მიუღია. ამასობაში კი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტიური განხორციელება, ჯერ კიდევ არავისაგან აღიარებული და არასანქცირებულად მიჩნეული, უკვე განვითარების ახალ, შემდგომ ფაზაში შედიოდა. საქართველოს სამღვდელოებამ და საეგზარქოსოს იმ დაწესებულებებმა, რომლებსაც ქართველები ხელმძღვანელობდნენ, ან მათი რიცხვი იქ სჭარბობდა, გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ ეგზარქოს პლატონთან და ეპისკოპოს ლეონიდის დაქვემდებარებაში გადაინაცვლეს.

ამ დღიდან საქართველოს ეკლესიის დროებითმა ხელისუფლებამ ენერგიულად დაიწყო თავისი კანონიერი უფლებების განვრცობა საქართველოს საკათალიკოსოს მთელს ტერიტორიაზე. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა დედაქალაქში, როდესაც 1917 წლის 16 მარტს შედგა ქართველი სამღვდელოების საგანგებო კრება, რომელმაც დაადგინა სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულიყო, ხოლო იმ ეკლესია-მონსტრებში, სადაც ჭრელი ეროვნების მრევლი იყო (ქართული და რუსული – ქ.პ.) ღვთისმსახურების ენად ქართულთან ერთად რუსულიც დაწესებულიყო (54, N 62,71,72,125).

საქართველოს ეგზარქოსთან საქმის გარკვევის შემდგომ, 23 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითი კომიტეტის წევრები ეპისკოპოს ანტონის ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს კ.აბაშიძესა და მ. პაპაჯანოვს ეწვიენენ. მათ ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს გააცნეს საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესები(80,3); მოახსენეს, რომ რუსეთის სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება უსამართლო და ძალადობრივი აქტი იყო, რადგან: "1). არ იყო ქართული ეკლესიისა და ერის თანხმობა; 2). არ იყო განპირობებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობით, რადგან თუ ბიზანტიის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ასეთ მოვლენას არ ჰქონდა ადგილი, ახლაც თურქეთში 4 დამოუკიდებელი საპატრიარქოა, რუსეთსაც შეეძლო საქართველოში ჰქონოდა ორი დამოუკიდებელი ეკლესია; 3). ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო საეკლესიო კანონებს და ეს ფაქტი მისი ჩართვის გარეშე მოხდა; 4). არ ემსახურებოდა ხალხისა და ეკლესიის სიკეთეს რადგან ის ძალით ახდენდა რუსიფიკაციას აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველესი ეკლესიისას; ზღუდავდა სასულიერო სკოლებს, ენას, ღვთისმსახურებას, რაც იწვევდა რწმენის დაცემას, ზნეობისა და ქრისტიანული წეს-ჩვეულებებისა საქართველოში. ასევე,

არაკეთილი მიზნების გაღვივებას ორ ერთმორწმუნე ერში (212, 16).”

ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლობა თავისი დეკლარაციით დროებითი ხელისუფლებისაგან ითხოვდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობას შემდეგი ტერიტორიული საზღვრებით, რომლებშიც შედის საქართველოს ყველა მართლმადიდებელი მოსახლეობა: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები, ბათუმისა და ბზიფის, აფხაზეთის (ბიჭვინთიდან გაგრამდე) რაიონები, სოჭის ოლქი (34,18). ქართველი სამღვდელოების მიერ ზემოაღნიშნულის კატეგორიული მოთხოვნა იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთის სინოდში უკვე ალაპარაკდნენ, რომ ადგილობრივი რუსი მოსახლეობა საჭიროებდა რუს ეპისკოპოსს, თუმცა რუსეთი საეჭვო იყო იმ ეტაპზე თანასმა ყოფილიყო, რომ რუსი ეპისკოპოსი ნომინალურ დამოკიდებულებაში ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავართან, როგორც ამას მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობა ითვალისწინებდა (მოციქულთა 35-ე კანონი, მე-2 მსოფლიო საეკლესიო კრება, მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი, მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების მე-20 კანონი).

ამიერკავკასიის კომისრებმა გულდასმით მოისმინეს ქართველი საზოგადოების დელეგატთა მიმართეა და მათ ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს (60,N 827,3). იმავე დღეებში, საქართველოს ეკლესიის დროებითმა კომიტეტმა ოფიციალური დეკლარაცია გაუგზავნა დროებითი მთავრობის კავკასიის კომისარიატს, სადაც ყველა ზემოაღნიშნულთან ერთად, ხელისუფლებას ამცნო, რომ საქართველო სრულ სოლიდარობას უცხადებდა რუსეთის ახალ მთავრობას და საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებას ამცნობდა მთავრობის თავმჯდომარეს როდზიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ოპერ-პროკურორს ლვოვს და კავკასიის კომისარიატის თბილისის უჯრედს (212, 2). კავკასიის დროებით მთავრობას 1917 წლის 23 მარტის

ოფიციალური განცხადებით განემარტა:

1). საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა ძველი ქართული საკათალიკოსოს ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა; ეს ტერიტორიები მოიცავდა იმჟამინდელ ადმინისტრაციულ ერთეულებს: ქუთაისისა და თბილისის ტერიტორიებს, ზაქათალისა და სოხუმის ოლქებს, ბათუმის, არდაგანის, ყარსისა და ოლთისის ოლქებს, ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილოეთ სექტორს (ბამბოკი და აბოცი), მდ. მტკვარსგადაღმა კახეთს, რომელიც რუსეთის ცარიზმის ადმინისტრაციული დაყოფით მიწერილი იყო ელიზავეტპოლის გუბერნიაზე, ნუხის მაზრის პირველ პოლიციურ უბანს (საინგილოდან მდ. გიშისწყალამდე), ბზიფის აფხაზეთს (ბიჭვინთიდან გაგრამდე,), რომელიც მიწერილი იყო სოჭის რეგიონზე და თურქეთის საქართველოდან: ტორტომს, კისკირს და ისპირს, საქართველოს ეკლესიის დროებითი მთავრობა მიიჩნევდა, რომ ამ ადგილებში მცხოვრებ რუსი ეროვნების მოსახლეობას უნდა ჰყოლოდა თავისი რუსი ეპისკოპოსი, რომელსაც ექნებოდა ფართო ავტონომია და კანონიკურ დამოკიდებულებაში იქნებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან. ასეთი განმარტებისას საქართველოს ეკლესია იცავდა მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც ერთი და იმავე საეკლესიო საზღვრებში ორი დამოუკიდებელი სასულიერო იერარქის ყოფნა მიზანშეუწონელია. რაც შეეხება ამიერკავკასიის ზემოჩამოთვლილ ტერიტორიებზე განსახლებულ მოსახლეობას, ისინი რუსული მართლ-მადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში მოხვდებოდნენ.

2).საქართველოს ეკლესიას უნდა მართავდეს კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს სამღვდელოება და საერო პირთა შემადგენლობის ეროვნული სინოდი ფარული, თანასწორი და საყოველთაო არჩევნების კენჭისყრით, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოს ეკლესიას მართავს საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად. ის განაგებს მომავალი

სასულიერო თაობის სწავლა-განათლებასა და აღზრდას; გააჩნია თავისი ბეჭედიც;

3). საქართველოს ეკლესიის შიდა საქმეების მართვა ხდება მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებით;

4). საქართველოს ეკლესიის საგარეო იურიდიული მდგომარეობა არ უნდა იყოს შეზღუდული რუსული ეკლესიის მსგავსად, რადგან მისი წევრები, სამომავლოდ რუსეთის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, რუსული ეკლესიის წევრების მსგავსად შეიტანენ ერთნაირ სახელმწიფო გადასახადს;

5). საქართველოს საეგზარქოსოს ხარჯების დასაფარად სახელმწიფო ხაზინიდან წმინდა სინოდის მიერ გაცემული თანხები უნდა გადაეცეს საქართველოს ეკლესიას, მით უფრო, რომ 1850-1869 წლებში რუსეთის სახელმწიფო ხაზინის ბრძანებით საქართველოს ეკლესიას დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება ჩამოერთვა: ა). შემწეობა სახელმწიფოს ხაზინიდან- 173,160 მანეთი და 15 კაპიკი, რომელიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებლების შესანახად; ბ).937,397 მანეთი და 59 კაპიკი – სინოდალური კანტორის განკარგულებაში ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ხელფასებისათვის; გ). 354,968 მანეთი და 40 კაპიკი – საეკლესიო-სამრეველო დაწყებითი სასწავლებლების შესანახად (212,17). ნიშანდობლივია, რომ იმ ეტაპზე კავკასიის დროებითმა მთავრობამ დადებითი შეფასება მისცა საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებას და ოფიციალურად ამცნო - "... ივერიის უძველესი ეკლესია შლის ახალ, ნათელ ფურცელს თავის ცხოვრებაში, როდესაც მის წინ ფართო შესაძლებლობა ისახება მთელი სისრულით გამოავლინოს ძლიერი ძალები, რომელიც საუკუნეების მანძილზე, მთელი ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ეამს, ის მთლიანად უძღვნიდა თავს თავისი ხალხის კულტურულ სამსახურს; მაღლა ეჭირა რწმენის შუქურა, რომელმაც არა ერთხელ იხსნა საქართველო

განსაცდელისაგან. მტკიცედ გეწამს ქართული ეკლესიის ნაყოფიერი საქმიანობისა და ოზაკომი (კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი - ქ.პ.) უსურვებს ამ საქმის ყველა მონაწილეს ყველა პრობლემის დადებითად გადაჭრას ივერიის ეკლესიისა და ქართველი სალხის გაბრწყინების საქმეში" (212, 113).

საქართველო, რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგომაც მის სახელმწიფო შემადგენლობაში რჩებოდა, ამიტომ ავტოკეფალიის საკითხი დროებით მთავრობისა და უწმინდესი სინოდის გადასაჭრელი იყო, მით უფრო, ამ უკანასკნელის თანხმობაზე იყო ქართული ეკლესიის დაკმაყოფილების ცნობა მსოფლიო მართლმადიდებელი მასშტაბებთ.

1917 წლის 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ და უწმინდესმა სინოდმა პეტერბურგში განიხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. დროებითმა მთავრობამ არსებულ საჭიროებად მიიჩნია ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული უფლებრივი შედეგების აღიარება. ამიტომ, მან სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ქართულ-ეროვნული ხასიათი და მისი იურისდიქცია ტერიტორიით არ განსაზღვრა. საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი არაქართული ეკლესია-მონასტრების განმგებლობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუკანონა (69, N 319,4). უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ამ გადაწყვეტილებას შემდეგი ახსნა მოუძებნა, - " საქართველოს ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია ხელუხლებელი არ იქნება, ვინაიდან ვერ შევთანხმდებით. რუსები უარს ამბობენ დაემორჩილონ თქვენს კათალიკოსს, ბერძნები ავტონომიურ ეპისკოპოსს ითხოვენ, აფხაზები უეპისკოპოსო ავტონომიას,რომლებიც ზოგი თქვენსკენ იწევს, ზოგიც რუსებისკენ. სულ სხვა საქმეა კულტურულ-ნაციონალური ავტონომია" (8,14,15). ამ ფაქტით, დროებითმა მთავრობამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესიის არსებობა დააკანონა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ფაქტიურად

უპრეცედენტო შემოხვევა იყო მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში.

დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვა გამოერკვია მისი უფლებრივი მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში, რაც შემდგომ დროებითი მთავრობას უნდა დაემტკიცებინა, მანამდე კი, საქართველოს საეგზარქოსოში არსებულ დაწესებულებებს ძველი წესით უნდა განეგრძოთ მუშაობა (54, N 71,2). დროებითი მთავრობის ამ ინფორმაციას ტელეგრამის სახე გააჩნდა, რომელიც საქართველოს ეკლესიამ 30 მარტს მიიღო (54,N 71,2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი მთავრობის ზემოხსენებულ 29 მარტის დადგენილებაში დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ქართული ეკლესიისათვის გამაფრთხილებელ მოწოდებებს საგანგებო ადგილი დაეთმო. ოფიციალურ დადგენილებასა და საქართველოში გასაგზავნ ტელეგრამას ხელს აწერდნენ: დროებითი მთავრობის მინისტრი - თავადი ლვოვი, ობერ-პროკურორი - ლვოვი, 8 - მინისტრი და დროებითი მთავრობის საქმეთა მწარმოებელი - ნაბოკოვი. (34, 17-18).

C რუსეთის საერო და სასულიერო ფენის საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენის წინააღმდეგ მიმართული ასეთი აგრესია, ბუნებრივი რეაქცია იყო, გამომდინარე იქედან, რომ დროებითი მთავრობის ინტერესებში არ იყო საქართველოში რუსული ეკლესიის არა თუ არ არსებობის არამედ უფლება-მოვალეობების შეკვეცაც კი და, ის ყველანაირად სცილდებოდა რუსი სამღვდელოების კავკასიაში ინტერესების გამოყენებას თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ამ რეგიონში. ამიტომ იყო, რომ ის უდიდეს ანგარიშს უწევდა უწმინდესი სინოდის მოთხოვნებს და რუსულ საეკლესიო საკითხს საქართველოში მის სასარგებლოდ წყვეტდა. 29 მარტის გადაწყვეტილებით უწმინდესი სინოდის ინტერესი ამიერკავკასიის საეგზარქოსოს სამომავლო შექმნაში გამოვლინდა, რაზეც ქვევით გვექნება საუბარი. ასეთი გზით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია

კელავ გავლენიანი რჩება საქართველოში, მით უფრო, რომ კავკასიის ეგზარქოსი უწმინდეს სინოდს უნდა დამორჩილებოდა. ასეთი გზით წყვეტდა კავკასიის და მათ შორის საქართველოს ბედს, მის მორჩილებას ახალი რუსეთი, რომელიც "დემოკრატიულ"- ბურჟუაზიული სახალმწიფოს შექმნას აპირებდა.

§2. საქართველოს ეკლესიის უფლებები რუსეთის სახელმწიფოში და ქართველი საზოგადოების ბრძოლა ავტოკეფალიის დაკანონებისათვის.

საქართველოს ეკლესიისადმი რუსეთის დროებითი მთავრობის არაკანონიერმა ქმედებებმა, რაც გამოვლინდა ავტოკეფალიის აღიარებასთან დამოკიდებულებაში - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ახალ განზომილებაში გადაიტანა, ანუ მოკლედ, რომ ვთქვათ, ქართველმა სამღვდელოებამ დაიწყო ბრძოლა ავტოკეფალიის დაკანონებისა და ქართული ეკლესიის რუსეთის სახელმწიფოში უფლებების დადგინების წინააღმდეგ.

ქართველი სამღვდელოება კარგად ხედებოდა, რომ მხოლოდ ეროვნული ავტოკეფალიით დაკმაყოფილება, რაც მათი მხრიდან საეკლესიო კანონმდებლობის დარღვევა იქნებოდა და ეროვნული ეკლესიის ტერიტორიული იურისდიქციის უარყოფა, გამოიწვევდა რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთდაპირისპირებას. ამ საშიშროების თავიდან აცილების ერთად-ერთი გზა საქართველოში რუსი ეპისკოპოსის ავტონომიური უფლებების აღიარება უნდა ყოფილიყო, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს დაემორჩილებოდა. ასეთი აზრის ირგვლივ იმსჯელეს ქართველმა სასულიერო პირებმა საეკლესიო კრებაზე და მიღებული დადგენილება ამცნეს დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს, უწმინდესი სინოდის ობერ- პროკურორს და კავკასიის კომისარიატს (54, N 72, 2), და, როდესაც ამავე გადაწყვეტილებით ეპისკოპოსმა ლეონიდმა მიმართა "ოზაკომს", კომიტეტის წევრმა ბ. ხატისოვმა უკვე წინანდელთან შედარებით განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა,რომ კომიტეტი მხოლოდ იცავს არსებულ წეს-წყობილებას და მისი შეცვლის უფლება არ აქვს, ხოლო მცხეთის მოვლენებს კი საეკლესიო ცხოვრებაში სიახლე შეაქვს (8,98).

მიმდინარე მოვლენებით აღშფოთებულმა სამღვდელოებამ

ტელეგრამით აცნობა რუსეთის დროებით მთავრობას თავისი საბოლოო გადაწყვეტილება

- "Окончательного устранения одной из главных причин русско-грузинских недоразумении временное управление грузинской церкви долгом почитает довести до сведения временного правительства, что автокефалия грузинской церкви должна быть признана на территориальной основе в пределах древне грузинского католикосата русским приходам, католикосата, поданной 23 марта в местный комисариат декларацией предоставлена полнейшая свобода церковного самоопределения в лице автономного русского епископа канонически лиш зависимого от главы грузинской церкви в случае непризнания настоящаго канонического ходатайства. Грузинская церковь оставляет за собой право пред лицом всей вселенской церкви заявить, что она сложет себя всякую ответственность за могущия последовать в церковной жизни края ненормальныя явления, правовое положение в русском государстве православной грузинской церкви должна быть одинаковое с положением русской церкви.» (212, 136).

სრულიად საქართველოს ქართველი სამღვდელოება ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან კატეგორიულ პროტესტს აცხადებდა რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის დადგენილების მიმართ. 1917 წლის პერიოდული პრესა სისტემატიურად აშუქებდა ამ საკითხისადმი მიძღვნილ რიგ პრობლემას. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის პრესაც ეხმაურებოდა ქართველი სამღვდელოების გულისტკივილს. ამ მხრივ აქტიურობდა გაზეთი "ზაკავკაზი რეჩი", სადაც გაზეთ "საქართველოს" ცნობათ ანტიქართულ საეკლესიო გადაწყვეტილების მიზეზად მოხსენებულია რუსეთის სამღვდელოებისა და სამხედრო უწყების სასულიერო პირთა დაუმორჩილებლობა საეკლესიო კანონებისა და წმინდა საეკლესიო დადგენილებებისადმი (54,N71,3). ქართველი სამღვდელოება აცხადებდა, რომ ის ითხოვდა საქართველოს

ეკლესიის ცნობას მის ფარგლებში, სოლო მის ტერიტორიაზე არსებული არაქართული სამრეველოების, ვიდრე ეპისკოპოსის სარისხამდე მორჩილებას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქზე (63, N 319,4) - "საქრისტიანო ეკლესიის წარსულმა ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ სადმე ავტოკეფალური ეკლესიის მრეველი გვარტომობით არ ყოფილიყოს ფერადი და სხვადასხვა გვარი "- აცხადებდა ეპისკოპოსი ლეონიდი (77, 7). საქართველოს საკათალიკოსოს ორგანიზაციაც სწორედ ამგვარი წესით იყო მოწყობილი, როდესაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეული ოსები, უდინები, ბერძნები, სომხები და საქართველოში მცხოვრები სხვა ერები.

ნიშანდობლივია სოხუმის ეპარქიაში მიმდინარე ქართული და აფხაზური მრეველის ბრძოლა ქართული ეკლესიის უკვე აღიარებული ავტოკეფალიის დაკანონებისათვის - "... სოხუმის ეპარქიის სამღვდელოება აცხადებს, რომ დაე კიდევ ერთხელ მოისმინოს რუსეთის ბიუროკრატიამ, რომ საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი მღვდელი, რომელსაც არ სწყუროდეს მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალია" (116,14).

მიმდინარე პროცესების ფონზე, საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს მოსახლეობის გარკვევა არსებულ ვითარებაში, რომ ქვეყნის ეკლესიის ნაციონალური და არა ტერიტორიალური უფლებების დაკანონება უპრეცენდენტო შემთხვევა იყო მსოფლიო საეკლესიო ისტორიაში, რაც გადამჭრელად უარმყოფელია საეკლესიო კანონმდებლობებისა. საქართველოს ეკლესია მის მართლმადიდებელ მოსახლეობას ვერ აძლევს გარანტიას, რომ ქართველებს მშვიდობიანი ეკლესიური ცხოვრება ექნებოდათ რუსული ელემენტის გვერდით, რადგან რუსული ეკლესიის მებრძოლ წარმომადგენლებს ყველა გზა ეხსნებოდათ ქართველთ შორის საეკლესიო რუსული პროზელიტიზმის არსებობისათვის, რაც ტოლფასი იყო ქართული ეკლესიის შეზღუდვა-განადგურებისა. ანალოგიური

შინაარსის მიმართვა გაეგზავნათ: დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს, უწმინდეს სინოდის ობერ-პროკურორს, საქართველოს სათათბიროს თავმჯდომარესა და კავკასიის კომისარიატს. 1917 წლის 29 მარტს (34,18-19) ქართველი სამღვდელოების მოთხოვნილების დაუკმაყოფილების შემთხვევაში, ის იტოვებდა უფლებას მსოფლიო ეკლესიის წინაშე განეცხადებინა, რომ იხსნიდა ყველა პასუხისმგებლობას საეკლესიო ცხოვრებაში ამ ფაქტით გამოწვეული არანორმალური მოვლენების გამო.

1917 წლის ივნისის დასაწყისში, საქართველოს ეკლესიის საკითხის საბოლოო გარკვევისათვის პეტერბურგს გაემგზავრა ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა დელეგაცია: გორის ეპისკოპოს ანტონის, პროტოიერების: კალ. ცინცაძის, მ. კელენჯერიძის, მ.ვ. მაჩაბლის შემადგენლობით (1917 წ. 9.VI.), (212, 49).

საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიღო დროებითი მთავრობის სელმძღვანელმა ა. კერენსკიმ და გააცნო მათ საქართველოს ეკლესიის მიმართვა - გამგეობის დროებითი დებულება:

"1). შემუშავდეს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთის სახელმწიფოში;

2). მიენდოს საგანგებო კომისიას, მთავრობის შემადგენლობით იმ საკითხებზე, თუ რა უნდა გამოეყოს საქართველოს საეგზარქოსოს საკათალიკოსოსათვის გადასაცემად; კომისიამ უნდა შეიმუშაოს ზომა და საფუძვლები, რის მიხედვითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა მიეცეს კრედიტი ხაზინიდან და წარუდგინოს ეს დადგენილება დროებით მთავრობას განსახილველად;

3). საქართველოს ეკლესიის საბოლოო მოწესრიგებამდე და სარწმუნოების სამინისტროს დაარსებამდე, სინოდის ობერ-პროკურორს ქართულ ეკლესიაზე იგივე უფლებები რჩება, რაც ჰქონდა საეგზარქოსოს მიმართ" (78,3). დოკუმენტებს

ხელს აწერდნენ: დროებითი მთავრობის თავმჯდომარე - ა.კერენსკი და ობერ-პროკურორი - ა.კარტაშევი.

როგორც ნათლად ჩანს, რუსეთის ახალი ხელისუფლება და მისი "ახალი" ეკლესია თავის პოზიციას არ ცვლიდა და ბუნებრივია, ქართული დელეგაციის მეცადინეობამ უშედეგოდ ჩაიარა. ამ საქმეში, თავის მხრივ, უარყოფითი როლი საქართველოს ყოფილმა ეგზარქოსმაც (პლატონი) შეასრულა (12, 178).

ამ ფაქტის შემდგომ, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება აქტიურ ქმედებაზე გადავიდა. უწმინდეს სინოდში დაიწყო ქართული ეკლესიის რუსეთის ახალ სახელმწიფოში უფლებების დადგინებათა წესების შემუშავება. ამ საქმეში ისინი ეყრდნობოდნენ აპრილის თვეში საქართველოს ეკლესიის საკითხის შესწავლა-მოგვარებისა და ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობის ინტერესების "დაცვისათვის" მივლინებული, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ვლ.ბენეშევიჩის დასკვნას. სწორედ მისი შეხედულებების საფუძველზე შეიმუშავა რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ძირითადი დებულებები და მისი უფლება-მოვალეობანი რუსეთის სახელმწიფოში. მოცემული დებულება აღიარებდა ქართული ეკლესიის მხოლოდ ეროვნულ ავტოკეფალიას (60, N851,3,), მაგრამ ბენეშევიჩმა მოცემული დასკვნის დროებითი მთავრობისათვის გადაცემა დააგვიანა და ამიტომ იყო, რომ მას ქართულმა დელეგაციამ დაასწრო პეტერბურგში ჩასვლა, რის გამოც, სახელდახელოდ მოხდა უწმინდეს სინოდზე დროებითი დებულებების დამტკიცება, რაზეც ზევით გვქონდა საუბარი.

რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის მიერ შემუშავებული საქართველოს ეკლესიის უფლებების დებულება რუსეთის სახელმწიფოში შედგებოდა 14 მუხლისაგან.

პირველი მუხლის თანახმად და საქართველოს ეკლესიის დროებითი მთავრობის პროექტით, საქართველოს ეკლესიის

შემადგენლობაში შედიოდა ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობა როგორც ძველი ქართული საკათალიკოსოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. რაც შეეხება საქართველოს ფარგლებში მყოფ აფხაზურ და ამიერკავკასიის ოს მრევლს, უფლება ჰქონდათ, სურვილის მიხედვით დაქვემდებარებოდნენ ქართულ ეკლესიას. ეს დებულება უცვლელად მიიღო ოზაკომმა (7.VII), რუსეთის დროებითმა მთავრობამ (25.VII) და უწმინდესმა სინოდმა.

მეორე მუხლით, დასაშვებად იყო მიჩნეული, რომ განსხვავებული ეროვნების სასულიერო პირს დაეკმაყოფილებინა მრევლის რელიგიური მოთხოვნები, თუ ისინი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, მაგრამ იქვე იკრძალებოდა ის შემთხვევა, რომ ამ საბაბით რომელიმე ეკლესიას ბოროტად ესარგებლა და მრევლი თავის საძწყსოში მიეთვალა. ასეთ შემთხვევაში, მთხოვნელს ეკრძალებოდა რელიგიური დახმარება მის მშობლიურ ენაზე მიეღო. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ქართული ეკლესიის ეს გადაწყვეტილება დასაშვებად მიიჩნია, ხოლო სინოდმა და ოზაკომმა უცვლელად დატოვა.

მესამე მუხლით - ქართული ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, ეს უკანასკნელი კი - სამრევლოებად, რომელთა რიცხობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება საჭიროებით: მოსახლეობის ზრდით, ან წამოჭრილი სირთულეებით. რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამ მუხლში დამატება შეიტანა, რაც ითვალისწინებდა იმას, რომ სამრევლო-ეპარქიათა რიცხვი უნდა დამტკიცებულიყო მთავრობის მიერ.

მეოთხე მუხლის თანახმად, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელია მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საქართველოს ეკლესიის წევრთა კრება პირდაპირი, ფარული, თანასწორი და საერთო კენჭისყრით.

მეხუთე მუხლით, კათალიკოს-პატრიარქს ირჩევენ სასულიერო და საერო პირები მაღალი თანამდებობებიდან; კურთხევამდე ის დასამტკიცებლად წარედგინება უმაღლეს

სახელმწიფო მთავრობას. ორივე ბოლო მუხლი უცვლელად იქნა დატოვებული რუსეთის მთავრობის მიერ. იგივე ბედი ეწია **მეექვსე მუხლსაც,** სადაც მოცემულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ძალაუფლება და, რომელიც გამოისატება: საეკლესიო-საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ-სასამართლო, სამეურნეო-ფინანსური, სასწავლო-სასულიერო, საეკლესიო-საღვთო და რელიგიურ-მნეობრივი ფუნქციებით. ყოველივე ეს სორციელდება შესატყვისი საეკლესიო დაწესებულებებით.

მეშვიდე მუხლით განმარტებულია, რომ კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციად მიჩნეულია ქ.თბილისი. ის საეკლესიო საკითხებში უთანხმდება ავტოკეფალურ ეკლესიებს და სახელმწიფოს მაღალ ინსტანციებს. რუსეთის დროებითი მთავრობის დამატებითი ნაწილი აღნიშნავს, რომ საეკლესიო საკითხებში დაკითხება ხდება ყველა ავტოკეფალურ ეკლესიებთან, რომლებიც არ არიან რუსეთის სახელმწიფოში და ეს ხორციელდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. მოცემულ მუხლში ნათლად ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას არ მოიაზრებს მისგან განშორებულად, რადგან მიაჩნია, რომ რუსეთს გარეთ მყოფ ავტოკეფალურ ეკლესიებთან არის შესაძლებელი საერთო საეკლესიო საკითხების განხილვა და არა რუსულთან, რადგან ქართულ და რუსულ საეკლესიო საკითხებს ისედაც ურთიერთშეთანხმებულად თელის.

მერვე და საქართველოს ეკლესიის პროექტით წარდგენილი **მეცხრე** მუხლები სინოდმა, ოზაკომმა და რუსეთის დროებითმა მთავრობამ დასაშვებად მიიჩნია. ამ მუხლებში განმარტებულია, რომ საქართველოს ეკლესია მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით თავად იმუშავებს მმართველობის სისტემას, რომელიც არ უნდა მოდიოდეს სახელმწიფო კანონებთან წინააღმდეგობაში. მას სახელმწიფოში, რუსული ეკლესიის მსგავსად, უკავია იურიდიული მდგომარეობა. განსაკუთრებული პოლემიკა გამოიწვია **მეათე პუნქტმა.** საქართველოს ეკლესიის

დროებითი მთავრობის პროექტში დაფიქსირდა, რომ საქართველოს საკათალიკოსომ უნდა მიიღოს სახსარი მისი საკლესიო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე საქართველოს საეგზარქოსოსაგან. საქართველოს ეკლესია, სახელმწიფო ხაზინაში თავისი ქონების გადაცემის გამო, უფლებამოსილია მიიღოს და დაკმაყოფილდეს ამ სახსრით, ისეთი ფორმით, რომელიც გამომუშავდება სახელმწიფო მთავრობასთან შეთანხმებით. უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, ეს საკითხი უნდა წარედგინოს დროებითი მთავრობის განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საეგზარქოსოსა და საკათალიკოსოსათვის ქონების განაწილების საკითხი, ანუ მოაგვაროს რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის საეკლესიო ქონების გაყოფის პრობლემა. ამის შემდგომ კი, ეს კანონპროექტი დასამტკიცებლად უნდა გადასცემოდა რუსეთის დროებით მთავრობას. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა ოზაკომმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის მიიჩნევდა საქართველოს ეკლესიის ქონების ღირებულების გათვალისწინებას კომისიის მიერ, რომელიც სახელმწიფო ხაზინას თავის დროზე გადაეცა. რაც შეეხება რუსეთის დროებით მთავრობას, მისი განმარტებით, სახელმწიფო ხაზინიდან სახსრის მიღების ნება ეძლეოდა კათალიკოს-პატრიარქს მხოლოდ სათანადო კანონის მიღების შემდგომ.

რაც შეეხება **მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე** მუხლებს, აქ საქართველოს ეკლესიის დროებითი მთავრობის დებულებებით გათვალისწინებული პუნქტები უცვლელად იქნა მიღებული. მათში აღინიშნებოდა, რომ ქართული ეკლესიის ხარჯთაღრიცხვის წარდგენა ეევალებოდა კათალიკოს-პატრიარქს; საქართველოს ეკლესია სახელმწიფოში იურიდიული პირია და ფლობს კანონით დადგენილ უძრავ-მოძრავ ქონებას; საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფილი, ქართული ეკლესიისათვის განკუთვნილი წილი გადადის მის მფლობელობაში; საქართველოს ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებში ვრცელდება სახელმწიფო

სასწავლებლების კანონები, მსგავსად იმ უფლებებისა, რომლებიც წაეყენებული აქვს რუსული ეკლესიების სასულიერო სასწავლებლებს.

და ბოლო, **მეთოთხმეტე მუხლის** მიხედვით, საქართველოს საკათალიკოსოს შიდა საკანცელარიო საქმეთწარმოება და სასულიერო სასწავლებლებში სწავლება წარმოებს ქართულ ენაზე. უწმინდესი სინოდის დადგენილებით, საქართველოს ეკლესიის რუსულ სახელმწიფოში უფლებების კანონმდებლობას დაემატა კიდევ ორი მუხლი. აქედან **მეთხუთმეტე** განსაზღვრავს, რომ საქართველოს ეკლესიის დაწესებულებათა მიერ რუსული ენის გამოყენება განისაზღვრება საერთო კანონით სახელმწიფო ენის შესახებ, ხოლო **მეთექვსმეტე მუხლით**, საქართველოს ეკლესიის მიერ მეტრიკაცია და გაყრის პროცესის უფლება რეგულირდება რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ. უწმინდესი სინოდის ამ გადაწყვეტილებას რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაუმატა განმარტება, რომ საქართველოს ეკლესია საქორწინო საქმეებს განაგებს რუსეთის სახელმწიფოს საერთო კანონებით (34, 36-37).

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წესების დადგინებისთანავე, რუსეთის დროებითი მთავრობის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა დეპარტამენტის მინისტრმა ა.კარტაშევმა მაშინვე აცნობა კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარეს:

"Вследствие отношения от 22.VII за N6675, имею честь уведомить Вас, что постановлением Временного правительства от 25.VII с.г. утверждены и распубликованы «Временныя правила о положении грузинской православной церкви в Русском государстве».

Министерство исповеданий, департамент по делам православной церкви, Министр А.Карташев. 23.VIII.1917г."(212, 112).

რუსეთის დროებითი მთავრობის ანტიეროვნულ, არაობიექტურ გადაწყვეტილებას ქართულმა ეკლესიამ და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობამ მტკიცე პროტესტი გამოუცხადა. დროებითი მთავრობისა და რუსეთის სინოდის წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ქართული ეკლესიის საშინაო ცხოვრების მოწესრიგებას, სანგრძლივი "ტყვეობის" გამო შერყვნილ-გადაგვარებული ეროვნული საეკლესიო წესების აღდგენა-დადგინებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, კათალიკოს-პატრიარქის არჩევას, რომელიც ერის სულიერ ცხოვრებას წარუძღვებოდა. ასლადაღდგენილი ავტოკეფალიის პოზიციების განმტკიცებისათვის, ქართული ეკლესიის დღის წესრიგში დადგა საეკლესიო კრების დაუყოვნებლივ მოწვევა, რომლის წინასწარი თათბირი შესდგა 1917 წლის 12 აგვისტოს, თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის შენობაში (58, N18,2). თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს ეპარქიათა აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები 60 დელეგატის შემადგენლობით. თათბირზე განიხილეს საეკლესიო კრებაზე გასარჩევი საკითხები (58, N25,3).

1917 წლის აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე, სრულიად საქართველოში საეკლესიო კრებაზე გასაგზავნი დელეგატების საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული ხმის მიცემითი არჩევნები მოეწყო. თითოეულ საეკლესიო ოლქს ოთხი დელეგატი უნდა აერჩია: მღვდელი, დიაკვანი, ან მედავითნე და ორიც საერო პირი. დელეგატად არჩევის პრინციპი არ ვრცელდებოდა ეპისკოპოსსა და მონასტრების წინამძღვრებზე. დელეგატებად შეირჩნენ: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე); ეპისკოპოსები: პიროს ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე, გიორგი ალადაშვილი; არქიმანდრიტები, ბერ-მონაზვნები და საერონი. კრებას თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ლეონიდი. პრეზიდიუმს განაგებდა სამი წევრი: გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კედია.

საეკლესიო კრებამ რამდენიმე საკითხი განიხილა: უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ა.კარდაშევის წერილზე პასუხი, აფხაზეთის ეკლესიისა და სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის მოწყობის საკითხი (12, 182).

კრებაზე ცხარე პოლემიკა გამოიწვია ობერ-პროკურორის ა.კარდაშევის ტელეგრამამ, რომელშიც ავტოკეფალიის მილოცვას თან ახლდა მუქარა-საყვედური ქართველების მისამართით, რომლებიც რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობისადმი "უპატიეცემლობას" აელენდნენ. ა.კარდაშევი ქართველებს თვითნებურ საქციელში სდებდა ბრალს და აფრთხილებდა მოსალოდნელ დაპირისპირებაზე, რომელიც ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის ქონების განაწილების გამო მოხდებოდა. შეურაცხმყოფელ წერილზე პასუხის გაცემა კრებამ პრეზიდიუმის წევრებს დააკისრა, სადაც უნდა მეცნიერულად დასაბუთებულიყო საქართველოს ეკლესიის ყველა უფლება.

კრების ერთ-ერთ სერიოზულ საკითხს წარმოადგენდა აფხაზეთის ეპარქიის პრობლემა. დელეგატებმა სრულიად საქართველოს მიულოცეს სოხუმის ეპარქიის შენარჩუნება. სოხუმის დელეგატმა ანჩაბაძემ და სამურზაყანოს დელეგატმა ჩქოტუამ კრების წევრებს მიულოცეს ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ერთობის აღდგენა (54, N200,2).

საეკლესიო კრებამ განიხილა სასულიერო სასწავლებლების საკითხიც. გადაწყდა მათი უზრუნველყოფა-მოწყობისათვის შექმნილიყო საგანმანათლებლო პრობლემათა მოგვარების საგანგებო კომისია (58, N51,4).

კრებაზე აქტიური მუშაობა გაჩაღდა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის არჩევისათვის. 17 სექტემბერს საამისო კანდიდატებად დასახელდნენ: ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) და თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი. არჩევნებში მონაწილეობდა 440 დელეგატი. არჩევნები წარიმართა ფარული კენჭისყრით. ლეონიდმა მიიღო 230 დადებითი და 218 უარყოფითი ხმა, კირიონმა კი - 241 დადებითი და 206 უარყოფითი, 11 ხმით

მეტი, რისათვისაც ის აირჩიეს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრად (54, N205,3). ეპისკოპოსებად არჩეულ იქნენ: ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე - ამბროსი ხელაია, ურბნისის საეპარქიო კათედრაზე - ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე და ალავერდის საეპარქიო კათედრაზე - ეპისკოპოსი პიროს ოქროპირიძე (11, 241).

ახლადარჩეულ კათალიკოს-პატრიარქს მოგვიანებით პირველი ლეონიდი მიესალმა: "მე მიორკეცდება ძალღონე, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ, მთელი ჩემი ღირსებით დაგეხმაროთ ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში" (64,2,), ხოლო დეკანოზმა ნიკოლოზ თალაკვაძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა კრების მონაწილეთ მთელი ერის გასაგონად: "... პატრონი და ჭირისუფალი გამოვუნახეთ სვეტიცხოველს, ჩვენ დედასვეტი - ცხოველს, რომ ამ პატრონმა თავის მამობრივი ფრთათა ქვეშე შეგვკრიბოს ყველანი და გვამსახუროს მშობელ ერს, მის ზნეობრივ აღზრდა-განვითარებას, გაფაქიზებას, საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას და ეროვნულ წარმატებას..." (51,2).

ახლადარჩეული კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საეკლესიო კრებას, მაგრამ ქართველ სამღვდელოთა შეკრებას საგანგებო გუჯარით მიმართა, რომელიც ყრილობაზე ნიკ.თალაკვაძემ წაიკითხა: "... ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისაღმპყრობელ მისი. ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოისა, სანაპიროსა თავისასა გარდმოხეთქილი, და ტანჯვას უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და თქვენ, რჩეულნო იეერიისანნო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და დღისა ვარამისა განმსჭვერეტელობა განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატიანესა შინა

კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა" (57, 11). ამ ისტორიული გუჯარით ბრძენი მწყემსმთავარი კარგად ჭვრეტდა არათუ საქართველოს იმქამინდელ საშინაო მძიმე ვითარებას, არამედ რუსეთის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობასაც. მას კარგად უწყოდა ახალი რუსეთის ბრახეანი და ოიავის ერს გაფრთხილებითა და მოწოდებით უსასავდა სამომავლო გეგმას, სთხოვდა მას სიფრთხილესა და მოუწოდებდა გონიერებისკენ, რადგან იცოდა, რომ ქართული ეკლესიისა და ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, რომ ქვეყანას არაერთი განსაცდელი ელოდა ჭეშმარიტი თავისუფლების მოპოვების გაბაბე.

სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა დიდი სიხარულით შეხვდა თავისი მრავალტანჯული ეკლესიის გამოხსნას. მთელი საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა ერთიანად დარაზმული იღწვოდა ამ ისტორიული მოვლენის აღსრულებისათვის და მათი ზეიმიც ერთსულოვანი იყო. განსაკუთრებულ აღფრთოვანებას ეს ფაქტი იწვევდა ქართველ ინტელიგენციაში, რადგან ის წლების მანძილზე მსარში ედგა სამღვდელოებას ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე შენიშნავდა: "ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, ეკლესიის გარდაქმნა შიგნიდან უნდა მოხდეს, უნდა გამოინახოს ძველი საფუძველი, ხელახლა აღდგეს კრებულობა.

ამ შინაგან გარდაქმნისათვის მეტი ბრძოლა და სიმტკიცეა საჭირო, ვინემ სინოდის ჩამოშორებისათვის და ამის შესრულებაზეა დამოკიდებული ქართული ეკლესიის ბედი" (54, N198,3).

საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას. ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი რაფიელ ინგილო (ივანიცკი) წერდა: "…. კათალიკოს-პატრიარქის არჩევა ეგზომ ხნის უცხოთა ბატონობის შემდეგ, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან

ეროვნულ-პოლიტიკურ აქტად, რომელიც ძირიანად შეცვლის ეკლესიური ცხოვრების ყოფა-ცხოვრებას და, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ყოველგვარად ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გაღვივებას და გაფართოვებას.

ამ საერთო ეროვნულ თვალსაზრისითაც, საქართველოს აღდგენის განთიადს შეკრებილი საეკლესიო ყრილობა წარმოადგენს ჩვენს ფრიად საგულისხმო მოვლენას! მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოექცეს ქართველი საზოგადოება და წრფელი გულით უსურვოს, კეთილად დააგვირგვინოს დიდი ეროვნული საქმე" (54, N198,3).

სრულიად ქართველი საზოგადოება იმედოვნებდა, რომ გააერთიანებდა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს ეკლესიის განთავისუფლების ფაქტი: "...დე, დღევანდელმა დღემ შეგვაძლებინოს საფიცრის დაღება, რომ უმჯობეს იქნება ჩვენი მშობელი სინოდის დანგრევა, ვიდრე მის თაღთა ქვეშ როდესმე მაინც უცხო საგალობლის გაგონება..." - აღნიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წევრი დავით კასრაძე (54, N198,2).

საქართველოს ეკლესიის გულშემატკივრებს შორის, მის განთავისუფლებას ერთ-ერთი პირველი ნიკოლოზ დურნოვო გამოეხმაურა, რომელმაც თბილელ მიტროპოლიტს ლეონიდს, შემდეგი სიტყვებით მიმართა: "... ეხლა საქართველოს, რომელმაც შემოიკრიბა თავისი შვილები, ჰმართებს აღადგინოს პოლიტიკური ავტონომიაც ქართველი ეროვნების საზღვრებში, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა, ქართველებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მათი ქვეყანა ათეისტური კი არაა, არამედ მართლმადიდებელი..... რუსეთის ერთა შორის, ყველაზე მეტი უფლება აქვს მიიღოს სრული თავისუფლება, ვინაიდან საქართველო დამორჩილებული კი არაა, არამედ ნებსით შეერთებული.... საქართველოს უფლება აქვს მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა ისე, როგორც ამას უმჯობესად და თავის ქვეყნის სასარგებლოდ დაინახავს.... არც ერთ ხალხს, რაც გინდა დიდი

იყოს იგი, არა აქვს უფლება, შეახოს ხელი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს, როგორც არც ერთს ეკლესიას უფლება არ აქვს, თავისი საკურთხეველნი ააგოს საქართველოს ეკლესიის საზღვრებში" (13, 21-22).

(1917 წლის სექტემბრის ზემოაღნიშნული მოვლენებით დასრულდა საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. ამ დროიდან, საქართველოს ეკლესია ბრძოლის ახალ განზომილებაში ინაცვლებს. ის უპირისპირდება რუსეთის სინოდისა და საერო ხელისუფლების მეცადინეობას ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში რუსული ეკლესიის დაარსებაზე; პარალელურად იღწვის დაკარგული ქონების დაბრუნებისათვის.) ამ, და სხვა მოვლენების განხილვა მომდევნო თავებშია გამიზნული.

კარი მეორე
კავკასიის საეგზარქოსო (1917-1919 წწ.)

თავი პირველი - კავკასიის საეგზარქოსოს დაარსების მიზანი და მისი ისტორია

[რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა თავისი ხასიათით კონტრრევოლუციური იყო. მის ინტერესებში არ შედიოდა ყოფილი თვითმპყრობელური იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხთა ეროვნული თავისუფლების მინიჭება. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, რუსეთის ბურჟუაზიული დიქტატურა მაქსიმალურად ცდილობდა თავისი ძალაუფლების ახლებური მეთოდ-ხერხების გამოყენებას კავკასიის შენარჩუნებისათვის, რაც მთელი სიმძაფრით საქართველოსთან მიმართებაშიც ვლინდებოდა - "რუსეთის დროებით მთავრობას არაფერი გაუკეთებია ეროვნული საკითხის გადასაჭრელად. იგი კელავ იცავდა "ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" ცარიზმისდროინდელ პრინციპებს" (1, 205).

ამიერკავკასიაზე ზედამხედველობისათვის რუსეთის დროებითმა მთავრობამ მართვა-გამგეობის საგანგებო ორგანო შექმნა - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიც ძირითადად რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები შედიოდნენ. ოზაკომი ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი იყო ამ რეგიონში. ის უშუალოდ დროებით მთავრობას ექვემდებარებოდა და მისი პოლიტიკის გამტარებელი ადგილობრივი ორგანო იყო. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ მას დროებით, სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბებამდე კავკასიაში, ცარიზმისდროინდელი მეფისნაცვლობის ინსტიტუტის ფუნქცია ეკისრებოდა.]

ამიერკავკასიაზე ძალაუფლების შენარჩუნებისათვის,

რუსეთის დროებითმა ხელისუფლებამ ოზაკომს რეგიონის მართვის ასლებური სისტემის შექმნა დაავალა. მენშევიკური პარტიის გაზეთ "ერთობის" კორესპონდენტი აშკარად ამხელდა ოზაკომის ვერაგულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და აღნიშნავდა: "ოზაკომმა არათუ ხელუხლებელი დატოვა მეფისდროინდელი დაწესებულებები, არამედ ძველ ბიუროკრატიულ მექანიზმს კიდევ ახალი დაუმატა და საქმე არივ-დარია. იმის მაგიერ, რომ განეხორციელებინათ ფართო ერთობა, შექმნეს აღმასრულებელი კომიტეტები. ყველა ესენი სუროგატები იყვნენ დროებითი ხასიათისა" (50, 2).

დროებითი ხელისუფლების სურვილისამებრ, ოზაკომის მმართველობის პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ცარიზმის მიერ დაკანონებული, ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი უცვლელად მოქმედებდა. კერძოდ: კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია, კავკასიის სასწავლო კომისარიატი, საქართველოს საეგზარქოსო და სხვა დაწესებულებანი, რომელთა მოხელენიც, არცთუ დიდი ხნის წინ, მეფის რუსეთის შესატყვისი პოლიტიკის აღმსრულებელნი იყვნენ. ისინი ხელუხლებელნი დარჩნენ და პირდაპირ გადავიდნენ ოზაკომის სამსახურში და ერთი, რაც მათ განასხვავებდა წინა ხელისუფლების ჩინოვნიკებისაგან იყო მხოლოდ გარეგნული "გადემოკრატიულობა". რაც შეეხება ცარიზმისდროინდელ ინსტიტუტებს, მათი შინაარსი, მიზან-დანიშნულება და ინტერესები არაფრით განსხვავდებოდა დემოკრატიული რუსეთის მისწრაფებებისაგან. როგორც აღინიშნა, მათ იწყეს ახლებური მმართველობის მეთოდ-ხერხების შემუშავება და შეიცვალეს სახელწოდება. მაგალითად, კაკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას ეწოდა ოზაკომის კანცელარია, საქართველოს საეგზარქოსოს - კავკასიის საეგზარქოსო და ა.შ. - "...ცარიზმის მთელი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი ნაციონალურ რაიონებში სრულიად ხელუხლებლად დატოვეს. სახელმწიფო ენას წინანდებურად რუსული ენა წარმოადგენდა. რუსული ეკლესია ისევ პირველობდა" (17,

145). ყოველივე ნათელჰყოფს, რომ თვითმპყრობელობის დამხობას განაპირა მხარეებში შედეგად ამ ხალხების ეროვნული თავისუფლება კი არ მოჰყოლია, არამედ ეროვნული ჩაგვრის ძველი, უსეში მეთოდები შეიცვალა ახალი, მოქნილი, უფრო დახვეწილი, მაგრამ ვერაგული ფორმებით.

ქართველი საზოგადოებისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკის ფონზე შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული თავისუფლების მოპოვება, რამაც ქართველი საზოგადოების ყველა ფენის აქტიური ამოქმედება გამოიწვია.

ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა მოიცავდა მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განახლებისათვის უწყვეტ მუშაობას. ასეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს ეროვნული ეკლესიის თავისუფლებაც წარმოადგენდა, რომელიც მართალია, იბრუნებს ბრძოლით ავტოკეფალიას, მაგრამ მისი აღიარება-დამკვიდრებისათვის ბრძოლის გზაზე შექმნილი სირთულეები კიდევ უფრო ამძიმებს დროებითი მთავრობის პოლიტიკას საქართველოში და ამ უკანასკნელის ბრძოლას ეროვნული ეკლესიის რეალური განთავისუფლების წინააღმდეგ. ახალი რუსეთის შოვინისტურ ინტერესებში აბსოლუტურად არ შედიოდა ეროვნული ეკლესიის რეალური თავისუფლება, რადგან ის ეროვნული თვითშეგნების გამღვივებელი იყო ხალხში და მათი რუსეთის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ წარმმართველი.

თვითმპყრობელური რუსეთის მსგავსად, დროებითი ბურჟუაზიული რუსეთის კავკასიაში საძირკვლის გამყარებისა და იქ ძლიერად ფეხის მოკიდებისათვის, უდიდეს იმედებს რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე ამყარებს, რომელსაც ყველანაირ დახმარებას უწევს კავკასიასა და საქართველოში ავტორიტეტის მოპოვებისათვის. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ახალ რუსეთს სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერთგულად ემსახურება.

დროებითი მთავრობა კარგად ხედავს ცარიზმის პოლიტიკით შექმნილ დაძაბულ ვითარებას საქართველოში. ისიც კარგად უწყის, რომ იმ ეტაპზე საჭიროება ითხოვს კომპრომისული პოლიტიკის გატარებასაც, ისე, რომ რუსეთის ინტერესები არ დაზარალდეს. საეკლესიო მმართველობასთან მიმართებაში დროებითი ხელისუფლება ასალ გზებს ეძიებს, რომელმაც ერთდროულად რამდენიმე საქმე უნდა გააკეთოს: დააკმაყოფილოს რუსული ეკლესიის მისწრაფებანი კავკასიაში მთავრობისადმი ერთგული სამსახურის გამო და რუსი მრევლისადმი ზრუნვის საბაბით, შექმნას ამ რეგიონში ისეთი სასულიერო ინსტიტუტი, რომელიც ბურჟუაზიული რუსეთის პოლიტიკის იდეოლოგიური საყრდენი და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა. ასეთი საეკლესიო ორგანიზაცია არაფრით უნდა განსხვავებულიყო თავისი შინაარსითა და დანიშნულებით საქართველოს საეგზარქოსოსაგან. სხვა დაწესებულებათა მსგავსად, ის მხოლოდ სახეს იცვლიდა და ეწოდებოდა კავკასიის საეგზარქოსო, ხოლო პირველ ეტაპზე მისი იურისდიქცია მხოლოდ არაქართველი მრევლით შემოიფარგლებოდა. ეს იყო რუსეთის ბურჟუაზიული ხელისუფლების კავკასიაზე ბატონობისათვის პროგრამა-მინიმუმი, იმდენად, რამდენადაც ჯერ ამ ხელისუფლებას მხოლოდ დროებითობის სტატუსი გააჩნდა. რაც შეეხება მის პროგრამა-მაქსიმუმს, ძალაუფლების გამყარებისთანავე, რუსული ეკლესიის კავკასიაში ბატონობა აბსოლუტიზმით უნდა განსაზღვრულიყო.

საქართველოს რუსული ეკლესიიდან გამოცალკევებისთანავე, ანუ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღიდან, რუსეთის ახალი იმპერიისათვის საქართველო და განსაკუთრებით, მისი საეკლესიო ცხოვრება დაუმორჩილებელი გახდა. ამ მიმართულებით, ფაქტიურად, რუსეთის აზრით საქართველო ანარქიამ მოიცვა (34, 14).

ყოველივეს ისიც ემატებოდა, რომ თავად რუსეთის დროებით ხელისუფლებაში უწმინდეს სინოდს თავისი

პოზიცია-მდგომარეობა უნდა გაერკვია და გაემყარებინა, ამიტომ მას ჯერ საქართველოსათვის მოცლა არ ჰქონდა. ამასთან, მოიშალა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მის მუშაობაში ქართველი სამღვდელოება საერთოდ აღარ მონაწილეობდა. მით უფრო, რომ კანტორის მუშაკთა სოლიდური ნაწილი ქართველი ეროვნებისანნი იყვნენ. ფაქტი იყო, რომ ქართველი სასულიერო ფენა აღარ სცნობდა კანტორას და მის მუშაობას და მას დაუსწრებლობით უცხადებდა პროტესტს. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ ავტოკეფალიის საკითხის გვერდით, გამწვავდა ეროვნული პრობლემაც. ამ მიმართულებით მღელვარებებმა მოიცვა მთელი საქართველო, ეროვნული ეკლესიისა და სახელმწიფოებრიობის პოზიციები კიდევ უფრო გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რაც რუსეთის დროებით ხელისუფლებისათვის სერიოზულ საშიშროებას ჰქმნიდა საქართველოში ბატონობისათვის. რაც შეეხება რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კავკასიის სასულიერო ორგანოს - საქართველოს საეგზარქოსოს და მის ხელმძღვანელს, უკიდურესად მძიმე დრო დაუდგათ, მათი მდგომარეობა ტრაგიკული გახდა.

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება დამოუკიდებელი ძალებით ვერ ახერხებდა ქვეყანაში სიმშვიდის დამყარებას და რუსული ძალაუფლების კავკასიაში გადარჩენისათვის სისტემატიურად მიმართავდა რუსეთის სასულიერო და საერო ცენტრებს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი დროებით დუმილს ამჯობინებდნენ და გულისყურით ადევნებდნენ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ცენტრის ასეთი ქმედებით აღშფოთებული საეგზარქოსოს ხელმძღვანელობა თავისი უფლებების დაკარგვას საქართველოსა და კავკასიაში უწმინდესი სინოდის უნიათო პოლიტიკას აბრალებდა: "...უწმინდეს სინოდს რომ თავის დროზე თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა კავკასიის საეკლესიო ცხოვრებაზე და ამასთან დაკავშირებით გაეტარებინა შესატყვისი ღონისძიებები და მხოლოდ დროებითი მთავრობა

არ დაეყენებინა პირისპირ ამ ანტიკანონიკური მოვლენების წინაშე, მაშინ თავიდან აიცილებდა უსიამოვნო შედეგებს. მორწმუნე ქართველი ხალხი არ აჰყვებოდა საეკლესიო ამბოხის მოთავეებს. ისტორია თავის დროზე გამოავლენს უწმინდესი სინოდის დუმილში დამნაშავეებს..." - აცხადებდა საეგზარქოსოს ხელისუფლება (34, 27).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემის წინაშე მარტო დარჩენილმა რუსმა სამღვდელოებამ თავად დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა და საამისო გზების ძიება. თბილისის სამხედრო სამღვდელოების ინიციატორობით, 1917 წლის 19 მარტს გადაწყდა, რომ 22 მარტისათვის მოეწვიათ ქ.თბილისის რუსული სამრევლოებისა და სამხედრო სამღვდელოების საერთო კრება. კრების მსველობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სამრევლოთა და სასულიერო სასწავლებლების წარმომადგენლებსაც. მათი დანიშნულება იყო ქართული ავტოკეფალური ეკლესიისადმი თავიანთი პოზიციის გამოხატვა. კრება გაიმართა 22 მარტს, თბილისის ალექსანდრე ნეველის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში. კრების წევრებმა ერთხმად დაადგინეს, თბილისში შეექმნათ რუსი სამღვდელოებისა და მრევლის, საეგზარქოსოს დაწესებულებათა წარმომადგენლობის კავშირი, რომლის ხელმძღვანელობასაც გასწევდა საქართველოს ეგზარქოსი პლატონი. მან კრებას 12 მარტის მოვლენები და უწმინდესი სინოდის ამ ფაქტისადმი დუმილი გააცნო, რის გამოც, ის უფლებამოსილი იყო, თავად მიეღო ზოგიერთი გადაწყვეტილება. კრებამ მსჯელობის შედეგად დაადგინა:

1).შეენარჩუნებინათ რუსული ეკლესიის არსებობა-დამოუკიდებლობა ამიერკავკასიაში უწმინდესი სინოდის განკარგულებაში ყოფნით;

2).კავკასიის დროებით მთავრობასთან მოცემული მოვლენების გარკვევისათვის და ამიერკავკასიაში რუსული საეკლესიო ორგანიზაციის საკითხთა განხილვის მიზნით, შექმნილიყო რუსი სამღვდელოებისა და მრევლის აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტს უხელმძღვანელებდა

ეგზარქოსი პლატონი, ხოლო მისი წევრები 12 სასულიერო და საერო პირისა და სამი მდივნისაგან შედგებოდა.

ამავე საეკლესიო კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამიერკავკასიის ყველა იმ ეკლესიაში, რომლის მრევლი ძირითადად არაქართველი ეროვნებისანნი იყვნენ, უნდა დაქვემდებარებოდა სამომავლოდ დაარსებულ კავკასიის საეგზარქოსოს, ხოლო ეს უკანასკნელი კი, უწმინდესი სინოდის იურისდიქციას (191, 43).

კომისიის შემდგომი შეკრება მოეწყო 25 მაისს, სადაც უკვე განიხილეს ამიერკავკასიის საეკლესიო ცენტრის შექმნის საკითხი და მისი ორგანიზაციის მოწყობისათვის შექმნეს სასულიერო პირთა ჯგუფი: მღვდელ ელადიმერ ივანიცკის, საერო პირის - მიხეილ ზაგოვალკოს და საეკლესიო-სამრევლო ძმობის წევრის მიხეილ ანდრეევის შემადგენლობით (191, 1).

მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს ეგზარქოსმა ჯერ 27 მარტს კავკასიის დროებითი მთავრობის კომისარს ვ.ა.ხარლამოვს აცნობა, რომელმაც რუსული სამღვდელო პირთა კომიტეტის არსებობა უფლებამოსილად სცნო, ხოლო 24 მარტს კი ტელეგრამა გაუგზავნა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს, რასაც, როგორც უკვე ზეით აღვნიშნეთ, რეაგირება არ მოჰყოლია.

ნიშანდობლივია, რომ საეგზარქოსოდან გაგზავნილ ინფორმაციას დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ვ.ლვოვი იღებდა, რომლის მიზეზითაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად უწმინდეს სინოდს არ გადაეცემა. ამ ფაქტს შესაძლებელია მოეძებნოს ახსნა, რომ დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა ქართული ეკლესიის საკითხის გადაჭრას. ის მოვლენებს აკვირდებოდა და ხელისუფლებაში საამისო გადაწყვეტილების გზას ეძიებდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საერო ხელისუფლება უწმინდეს სინოდთან ურთიერთობის ფორმებს არკვევდა, რომლის მიღების შემდგომაც ერთობლივი ძალისხმევით ქართული ეკლესიის პრობლემას მიუბრუნდებოდა. როგორც

სათანადო წყაროები გვამცნობენ, თავად დროებითი მთავრობის შემადგენლობაშიც დაპირისპირება იყო უწმინდეს სინოდთან თანამშრომლობის საკითხზე და, როდესაც ერთ-ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ მიუთითა ვ.ნ.ლვოვს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მოსმენის შესახებ უწმინდეს სინოდში, მან შემდეგი განაცხადა: "…. ეს უწმინდეს სინოდს არ ეხება, მე მას ამ საქმეს ახლოს არ გავაკარებ…" (34,16). ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

საქართველოს რუსი სამღვდელოებისა და მისი მრევლის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სისტემატიურად შუქდებოდა კავკასიის ქართულ და რუსულენოვან პერიოდიკაში. გაზეთმა "საქართველომ" სრული ფორმით გადმოსცა რუსი სამღვდელოების კრებაზე მიღებული წერილის შინაარსი, რომლის ადრესატიც უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორი იყო: "…საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას უკვე შესრულებულ ფაქტად ვაღიარებთ, ამასთან ერთად ჩვენთვის შეუძლებლად მიგვაჩნია, შევიდეთ საქართველოს საკათალიკოსოში და ამიტომ უწმინდეს სინოდსა ვთხოვთ, დააარსოს **ამიერკავკასიის საეგზარქოსო** (ხაზგასმა ჩვენია - ქ.პ.), რომელიც ხსენებულ სინოდს უნდა ემორჩილებოდეს. ამ საეგზარქოსოში უნდა შევიდეს ყველა რუსული მრევლი, აგრეთვე მართლმადიდებელნი სხვა ეროვნებათა, თუკი ისინი ამას მოისურვებენ" (54, N71,3).

საქართველოში რუსეთის ეკლესიის დროებითმა კომიტეტმა 25 მაისს ქ.თბილისში მოიწვია ამიერკავკასიის საეკლესიო ყრილობა, სადაც ქალაქის რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების საძმოს ცენტრალურმა საბჭომ გამოკვეთა მათი საეკლესიო მოღვაწეობის მიმართულება: ყველა რუსული სამრევლოს საბჭოს გაერთიანება და მათი დაქვემდებარება თბილისის ცენტრალურ საბჭოზე. ამ უკანასკნელის ფუნქცია გახდა საეკლესიო-საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი წყობის

მოწყობა, რუსული ეკლესიის უფლებრივი და მატერიალური ინტერესების დაცვა ამიერკავკასიაში, რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობის დამოკიდებულების მოწესრიგება სახელმწიფოსთან და რაც მთავარია, მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვა სხვა რელიგიებისა და სექტანტური მიმართულებებისაგან.

ქ.თბილისის ცენტრალური საბჭოს შემადგენლობაში შევიდა ყველა რუსული ეპარქიის საბჭოდან ოთხი წევრი: მოძღვარი მისი მდგომარეობის გათვალისწინებით და სამი წევრი არჩევითი პრინციპით. საბჭოს გამოეყო თავმჯდომარე, ორი მოადგილე და ორიც - მდივანი. საეკლესიო საკითხთა განხილვისათვის შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით. საპატიო წევრად არჩეულ იქნა კავკასიის ეგზარქოსი (221,2).

1917 წლის მეორე ნახევარში, რუსეთში გამოიკვეთა საერო და სასულიერო ხელისუფლების საერთო რუსული ინტერესებისათვის თანამშრომლობის ფორმები, რომლებიც არაფრით განსხვავდებოდა ძველი იმპერიული პრინციპებისაგან. უწმინდესმა სინოდმა ითავა ახალი რუსული პოლიტიკის გატარების იდეოლოგიური ფუნქცია, ისე, რომ დროებით დასთმო თავისი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ამის შემდგომ, ხანგრძლივი დროით გადაიდო პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტის აღდგენის იდეის შესაძლებლობისა და ფაქტის განხორციელება. რუსულმა ბიუროკრატიულმა მმართველობამ და უწმინდესმა სინოდმა საერთო ენა კვლავ გამონახეს და ერთობლივი ძალით დაიწყეს განაპირა მსარეთა შენარჩუნებისათვის ბრძოლა. მხოლოდ ამის შემდგომ მოიცალა რუსეთის დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისათვის და ის განსახილველად, თავისი ინტერესების გათვალისწინებით, გადასცა უწმინდეს სინოდს. მათ, ერთობლივი ძალებით, 1917 წლის 10 ივლისის N4423-ის დადგენილებით (34, 28), შეიმუშავეს ამიერკავკასიაში რუსული ეკლესიისათვის დროებითი წესები, რომლებიც

ვრცელდებოდა: თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისისა და შავიზღვისპირეთის გუბერნიებზე; ყარსის, ბათუმის, იმიერკასპიისპირეთის, ართვინის, ზაქათალისა და სოხუმის ოლქებზე. უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით:

1). კავკასიის რუსულ საეგზარქოსოში უნდა შესულიყო რუსი მრეველი და სხვა არაქართველი მოსახლეობა სურვილის მისედვით;

2). კავკასიის საეგზარქოსოს საკათედრო რეზიდენციად დადგინდა თბილისი;

3). კავკასიის ეგზარქოსს ეწოდა თბილისის მიტროპოლიტი და კავკასიის ეგზარქოსი;

4). საეგზარქოსო უნდა დაყოფილიყო ეპარქიებად, რომლებსაც უნდა მართავდნენ ეპისკოპოსები კავკასიის ეგზარქოსთან დაქვემდებარებით;

5). კავკასიის საეგზარქოსოს უნდა ემართნა სასამართლო - ადმინისტრაციული და საეკლესიო - საგანმანათლებლო დაწესებულებებით.

უწმინდესი სინოდის ყველა ზემოჩამოთვლილი დადგენილება უპირობოდ დაამტკიცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ, რომელიც საქართველოს ეგზარქოსს სპეციალური დადგენილების სახით მიეწოდა 11 ივლისს (133, 1; 151,1).

რუსეთის დროებითი მთავრობის ინტერესები მხოლოდ საქართველოს ეკლესიის საკითხით არ შემოიფარგლებოდა. მისი პოლიტიკური ბრახვები ამიერკავკასიის არაქრისტიანი ხალხების მომავალ ბედზეც ვრცელდებოდა. მთავრობა ისწრაფოდა ამიერკავკასიაში შეექმნა ისეთი რელიგიური პოლიტიკა, რომელიც იქაურ მოსახლეობას ახალი რუსეთის სანდო ელემენტად ჩამოაყალიბებდა. ამასთან, ქართული ეკლესიისადმი გამოვლენილი აგრესიის შესანიღბად დროებითი ხელისუფლება ცდილობდა მუსულმანი მოსახლეობისათვის ისეთი სულიერი ორგანოს შექმნას, რომელიც მორწმუნეებში იმპერიის ავტორიტეტს აამაღლებდა და მის სამსახურში ჩააყენებდა. ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის

მთავრობა სათანადო დავალებებს აძლევდა ამიერკავკასიის კომიტეტის ხელისუფლებას. ეს უკანასკნელი კი საამისოდ ენერგიას არ იშურებდა. 1917 წლის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ ნაწილობრივ თავი გაართვა რუსეთის დროებითი მთავრობის დავალებას და მას ტელეგრაფით შემდეგი უპატაკა:

«Министру, Председателю Князью Львову, Председателью государственной Думы Родзянко. Закавказскому комитету представлялась депутация грузинского духовенства во главе епископом гурийско-менгрелским, преосвященным Леонидом. Члены закавказского комитета указали, что правительство спешно вырабатывает общие положения церковного устрйства для всех национальных церквей на началах провозглашенной Временным Правительством свободы совести. Также принимаем Закавказский Муфтий и Закавказский Шейхь-уль-исламь, чтобы удовлетворить запросы Мусульманского духовенства. С нашей стороны переговоры идет успешно.

Члены Закавказского комитета.» (218,1).

1917 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან, საქართველოში მდგომარეობა დაიძაბა, გართულებულ შიდაპოლიტიკურ და რუსეთთან დაპირისპირებულ ეითარებას დაერთო ეკლესიის საკითხის დამძიმებაც. როგორც უკვე აღინიშნა, სექტემბერში საქართველოს ეკლესიის დროებითმა ხელმძღვანელობამ იგნორირება გაუკეთა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შედგენილ დროებით წესებს საქართველოს ეკლესიის უფლებებზე რუსეთის სახელმწიფოში და წარმატებით ჩაატარა კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები. ეს ფაქტი აშკარა დაპირისპირებაზე მეტყველებდა რუსული და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიებისა.

რუსეთის დროებით ხელისუფლებასა და უწმინდეს სინოდში დაიწყო აქტიური მსჯელობა ქართული ეკლესიის თვითნებობაზე და ამიერკავკასიაში რუსული ეკლესიის ოფიციალური ორგანიზაციის მოწყობის თაობაზე. ერთობლივი გადაწყვეტილებით, ქართველ სამღვდელოებას საერთოდ აეკრძალა ამიერკავკასიის რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების ეკლესიურ ცხოვრებაში ჩარევა - მონაწილეობის მიღება. რუსეთის ხელისუფალნი ამ გადაწყვეტილების მიზეზად ასახელებდნენ ქართველთა დაპირისპირებასა და ძალადობაზე რუსი სამღვდელოების მიმართ, რაც გამოიხატებოდა საეგზარქოსო სახლის ძალისმიერი მეთოდით დაკავებაში, საეგზარქოსოს ეკლესიათა დახურვაში და ა.შ., რომ ქართველი სამღვდელოება დაეინებით ითხოვდა ჩამორთმეოდა საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს თბილისის მიტროპოლიტის ტიტული, დაეტოვა თბილისი და სამმართველოდ ვლადიკავკაზში გადასულიყო (131, 6).

ზემოაღნიშნულის საუძველზე, რუსეთის დროებითმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 1917 წლის 14 ოქტომბრის N11015 ბრძანებულებით (150,1-2), რომ კავკასიაში ოფიციალურად დამტკიცებულიყო რუსული ეკლესიის იურისდიქცია უწმინდეს სინოდზე დაქვემდებარებით. იმავე წლის 18 ოქტომბრის N9252 ბრძანებით (150, 1-2), ეგზარქოს პლატონს რუსეთის დროებითი მთავრობის მართლმადიდებელი ეკლესიის დეპარტამენტი ატყობინებდა რუსული ეკლესიის კავკასიაში უფლებების შესახებ. ნიშანდობლიეია, რომ ამ პუნქტებში შედის ყველა ის დებულება, რომელიც რამდენიმე თვით ადრე, რუსულ ეკლესიას დროებით მმართველობაში დაუდგინა მთავრობამ, მხოლოდ მას რამოდენიმე პუნქტი დაემატა:

"1). ეგზარქოსი მოიხსენიება: მიტროპოლიტი თბილისის, ეგზარქოსი კავკასიის, ხოლო საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას ეწოდოს კავკასიის სინოდის კანტორა;

2). საეკლესიო და სამონასტრო ქონება, სკოლისა და სხვა შენობები, კაპიტალი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც ადრე საქართველოს საეგზარქოსოს ეკუთვნოდა, გადადის ისევე ახლად დაარსებულ რუსულ საეგზარქოსოში იმ ნაწილით, რომელსაც მას გამოუყოფს უწმინდესი სინოდი" (150,2).

ბრძანებულებას ხელს აწერდა დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ა.კერენსკი. მოგვიანებით ვნახავთ, რომ ამ უკანასკნელმა პუნქტმა სერიოზული დისონანსი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში და ის ქართული და რუსული ეკლესიების დაპირისპირების მნიშვნელოვან საკითხად ჩამოყალიბდა.

დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის ზემოაღნიშნულმა ოფიციალურმა ბრძანებულებამ კავკასიის რუსულ ეკლესიას ხელ-ფეხი გაუხსნა შემდგომი მუშაობისათვის და 1917 წლის სექტემბრის მიწურულს გაიხსნა ამიერკავკასიის რუსული ეკლესიის პირველი ყრილობა, რომლის ძირითადი საკითხიც ამ უკანასკნელის საეკლესიო ორგანიზაციის მოგვარება იყო. ეს მოვლენა აშკარა კონტრშეტევას წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე აირჩია თავისი ერის მწყემსმთავარი.

ამიერკავკასიის საეკლესიო ყრილობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი, ბაქოს, სოხუმისა და ერევნის ეპისკოპოსები, სინოდატური კანტორის პროკურორი, რუსული სამრევლოების ეკლესიათა და მონასტრების წინამძღვრები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლება მიიღეს საერო პირებმაც - ერთმა საერო პირმა სამრევლოდან და ერთმაც, საეკლესიო დაწესებულებიდან. საეროთა არჩევა მოხდა სამრევლო კრებაზე, რომელსაც იწვევდა ეკლესიის მოძღვარი. წინასაარჩევნო კამპანიისას ყრილობაზე გასატანი საკითხები სამრევლოთა კრებებზე განიხილეს, შეადგინეს ოქმები, რომლებიც ყრილობის კომისიას გადაეცა წინასწარი განხილვისათვის. ასევე, ყრილობაზე თავიანთი დელეგატი

ხმის მიცემის უფლებით წარადგინეს სასულიერო სასწავლებლებმა. რუსული სამრეველოების წარმომადგენლების უფლებებით სარგებლობდნენ ბერძნული, ოსური და სხვა ხალხების სამრეველოთა წარმომადგენლებიც. ყრილობის მონაწილეთა ხარჯები გაიღეს ადგილობრიემა ეკლესიებმა. მონაწილეთა საცხოვრებელ ადგილად გამოიყო ქალთა საეპარქო სასწავლებელი.

ამიერკავკასიის საეკლესიო ყრილობაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

1). რუსი და არაქართველი სამღვდელოების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების მიმართ;

2). რუსული სამრეველოების შემდგომი მუშაობის მიმართულება;

3). ამიერკავკასიის საეკლესიო ყრილობაში რუსეთის ადგილობრივი ეკლესიის მონაწილეობა და მისი ადგილი;

4). ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირ-ურთიერთობანი ზოგადად;

5). ამიერკავკასიის ეპარქიის (საეგზარქოსოს - ქ.პ.) ორგანიზაცია;

6). ამიერკავკასიის საეგზარქოსოს სასამართლო ორგანიზაცია;

7). ამიერკავკასიის სასულიერო სასწავლებლები და საეკლესიო-სარევლო სკოლები;

8). ამიერკავკასიის ეპარქიათა მმართველობის ორგანიზაცია;

9). ამიერკავკასიის სამრეველოთა ორგანიზაციის საკითხი (192,1).

შევეხოთ ცალკეული საკითხის მნიშვნელობას და მათ დანიშნულებას ამიერკავკასიასა და საქართველოში რუსული საეკლესიო ახალი პოლიტიკის დამკვიდრებისათვის.

ყრილობაზე გაირკვა, რომ პირველი საკითხი - რუსი და არაქართველი სამღვდელოების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებაზე,

უარყოფითი იყო. ამ გადაწყვეტილებაში წამყვანი ხმა რუს სამღვდელოებას ეკუთვნოდა. ის ქართული ეკლესიის საკითხს არაკანონიკურად მიიჩნევდა და მის იურიდიულ უფლებას არ სცნობდა. რუსული სამრევლოების და ზოგადად, ამიერკავკასიის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის შემდგომი მუშაობა უნდა წარმართულიყო ქართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ, რათა მას კავკასიაში თავისი ძველი პოზიციები აღედგინა, არ დაეშვა ქართველთა ეროვნული თვითგამორკვევის ფაქტი და ამით ბურჟუაზიული რუსეთის ბატონობის მყარი ნიადაგი შეექმნა კავკასიაში. რაც შეეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირს, რუსი სამღვდელოების აზრით, ის მტკიცე და ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო რუსული სახელმწიფოს ინტერესების გატარებისათვის როგორც იმპერიის შიგნით, ისე მის განაპირა მხარეებში. ასეთი შეხედულება კი მანიშნებელი იყო ცარიზმის დროინდელი რელიგიური პოლიტიკისა არარუსი ხალხების მიმართ. ამიერკავკასიის ეპარქიის ორგანიზაცია ითვალისწინებდა რუსული და სხვა ეროვნების სამრევლოთა გაერთიანების პრინციპს.

მეშვიდე საკითხით - სასულიერო სასწავლებლები და საეკლესიო-სამრევლო სკოლები ისევ რუსი სასულიერო პირების, მომავალი თაობის აღზრდისა და არარუსთა გარუსების სამჭედლო უნდა ყოფილიყო. კავკასიის საეგზარქოსოს არ უნდა დაეშვა მათი დანებება საქართველოს ეკლესიისათვის და საამისო მუშაობის საგანგებო მეთოდები უნდა შეემუშავებინა. საეპარქიო მმართველობის ორგანიზაციისას, უნდა გათვალისწინებულიყო არჩევითი სისტემის საკითხი, ეპისკოპოსისა და საეპარქიო დაწესებულებათა მდგომარეობა; შექმნილიყო ადმინისტრაციული აპარატი, საეპარქიო თანხები, საგანმანათლებლო და სამოწყალო დაწესებულებანი ღარიბი სამღვდელოებისა და მრევლის დასახმარებლად.

საეკლესიო ყრილობაზე რუსულ სამრევლოებს განსაკუთრებული იურიდიული ერთეულის უფლება მიენიჭათ, რაც იმაში

გამოიხატა, რომ მას უნდა ჰქონოდა თავისი მუშაობის სარეგისტრაციო აპარატი, სამგრუნველო, საგანმანათლებლო უჯრედი, თანამდებობა - აღმასრულებელ ორგანოებში ასარჩევი კანდიდატურების შერჩევისა და დამტკიცების ორგანო, სამრეველოს შემოსავალ-გასავლის ადგილობრივი წყაროები, საეკლესიო თანხები და სხვ. (183,6).

საეკლესიო ყრილობაზე ნათლად გამოიკვეთა კავკასიის საეგზარქოსოს ქონებრივი მდგომარეობაც, რაც წინა პერიოდთან შედარებით, საგალალო აღმოჩნდა. მაგალითად, თუ საქართველოს საეგზარქოსოს გამგებლობაში იყო ერთი სინოდური კანტორა და ოთხი ეპარქიული კანცელარია, კავკასიის საეგზარქოსოს დარჩა ერთი კანტორა და ორი კანცელარია. ამასთან, არქიელის ხუთი სახლის ნაცვლად, მის განკარგულებაში აღმოჩნდა მხოლოდ სამი სახლი. საქართველოს საეგზარქოსო უშუალო ფინანსურ სისტემატიურ შემოსავალს თანხებისა თუ სურსათის სახით იღებდა ოთხი საკათედრო ტაძრიდან, ცხრა მაგრის მონასტრიდან, ორი ეკლესიისგან და მისიონერთა მიერ ჩატარებული სამუშაოებიდან, ხოლო კავკასიის საეგზარქოსოს დამფინანსებლად დარჩა მხოლოდ ერთი საკათედრო ტაძარი, შვიდი სამაგრო ტაძარი და მისიონერთა მცირედი შემოსავალი. თუ საქართველოს საეგზარქოსო სახელმწიფო ხაზინიდან იღებდა სისტემატიურ ფულად დახმარებას ორი სამგრუნველოსათვის, კავკასიის საეგზარქოსოს მხოლოდ ერთი სამგრუნველო ფინანსდებოდა (183,7). ეს გასაგებიც არის, რადგან უმწეო პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ახალი რუსეთის სახელმწიფო ვერ ახერხებდა თავისი იდეოლოგიის გამტარებლის (კავკასიის საეგზარქოსო - ქ.პ.) დაფინანსებას კავკასიაში.

რევოლუციის წინა პერიოდში, საქართველოს საეგზარქოსოში იყო ერთი არქიეპისკოპოსი, სამი ეპისკოპოსი და ორი ვიკარი, ხოლო კავკასიის საეგზარქოსოში - ერთი მიტროპოლიტი, ერთი ეპისკოპოსი

და ორი ვიკარი (183,7). საგრძნობლად შემცირებულია კავკასიის საეგზარქოსოს მუშაკთა წლიური ხელფასებიც. თუ საუკუნის დასაწყისში საეგზარქოსოს კანცელარიის ხელმძღვანელთა და მუშაკთა თვიური ხელფასები 900-დან 650 მანეთამდე მერყეობდა თანამდებობის მიხედვით (12, 24-27), 1917-1918 წლებში წლიურად მათზე მხოლოდ 22.400 მანეთი იყო გამოყოფილი; კანტორა-კანცელარიებისათვის - 39.409 მანეთი და 45 კაპიკი; არქიელთა სახლების საჭიროებისათვის - 15.590 მანეთი; ეკლესია-მონასტრების შენახვა-შეკეთებისა და მისიონერთა საჭიროებისთვის - 40.936 მანეთი და 77 კაპიკი, ხოლო მონასტერ-უდაბნოებისათვის კი - 25.785 მანეთი და 7 კაპიკი (183,6).

1918 წლის დასაწყისისათვის, საარქივო მონაცემებით, კავკასიის სინოდალური კანტორა მოიცავდა შემდეგ შტატებს: პროკურორი - მიტროფანე პოპოვი, თვიური ხელფასი - 70 მანეთი; მდივნები - ა.დავიდოვი და გ.წერეთელი, ხელფასი - 49 მან., ხაზინადარი - კ.მეხუზლა, ხელფასი 35 მანეთი, საკანცელარიო მაგიდის ხელმძღვანელები: გ.კაციაშვილი, ნ.ნაცვალოვი (ნაცვლიშვილი), მ.მონასელიძე, ლ.ლეკავა, ხელფასი თითოეულს - 35 მანეთი; ორი მთარგმნელი: ნ.პეტრიცკი (პეტრიაშვილი) და დ.გომელაური, ხელფასი 35 მანეთი; კანცელარიის ოთხი ჩინოვნიკი, ხელფასი თითოეულს - 22 მანეთი და 40 კაპიკი; შვიდი დარაჯი, ხელფასი - 8 მანეთი და 40 კაპ. (190,1).

თუ მოცემულ მონაცემებს შევადარებთ რევოლუციამდელი პერიოდის მონაცემებს, დავინახავთ აშკარა სხვაობას, როდესაც ხაზინადარის თვიური ხელფასი 650 მანეთი იყო, გადამწერის - 800, დარაჯის - 650 და ა.შ. (12, 26).

შესამჩნევად შემცირდა კავკასიის საეგზარქოსოს ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ხელფასები. თუ საქართველოს საეგზარქოსოს მოღვაწეობის პერიოდში, 1917 წელს, წლიურად მათთვის გამოიყო 821.378 მან. 78 კაპ., კავკასიის საეგზარქოსოს დროს, 1918 წლის დასაწყისში - 180.853 მან. 77 კაპ. (183,7).

განსხვავებულ მდგომარეობას ვხვდებით სასულიერო სასწავლებლების დაფინანსების საქმეში. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს პირიქით - რუსეთის ხაზინიდან გამოყოფილი თანხების მაგებას, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ 1917 წლიდან მიმდინარეობს ქართველი და რუსი სამღვდელოების დავა სასულიერო სასწავლებლებზე გავლენის მოპოვებისათვის. უწმინდესი სინოდი ცდილობს ადგილზე მათ ეკონომიკურ გამაგრებას, რის გამოც, კავკასიის საეგზარქოსოს სასწავლებლების დასაფინანსებლად 1918 წელს გამოიყო 170.690 მან და 23 კაპ. ეს მაშინ, როცა 1917 წელს, როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს საეგზარქოსო ფუნქციონირებდა, უწმინდესი სინოდისაგან საამისოდ მიღებულ იქნა სულ 85.534 მან. და 95 კაპ. (183,7).

ზემოაღნიშნული თანხები, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებდა კავკასიის საეგზარქოსოს მოთხოვნილებებს, მით უფრო იმ ფონზე, რა ვითარებაც იყო შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით როგორც რუსეთში, ისე კავკასიასა და საქართველოში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ ნაკისრ მოვალეობა-ვალდებუ-ლებებს, რომელიც კავკასიის საეგზარქოსოს ჰქონდა დაკისრებული, რუსეთის მთავრობისგან სოლიდურ სახსრებს ითხოვდა, რომლის გაცემის უნარი იმ დროს არც საერო და, არც სასულიერო აპარატს არ გააჩნდა. აღნიშნულის გამო, კავკასიის საეგზარქოსომ სახსრების მოპოვებისა და არსებულის შენარჩუნებისათვის, გზების ძიება დაიწყო და ეს გზა ქართული ეკლესიის ფინანსებისაკენ მიდიოდა, რაც ამ ორი ეკლესიის სადაო გორდიის კვანძად იქცა.

თავი მეორე - საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა ქონებრივი გამიჯვნის პრობლემა

რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, საქართველოს ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი იყო და ეკონომიკურად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. საქართველოს ეკლესია-მონასტრებს დიდი რაოდენობით მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, სათევზაო ადგილები, სამკალი მიწები, საცხოვრებელი ბინები და წისქვილები, სამსატვრო-სამღებრო სახელოსნოები და სხვა ქონება გააჩნდა (12, 19). ქართლ-კახეთის ეპარქიის გამგებლობაში იყო 218 ათასი დესეტინა მიწა. აქედან, სახნავ-სათესი 80 ათასი დესეტინა, სათიბ-საძოვარი - 40 ათასი, ტყე 98 ათასი დესეტინა, 13 ხეხილის ბაღი, 31 დუქან-წერტი, 13 წისქვილი, 16 საცხოვრებელი სახლი, 10 სამღებრო, სათევზაო ადგილები მდინარეების - მტკვრისა და ალაზნის აუზებში და სხვ. იმერეთის ეპარქიაში იყო 13.500 დესეტინა მიწა, 12.000 დესეტინა ტყე, 5.021 საეგლეხო კომლი; გურია-სამეგრელოს ეპარქია ფლობდა 300 ათას დესეტინა მიწას, 56 ათას დესეტინა ტყეს, 639 საგლეხო კომლს და ა.შ. (42, 324-327).

საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის გაუქმების შემდგომ, ცარიზმის მიერ კავკასიაში დაარსებულ საქართველოს საეგზარქოსოზე დაკისრებულ საეკლესიო-პოლიტიკურ სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას ეკავა. ამ საკითხის მოგვარება ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის რეფორმაციას, რომლის ძალითაც, საქართველოს ეკლესია საერთო რუსული იმპერიის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი წყარო იქნებოდა. ეს რეფორმა ქართულ ეკლესიას არსებობის ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა მისი სახსრის

რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში გადასროლით. ყოველივე ეს კი, საქართველოს ეკლესიის სრულ განადგურებას მოასწავებდა.

საეკლესიო რეფორმის შედეგად, რუსეთის ხაზინაში საქართველოს ეკლესიის 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება შევიდა (67, 36-37), საიდანაც უწმინდესი სინოდის განკარგულებით, საქართველოს ეკლესიას სამღვდელოებისათვის ჯამაგირის სახით ყოველწლიურად 700.000 მანეთი უნდა გამოყოფოდა, რომელიც საქართველოს სასულიერო ფენას თითქმის არასდროს მიუღია (12, 23).

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ, როდესაც საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია, ბუნებრივია, მან რუსული ეკლესიის იურისდიქციიდან თავის დახსნისთანავე, წამოჭრა მისგან მითვისებული ქართული საეკლესიო ქონების დაბრუნების საკითხი. ორი ეკლესიის ქონებრივი გამიჯვნის გარეშე ქართულ ეკლესიას ისევ რუსულ ეკლესიაზე დამოკიდებულად დატოვებდა და ბუნებრივია, რომ მისი ავტოკეფალიაც მსოლოდ ფორმალურ ფაქტად დარჩებოდა. სწორედ ამისათვის იბრძვის რუსული ეკლესია და მისი წარმომადგენლობა კავკასიაში. მისთვის ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის კანონიერი უფლება - იყოს დამოუკიდებელი, უკვე იმ ეტაპზე ძნელად შესაცვლელია, რადგან აღარც რუსეთის ხელისუფლებას არ შესწევს ის პოლიტიკური ძალა, რამაც საქართველოსა და მის ეკლესიაზე ერთ დროს გაამარჯვებინა. დროებითი ხელისუფლებისათვის ფაქტი გახდა, რომ უნდა შეცვლილიყო მოქმედების გზები და მეთოდები. ასეთ გზად მას ესახებოდა საქართველოს ავტოკეფალიის ცნობა ეროვნულ უფლებებში, მისთვის ეკონომიკური საყრდენის მოშლა, ე.ი. კუთვნილი ქონების საბოლოოდ მითვისება. სწორედ ამ ქონებაზე უნდა აგებულიყო კავკასიის საეგზარქოსოს როგორც მთლიანად ორგანიზაცია, ისე მისი სამომავლო მუშაობა და ბედიც. ამიტომ იყო, რომ ორ ეკლესიას შორის წამოჭრილმა საკითხმა

მთელი რამდენიმე წლის მანძილზე მწვავე ხასიათი მიიღო (1917-1919 წლები), მანამ, სანამ კავკასიის საეგზარქოსოს საქართველოში არსებობას საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ საბოლოოდ წერტილი არ დაუსვა.

აღნიშნული პოლიტიკის განხორციელებისათვის რუსეთის სასულიერო უწყების კავკასიური უჯრედი საბაბს ეძებდა, საამისოდ არც პროვოკაციულ ქმედებებს ერიდებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, ქართველი სამღვდელოება საპასუხო ბრძოლაში გამოეწვია. 1917 წლის 22 სექტემბერს, მღვდელი ფეოდოსი ზაბიტინი კავკასიის ეგზარქოსს ატყობინებდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვებით გაგულიანებული ქართველი სამღვდელოება ძალადობს რუსი სამღვდელოების მიმართ, რაც საეგზარქოსო სახლისა და ეკლესიის მიტაცებითაც კი გამოვლინდა“ ...ამით ქართველებმა გამოამეღავნეს სურვილი რუსული სამრევლოების დამორჩილებისა, ითხოვენ ეგზარქოსის თბილისიდან განდევნას და მისთვის თბილისის მიტროპოლიტის ტიტულის ჩამორთმევას...”(131,6). რუსეთის ამ სახის პოლიტიკის პროპაგანდას უდიდეს დახმარებას უწევდა კავკასიის სახელმწიფო პრესა, სადაც ცალმხრივად შუქდებოდა ქართული და რუსული ეკლესიების საკითხები. თავის მხრივ, კავკასიის სამხედრო სამღვდელოების წარმომადგენელი ვლ. ეგოროვი ქართულენოვან პრესას ადანაშაულებდა დაძაბული ვითარების შექმნაში, რომ საეკლესიო საქმეებში პრესის მუშაკთა ხელშეწყობით საერო პირებიც ჩაერთვნენ. ვლ.ეგოროვის ცნობით - “ურთიერთობანი დაიძაბა და იქმნება სერიოზული საშიშროება, რომ საეკლესიო საკითხმა ეროვნულ-პოლიტიკური ხასიათი შეიძინოს...”(34, 19).

პროვოკაციული ცილისწამებით აღშფოთებული ქართველი სამღვდელოება ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას და რუს სამღვდელოებას ამ საკითხის თანხმობით გადაწყვეტისაკენ მოუწოდებდა - “.... ძენო და ასულნო ჩვენთვის ძვირფასო რუსეთის ეკლესიისანო!” - მიმართავდა მათ ეპისკოპოსი

ლეონიდი, - "ნუ ერწმუნებით მაცდურს სიტყვებს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ძმას ძმაზე აამხედრებდა. ეს შემაძრწუნებელი ხმები ამოდის იმათი გულიდან, რომელნიც მხოლოდ შურით სუნთქავენ, სხვისი სიკვდილი სწყურიათ და ეწაფებიან ძმის სისხლს, გამონადენს მათგანვე მიყენებული ჭრილობათაგან... ქართველი სამღვდელოება თანაგრძნობა და ძმურ სამუშაოდ თქვენთან ერთად განსახორციელებლად სასელმწიფოებრივ ახალ დებულებათა და შესამუსრავად და მძლავრის მოწინააღმდეგისა, რომელიც არის ყველანაირ თავისუფლებათა უბოროტესი მტერი" (212, 24-25).

1917 წლის 27 მარტს ორივე მხარემ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი, შექმნილიყო ერთობლივი კომისია ქონებრივი პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც ორივე ეკლესიის ინტერესებს გაითვალისწინებდა. კომიტეტის თავმჯდომარე სარლამოვი დაპირდა მათ დახმარებას, მაგრამ, ვინაიდან ჯერ ცენტრს არ ჰქონდა გამოკვეთილი კავკასიაში საეკლესიო საკითხის მოგვარების ასალი გზები და მეთოდები, კომისიის შექმნა დაგვიანდა. ამასობაში, ორ მხარეს შორის ქონებრივმა დავამ კიდევ უფრო მძიმე ხასიათი შეიძინა.

ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა სიტუაციის განმუხტვისათვის იძულებული გახდა, რუსეთის ხელისუფლების დასკვნამდე მოეწვია თათბირი რუსი და ქართველი სამღვდელოების მონაწილეობით. შეხვედრა შედგა 1917 წლის 4 აპრილს. თათბირს თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე ვ.ა.ხარლამოვი და კომიტეტის წევრი მ.ი.პაპაჯანოვი. შეხვედრის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ შეიქმნებოდა ერთობლივი კომისია (კომისია შედგებოდა ხუთი წევრისაგან, რომლის სათავეში იყო ვ.ა.ხარლამოვი, ორ-ორი წარმომადგენელი ორივე მხრიდან. კომისიას მუშაობა 6 აპრილიდან უნდა დაეწყო) და საქმის შესწავლისა და გადაწყვეტილების გამოტანამდე არცერთ მხარეს არ უნდა მოეხდინა ერთმანეთის ქონების მიტაცება (212, 1). რუსულ

ეკლესიას შეხვედრაზე წარმოადგენდნენ: თბილისის სამსედრო ტაძრის მღვდელი ვ.ნ. ეგოროვი, სინოდური კანტორის პროკურორი მ.გ.პოპოვი, თბილისის სემინარიის პედაგოგი ვ.პ.ტისვინოვი, მღვდელი - ი.ლოზოვოი, ქალთა საეპარქიო სასწავლებლის პედაგოგი ი.ი. ავრამენკო; საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი, თბილისის სემინარიის რექტორი, პროტოიერი კ.კეკელიძე, პროტოიერი კ.ცინცაძე, ქალთა ეპარქიული სასწავლებლის პედაგოგი ს.რ.გორგაძე. მოგვიანებით, 11 აპრილს გაირკვა, რომ კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხთა შესწავლის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ალ.ივანეს ძე მიტკევიჩი. კომისიის წევრებად: რუსი სამღვდელოებიდან და მრევლიდან - სემინარიის ინსპექტორი პეტრე ვასილის ძე ბეკლემიშევი; ქართველთა მხრიდან - პროტოიერი ნიკ.თალაკვაძე. ამ ბრძანებას ხელს აწერდა თავად ოზაკომის თავმჯდომარე ვ.ხარლამოვი (212, 20). საგულისხმოა, რომ საბჭოს შემადგენლობაში რუსული ეკლესიის მხრიდან შეინიშნებოდა სისტემატიური ცვლილება და, რაც უფრო დრო გადიოდა, მასში სულ უფრო მეტი რუსი ეროვნების სასულიერო პირი ჩნდებოდა, რომლებიც გამოირჩეოდნენ რეაქციულობითა და აგრესიულობით საქართველოს ეკლესიის მიმართ. ივნისის მიწურულს, გამყოფ საბჭოში რუსული ეკლესიის მხრიდან შევიდნენ: პროტოიერი ალ.რაზუმოვსკი, მღვდელი ვ.ეგოროვი, სინოდური კანტორის პროკურორი მ.გ.პოპოვი (193,5).

ასეთმა მდგომარეობამ სიტუაცია იმდენად დაძაბა, რომ ოზაკომის თავმჯდომარე პაპაჯანოვი იძულებული გახდა, 20 ივნისს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისათვის ეცნობებინა:

«Участившияся последнее время недоразумения между русскими и грузинами по церковным делам настоятельно требуют немедленнаго разрешения вопросов по

управлению церковью и по распределению церквей и монастырей между грузинами и русскими.

Видах устранения нежелательных осложнений ожидаемых эксцессов, прошу возможно скоро утвердить положение по управлению церковью и распределению церквей и монастырей между этими народностями.» (212, 62).

ქართული და რუსული ეკლესიების ქონების გამყოფმა კომისიამ საკითხის განხილვა საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს კანცელარიის შენობის ქართველთა მიერ დაკავების შესწავლით დაიწყო. კომისიის მუშაობით უკმაყოფილო რუსმა სამღვდელოებამ თბილისის სასამართლო პალატაში შეიტანა სარჩელი, სადაც საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის შემცვლელი, ელიზავეტოპოლის ეპისკოპოსი თეოფილაქტე პალატის პროკურორს ამცნობდა 1918 წლის 6 აპრილს, რომ საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ მიიტაცა სინოდალური კანტორა მთელი თავისი წარმოების საქმეებითა და ქონებით, რომ ეგზარქოსის კანცელარია რუსი სამღვდელოებისათვის 1917 წლის 22 მარტიდან დაიკეტა. ეპისკოპოსი პროკურორისგან ითხოვდა "ობიექტური" გადაწყვეტილების მიღებას (223,5).

გამყოფ კომისიაში რუსი სამღვდელოების სასარგებლო მუშაობას აქტიურ პროპაგანდას უწევდა რუსულ სამრევლოებში მომქმედი რეაქციონერი სამღვდელოება. მათი პროვოკაციული საქმიანობით არაერთი სადაო ეკლესია-მონასტერში სერიოზულად კონფლიქტური ვითარება შეიქმნა. ამ მხრივ, თავიანთი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ თბილისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრის პროტოიერი იოანე მიხაელოვსკი და მღვდელი ოსეცკი, რომლებიც XX საუკუნის 10-იან წლებში დაარსებული "ჭეშმარიტ რუსთა პატრიოტული საზოგადოების" აქტიური წევრები იყვნენ (216,27). საქართველოს ეკლესიის

ავტოკეფალიის აღიარებით "აღფრთოვანებული" სასულიერო პირები, რომლებიც ვითომ ამ კანონიკურ აქტს იზიარებდნენ, ნიღაბაფარებულნი ქონებრივი გაყოფისათვის მუშაობის საქმეში ავლენდნენ თავიანთ ზრახვებს და საქართველოს ეკლესია-მონასტრებში რუს მრევლს ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ამსედრებდნენ. მათი მეცადინეობით, თბილისის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის საქმემ უკიდურესად დაძაბული ხასიათი შეიძინა - "ვერის ეკლესიის რუსი ეროვნების მრევლმა პროვოკაციულ მეთოდს მიმართა და ეკლესიაში ღვთისმსახურების პროცესში აურზაური ატეხა (216, 23)" - აღნიშნავდა რუსი სამღვდელოება. რუსი სამღვდელოების ამ ქმედებით აღშფოთებულმა ქართველმა სამღვდელოებამ და მრევლმა მათი ეკლესიიდან გაძევება მოითხოვა (216, 2). გამყოფი კომისიის სხდომაზე ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელმა ნიკ.თალაკვაძემ ხმამაღლა განაცხადა - "... ქართველ სამღვდელოებას და მის მრევლს არ სჭირდება ძალით წაართვას ვინმეს თუნდაც მისი ქონება. თავისი ქონებრივი უფლებების აღდგენისათვის ქართული ავტოკეფალური ეკლესია მოძებნის უფრო სწორ და ღირსეულ გზას, ვიდრე ეს სურთ "მოკავშირეთ" იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიიდან..." (216, 25).

თბილისის, ვერის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის საკითხთან შედარებით, კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში. აღსანიშნავია, რომ ამ ეკლესიის მრევლის ძირითადი ნაწილი ქართველი მრევლისაგან შედგებოდა. ამიტომ, საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, აქ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე წარმოებდა; შაბათ-კვირის დღეების ერთ მონაკვეთში კი, წირვა-ლოცვა არაქართველი მრევლისათვის რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რუსი სამღვდელოების აგრესიამ უკვე ქართველ მრევლიან ეკლესია-მონასტრებზეც იწყო გავრცელება, რომლის პირველი მაგალითიც ავლაბრის ეკლესია გახდა. რუსი

მრეველი, სამღვდელოების წაქეზებით, ყველაფერს აკეთებდა, რომ ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ჩაეშალათ; დაეპატრონნენ საეკლესიო საქმეთა მართვა-გამგეობას და საეკლესიო ქონებას. ქართველი მრეველი დასმარების აღმოჩენას საქართველოს ეკლესიის კათალიკოსის მოსაყდრეს, ეპისკოპოს ლეონიდს სთხოვდა (215,3). თავის მხრივ, კათალიკოს-პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი სასწრაფო ინფორმაციას აწვდის დროებითი მთავრობის კომისარს ა.ი.ჩხენკელს, სადაც დაწერილებით აღწერს რუსი და ქართველი მრევლის დაპირისპირების ფაქტებს ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში და სთხოვს კომისარს სასწრაფო ზომების მიღებას (215, 1). ავლაბრის ეკლესიის რუსი მრევლის მიმართვის საფუძველზე (215,8), კავკასიის ეგზარქოსმა ამასობაში გასცა განკარგულება ქართველი სამღვდელოების გამოდევნაზე ავლაბრის ეკლესიიდან (215, 6-7).

ავლაბრის ეკლესიის საკითხმა კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ქართველ და რუს მრევლს, სამღვდელოებას შორის.

ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია აშენდა 1814 წელს მღვდელ ზაქარია სულხანიშვილის ინიციატორობით. 1876 წელს ის მიეწერა ავლაბრის წმინდა მარინეს სახელობის ქართულ ეკლესიას. ამავე წელს ამ ეკლესიაში დაწესდა დამოუკიდებელი შტატები, რომელიც ქართველმა სასულიერო პირებმა დაიკავეს 1894-1897 წლებში, ძველი ეკლესიის ადგილზე მღვდლების - ბარნაბიშვილისა და იანქოშვილის ძალისხმევით აშენდა იმჟამინდელი მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ნიშანდობლივია, რომ ეკლესია ქართულ საწყისებზე არსებობდა, რადგან შემოწირულობანი ეკლესიისათვის ქართული სამრევლოებიდან შემოდიოდა ქართველი მრევლის მიერ.

XX საუკუნის დასაწყისიდან, ეკლესიის ქართველ მრევლს

რუსი ეროვნების მორწმუნენიც შეუერთდნენ და ეს უკანასკნელნიც მონაწილეობდნენ საეკლესიო შეწირულობათა შეგროვებაში. ამის გამო, ეკლესია შერეული მრევლის სამლოცველოდ გამოაცხადა საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ. საეკლესიო აღწერილობის თანახმად, 1916 წლის მონაცემებით, ეკლესიაზე მიმაგრებული იყო 28 რუსული ოჯახი, ქართული კი - 20. ამის გამო, ეკლესიაში ღვთისმსახურება როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე ტარდებოდა (215,11).

XX საუკუნის დასაწყისიდან ეკლესიაში საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკის წყალობით, ქართველ და რუს მრევლს შორის დაძაბულობა დაიწყო, ხოლო ბენეშევიჩის კომისიამ, რომელიც უწმინდესი სინოდის წარდგინებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს იკვლევდა, მთავარანგელოზის ეკლესია რუსული და ქართული ეკლესიების სადაო საკითხად გამოაცხადა და მისი საგანგებო გამოკვლევის საკითხი დააყენა (205,7).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ქართველმა მრევლმა ოფიციალური განცხადება-მოთხოვნა გააკეთა ოზაკომის ხელისუფლების წინაშე, რომ ისტორიულად მოცემული ეკლესია ქართველი სამღვდელოებისა და მრევლის ძალისხმევით აშენდა და ის XX საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრამდე მხოლოდ ქართულ საწყისებზე არსებობდა, ამიტომ ის უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს ეკლესიის კუთვნილებად და არ გადასცემოდა კავკასიის საეგზარქოსოს იურისდიქციას - "... ყველა განსხვავებულ გადაწყვეტილებას ჩვენ მივიჩნევთ ძალადობად, რისკენაც მიისწრაფის ახალი რუსეთი...." - აცხადებდა ეკლესიის ქართველი მრევლი (215, 11). აღნიშნულის საფუძველზე, თბილისის მიტროპოლიტმა ლეონიდმა 1917 წლის 5 დეკემბერს ავლაბრის ეკლესიის საკითხის ცალკე განხილვა მოითხოვა განყოფის კომისიაზე და ამის შესახებ სასულიერო უწყების საქმეთა კომისარს შალვა ვლადიმერის ძე ალექსი-მესხიშვილს აცნობა (205,7).

1917 წლის მიწურულისათვის, ქართული და რუსული ეკლესიების ქონებრივმა დავამ კულმინაციას მიაღწია. საქართველოს სხვადასხვა ქართული ეპარქიების ეკლესია-მონასტრებში უკიდურეს შეეიწროვებას განიცდიდა რუსი სამღვდელოება; დაიწყო აქტიური ნაციონალიზაციის პროცესი ქართულმრევლიან ეკლესია-მონასტრებში. მაგალითად, კობის მონასტერი დაატოვებინეს რუს წინამძღვარს არქიმანდრიტ აბრაამს, ჩამოართვეს საეკლესიო ქონებიდან 1400 მანეთამდე, საიდანაც 1200 მანეთი დაურიგდა ადგილობრივ გლეხობას (34, 23). განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი შეიძინა ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის საქმემ, რომლის წინამძღვარს შერეული ეროვნების (ქართული და რუსული - ქ.პ.) სამრევლოებმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს. ქ.სიღნაღის კომისარი ტარასი მჭედლიშვილი 1917 წლის 25 აპრილს ოზაკომის კომისარს სარლამოვს ატყობინებდა სიღნაღის მაზრაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, რომლის მიზეზადაც ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის წინამძღვარს ანასტასიას (ვისოცკაია) ასახელებდა (220,23). კახეთის ამ რეგიონის მრევლი ანასტასიას ძველი, თვითმპყრობელური რეჟიმის გამტარებლად მიიჩნევდა, რომელიც ერთა შორის სიძულვილს სთესდა და ისედაც მძიმე ვითარებას, კიდევ უფრო ართულებდა. მრევლი წინამძღოლის კატეგორიულ შეცვლას ითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ ამ მოთხოვნას უერთდებოდა სიღნაღის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატთა საბჭო, სიღნაღის ინტელიგენცია განურჩევლად ეროვნებისა (214,6).

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა განიხილა ბოდბის მონასტრის წინამძღოლის ანასტასიას საკითხი და მისი მონასტერში დატოვება მიწანშეუწონლად მიიჩნია, რადგან აღნიშნული პირი სიღნაღის რეგიონში უკიდურეს დაძაბულობას იწვევდა, რასაც უკვე პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა. კომიტეტი უწმინდეს სინოდს თხოვნით მიმართავდა მრევლის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა (214,15). რაც შეეხება მონასტრის სასულიერო პერსონალს, რომელიც

წინამძღვრის ანტიქართული პოლიტიკის გამო ადგილობრივი მოსახლეობისაგან რეპრესიებს განიცდიდა, ოზაკომის კომისარს ჩხენკელს თხოვნით მიმართავდა მრევლის აგრესიისაგან დაცვისათვის (214, 16). ბოდბის მონასტრის, რუსი ეროვნების 31 მონაზონი ითხოვდა მონასტერში დატოვებას და უთანხმოების მიზეზის, წინამძღვრის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებას - "…. შეეგუეთ აქაურ ცხოვრებას, ქართველ ხალხს, რომელთაგანაც მთელი ამ ხნის მანძილზე სიკეთის მეტი არა გვიგრძნია. ახლაც გვსურს მონასტერში სამსახური და არ გაგვაჩნია მისი ფლობის პრეტენზია….მონასტრის დაცვა-გადარჩენისათვის წინამძღვრის, - ანასტასიას პროვოკაციული პროპაგანდის ალაგმვისათვის, აუცილებელია მიღებულ იქნეს მის წინააღმდეგ ენერგიული ზომები" (214, 21-22).

მიუხედავად ქართველი სამღვდელოებისა და რუსი მონაზვნების, ქართველი მრევლის ძალისხმევისა მართალია, წინამძღვარი ბოდბის მონასტერში აღარ დააბრუნეს, მაგრამ მონასტრის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში გადაცემას ოზაკომმა რეზოლუცია არ დაადო. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ოზაკომის ხელისუფლებისაგან ითხოვდა, რომ ანასტასია ვისოცკაიას ადგილზე, მონასტრის წინამძღოლად დაემტკიცებინათ თეკლათის მონასტრის წინამძღოლი ნინო (ვაჩნაძე) (214, 29). ოზაკომმა, 1917 წლის 30 სექტემბრის N9959 ბრძანებულებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ამცნო, რომ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილება - შეიქმნას განსაკუთრებული კომისია არქიმანდრიტ ნაზარის თავმჯდომარეობით, რათა ბოდბის მონასტერი თავისი ქონებით ქართულ ეკლესიას გადაეცეს - არ დაკმაყოფილდა, რადგან ის გამყოფი კომისიის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენამდე უწმინდესი სინოდის კომპეტენციაში ითვლებოდა (214, 30-31).

საეკლესიო-სამონასტრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ პრობლემებს 1917 წლის მიწურულიდან

სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაყოფის პრობლემებიც მიემატა. კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში მიმდინარე განათლების კერათა ნაციონალიზაციის პროცესი მართალია სერიოზული სარვეზებით, მაგრამ მაინც აქტიურად მიმდინარეობდა. ეს პროცესი, ბუნებრივია, სასულიერო სასწავლებლებსაც შეეხო. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე მთელი სიმძაფრით წამოიჭრა საქართველოს სასულიერო დაწესებულებების შენარჩუნების საკითხი. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ რუსული საეკლესიო პოლიტიკის დამკვიდრებისათვის კავკასიაში. ცარიზმის დროიდან მოყოლებული, ამ სასწავლებელთა დანიშნულება რუსეთის სახელმწიფოს ერთგული სასულიერო ფენის აღზრდა წარმოადგენდა, რომელსაც რუსული პოლიტიკა უნდა ექადაგა საეკლესიო ამბიონებიდან და გარუსების პროცესი დაეჩქარებინა. ქართული ეკლესია და მისი სასულიერო კრებული, თვითმპყრობელობის რეჟიმიდან მოყოლებული, აქტიურად იბრძოდა საქართველოს სასულიერო დაწესებულებათა გაეროვნულებისათვის, ხოლო ავტოკეფალიის აღდგენის დღიდან, როდესაც წამოიჭრა საკითხი საეკლესიო ქონების გაყოფაზე, ბუნებრივია, ამ მიმართულებით ბრძოლამ მეტი სიცხოველე შეიძინა. ქართველი სამღვდელოება პირდაპირ იერიშზე გადავიდა კუთვნილი დაწესებულებების დაბრუნებისათვის, რადგან ღრმად სწამდა, რომ თუ ეროვნული სარწმუნოების ფესვებზე არ აღიზრდებოდა ქართული ეკლესიის მსახურთა ახალი თაობა, ქართული ეკლესიის არსებობას მომავალი არ ექნებოდა.

კავკასიის საეგზარქოსოს ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოთქვამდა უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ კავკასიის ადგილობრივი დროებითი ხელისუფლება (ოზაკომი - ქ.პ.) დახმარებას არ უწევდა კავკასიაში რუსულ ეკლესიას დაკისრებული ამოცანის გადაჭრაში. მაგალითად, ოზაკომმა უყურადღებოდ დატოვა კავკასიის საეგზარქოსოს 1917 წლის

25 ოქტომბრის N 2006 მოთხოვნა, რომ შეეჩერებინათ ქართველი სამღვდელოების აგრესია თბილისის სასულიერო სემინარიის რუსი ეროვნების ახალგაზრდებისადმი - "....ყოველი ერის სამღვდელოებას აქვს უფლება, მოითხოვოს თავისი წილი სასწავლო დაწესებულებიდან. სკოლათა ნაციონალიზაციის გამო, არ იქნა დაცული არაქართველი ერების ინტერესები. ეს საკითხი უყურადღებოდ დატოვა ოზაკომმა ...."(221, 4-5) - ჩიოდა უწმინდესი სინოდის ხელისუფლების წინაშე კავკასიის ეგზარქოსი.

1918 წლის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ რუსული და ქართული ეკლესიების ქონებრივი გამიჯვნის საკითხი და მისი აღმასრულებელი კომისიის მუშაობა ჩიხში შევიდა. ერთა შორის საეკლესიო საკითხებით გამოწვეულმა დაპირისპირებამ აშკარად პოლიტიკური სასიათი შეიძინა და ქვეყანაში ისედაც დამძიმებული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. ამ საკითხში უკვე აქტიურად ებმება საქართველოს ეროვნული საბჭოს კომიტეტი, რომელიც გამყოფი კომისიის მუშაობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართვას ითხოვს (193, 1).

შემდგომში, საქმის ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული წყობილება აღდგა, რომლის ხელისუფლებასაც თავისი დამოკიდებულება გააჩნდა არათუ ქართული ეკლესიის თავისთავადობისა და ქართულ-რუსული საეკლესიო ქონებრივი დავისადმი, არამედ საერთოდ სარწმუნოებისადმი, რომელსაც შემდეგ კარში შევეხებით.

კარი მესამე
ქართული ეკლესია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ)

თავი პირველი - ქართული ეკლესიის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი

1918 წლის გაზაფხულისათვის, საქართველოში შექმნილმა უკიდურესად რთულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ურთიერთობებმა მთელი სიმძლავრით გამოაელინა საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ტენდენცია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები ასაზრდოებდა. 1918 წლის 25 მაისს შინაგანი წინააღმდეგობებით დაძაბუნებული ამიერკავკასიის სეიმის დაშლისთანავე, ეროვნული საბჭოს სახით შეიქმნა მთავრობა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მთელი 117 წლის მანძილზე რუსეთის კოლონიური უღლის მსხვრევასა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეს ემსახურებოდა - განხორციელდა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, აღსდგა თავის უფლებებში. ქართული დემოკრატიული ძალები დაირაზმნენ საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი ეროვნული კულტურის აღდგენისათვის, რასაც თვითმპყრობელური რუსეთი და მისი პირმშო - დროებითი მთავრობა მთელი სიმკაცრით უხშობდა გზას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და დარგობრივმა კომისიებმა სერიოზული და აქტიური მუშაობა გააჩაღეს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის სფეროთა დაწესებულების ნაციონალიზაციის, დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის კუთხით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის

წლები უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა ერის სასულიერო და შემოქმედებითი თვალსაზრისით. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველი მხრით აგრესიული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ, მეტ-ნაკლები შესაძლებლობებით ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა; ინტენსიური სახე მიეცა შემოქმდებით ცხოვრებას, რომლის აღტკინებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და მისი აღმავლობის პროცესში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სულ ცოტა ხნით უსწრებდა საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის აღდგენა, რომელიც განუყოფელია იმ საერთო ვითარებისაგან, იმ სულიერი ატმოსფეროსაგან, რომელშიც შესაძლებელი გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა. ამ მოვლენას ქართველი ერი და მისი ხელისუფლება იდეოლოგიურად შემზადებული შეხვდა.

თვითმოწესეობის აღდგენისათვის საქართველოს ეკლესიის თითქმის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში. მან შეასრულა ისტორიული როლი ეროვნული ცნობიერება-შეგნების გასაღვიძებლად, რადგან ქართული ეკლესია მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეა და საზოგადოების ყველა ფენის იდეოლოგიურად გამაერთიანებელი. საქართველოს ეკლესიის სასულიერო კრებული მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან ერთად, ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში ხედავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში გადადგმულ თამამ ნაბიჯს.

თავის მხრივ, ეროენული საკითხის გადაჭრის საქმეში, ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი საქართველოს ეკლესიას და მის თავისუფლებას ერის მორალურ-ზნეობრივი

ერთიანობის იარაღად მიიჩნევდა. ამით იყო განპირობებული საერო ფენის აქტიურობა ეკლესიასთან სიახლოვისკენ, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა - "ქრისტიანული სარწმუნოება მთლიანად საქართველოს მიწა-წყალია, ქართველობას ნიშნავს" (21, 22). ამრიგად, XX საუკუნის 10-იან წლებში აშკარა გახდა, რომ ქართველი საზოგადოებრიობის სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აზრი და მისკენ სწრაფვა პირველად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაში განსახიერდა, ხოლო რევოლუციის წინა პერიოდში ამ ორი მიმართულების ბრძოლა გაერთიანდა და თითქმის ერთდროულადაც დასრულდა.

საქართველოს საერო და სასულიერო ფენების ერთობლივ ინტერესებსა და აქტიურ თანამშრომლობაზე აშკარად მეტყველებს სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ინტელიგენციის წარმომადგენელთა: პროფ. ზ.ავალიშვილის, კ.ჩხეიძის და ი.წერეთლის მეცადინეობა რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის მოგვარებისათვის; ან კიდევ, საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომის მუშაობაში (დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებაში -ქ.პ.) საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობის: ტფილელი მიტროპოლიტის ლეონიდისა და არქიმანდრიტ ნაზარის (ლეჟავა) მონაწილეობა, ხოლო 28 მაისის საკათალიკოსო საბჭომ, კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II თავმჯდომარეობით. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმო მოვლენად გამოაცხადა. საქართველოს ეკლესიისათვის თავისი ჭეშმარიტი ავტოკეფალიის მოპოვება-აღდგენის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რადგან მისათვის ცნობილი იყო, რომ, როგორც ეროვნული ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის იყო აუცილებელი ავტოკეფალური მმართველობა, ისე სახელმწიფოს დემოკრატიზაციისათვის საჭირო პირობას პოლიტიკური დამოუკიდებლობა წარმოადგენდა (60, N817,2),

ხოლო ერის დემოკრატიული მმართველობისა და ჯანსაღი ცხოვრების გზაზე დაყენება, მასში ეროვნული იდეების გაღვივება-დამკვიდრება ეროვნული სამღვდელოების უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა. საქართველოს სამღვდელოება შესანიშნავად ერკვეოდა ერისა და სამშობლოს წინაშე თავის მოვალეობა-დანიშნულებაში და ქვეყნის ხელისუფლებას მისთვის ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულებაში თანადგომომას სთხოვდა. კირიონ II-ის კათალიკოსად აღსაყდრებასთან დაკავშირებით, ანჩისსატის ტაძრის წინამძღვრის დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის წარმოთქმულ სიტყვაში ნათლად იკვეთება ზემოაღნიშნული - "....ჭეშმარიტად მშვიდობა და ურთიერთობათა აღშენებაა საზრუნავი საგანი ახლად აღდგენილი ჩვენი ეკლესიისა და განთავისუფლების გზაზედ დამდგარ საქართველოისა. ეროვნულმა ყრილობამ ერთხატოვნად გვამცნო ესე, ვითარი საზრუნავი მთლიან საქართველოსათვის. მთლიან საქართველოს კი მთლიანი ზრუნვაც ესაჭიროება: არცერთი მხარე, არცერთი დარგი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა არ უნდა დარჩეს უგულებელყოფილი ერის მესვეურთაგან, ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი სიბრძნე მათი!" (166,2).

საქართველოს ეკლესიამ და მისმა კრებულმა საქვეყნოდ დასდო ფიცი სამშლოსა და ერის წინაშე, რომ ისტორიული ტრადიციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ერთგულად ემსახურება მამულს დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის გზაზე. ნიშანდობლივია, რომ საგანგებო ფიცის ფურცელიც კი შეადგინა საქართველოს ეკლესიამ ამ საქმისათვის და მისი მიღება სავალდებულოდ დააკანონა ქვეყნის ყველა ეპარქიის სამღვდელოებისათვის - "მე, ამის ქვემორე მოხსენებული, აღვთქვამ და ვფიცავ წინაშე ღვთისა და მისისა წმინდისა სახარებისა, რომ მსურს და ვალდებული ვარ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთგულად და გულწრფელად ვემსახურო, მორჩილ ვიქმნე და არა დავიშურო სიცოცხლე ჩემი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მისის კეთილდღეობისა

და ბედნიერებისათვის, დავიცვა ამა რესპუბლიკის ყოველი უფლება და უპირატესობა, აწ უკვე დაკანონებული და ამის შემდეგ კანონად დადგენილი, ჩემის შეძლებისა და ქონებისამებრ ხელი წარეუმართო ყოველსავე, რაც-კი რესპუბლიკას სარგებლობას მოუტანს, ხოლო ყოველივე ზიანი და ვნება, რომელი ჩემდა უწყების იქნება, არათუ დროზედ განვაცხადო, არამედ ყოველის ღონისმიერებითა ჩემითა ავარიდო, ყოველი ჩემდა რწმუნებულითა და არცა რაიმე სარგებლობის სისარბითა არა მოვიმოქმედო რა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მახსოვს რა, რომ ამა ფიცისა დარღვევისათვის პასუხი უნდა ვაგო წინაშე კანონისა და ღვთისა მის საშინელსა სამსჯავროსა შინა. დასარწმუნებლად ამა ჩემისა ფიცისა ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისასა. ამინ" (217, 6).

1917-1918 წლების მიჯნაზე, როდესაც აშკარად გამოვლინდა საქართველოს მიმართ გარეშე ძალთა აგრესია და ქვეყნის უსაფრთხოებას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნა, საქართველოს ეკლესია იმ დროსაც სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე აღმოჩნდა. ეროვნული ეკლესიის სასულიერო კრებული, მისი ხელმძღვანელობა ერს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა; არკვევდა მოსალოდნელ საშიშროებაში და სამომავლო მოქმედების გზებს უსახავდა. მორწმუნე მრევლს საეკლესიო ამბიონიდან აფრთხილებდა, რომ განთავისუფლებული ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა განახლებულ თანამედროვე ცხოვრებას; ხოლო ეკლესიის მუშაკთ მოუწოდებდა, რომ ხელი შეეწყოთ ერის გაერთიანება-განმტკიცების პროცესისათვის, რათა საქართველომ დამსახურებული ადგილი დაიმკვიდროს კაცობრიობის ისტორიასა და ცივილიზაციაში. ნიშანდობლივია, საქართველოს ეკლესიის ისტორიული ტოლერანტული პოლიტიკა სხვა აღმსარებლობის ხალხებისადმი, რომელთა ინტერესს მშობლიური საქართველოს ბედი წარმოადგენდა; და ამ საქმეში ქართულ

ეკლესიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა; საქართველოს მრავალეროვანი და მრავალმორწმუნე მოსახლეობის ქვეყნის დაცვა-გადარჩენისათვის ერთობის მიზეზად ეროვნული, ქართული ეკლესიის პოლიტიკის წყალობად მიიჩნევდა - "... ჩვენ ვიცით, რომ ქართული სახარება, ისრაელების თორა და მაჰმადიანთა ყურანი მშვიდობიანად თავსდებოდნენ საქართველოში. ეკლესია იყო თავი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხო ტომი ჩვენში ჰპოვებდა მეორე სამშობლოს და მისათვის სისხლსა ღვრიდა. ერთა შორის ძმურ ურთიერთობის განმტკიცება ახლა უნდა მორიგ საკითხად ჩაითვალოს, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც ამ ძმურ განწყობილებას ხელოვნურად ამღვრევდნენ, ხშირად ძველი საეკლესიო წესწყობილების საშუალებით" - ასეთი გუჯარით მიმართავდა საქართველოს ეკლესიის სამწყსოს უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II 1917 წლის 19 ოქტომბერს (159, 8). ასეთი ვითარების ფონზე, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოს ეროენულ ყრილობას გუჯარით მიმართავს - "....რჩეულნო ივერიისანნო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მოიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება" (158,3).

საქართველოში შექმნილმა რთულმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ კიდევ უფრო დაამძიმა საქართველოს ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის ვალდებულებანი. მას კარგად უწყოდა, რომ სამწყსოსთან შედარებით, ბევრად საპასუხისმგებლო და მძიმე ვალი ჰქონდა ნაკისრი ქვეყნისა და ერის წინაშე. ქართველი სამღვდელოება, როგორც ქვეყნის მოქალაქე ფენა, ვალდებული იყო სამშობლოსა და ერის წინაშე, ხოლო, როგორც ერის სულიერი მოძღვარი - ეროვნული ეკლესიისა და მისი სამწყსოს მომავლის წინაშე (63, N303,4).

საქართველოს ეკლესია დემოკრატიული ერის დევნილთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მზრუნველ დედა-ეკლესიად ჩამოყალიბდა და ამ კუთხით მუშაობა გააჩაღა როგორც

პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიმართულებით. საქართველოს მოსახლეობაში, მორწმუნე ერში, დემოკრატიული მთავრობის საქმიანობის ავტორიტეტის შექმნა-დამკვიდრებაში, ეკლესია უდიდეს მისიას კისრულობს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1918 წლის 1 ოქტომბრის სხდომის ჟურნალიდან ამონაწერი გვამცნობს, რომ 56-ე პარაგრაფით ხელისუფლებამ მოისმინა მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადებაზე საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს დღეგრძელობისათვის საეკლესიო ლოცვა-ვედრების მასიური ჩატარების უფლებისათვის. ეროვნული მთავრობის დადგენილებით, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს 1918 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი (207,1).

საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებამ - დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს იდეის ხალხში განმტკიცებისათვის - გაამართლა. მან მიიჩნია, რომ საქართველოს სამლოცველოებში სახელმწიფოსა და მისი მთავრობისათვის ლოცვა-ვედრების აღვლენა ხელს შეუწყობდა მრევლის თავდადებას თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამავდროულად, საეკლესიო ხელისუფლება წარმატებით იყენებდა ბათუმის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებართვას, რომლის ძალითაც, თურქეთის ხელისუფლებამ მოიპოვა უფლება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ჯამე-მეჩეთებში სულთნისა და მისი საბრძანებლისათვის ლოცვა-ვედრებაზე, ხოლო საქართველოს ფარგლებში მდებარე რუსულ ეკლესია-მონასტრებში კი რუსი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიასთან შეუთანხმებლად აწარმოებდა რუსეთის სახელმწიფოსა და მისი მთავრობის დღეგრძელობისა და ძლიერებისათვის ლოცვა-ვედრებას. ეს გახდა ფაქტიური მიზეზი იმისა, რომ საქართველოს საკათალიკოსო ხელისუფლებამ აღძრა შუამდგომლობა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, რათა ხსენებულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სარწმუნოებისა და აღმსარებლობის სამლოცველოებში აღვლენილიყო ლოცვა-ვედრება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს სიმტკიცე-ძლევამოსილებისათვის (207,3). ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სამლოცველო სახლებში სისტემატიური სახე მიეცა ქვეყნისა და მისი ხელისუფლების სიმტკიცისათვის ლოცვა-ვედრების აღსრულებას. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიას, გარდა ასეთი სასის ღონისძიებისა, რომელიც ქართულ ეკლესია-მონასტრებში ყოველდღიური წირვა-ლოცვებით ტარდებოდა, ეკლესია ზეიმით აღნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (26 მაისი) დღეს, და ამ ღონისძიებას სრულიად საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო და ბრწყინვალე დღესასწაულად აცხადებდა - "....26 რიცხვი არის ბრწყინვალე ეროვნული დღესასწაული და ეკლესიაც მოვალეა მიიღოს მონაწილეობა მის ზეიმობაში" - მიმართავდა კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი 1919 წლის 19 მაისს წინასაზეიმო სამზადისისას საქართველოს ეპარქიათა გამგებლებს: ალავერდის ეპისკოპოსს პიროსს, ჭყონდიდელ და ცხუმელ-ბედიელს ამბროსის, ურბნელ ეპისკოპოს დავითს და ქუთაის-გაენათელ მიტროპოლიტს ნაზარს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ეკლესია დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობაში აქტიურ როლს ასრულებდა. მისი მუშაობა მიმართული იყო პოლიტიკური კუთხითაც როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობაში. როგორც კი დემოკრატიულ მთავრობასა და მისი მმართველობის სისტემას დაბრკოლება, ან საშიშროება შეექმნებოდა ქვეყნის რომელიმე რეგიონში, მაშინვე ეს მოვლენები უარყოფით არეკვლას პოულობდა ადგილობრივ საეკლესიო ცხოვრებაზეც. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ბოლშევიკურ ფრთასთან დემოკრატიული

საქართველოს მთავრობის იდეურ-პრაქტიკული დაპირისპირება განსაკუთრებულ გამოვლინებას საქართველოსათვის ფეთქებად რეგიონებში ჰპოვებდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ ადგილებს, სადაც განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელთა საქართველოსადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში არანაკლებ სერიოზული როლი შეასრულა თავის დროზე თეითმპყრობელური რუსეთის ანტიეროვნულმა საეკლესიო პოლიტიკამ. (ასეთი ფონი შესანიშნავ საშუალებას აძლევდა ბოლშევიკურ მიმდინარეობას გაეაქტიურებინა თავისი საქმიანობა. როდესაც აფხაზეთში შეიქმნა ბოლშევიკთა რევოლუციური კომიტეტი ე.ეშბას მეთაურობით და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მან განსაკუთრებული აგრესია აფხაზეთის ეკლესიისადმი გამოავლინა. ცხუმელ-ბედიელი ეპისკოპოსი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკის გამტარებლად გამოაცხადა და ის ეპარქიიდან განდევნა.

1918 წლის ივლისში, როდესაც საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ აღადგინა თავისი იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საკათალიკოსოს უფლებებიც აღდგა აფხაზეთის ეკლესიაზე. საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრი კლ.ცინცაძე აფხაზეთში ჩავიდნენ - "20 ოქტომბერს ლეონიდმა ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი, რომელსაც მიესალმა, მიულოცა, რომ ბედნიერება ხვდათ წილად, ემსახურონ დემოკრატიულ საქართველოს. განუმარტა მათ, თუ რა ერთგულებით უნდა ემასახურონ ახალგანთავისუფლებულ სამშობლოს, რათა იგი განმტკიცდეს და აღორძინდეს" (56, 2).

საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით ახალ ათონში, ქრისტიანობის საქართველოში შემოსვლის უძველეს წმინდა მიწაზე, სადაც მოციქულ სიმონ კანანელის

წმინდა ნეშტი განისვენებს მოწვეულ იქნა სოხუმის საეპარქიოს კრება 1919 წლის 22 ოქტომბერს. კრების მსელელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ქართველმა და აფხაზმა მრევლმა. კრებაზე ერთხმად გამოითქვა თანხმობა, რომ აფხაზეთის ქრისტიანი მრეველი თანახმაა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა სრულიად საქართველოს ქრისტიან მრევლთან, და, რომ აფხაზეთის ეკლესია ქართული ეკლესიის შემადგენელი ნაწილია და მის იურისდიქციაში მყოფი. 28 ოქტომბრის საეკლესიო სხდომაზე აფხაზეთის ეპარქიის ეპისკოპოსად განაწესეს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია.

საქართველოს ეკლესიას კარგად ესმოდა ახლადგამოცხადებული დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გზაზე წამოჭრილი სირთულეები და ყველანაირად ცდილობდა მთავრობისადმი თანადგომას.

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ ეკონომიკურად გაპარტახებული ქვეყანა ჩაიბარა. რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის ხანგრძლივი კოლონიური ბატონობის უღელქვეშ მყოფი საქართველო სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენის პერიოდში უკიდურეს ეკონომიკურ დაძაბუნებას განიცდიდა, ქვეყნის მატერიალურ-ეკონომიკური ბაზისი საერთოდ აღარ არსებობდა და მის შესაქმნელად განსაკუთრებული ძალისსმეეა და პერიოდი იყო საჭირო. საქართველოს მოსახლეობას ევალებოდა ცხოვრების საერთო ვითარების გათვალისწინება-გათავისება, არსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების ობიექტური შეფასება, ეროვნული რეფორმების გატარებისათვის ფეხის ადევნება, რათა ქვეყანა, რაც შეიძლება სწრაფად გამოსულიყო კრიზისული მდგომარეობიდან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას აქტიურად იყენებდა რესპუბლიკაში მომქმედი ეროვნული ძალებისადმი დაპირისპირებული რეაქციული ფრთა. 1918 წლის

ამიერკავკასიის სამხარეო ბოლშევიკური ორგანიზაციების ნოემბრის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივ პარტიულ უჯრედებში გაიშალა აქტიური პრაქტიკული საქმიანობანი; დაიწყო ფართო პროპაგანდა-აგიტაცია დემოკრატიული წყობისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. 1918-1921 წლებში, აღნიშნულის ნიადაგზე შეინიშნებოდა რევოლუციური განწყობილების ზრდა, რომელთა სასიათი მკვეთრი და თვალსაჩინო გახდა. მასიურ გაფიცვებში აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა. ანტისამთავრობო გაფიცვები მიმართული იყო არა მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, არამედ არსებული სელისუფლების დამხობისაკენაც.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნული ვითარების გამო ჩიხში მოექცა, რადგან მკაცრი რეპრესიები, რასაც დაძაბული ვითარების ნაწილობრივ განმუხტვა შეეძლო, სერიოზულად ავნებდა ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტს მოსახლეობაში; კიდევ უფრო დაძაბავდა ქვეყნის შინაგან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ძირს გამოუთხრიდა დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის დაგვირგვინების საქმეს. ასეთ რთულ ვითარებაშიც, დემოკრატიული მთავრობის გვერდით საქართველოს ეკლესია დადგა. ის, საეკლესიო ამბიონიდან ყველანაირად ცდილობდა მრევლის დამშვიდებას, ერთობისაკენ მოუწოდებდა მათ და ქრისტიანული მოთმინებით, შრომითა და იმედით მომავალი საქართველოს მშენებლობას უქადაგებდა - "...ნუ დავივიწყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან. ერთობაში არის ძალაო, ამბობენ, და თუ ეს ასეა, ეხლანდელი მომენტი მით უმეტეს მოითხოვს ჩვენგან, ყველასგან, ძმურ შეერთებას და შრომას" (156, 229) - მოუწოდებდა საქართველოს მრევლს მისი სულიერი მამა, საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

საქართველოს ეკლესიამ, მიუხედავად თვითმპყრობელური რუსეთის სასულიერო უწყებისგან გაძარცვულ მდგომარეობაში ყოფნისა, დემოკრატიული საქართველოს დუხჭირ ეკონომიკურ გასაჭირს შეძლებისდაგვარი თანადგომა გამოუცხადა. ამ მიმართულებით მუშაობაში, საქართველოს ეკლესიამ განსაკუთრებული აქტიურობა გამოავლინა მოუსავლიანო-ბითა და სტიქიური უბედურებით დაზარალებული მრევლის დახმარებისას. საქართველოს საკათალიკოსო სხდომებზე სისტემატიური სახე მიეცა მოსახლეობის მატერიალური დახმარებისათვის გზების ძიებას. ისედაც, თავად უკიდურესად გაჭირვებული ეკლესია ენერგიას არ იშურებდა ქვეყნის ბიუჯეტში მცირედი სახსრის შეტანისათვის. საკათალიკოსო ხელმძღვანელობის ბრძანებულებით, ცალკეულ ეპარქიებში გროვდებოდა მრევლიდან ნებაყოფლობითი შემოწირუ-ლობანი; სასულიერო პირთა მცირედი გასამრჯელოდან თანხები; საეკლესიო შემოსავლებიდან: სანთლით ვაჭრობა, წმინდა ჯვარ-ხატების და ქრისტიანული დღესასწაულებიდან შემოსული თანხები და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სხვადასხვა ეპარქიები უდიდეს გულისხმიერებას ავლენდნენ სხვა რეგიონების მრევლისადმი დახმარების საქმეში. მაგალითად, 1918 წლის მაისის თვეში ქუთაისში მომხდარმა ხანძარმა უდიდესი ზარალი მიაყენა ქალაქის მოსახლეობას. ამ უბედურ შემთხვევას პირველი საქართველოს ეკლესია გამოეხმაურა; მასიური სახე მიიღო ცალკეულ ეპარქიებში სტიქიით დაზარალებულთა დახმარები-სათვის ფულადი სახსრის, ტანისამოსის, სურსათ-სანოვაგისა და სამშენებლო მასალის შეგროვებამ. ეპარქიათა მრევლს შორის ამ საქმეს საეპარქიო ხელმძღვანელობა უძღვებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა ალავერდის ეპარქია. მან საგანგებო თათბირი მოიწვია 1918 წლის 11 მაისს ქ.ქუთაისში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დახმარების საკითხზე მსჯელობისათვის. კრებაზე

დადგინდა, რომ: "1).გაცემულიყო საეპარქიო ხელმძღვანელობის განკარგულება კახეთის ეკლესია-მონსტრებში ნებაყოფლობით შემოწირულობათა შეგროვე-ბისათვის ა/წ 3 ივნისს, სულის წმინდის დღეს; 2). გაიცეს დახმარება შეძლებისდაგვარად ეკლესია-მონასტრების ქონებრივი საშუალებებიდან" (185, 6).

ამრიგად, საქართველოს ახლადავტოკეფალია აღდგენილი ეკლესია, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამყარებული ნიადაგი და მუდმივი საფრთხის ქვეშ უხდებოდა მოღვაწეობა, უდიდესი სიხარულით შეხვდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გამოცხადების ფაქტს. ეს მოვლენა კანონზომიერი იყო, რადგან თავისუფალი ეკლესიის დაცვისა და დამკვიდრებისათვის სასიცოცხლო დანიშნულება ჰქონდა ეროვნულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს. საქართველოს ეკლესიამ ამ შემთხვევაშიც იტვირთა თავისი ისტორიული მისია ქვეყნის ერთიანობის, თავისუფლებისა და დემოკრატიულობის მშენებლობის საქმეში და მთელი თავისი ისტორიული გამოცდილებაც გამოიყენა. ქართული ეკლესია პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრი-სით სრულ თანადგომას უცხადებდა დემოკრატიული საქარ-თველოს მთავრობას მისთვის ყველაზე მძიმე პირობებში და მასთან ერთად იტანდა ყველა იმ სირთულეს, რომელსაც არსებული ვითარება ჰქმნიდა.

თავი მეორე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა ქართული ეკლესიის მიმართ

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში ძირეულად შეცვალა მთელს იმპერიაში პოლიტიკური ვითარება. რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკა არ ითვალისწინებდა ყოფილი თვითმპყრობელური იმპერიის საზღვრების შეზღუდვას; კავკასიას და, მათ შორის საქართველოსაც, ის თავისი ქვეყნის კუთვნილ ნაწილად მოიაზრებდა და მაქსიმალურად ცდილობდა თავისი უფლებების ასლებური მეთოდით შენარჩუნებას კავკასიის ამ რეგიონში.

სამწუხაროდ, ამ ვერაგული პოლიტიკის უნებური საშუალებანი იმ დროის საქართველოში მოიძებნებოდა, რასაც ახალი იმპერიის დროებითი მთავრობა ეგზომ ნაყოფიერად იყენებდა.

რევოლუციით განპირობებულმა ვითარებამ თვითმპყრობელური იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხების, მათ შორის ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც განვითარების ახალ სტადიაში მოაქცია. საქართველოში მომქმედი ყველა პოლიტიკური პარტია აქტიური პოლიტიკური ცხოვრების საოთავეში აღმოჩნდა. ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე ძლიერ ძალას საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური ფრთა წარმოადგენდა. მართალია, ზემოაღნიშნული პარტია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქართველოს კომიტეტის როლს ასრულებდა და მისი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ქართულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან დაპირისპირება, რაც ფაქტობრივად, ახალი რუსეთის იმპერიული ინტერესების შენარჩუნებას უნდა მომსახურებოდა საქართველოში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ "მესამე დასის" ფართო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პლატფორმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების გატარებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული

თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ეროვნული ინტერესების დაცვას (5,315). მართალია, თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე "მესამე დასელებმა" ვერ შესძლეს საპროგრამო მოთხოვნათა დაცვა, მაგრამ ღირსეულად ებრძოდნენ რუსული სოციალ-დემოკრატიის დამპყრობლურ მსოფლმხედველობას.

პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მარცხის შემდეგ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობა ეროვნულ საკითხში ძველ პოზიციაზე იდგა, ხოლო 1908 წლიდან, მენშევიკურ მიმართულებაში უთანხმოება დაიწყო ეროვნული საკითხის გამო, რომელმაც განვითარების ეტაპები განელო: 1908 წლიდან - 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე და 1918 წლის 26 მაისამდე გაგრძელდა. პროფ. ვ.გურულის მიერ გამოთქმული აზრით, ეს უთანხმოება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შემადგენელი ნაწილი (5, 257). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართველ სოციალ-დემოკრატ მენშევიკთა აზროვნებაში აშკარად შეინიშნება ზოგადად სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ტენდენციურობა ეროვნული საკითხის მიმართ. ცნობილია, რომ ქართველ მენშევიკთა ლიდერის ნ.ჟორდანიას ეროვნული პროგრამის კრიტიკაში აშკარად შეინიშნება ეროვნულ საკითხზე წინ სოციალური საკითხის დაყენება. აღნიშნული კი იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან დაპირისპირება შეასუსტებდა მათ გავლენას საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში და გამოიწვევდა ბოლშევიკური ფრთის სწრაფ აღმავლობას საქართველოში (5,65-66).

ოქტომბრის რევოლუციამ ზემოაღნიშნული პრობლემა მოხსნა დღის წესრიგიდან, რადგან მიმდინარე მოვლენებმა რუსი და ქართველი მენშევიკების ერთიანი ორგანიზაციული მუშაობა დაარღვია. თუ რუსეთის მენშევიკური პარტია უსუსური აღმოჩნდა და უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ქართველი მენშევიკები დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სათავეში მოხვდნენ. ასეთ პირობებში, მათ

მოინდომეს დამოუკიდებელი პარტიის შექმნა, რომლის პირველი დამფუძნებელი კრება 1918 წლის 18 ნოემბერს შესდგა (195, 40). პარტიის მიზანი გახდა ეროვნული დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა. მენშევიკმა ქართველებმა ეროვნულ ნიადაგზე დადგომით მართალია მოიპოვეს საზოგადოების სოლიდური ნაწილის ნდობა, მაგრამ ერთი ნაწილისათვის მათი ე.წ. "სოციალისტობა" ამოუცნობი რჩებოდა და ვერ ხსნიდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ყოფნას. საზოგადოების ზემოაღნიშნული შეხედულება მალე გამოააშკარავდა, როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პარტიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი აშკარად იჩენს თავს ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში. ქართველი მენშევიკები გამოდიან ლენინ-სტალინის ნაციონალური საკითხის მწვავე კრიტიკით, უარყოფენ ეროვნული საკითხის საერთო-დემოკრატიულ საკითხებთან ერთად გადაჭრის შესაძლებლობას, მაგრამ ამავდროულად, კიდევ უფრო აღრმავებენ ამ აზრს და რელიგიის ადგილს ეროვნულ საკითხს უთმობენ, ე.ი. ერთმანეთისგან მიჯნავენ სარწმუნოებისა და ეროვნულობის საკითხს - "…. და აი, დღეს, როცა რელიგიური კითხვა ჩამოშორდა სოციალურს და განმარტოვდა, მისი ალაგი დაიჭირა ნაციონალურმა კითხვამ" (14,161); ე.ი. ამ შემთხვევაში, ზემოთქმულის განმცხადებელმა, ქართველ მენშევიკთა ლიდერმა ნ.ჟორდანიამ ეროვნული საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი სარწმუნოებრივ საკითხთან შედარებით.

საქართველოს მენშევიკთა რელიგიური საკითხისადმი დამოკიდებულებას ანალოგი მოეძებნება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ათეისტურ შეხედულებასთან. მისი წარმომადგენლების: ა.გერცენის, ვ.ბელინსკის, ნ.ჩერნიშევსკის, ნ.დობროლუბოვისა და სხვათა შეხედულებების თავისებურება სარწმუნოებრივი საკითხი-სადმი რუსეთის ისტორიულ სიტუაციაში მდგომარეობდა,

რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ მათი ათეიზმი მარქსამდელი ათეისტური თეორიის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, თვითმპყრობელური რუსეთის ოფიციალური იდეოლოგია ემყარებოდა ფორმულას - "მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა" (40, 35-36). რუსული მართლმადიდებელი ეკლესია თვითმპყრობელური წყობილების დამცველად გამოდიოდა; ამიტომ, როდესაც რევოლუციონერ-დემოკრატები ებრძოდნენ თვითმპყრობელურ წყობას, ე.ი. ებრძოდნენ მის დამცველ და იდეოლოგიის გამტარებელ ეკლესიასაც, რადგან მათი ურთიერთთანამშრომლობა ერთმანეთის დაცვას ემსახურებოდა. რევოლუციონერ-დემოკრატთა ბრძოლის მიზანი იყო არა საზოგადოდ ეკლესიასთან ბრძოლა, არამედ ეკლესიისა და სახელმწიფოს კავშირისადმი დაპირისპირება. რაც შეეხება ქართველ მენშევიკთა სარწმუნოებრივ პოლიტიკას, აქ შედარებით მსგავსებასთან ერთად, სხვაობასაც შევნიშნავთ. ისინი რელიგიის ადგილს უთმობენ ეროვნულ საკითხს, ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირს (სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის პროექტი - ქ.პ.), მაგრამ ამავდროულად, მათი ამ სფეროში გატარებული პოლიტიკა მეტყველებს მარქსისტულ-რელიგიურ ათეიზმთან კონტაქტზე, რამეთუ ქართველი მენშევიკები ნებსით თუ უნებლიედ გამოდიან ზოგადად ეკლესიის წინააღმდეგ და თავიანთი რეფორმებით მის უკიდურეს შევიწროვება-ალაგმვას უწყობენ ხელს, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის დაყენებას საქართველოს ყველა პარტიასთან ერთად მენშევიკთა ფრთაც შეუერთდა (თავისი მოსაგრება-შეხედულებებით, რაზედაც ზევით უკვე ვისაუბრეთ - ქ.პ.), ნ.ჟორდანია, როგორც ათეისტი, მინც აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევს ეკლესიის დაცვას - "რაკი ეკლესია არსებობს, ის შევიწროვებას და დევნას აღარ უნდა განიცდიდეს" (76). ფაქტი იყო, რომ ქართველი მენშევიკები ნაწილობრივ იზიარებდნენ

მარქსიზმის ფუძემდებელთა ათეისტურ თეორიას; მათი რწმენით, რევოლუცია მთლიანად არ აღგვიდა სარწმუნოებას მაშინვე, რომ საჭირო იყო ისტორიული პერიოდი მისი სრული გადალახვისათვის, რომ სინდისის თავისუფლების მოთხოვნა მართალია, თავისი ხასიათით საერთო დემოკრატიულობის მანიშნებელია, მაგრამ, ვინაიდან სოციალ-დემოკრატიის მიზანი რელიგიის სრული გადალახვაა, ამიტომ ის ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ ზემოაღნიშნულით (40, 42-45). სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს სწამდათ, რომ არ შეიძლებოდა სარწმუნოებისა და ეკლესიის აკრძალვა, რადგან ასეთი გზით ის უფრო გაძლიერდებოდა და მორწმუნე ფენას რიცხობრივად გაზრდიდა. საქართველოს მენშევიკურმა ფრთამ ვერ გაითვალისწინა ისტორიული გამოცდილება საქართველოში, რომ ეროვნული საკითხი მის სარწმუნოება-ეკლესიასთან სისხლხორცეულად იყო გადაჯაჭვული და მათი გამიჯვნა, მით უფრო იმ პერიოდში, თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის პროცესში, მომავალი მარცხის მანიშნებელი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქართველ მენშევიკთა ამ სახის სარწმუნოებრივი თეორია არ უნდა ყოფილიყო უცხო იმ დროის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებისა და თავად ეროვნული ეკლესიისათვისაც. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში მომქმედი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიისა და ეკლესიის ინტერესები საერთო იყო - აღდგენილიყო ეროვნული სახელმწიფო თავის უფლებებში და დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია - სოციალ-დემოკრატთა პარტია ამ კუთხით ხანგრძლივი დროის მანძილზე მერყეევ პოლიტიკას ამჟღავნებდა. ხოლო, როდესაც რუსეთის მთელი რევოლუციის პერიოდში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მოითხოვა ზოგადად ეკლესიის ჩამოცილება თვითმპყრობელური აპარატისაგან, სოციალ-დემოკრატი მენშევიკებიც ამ მოთხოვნას შეუერთდნენ. იმ ეტაპზე ისინი არა საერთოდ ეკლესიის, არამედ მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთსულოვანი

მოღვაწეობის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთას ავტოკეფალია მიაჩნდა სარწმუნოების სფეროში ეროვნული დევნა-შევიწროვების განადგურებად, ხალხის გავლენის გაძლიერებად ეკლესიაში. მათი აზრით, რადგან დემოკრატია რწმენა-სინდისის თავისუფლებას ქადაგებდა, ამიტომ რწმენაში ძალდატანება დაუშვებელი იყო. ამ კუთხით ისინი იწონებდნენ ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხს და იმ შედეგს, რაც შესაძლებელი იყო საქართველოში რწმენის ე.წ. თავისუფლებას, ანუ უფრო სწორად, აღვირახსნილობას მოჰყოლოდა, ისინი არ ითვალისწინებდნენ. ასეთმა შეხედულებებმა და მისით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა სერიოზულად იჩინა თავი დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში, როდესაც სინდისის თავისუფლების გამოცხადებისთანავე, ისედაც ცარიზმის რელიგიური პოლიტიკით დაღდასმულ ქვეყანაში, იმრავლა გადაგვარებულმა ქრისტიანულმა მიმართულებებმა - სექტანტობამ. ყოველივე კი ძირს უთხრიდა ეროვნულ ფესვებს - ქართულ საეკლესიო იდეოლოგიაშემცირებულ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების გამარჯვებას, თავისუფალი საქართველოს ბედნიერ მომავალს.

ყველაზე ვერაგული პოლიტიკა, რომელიც კი შეიძლებოდა ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ხალხების მისამართით გაეტარებინათ, თავისუფალი რელიგიური აღმსარებლობის გამოცხადება იყო. ეს ნაბიჯი მომაკვდინებელ დარტყმას აყენებდა ცალკეული ხალხების სარწმუროებასა და მათ ეკლესიას, რომლის დასასრულიც მათი საბოლოო განადგურება უნდა ყოფილიყო. სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა, შიგნით მორწმუნე მრევლის დაქსაქსვას, მათში მანკიერი მხარეების წარმოჩენა-გაღვივებას, ეროვნული საფუძვლისაგან - ეკლესიისაგან ჩამოცილებას, მისი ავტორიტეტის ხალხში შელახვას და ამ ადგილის თავად დაკავებას. სამწუხარო მოვლენად გვესახება ის ფაქტი, რომ რუსეთის დროებითი ხელისუფლების კავკასიის უჯრედი

ასალი რუსეთის ამ მიმართულებით მუშაობას ხელს უწყობდა; მოგვიანებით კი იგივე მიმართულებით საქმიანობა გააგრძელა ქართველ მენშევიკთა მთავრობამ.

1917 წლის მიწურულიდან, ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობდა ანტიქრისტიანული მიმართულებების ორგანიზაციათა აღმოცენება. დემოკრატიული რუსეთის თავისუფალი აღმსარებლობის პოლიტიკა ფრთებს ისხამდა. ამავე წლის 7 დეკემბერს, თბილისის საქალაქო მმართველობის თათბირის ოქმი გვამცნობს, რომ ამავე თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე აღძრულიყო შუამდგომლობა "თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირის" მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ეთხოვა საქალაქო მმართველობას საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაეჭირა მათი მოთხოვნისათვის (206, 2-3). ეს მოვლენა იყო პირველი მცდელობა საქართველოს ეკლესიაში სერიოზული ბზარის შესატანად, რომლის გაღვივებასაც შემდგომში, ნებსით თუ უნებლიედ, დემოკრატიული საქართველოს მთავრობამაც შეუწყო ხელი უკვე ბოლშევიკური რუსეთის სარწმუნოებრივი დეკრეტების გათვალისწინებითა და დანერგვით საქართველოში.

"კავკასიის თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირი" 1916-1917 წლების მიჯნაზე აღმოცენდა და ის სხვადასხვა აღმსარებლობაში სქიზმას მოწყვეტილი მრევლისაგან კომპლექტდებოდა, კერძოდ, სტაროობრიადელებისა და კავკასიაში სხვა მომრავლებული სექტების წარმომადგენლებისაგან. მათ სარეზიდენციო ადგილად თბილისი შეარჩიეს და, როგორც კი მთავრობისაგან თანაგრძნობა იგრძნეს, მაშინვე აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ. კავშირმა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატის იურიდიულ საქმეთა კომისარს 1917 წლის 16 დეკემბერს თანადგომისათვის მიმართა, რათა გამოეცათ საგანგებო დეკრეტი თავისუფალ მოაზროვნეთა უფლებების

გათანასწორებაზე ყველა ოფიციალურ რელიგიასთან. კავშირის წევრები ითხოვდნენ ქალაქის სათათბიროსაგან "თბილისის თემის" იურიდიულ გაფორმებას; თავიანთი წესებით ქორწინებისა და გაყრის კანონთა უფლებამოსილებას და ა.შ. (206,1). ამიერკავკასიის კომისარიატმა კომიტეტის ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა (206, 6-7), ხოლო დამატებით ნაწილში მიუთითა, რომ ვინაიდან ასეთი სახის თემთა შექმნის კანონი ჯერ კიდევ 1906 წლის 17 ოქტომბერს იქნა მიღებული, მათ უნდა ამ წესებით ესარგებლათ და ოზაკომმა სპეციალური დეკრეტის გამოშვებაზე თავი შეიკავა, მით უფრო, რომ საამისო მითითება ცენტრიდან ჯერ არ ჰქონდა მიღებული; ხოლო, რაც შეეხება საქორწინო აქტების რეგისტრაციას (დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება), კავშირის წევრებს უნდა ესარგებლათ რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 14 ივლისის დეკრეტით (N109), რომლის ძალითაც, "ყველა ის პირი, რომელიც არ მიეკუთვნება არცერთ სარწმუნოებას, უნდა განაცხადოს ამის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, რომელიც აწარმოებს რეგისტრაციას" (219, 6). მოცემული ბრძანებულება ძალაში შევიდა 1918 წლის 27 იანვრიდან.

როგორც საარქივო მონაცემებით ირკვევა, საქართველოს ეკლესია, მისი მრევლი და სრულიად საზოგადოებრიობა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ქართული ეკლესიისა და ერის წინააღმდეგ მიმართულ, მის ძირგამომთხრელ პოლიტიკას. "თბილისის თემის" თავმჯდომარე უშაკოვი არაერთგზის მიმართავს ამიერკავკასიის კომიარიატის იუსტიციის მინისტრს და სათანადო განყოფილების უფროსს, რომ "რადგან ყველა რელიგია დემოკრატიულ ქვეყანაში ერთუფლებიანია, მართლმადიდებელი ქრისტიანობა აღარ სარგებლობს არავითარი პრივილეგიებით სხვა რელიგიებთან შედარებით....., რომ საშინელ ზეწოლას განიცდიან ფანატიკოსი ქრისტიანებისაგან..."(219, 10-11).

რელიგიის თავისუფლების თეორიამ სრულ აპოგეას უკვე

რუსეთში სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) ხელისუფლების დროს მიაღწია. რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობაზე, 1919 წლის 18-23 მარტს, რუსეთის კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ ხელისუფლება აღიარებდა ყოველი მოქალაქისათვის სრულ სარწმუნოებრივ თავისუფლებას და დაუშვებლად მიიჩნევდა ამ უფლების შეზღუდვა-ძალდატანებას (105, 577). ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად გატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ქართველი სოციალ-დემოკრატების ქართული ეკლესიისადმი გულგრილი დამოკიდებულება უკიდურეს ზიანს აყენებდა როგორც თავად ეკლესიას, ისე მის მრევლს, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს სამომავლო ბედს სიკეთეს არ უქადდა. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ხელისუფლების სათავეში მდგომმა სოციალისტ-მენშევიკებმა მაშინვე გამოავლინეს თავიანთი დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ და ეროვნული ეკლესიის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ - "დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურნი ათეისტური მსოფლმხედველობისანნი აღმოჩნდნენ. მათ ეკლესია - ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების სიმბოლო-სახელმწიფოსაგან გამოჰყვეს, სკოლა - ეკლესიისაგან და რა სავალალო შედეგებიც აქედან მივიღეთ, ეს დღეს ყველასათვის ცნობილია" - აღნიშნავს ს.ვარდოსანიძე (7, 23).

ქართველმა მენშევიკებმა სრული უნდობლობა გამოუცხადეს ეკლესიას და მისი სახელმწიფოსთან კავშირი მხოლოდ რუსეთის ცარიზმის აპარატისა და უწმინდესი სინოდის ურთიერთობებით მოაიზრეს. მათ არ სურდათ გაეგოთ, რომ სახელმწიფო და სასულიერო ხელისუფლების თანამშრომლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავისუფალი, ზნეობრივი ფორმებით, რომელიც რწმენა-სინდისზე იქნებოდა დაფუძნებული. საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი მმართველობის პერიოდში ბოლომდე ვერ გაარკვია

მისი ეკლესიისაღმი ნდობის საკითხი და ფაქტიურად, თავისი მმართველობის მეთოდებით მის წინააღმდეგ გამოვიდა. მათ არ გაიაზრეს საქართველოს ისტორიული გამოცდილება, რომ ქრისტიანული საქართველო ოდითგან მოვალე იყო თავისი ეკლესიისათვის ნდობა გამოეცხადებინა, რადგან ეს უკანასკნელიც მისი სიძლიერისათვის მებრძოლი იყო. საქართველოს ისტორიაში ეს ნდობა არა იურიდიულ მოვალეობას, არამედ ზნეობრივ პრინციპებს ემყარებოდა და თავისი ნებით უთანხმებდა თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და ინტერესებს ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტს. მაგრამ, მიუხედავად ეკლესიის ესოდენ დიდი გავლენისა, ის არასდროს უხეშად არ ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, რადგან თავად ეს უკანასკნელი თავის საქმიანობას უქვემდებარებდა მაღალ სარწმუნოებრივ ინტერესებს. რუსი ისტორიკოსი, ვლ.ს.სოლოვიოვი აღნიშნავდა - **"Служение государства высшим религиозным интересам и притом свободное служение ..... сводится к следующему: 1)распространение христианства в мире; 2)в самом христианстве мирное сближение народов; 3)в каждом народе устроение общественных отношений по христианскому делу" (102, 2234).**

სამწუხაროდ, ყოველი ზემოჩამოთვლილი არც ერთი პრინციპი საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებას არ გაუთავისებია. მას არც კი უცდია საქართველოს ეკლესიის ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის სამსახურში ჩაყენება. ეს ბუნებრივი მოვლენაც იყო იმ თეორიული პრინციპებისადმი ერთგულების გამო, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები მისდევდნენ.

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მსოფლიოს დიდი სოციალისტების იდეათა მატარებლობის პრეტენზიას აცხადებდა. მათ დემოკრატული საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისათვის ეროვნულ ეკლესიასთან გამიჯვნის აუცილებლობა მიაჩნდათ; სახელმწიფო აპარატს

ანთავისუფლებდნენ ეროვნულ ეკლესიასა და მის სასულიერო კრებულზე ზრუნვისაგან და ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებინათ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება და სახელმწიფო კონსტიტუციაში დაეფიქსირებინათ საგანგებო მუხლი სახელმწიფო ეკლესიის, ანუ "ეროვნული", ან "სახალხო" ეკლესიის შესახებ, საქართველოს ეკლესია საერთოდ გამიჯნეს სახელმწიფოსაგან. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მთავრობის ცენტრალური ორგანოების კომპეტენციას მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება მიანიჭა (5, 289-292). ქართველმა მენშევიკებმა ხმამაღლა განცხადეს, რომ აუცილებელი იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოცილება მსოლოდ ეროვნულ ნიადაგზე - "საქართველოს ავტოკეფალია დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, თუმცა ის პოლიტიკურის თვალსაზრისით არც რევოლუციას ნიშნავს და არც სოციალიზმს (69, N817,2)" - აღნიშნავდნენ ქართველ მენშევიკთა ლიდერები. ყოველივე კი იმის მანიშნებელი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ რუსული ეკლესიისაგან განთავისუფლების ფაქტი იყო და არა ეროვნული თავისუფლების მოპოვების მანიშნებელი და მით უფრო, ახალი საზოგადოებრივი წყობის - სოციალიზმის მშენებლობის წინამორბედი, რამეთუ ეკლესია თავისი შინაგანი და გარეგანი ცხოვრებით ვერ შეესატყვისებოდა სოციალიზმის იდეებს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის პირველი და სერიოზული ღონისძიება, რომელიც ფაქტიურად ეროვნული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო, გამოვლინდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოცილების პროექტზე მუშაობაში, რომელიც დაიწყო 1920 წლის 22 სექტემბერს და დასრულდა იმავე წლის 19 ნოემბერს. ამ პროექტის საფუძველზე, ყველა რელიგიური ორგანიზაცია, ქართულ ეკლესიასთან ერთად ჩამოცილებულ იქნა სახელმწიფოს

პოლიტიკური მოღვაწეობისაგან, ანუ ეკლესია "განთავისუფლდა სახელმწიფო ფუნქციებისაგან (ქორწინება, დაბადება, გარდაცვალება, დაბადების მეტრიკის გაცემა და სხვ. - ქ.პ.). ეკლესია მატერიალურად დამოუკიდებელი ხდებოდა სახელმწიფოსაგან, ხოლო ამ უკანასკნელს უნდა მკაცრად დაეცვა შიდასაეკლესიო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. ეკლესიის ერთადერთ ფუნქციად დარჩა მხოლოდ მორწმუნეთა რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული პუნქტი 24 მუხლს მოიცავდა. პროექტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სარწმუნოება არ იდევნებოდა და, არც რომელიმესადმი მფარველობას იჩენდა. მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი უფლებას იღებდა თავად აერჩია მისთვის სასურველი რელიგია, ან ერთი სარწმუნოებიდან მეორეზე გადასულიყო. ამასთან, არც ერთი მოქალაქე არ იზღუდებოდა სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებში სარწმუნოების, ან რომელიმე მიმდინარეობის არჩევის გამო, მხოლოდ სარწმუნოებირივი კულტის დაცვის მიზეზით ჩადენილი საზოგადოებისათვის მიუღებელი საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა. ზემოაღნიშნული პროექტის პირველ და მეორე მუხლებს მოიცავდა, სადაც ნათლად გამოიკვეთა მთავრობის პოზიცია და ქართული ეკლესიისადმი დამოკიდებულება. საქართველოს ხელისუფლება ქართულ სარწმუნოებას სხვებთან შედარებით არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა და ერთგვარად კრძალავდა კიდეც მისი უპირატესობის დამკვიდრებას საქართველოში. უფრო მეტიც, ასეთი კანონის საფუძველზე ირღვეოდა მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ნორმა, როდესაც მის გვერდით სექტანტური წარმონაქმნი და მისი მიმდევრები ქვეყანაში ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ.

მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს ხაზინიდან სარწმუნოებისათვის სახსრების გაცემა იკრძალებოდა;

გამონაკლისი იყო საზოგადოებრივ დაწესებულებებში საეკლესიო მსახურებისათვის გაწეული ხარჯები, როგორიც იყო: ციხეები, სააკადმყოფოები, ჯარი, ფლოტი, უპატრონო ბავშვთა და მოხუცებულთა თავშესაფრები და ა.შ. მოცემული ფრცელდებოდა ასევე ისტორიული და მხატვრული ღირებულებების - საეკლესიო-სამონასტრო ნაგებობების შენახვა-დაცვისათვის და სხვ. რაც შეეხება ეკლესია-მონასტრებისა და მათი სასულიერო კრებულის შენახვას, საქართველოს ეკლესიას უფლება ეძლეოდა შეექმნა საგანგებო საზოგადოებები: სამრევლოები, სარწმუნოებრივი თემები და ა.შ., რომელთა მოვალეობაც მხოლოდ საკუთარი სამლოცველოსა და მისი მომსახურე პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფა არ იყო, არამედ, მათ ევალებოდათ სახელმწიფო ხაზინაში გადასახადის სახით კუთვნილი თანხის შეტანა, ანუ ისინი სხვა ორგანიზაციების მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაკომპლექტების მონაწილენი იყვნენ.

პროექტის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე მუხლების თანახმად, ზემოხსენებულ საზოგადოება-კავშირებს უფლება ეძლეოდათ კანონის დაცვის საფუძველზე მიეღოთ შემოსავალი, მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულ თანხაზე მეტიც; ასევე ყველა სახის შემოწირულობანი; ეწარმოებინათ თანხების ნებაყოფლობითი აკრეფა და სხვ. ისინი სახელმწიფოში იურიდიულ პირებად დაკანონდნენ.

მერვე მუხლით, ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გარდა მიწისა, რომლის კონფისკაციასაც სახელმწიფო აგრარული რეფორმის ძალით აწარმოებდა. ეს დეკრეტი რუსეთში საბჭოების მეორე ყრილობამ 1917 წლის 26 დეკემბერს მიიღო, რომელიც საერთო სახალხო საკუთრებად გამოაცხადა (40, 418-420). საქართველოში ის ზემოხსენებული პროექტით გადაწყდა და მისი ძალაში შესვლა დაკანონდა მოცემული კანონის გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში. რაც შეეხება სასულიერო პირთა სამუშაო ნაგებობებს: ტაძრებს, სამლოცველო სახლებს, სამრეკვლოებს, სინაგოგებს და

მეჩეთებს, ისინი ეკლესიის კუთვნილ ქონებად გამოცხადდა. ასეთივე ბედი ეწიათ ცალკეულ რელიგიათა ხელმძღვანელ დაწესებულებებს: არქიელის სახლს, კონსისტორიას და სხვ. საეკლესიო ნაგებობათა რიგი მთავრობამ ისტორიულ-მსატვრული ღირებულებების ნიმუშებად მიიჩნია, რომლებიც თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით სახელმწიფო მფარველობას დაუქვემდებარა და მათზე ზრუნვა სახალხო განათლების სამინისტროს განმგებლობას დააკისრა, ისე, რომ მათი ძირითადი დანიშნულება (ღვთისმსახურება - ქ.პ.) ძალაში დატოვა. სახალხო განათლების სამინისტროს კი დაევალა, რომ ერთი წლის მანძილზე, საქართველოს ეკლესიასთან ერთად, ასეთი შენობების სიას წარუდგენდა დასამტკიცებლად.

საზოგადოება-კავშირებს თავისუფალი ნება მიენიჭათ სახელმწიფო საზინის სასარგებლო ფულადი აკრეფისათვის.

კანონ-პროექტის მეთერთმეტე მუხლის თნახმად, საეკლესიო ქონება ერთი წლის მანძილზე უნდა გადასცემოდა რელიგიურ საზოგადოებებს, კავშირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა მათი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე გადაცემა სამართავად.

რელიგიური კავშირები, რომლებიც თავიანთ საქმეში უმოქმედობას გამოავლენდნენ, ან შეინიშნებოდნენ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში, დაიხურებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანებით. მათი გაუქმება მოხდებოდა საეკლესიო სასამართლოს სამოქალაქო ნაწილის მიერ. დახურულ კავშირ-საზოგადოებათა ქონება სამართავად გადაეცემოდა მეზობელ კავშირს, და, თუ ასეთი არ იარსებებდა, მაშინ ადგილობრივ მმართველობას.

პროექტის მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები კავშირებს რელიგიური სწავლების, კრებათა საჯაროობის, შემოსავალ-გასავლების სარჯთაღრიცხვის უფლებას ანიჭებდნენ, რომლის ბიუჯეტის გაკონტროლების უფლებას სახელმწიფო ხელისუფლება იტოვებდა და მის საფუძველზე შემდგარი საერთო ანგარიში უნდა წარედგინა შინაგან საქმეთა სამინისტროში. რაც შეეხება აუთვისებელ სახსრებს, ისინი სახელმწიფოს საკრედიტო

დაწესებულებებში უნდა შენახულიყო.

კანონის ბოლო, 23-ე და 24-ე მუხლები პროექტის ინსტრუქციისათვის გაწეულ მუშაობაში საულიერო პირებსაც რთავდნენ (210, 3-4).

ამრიგად, კანონ-პროექტმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფაზე აშკარად გამოკვეთა საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის დამოკიდებულება როგორც ზოგადად სარწმუნოებისადმი, ისე კონკრეტულად საქართველოს ეკლესიისადმი. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეროვნული ეკლესია თავისი უფლებებით გაეთანასწორებინა საქართველოში დამკვიდრებულ ყველა რელიგიურ აღმსრულებლობასთან და ამით მისი "ამბიციები" შეეზღუდა. ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო ქართული ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან, რადგან მას კარგად უწყოდა ეკლესიის დიდი ისტორიული ავტორიტეტი ქართველ მოსახლეობაში, რომლის ძირითადი ნაწილი ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფოში გატარებული რიგი რეფორმის წინააღმდეგ შეიძლებოდა გამოსულიყო. ეკლესიისა და სარწმუნოების უფლება-გავლენის ალაგმვისათვის მენშევიკური მთავრობა აყალიბებს ე.წ. რელიგიურ კავშირ-საზოგადოებებს, რომლებიც უშუალოდ საერო ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა, მისი ხაზინის ნაწილობრივ შემავსებლად გამოვიდოდა და ეკლესიაზე ზედამხედველობას გასწევდა. ფაქტიურად, ასეთი გზით სახელმწიფო ხელისუფლება ეკლესიის შიდა კომპეტენციებში იჭრებოდა და მისი კადრების შერჩევაშიც კი აქტიურობას იჩენდა. მაგალითად, შინაგან საქმეთა კომისარის ბრძანებულების საუძველზე, აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველად შერჩეულ იქნა ხელისუფლებისათვის სასურველი კანდიდატურა და არა ქართული ეკლესიის მიერ დანიშნული სასულიერო პირი (196ᵃ, 1).

მოცემული პროექტის მიხედვით, საქართველოს ხელისუფ-ლება პასუხისმგებლობას იხსნიდა ეროვნულ ეკლესიის

ეკონომიკურ დახმარებაზე და სახელმწიფო ბიუჯეტში მას არანაირი ადგილი არ გამოუყო. სამაგიეროდ, მისი სახსრების შევსება ოფიციალურად დაავალა ეკლესიას და ამ სავალდებულო მოვალეობის შეუსრულებლობა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადა. განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მიმართულებით მთავრობა იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში საგანგებო ვითარება შეიქმნებოდა. მაგალითად, საქართველოში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების დროს, 1920 წლის მიწურულში არსებული მდგომარეობა ქვეყნის სამხედრო მზადყოფნას ითხოვდა. საამისო სახსრებისა და საჭიროებათა შეგროვებაში სახელმწიფო ხელისუფლება ეკლესიას მიმართავდა. საარქივო მონაცემებით ცნობილია, რომ ცალკეული რეგიონების თვითმმართველობანი საეპარქიო ხელმძღვანელობებს წინასწარ უდგენდნენ გამოსაღები სახსრის ნუსხას. მაგალითად, ბოდბისხევის თემის თვითმმართველობის გამგეობამ ადგილობრივ მონასტერს შეაწერა 3.600 მანეთი ზარბაზნების საყიდელი ფული, ვენახისა და სახნავ-სათესის სარგებლობისათვის 120 თუმანი, სულ 4.200 მანეთი, რასაც ბოდბის მონასტრის წინამძღვარს აცნობებდა 1920 წლის 5 ნოემბერს (153, 1).

ევროპაზე ორიენტაციააღებული საქართველოს მენშევიკური მთავრობა მტრულ შეიარაღებულ ძალად მიიჩნევდა სოციალისტურ რუსეთს, ხოლო დამხმარე და მოყვარულ ძალად ევროპის ქვეყნებს: ჯერ გერმანიას, ხოლო შემდეგ - ინგლისს აცხადებდა.

1918 წლის მიწურულისათვის, ანტანტის ძირითად ფრონტს სამხრეთის ფრონტი წარმოადგენდა (39, 114); ამიტომ, სოციალისტურ რუსეთზე შეტევა აქედან უნდა მომხდარიყო. თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის ხელმძღვანელობა (დენიკინი, ვრანგელი - ქ.პ.), რომელიც იღწვოდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის, არ სცნობდა იმ "დამოუკიდებელ" ერთეულებს, რომლებიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ფარგლებში ცარიზმის დამხობის შემდეგ

აღმოცენდნენ (20, 623). საქართველო მათ მეფის რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ და არ სცნობდნენ საქართველოს მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ ის ბოლშევიზმის მტერი იყო. კონტრრევოლუციის დაცა მენშევიკურ მთავრობასთან იმაში ადგომარეობდა, რომ მას უნდა ეცნო თეთრგვარდიელთა ხელისუფლება მეფის რუსეთის ძველ საზღვრებში, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც იყო საქართველოს მენშევიკური მთავრობა.

1918 წლის მიწურულისათვის შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საქართველოში ერთდროულად ორი, ერთმანეთისადმი წინააღმდეგობრივი იდეოლოგია გაჩაღდა: ერთის მხრივ კონტრრევოლუციურ-თეთრგვარდიული, ხოლო მეორეს მხრივ, ბოლშევიკურ-სოციალისტური. თავის მხრივ, ორივე უპირისპირდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს. მართალია, ისინი ერთმანეთში პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ვერ გვარდებოდნენ, მაგრამ მათ საქართველოსთან მიმართებაში საერთო ზრახვები ამოძრავებდათ: ერთი მიიჩნევდა, რომ საქართველო ცარიზმისდროინდელი იმპერიის განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო მეორე - საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი. საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა შორის აღმოჩნდა კიდევ ერთი მხარე - რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო (სარწმუნოებისა და ეკლესიის დევნა - ქ.პ.), ვერ თანხვდებოდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას. მისი სიმპათია კონტრრევოლუციური ძალისკენ იხრებოდა. ამ განწყობას თავისი ობიექტური მიზეზებიც გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება, რომელიც კონტრრევოლუციურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და, რომელიც საქართველოს ისევ ყოფილი ცარიზმის საზღვრებში მოიაზრებდა, რუსეთის ეკლესიას კავკასიაში ბატონობის აღდგენას ჰპირდებოდა და თავისი პოლიტიკის იდეოლოგად მიიჩნევდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის

ბურჟუაზიულ ხელისუფლებას სანაცვლოდ რუსული ეკლესიისათვის პატრიარქობის სოციალური ინსტიტუტი უნდა აემოქმედებინა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, არ იქნებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის პოლიტიკური ინტერესების გამიჯვნის ფაქტი. ორივე მხარის ინტერესებში იყო კავკასიაში ბატონობის აღდგენა და ამ საქმეში ერთმანეთის თანადგომა. ასეთი ინტერესების შედეგი იყო კავკასიის საეგზარქოსოს დაფუძნება, რომლის ცენტრიც საქართველოში იყო, ეს უკანასკნელი კი, ამ რეგიონის ჰეგემონობის ისტორიული ფუნქციით სარგებლობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საქართველოსათვის მძიმე პერიოდში (1918-1919 წწ.), რუსული ეკლესიის უჯრედი (კავკასიის საეგზარქოსო) საქართველოში უდარდელ მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. სამოქალაქო ომის ხანა რუსულ ეკლესიას კიდევ ერთ ხელსაყრელ შემთხვევას უქმნიდა თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის: აღდგენილიყო რუსეთის ბურჟუაზიული ხელისუფლება, რაც გარანტი იქნებოდა მისი და მისთვის სასურველი წყობილების დამყარებისათვის რუსეთში და ორივეს გაბატონებისათვის კავკასიაში.

ბუნებრივია, საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის მიუღებელი იყო რუსეთის ორივე ხელისუფლებისა და მათი ეკლესიის ინტერესები საქართველოში. ამიტომ, ქვეყნის ხელისუფლება მათი მიზნების აღმოფხვრისათვის აქტიურ ქმედებებზე გადადის. საქართველოს მთავრობის ზეწოლის ქვეშ მოექცა რუსეთის ყველა დაწესებულება საქართველოში და მათ შორის, კავკასიის საეგზარქოსოც. 1918 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და სრულიად საქართველოს რესპუბლიკამ მიიღო რუსეთის საერთო დაწესებულებათა და მათ განყოფილებათა ლიკვიდაციის კანონი. რესპუბლიკის მთავრობას მოცემული კანონის საფუძველზე დაევალა:

1).საჭიროების მიხედვით მოახდინოს ნაწილობრივი, ან

სრული ლიკვიდაცია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის, კავკასიის, ან ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა და მათი ადგილობრივი განყოფილებებისა, არა უგვიანეს 1918 წლის დეკემბრის პირველ ნახევრამდე.

ნიშანდობლივია, რომ "საჭიროების შემთხვევაში" ქვეყნის ხელისუფლება გულისხმობდა იმ მოვლენას, რომ კანონი უპირველეს ყოვლისა უნდა შეხებოდა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ანტიქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ახორციელებდნენ;

2). ქვეყნის მთავრობას დაევალა, რომ ყოველი დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარდგინებოდა სათანადო კანონ-პროექტი მომხდარი ფაქტიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში (104, 47).

მიუხედავად აღნიშნული კანონ-პროექტის დადგინებისა და მის საფუძველზე არა ერთი დაწესებულების ლიკვიდაციისა, კავკასიის საეგზარქოსოს მიმართ ეს ღონისძიება 1920 წლამდე არ განხორციელებულა. ეს უკანასკნელი მთელი ძალისხმევით აგრძელებდა ანტიქართულ საერო და სასულიერო პოლიტიკას საქართველოში, ამხედრებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას ქვეყნის მთავრობის საწინააღმდეგოდ, ეწეოდა რუსული ბურჟუაზიული წყობილების აქტიურ პროპაგანდას. ამ საქმისათვის კავკასიის საეგზარქოსოს ხელისუფლება იყენებდა თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარს, რომელიც რუსული სასულიერო-სამხედრო სამღვდელოების, ცარიზმიდან მოყოლებული, ე.წ. რეზიდენციას წარმოადგენდა. 1918 წლის 1 ივნისს, ტაძარი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებას გადაეცა და მიუხედავად ამ ფაქტისა, ის რუსული მრევლის სამლოცველოდ დარჩა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ აქ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ღვთისმსახურება რუსულ ენაზე წარმოებულიყო.

1918-1919 წლების მიჯნიდან, შექმნილი პოლიტიკური

ვითარებიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, თეთრგვარდიელთა იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარი კავკასიის საეგზარქოსოს ხელისუფლება აქტიურ აგიტაციას ეწევა მოსახლეობაში რუსული პოლიტიკის სასარგებლოდ. აღნიშნული პოლიტიკის სააგიტაციო ასპარეზად ალექსანდრე ნეველის სახელობის თბილისის ტაძარი გახდა, რის გამოც, 1919 წლის 10 იანვარს, საქართველოს სამხედრო მინისტრის განკარგულების საფუძველზე, ტაძარზე გამგეობის უფლება ჩამოერთვა რუს სამღვდელოებას და მისი წინამძღოლობა გადაეცა საქართველოს სამხედრო სამღვდელოებას და აიკრძალა რუსულ ენაზე ღვთისმსახურება (197, 1-2).

ასეთმა ბრძანებულებამ აშკარა გახადა, რომ საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რეაქციამ კავკასიის საეგზარქოსოზეც იწყო განვრცობა. აღნიშნულის გარდა, საეგზარქოსოს სერიოზული პრობლემები შეექმნა შიგნითაც, რაც გამოწვეული იყო მრავალი ფაქტით: 1).საეგზარქოსოს ფაქტობრივად აღარ ჰყავდა იდეურ-მატერიალური ძალა, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებიდან მომდინარეობდა. ის ფაქტიურად, მარტო აღმოჩნდა უცხო ქვეყანაში და დაპირისპირებული ძალის წინაშე; 2).საეგზარქოსოს კავკასიაში არათუ ბატონობაზე, არამედ მის ელემენტარულ არსებობაზეც ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ყოფილი იმპერიის მთელს ტერიტორიაზე რევოლუციის შედეგად გამოწვეული ანარქია, სამოქალაქო ომი და ა.შ. ყოველივედან გამომდინარე, საეგზარქოსო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მან მოადუნა ყურადღება საქართველოს მენშევიკური მთავრობის მისდამი აგრესიაზე და თავისი რღვევის მიზეზთა გამოკვლევას შეუდგა. კავკასიის საეგზარქოსოს მძიმე ჟამი დაუდგა: საგრძნობლად შემცირდა სამრევლოებში სამღვდელოებისა და მრევლის რიცხობრივი მაჩვენებელი; გაუკაცრიელდა და ფაქტიურად გაუქმდა არა ერთი სამრევლო; შეკეთება-აღდგენას საჭიროებდა ეკლესია-მონასტრები; გაიბნა და მიტაცებულ იქნა

საეკლესიო ქონება; სისტემატიური ხასიათი მიეცა ეკლესია-მონასტრებისა და სამღვდელოების დაყაჩაღების ფაქტებს; ქაოსმა მოიცვა საეკლესიო შემოსავლებისა და ხარჯთაღრიცხვის წარმოება და ა.შ. ფაქტიურად, თითქმის აბსოლუტურად მოიშალა დაწესებულების ორგანიზაცია. ყოველივეს გამოსაკვლევად, კავკასიის სინოდალური კანტორის გადაწყვეტილებით, 1919 წლის 28 მარტს შესდგა სინოდალური კანტორის სხდომა, სადაც დადგინდა ზემოაღნიშნულის მიზეზთა დადგენისათვის სათანადო არგუმენტაციის წარდგინება კანტორაში (189, 10).

პარალელურად, გაცხოველებული დავა მიმდინარეობდა ქართული და რუსული საეკლესიო ქონების გადანაწილების ირგვლივ, რომლის მიზეზითაც შექმნილი უსიამოვნო ექსცესები კიდევ უფრო ამძიმებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. საპრობლემო საკითხის საბოლოო მოგვარების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1920 წლის 17 თებერვლის სხდომაზე მოსმენილ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმების შესახებ. ეს კანონი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო იმავე წლის 21 თებერვალს მე-3 მუხლით (209, 16).

მოცემული კანონის დადგინებისას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ აქტიურად ისარგებლა საერთო მართლმადიდებელი საეკლესიო კანონმდებლობით, რომელიც კრძალავდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ორი მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. ამასთან, ხელისუფლება ეყრდნობოდა რიგ ფაქტს იმის შესახებ, რომ კავკასიის საეგზარქოსო მიზანშეუწონელი ქმედებებით უხეშად ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში მოღვაწეობდნენ არასანდო ელემენტები და რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მკვიდრ მოსახლეობას ერთმანეთს უპირისპირებდნენ. ყოველივეს საფუძველზე, კავკასიის საეგზარქოსოს მუშაკთა და თანამდებობის პირთა საქართველოში მოღვაწეობის შედეგები გადამოწმდა ქვეყნის

მთავრობის მიერ და არასანდო პირთ აეკრძალათ საქართველოში საქმიანობის გაგრძელება.

ამრიგად, 1920 წლის თებერვლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე შეწყდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უდაოდ დადებით გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ დღის წესრიგში დადგა არაქართველი მრევლის შემდგომი ბედის საკითხი; ფაქტიურად, ისინი მოსწყდნენ თავიანთ სულიერ მწყემსს და ბედის ინაბრად მიტოვებულნი დარჩნენ. ქვეყნის ხელისუფლებისათვის ამ შემთხვევაში, აშკარად დადგა საკითხი ქართული ეკლესიისადმი თანადგომისა, რადგან ამ უკანასკნელს უნდა მოეხდინა რუსი, ბერძენი, ოსი და საქართველოს ფარგლებში მცხოვრები სხვა არაქართველი მოსახლეობის საქართველოს ორიენტაციაზე დაყენება, ქვეყნის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენება. ამიტომ იყო, რომ 1920 წლის 17 აგვისტოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მოსმენილ იქნა იუსტიციის მინისტრის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებული რუსული, ბერძნული და ოსური სამრევლოების დაქვემდებარების საკითხის გამოკვლევაზე. საკითხის სათანადო შესწავლის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა საეკლესიო კანონმდებლობით გემოხსენებული სამრევლოები დაექვემდებარებინა საქართველოს ეკლესიისათვის N7 "გ" მუხლის ძალით (209, 21).

სწორედ ამ გადაწყვეტილების შემდგომ მოხდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობის ქართული ეკლესიის სასარგებლოდ გადადგმული ერთადერთი ნაბიჯი, რაც, ფაქტიურად, ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურებოდა. ბუნებრივია, ვერ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ საერო ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება ქართული ეკლესიის

ინტერესებისათვის მიიღო, მით უფრო მისი ეკლესიისადმი მატარებელი პოლიტიკის ფონზე. აშკარაა, რომ აღნიშნული განპირობებული უნდა ყოფილიყო მთავრობის პოლიტიკურ ჩიხში მოქცევით; ქეეყნის შიდა და საგარეო მდგომარეობის დამძიმება, მთავრობას იძულებით კომპრომისისაკენ უბიძგებდა ეკლესიის წინაშე, რაც, უნებლიედ მთავრობის დიდ მამულიშვილურ, ეროვნულ საქმეს წარმოადგენდა.

თავი მესამე - ქართველი სამღვდელოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანტისაეკლესიო პოლიტიკის მიმართ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკამ საქართველოს ეკლესიის სასულიერო ფენის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კანონ-პროექტმა, საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ, საეკლესიო-სამონასტრო მიწების დეკრეტმა, ქართულ ქრისტიანობასთან საქართველოს ყველა აღმსარებლის გათანაბრებამ, ეროვნული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემისათვის მრევლში გაწეულმა მუშაობამ და სხვ. საქართველოს საეკლესიო ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია გამოიწვია. ქვეყანაში მიმდინარე ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად, დაინგრა და განადგურდა მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო კათედრები, გაუქმდა მათი ფუნქციონირება, დაცარიელდა ეკლესია-მონასტრები, დაიხურა მონასტრებთან არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები. ასეთი ვითარების ფონზე აშკარა იყო, რომ საქართველოს ეკლესიას გადაგვარების ახალი საფრთხე შეექმნა, რომელიც იმ ეტაპზე ქვეყნის შიდა ეროვნული პოლიტიკური ძალებიდან მომდინარეობდა. ასეთ მძიმე ვითარებაში, ბუნებრივი იყო ქართველი სამღვდელოების პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ამავდროულად, ქართული ეკლესიის მძიმე მატერიალური მდგომარეობითაც იყო განპირობებული. ქართული ეკლესია საბოლოოდ მიხვდა მენშევიკური მთავრობის პოზიციას ეროვნული ქრისტიანობისადმი და მისი გადარჩენისათვის ხმა აღიმაღლა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არ გაითვალისწინა ქართული ისტორიული ტრადიცია იმის შესახებ, რომ ეროვნული სახელმწიფოს არსებობის საყრდენი მისი ეკლესია იყო ოდითგან, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი იდეოლოგიური მესაჭის როლს ისტორიულად საქართველოს

მართლმადიდებელი ეკლესია ასრულებდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება ხილული თუ უხილავი ძალებით იყო დაკავშირებული ეროვნული ეკლესიის ერთიანობა-სიმტკიცეზე, და, რომ თავის მხრივ, სახელმწიფოც კისრულობდა ვალდებულებას არათუ მხოლოდ ეკლესიის ძლიერებაზე, არამედ მრევლის რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილებისათვისაც. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას არანაირი სურვილი არ გააჩნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტიც, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართული ეროვნული სახელმწიფოსა და მისი კულტურის იერსახეს ქრისტიანული იდეოლოგია განსაზღვრავდა და მის ფორმირება-ევოლუციაში წამყვანი როლი ქართულ ეკლესიასა და მის სასულიერო კრებულს ენიჭებოდა - "…. სასულიერო წოდებას უნდა უმადლოდეს ქართველი ერი თავის ძველი წარმატებული კულტურისათვის…. აღორძინება სამშობლო მწერლობისა, მხატერობა, ხუროთმოძღვრება… ერის ზნეობრივი გასპეტაკება და სხვა - ყველა ამის მიზეზი და მოთავე იყო დიდად მოღვაწე სასულიერო წოდება" (10, 32).

საქართველოს ეკლესია და მისი სასულიერო კრებული მთელი ძალისხმევით იცავდა ქრისტიანულ სწავლებაზე დამყარებულ პრინციპს ხელისუფლებასთან სწორ და ჯანსაღ დამოკიდებულებაზე და მრევლს მისი დაცვისაკენ მოუწოდებდა. როგორც ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, საქართველოს ეკლესია ამ შემთხვევაშიც, დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელ სხვა ფაქტორთან ერთად, წინა რიგში დგომის მოსურნე იყო, მით უფრო, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ ყველა რელიგიურ მიმდინარეობას არ შესწევდა უნარი სახელმწიფოს დასაყრდენის ფუნქციის შესრულებაში, რამეთუ ისტორიული გამოცდილებით, ბევრი მათგანი ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივი და ანტიჰუმანურიც კი იყო. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხომ საქართველოსათვის მიუღებელი, განსხვავებული რელიგიური მიმდინარეობის, ან

ქრისტიანული მიმართულების აქტიურობა მისი ეროვნულობისა და კულტურის ამოძირკვისაკენ იყო მიმართული.

საქართველოს სამღვდელოება ცდილობდა, ქვეყნის ხელისუფლებისათვის შეეხსენებინა, რომ ქრისტიანი ქართველი მეფე-ხელისუფალნი ეკლესიისადმი ჩადენილ დანაშაულს ქვეყნისადმი ჩადენილ ცოდვად მიიჩნევდნენ, ხოლო თავის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლება ერის წინაშე ღალატს ღვთის გმობას უკავშირებდა. ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) შენიშნავდა: "თვინიერი პატიოსნებისა კაცი არ გამოეა არც კარგი ქრისტიანი და არც კარგი მოქალაქე. პატიოსნება არის უმთავრესად საჭირო თვისება ყოველისა ხელმწიფის მსახურისა, ანუ ჩინოვნიკისა" (106, 440-441). ამიტომ იყო, რომ საქართველოს არაერთი სახელმწიფო მოღვაწე-პოლიტიკოსი წმინდანად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ.

ქართველ სამღვდელოებას კარგად უწყოდა, რომ მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დააჩქარა ქართველთა სულიერი პროგრესი, რომლის ძალითაც, მან შესძლო არათუ საშინაო და გარეშე დამანგრეველი კატაკლიზმების გადალახვა, არამედ ამით გამოწვეული მტანჯველი გამოცდილებით გადარჩა და კიდევ უფრო დაიხვეწა. საქართველოსათვის უმძიმეს საშინაო და საგარეო ვითარებებში გამძაფრებით მიმდინარეობდა სარწმუნოებრივი მერყეობის პროცესები, საერო და სასულიერო ფენათა დაპირისპირებულობანი და, როგორც ინგლისელი კულტუროლოგი არნოლდ ტოინბი შენიშნავს - "…. სულიერი და საერო იდეალები ასეთ შემთხვევაში მუდმივად ებრძვიან ერთმანეთს ადამიანთა სულებზე გაბატონებისათვის… ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ადამიანთა სულები საერო წარმატება-აყვავებისას არად აგდებენ სულის კანონს, ხოლო როცა ზარალდებიან, ხდება ისევ ღმერთისაკენ შემობრუნება…. ეს, თუ ასეა, მაშინ იწყება ხანა, როდესაც მიმდინარეობს რელიგიურ ცხოვრებაში

ინტენსიური სულიერი გამოღვიძება და მჩქეფარე სულიერი აქტივობის აფეთქება" (41). ზემოთ მოყვანილი სიტყვები ეფიქრობთ, პირდაპირ უნდა მიესადაგებოდეს 1918-1921 წლების საქართველოს ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკას და ქართული ეკლესიის ამ პროცესისადმი დამოკიდებულებას. საერო წარმატება-აყვავების გზაზე დამდგარ მენშევიკურ ხელისუფლებას არად მიაჩნია ეროვნული ეკლესია, ხოლო, როგორც კი პოლიტიკური კრიზისის ხანა უდგება (იგულისხმება რუსეთის ეკლესიის აგენტის - კავკასიის საეგზარქოსოს საქმიანობა საქართველოში - ქ.პ.), მაშინვე იწყებს ქართული ეკლესიის წინაშე კომპრომისული ნაბიჯების გადადგმას, რაც გამოვლინდა რუსული ეკლესიის უჯრედის გაუქმებით საქართველოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ითქმის, რომ საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა, მისი სასულიერო და საერო კრებული ქვეყნის ხელისუფლებისაგან ითხოვს იმ ფაქტის გააზრებასა და შესაფერისი პოლიტიკის გატარებას, სადაც გამოვლინდება ეროვნული ეკლესიის ისტორიული ღვაწლის დაფასება სახელმწიფოს კეთილდღეობის წინაშე, რომ უნდა სათანადოდ შეფასებულიყო ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესია მუდამ მხარში ედგა და უდგას ეროვნულ სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის იდეოლოგიაც სწორედ ამ მრწამსზეა დაფუძნებული. თავის მხრივ, სახელმწიფოსაც უნდა ეზრუნა მისი განმტკიცება-სიძლიერისათვის. ეპისკოპოსი ლეონიდი (ოქროპირიძე) შენიშნავდა: "ეკლესიის განადგურებით, ვერც კულტურულად მოიგებს ჩვენი სახელმწიფო, ის სოციალიზმი, რომლითაც ქვეყნის გაბედნიერებას ლამობენ, მმართველ პარტიას ჯერ ვერ დაუმყარებია. ჩვენში, სხვა ღირებულება კი, რომელსაც ქრისტიანობის მაგივრობა შეეძლო ჩვენი ხალხისათვის, ვერც მორალური და ვერც გონებრივი, მას ვერ შეუქმნია" (162, 21-22) - ასე ასაბუთებს ეპისკოპოსი ლეონიდი ქრისტიანობის ისტორიულ მისიას როგორც საკაცობრიო, ისე

საქართველოს მასშტაბით და ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ქართველი ერისათვის სასარგებლო წყობილების დამყარებაში ქრისტიანობასა და მის ტაძარს ყველაზე დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს.

საქართველოს ეკლესიისათვის არანაკლებ მძიმე ხანაში (დემოკრატიული მმართველობის პერიოდი - ქ.პ.), საქართველოს სამღვდელოებას დიდი პოლიტიკური და საეკლესიო ლავირების უნარი უნდა გამოეჟღინა. ქართველი სამღვდელოება ქვეყნის ბედით დაინტერესებული და მისი კეთილდღეობისათვის მოწადინებული, საინტერესო ანალიზს ახდენს მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენების ირგვლივ და ხსნის გზას ეძიებს. მას დროთა ვითარებაში ჩამოუყალიბდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან დამოკიდებულების საინტერესო მიდგომა. ქართველი სამღვდელოება აკრიტიკებს სახელმწიფოზე ეკლესიის დაქვემდებარებას, მაგრამ ამავდროულად, დიდ შეფასებას აძლევს სასულიერო პირთა მოღვაწეობას სამოქალაქო მმართველობის ინტერესებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ხალხის ეროვნულ-სოციალური მდგომარეობის კეთილდღეობას ემსახურებოდა. საქართველოს სამღვდელოებამ თავის მოვალეობად მიიჩნია თავისი ერის გარკვევა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში საღვთო წერილის ფონზე. მას უნდა დაენახვებინა ხალხისათვის ხელისუფლების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, გაერკვია ისინი მენშევიკური მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკის უსუსურობასა და უსამართლობაში - "…. სახელმწიფომ, თუკი იგი ითვლება, როგორც ქრისტეს დანაბარების შემსრულებლად, თვითონ უნდა თქვას უარი ყოველგვარ ძალადობაზე საზოგადოების მიმართ და მტკიცედ დაიცვას კანონით მისი თავისუფლების უფლება ყოველგვარი ძალადობისაგან, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის…"(155, 14) - აცხადებდა სამღვდელოება. ამ შემთხვევაში, სასულიერო კრებული ეროვნული ეკლესიის

თავისუფლების შეზღუდვას გულისხმობდა საერო ხელისუფლების მხრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ქართული ეკლესია უდიდეს იმედებს ამყარებდა. მას მყარად სწამდა, რომ ერთობლივი ძალებით შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული სახელმწიფოს აღშენება, რომლისთვისაც მთელი 117 წლის მანძილზე იბრძოდა; ქართული ეკლესია, როდესაც თავისი თვითმოწესეობის აღდგენის საკითხს პირდაპირ უკავშირებდა ეროვნული თავისუფლების მოპოვებას. საამისოდ, ის ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად იბრძვის და ყველა მომქმედ პოლიტიკურ ძალასთან მიდგომის მეთოდ-ხერხებს იმუშავებს (12, 120-130).

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ქართულმა ეკლესიამ მოუწოდა ეროვნულ ყრილობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ბრძნული ქმედებებისაკენ - "... მთლიან საქართველოს მთლიანი ბრუნვაც ესაჭიროება: არც ერთი მსარე, არც ერთი დარგი ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა არ უნდა დარჩეს უგულებელს ყოფილი ერის მესვეურთაგან, - ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი სიბრძნე მათი!" (166, 2) - აღნიშნავდნენ ქართული ეკლესიის ხელმძღვანელება. ამ სიტყვებით საქართველოს სამღვდელოება ითხოვდა დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლებისაგან ისტორიული სამართლიანობის აღდგენას და თამამად აყენებდა საკითხს ეროვნული ეკლესიის აღორძინებისათვის და მისი კუთვნილი ქონების დაბრუნების საქმეში თანადგომას სთხოვდა, რომელიც მას რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ჩამოერთვა. საკათალიკოსო საბჭო 1918 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან ითხოვს უძველესი კულტურული ნაშთების დაცვა-გადარჩენის ღონისძიებათა გატარებას და საამისო საშუალებად საქართველოს ეკლესია-მონასტრებისათვის კუთვნილი

უძრავი ქონების: კარ-მიდამოთა, ბაღ-ვენახების, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილების დაბრუნება მიაჩნია (168, 6), რაც ეკლესიის ეკონომიკური მომძლავრებისა და ახლადშექმნილი სახელმწიფოს მატერიალური ბაზისის შექმნის გარანტი იქნებოდა - "... გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ საქართველოს მონასტრებს დაუბრუნოთ მათდამი კუთვნილი კარმიდამო, ვენახ-ბაღები, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, რათა ჩვენი უძველესი კულტურის ნაშთები დაცულ იქნეს მომავალი თაობისთვის" (168, 26) - ითხოვდა შინაგან საქმეთა მინისტრისგან საკათალიკოსო საბჭოს წევრი დეკანოზი კალ. ცინცაძე.

რუსეთის თვითმპყრობელობის საეკლესიო-პოლიტიკური რეფორმის შედეგად, უკიდურესად გაძარცული ქართული ეკლესია ახალ სელისუფლებას მძიმე მატერიალური ყოფით შეხვდა. არსებულმა განაპირობა, რომ ცალკეულ ეპარქიათა ყრილობებზე დაფიქსირდა წუხილი, რომ მთავრობა არ ზრუნავდა ეკლესიის დუხჭირ ყოფაზე და თსოვნით მიმართავდა მას გამოენახათ სახელმწიფო ხაზინაში შესული საქართველოს ეკლესიის ქონებისგან ფინანსები ეკლესიისა და მისი კრებულის მატერიალური უზრუნველყოფისათვის (212, 71).

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსეთის იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიიღო მძიმე ეკონომიკური ვითარება. ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მღელვარებებმა, მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, თაეისი უარყოფითი გაელენა იქონიეს სოციალურ ფენათა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოების ყველა ფენა უკიდურესად მძიმე მატერიალურ ცხოვრებას განიცდიდა. ამ მხრივ, არც სამღვდელოება იყო გამონაკლისი. მათი არსებობის ძირითადი წყარო საღვთო-სამსახურო წესების შესრულებიდან მიღებული მცირედი ნებაყოფლობითი გასამრჯელო იყო მრევლისაგან, რასაც კიდევ უფრო მიზერული სახელმწიფო ჯამაგირი ერთვოდა, რომელიც

წელიწადში 100-დან 300 მანეთს არ აღემატებოდა (196, 6). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამღვდელოება ითვალისწინებდა ახლადშექმნილი სახელმწიფოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას და მისი უფრო დამძიმებისაგან თავს იკავებდა, როდესაც მრევლისაგან საწესოს ამოღებაზე ხშირად უარს აცხადებდა და მას უსახსრებოდ ემსახურებოდა. ბუნებრივია, სამღვდელოება ასეთი პირობებით ვერ ასერხებდა არათუ ოჯახის, არამედ საკუთარი თავის გამოკვებასაც. აქედან გამომდინარე, სასულიერო ფენა თავის გაღარჩენის გზის ძიებაში არჩევანის წინაშე აღმოჩნდა; მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამღვდელოება, როგორც წოდება რომ გადარჩენილიყო, საამისოდ აუცილებელი იყო მას ჰქონოდა ელემენტარული საარსებო სახსარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იძულებული გახდებოდა მიეტოვებინა საეკლესიო სამსახური და სამუშაოდ სამოქალაქო დაწესებულებაში გადასულიყო, რაც ეროვნული ეკლესიის საბოლოო განადგურებას გამოიწვევდა.

გაიაზრა რა სამღვდელოებამ თავისი უკიდურესი მდგომარეობა და ეროვნული ეკლესიისადმი შექმნილი მოსალოდნელი საფრთხე, საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობით, 1918 წლის 26 აგვისტოს თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ქართველი სამღვდელოების გადარჩენისათვის, ხელისუფლებას სახელმწიფო ხაზინიდან წელიწადში გამოყოფოდა 9.137.400 მანეთი. ნიშანდობლივია, რომ ამ დროისათვის საქართველოს საკათალიკოსოში ირიცხებოდა 1.425 სამრევლო. აქედან - 914 ქუთაისის გუბერნიაში, 453 - თბილისის გუბერნიაში, 56 - სოხუმის ოლქში და 2 - განჯის გუბერნიაში, სადაც მსახურობდა 1.520 მღვდელი, 21 დიაკვანი და 1.501 მედავითნე (196, 6). თავის მხრივ, სამღვდელოება ცდილობდა მრევლისათვის აეხსნა შექმნილი ვითარება და ამ საქმეში თანადგომას ითხოვდა - "წმინდა სტეფანეს მონასტრის მღვდელი, მამა ეფრემი იგზავნება სიღნაღის უეზდის სოფლებში საკალმასოდ - პურის შესაკრეფად სამონასტროდ

და ეთხოვ ყველა სოფლის მმართველთა, სამღვდელოთა და მამასახლისთა, მრევლთა, შემწეობა აღმოუჩინონ პურის კრეფაში..... ვისაც რამდენი ლიტრა ხორბალი ექნების, ნება ყოფლობით ის შემოსწიროს მონასტერს და მით სახლობა და საკუთრივ ქონება დაალოცვინოს მონასტერს (154, 1)" - მიმართავდა თხოვნით მრევლსა და მაგრის ხელმძღვანელობას არქიმანდრიტი დომენტი.

ქართული ეკლესიის ეკონომიკური დაძაბუნება პირდაპირ არეკვლას ჰპოვებდა მისი ეკლესია-მონასტრების სავალალო მდგომარეობაზე. რიგი ეკლესია-მონასტერი ძველმა ხელისუფლებამ სამოქალაქო საჭიროებისათვის გამოიყენა და მას საბოლოოდ დააკარგვინა მისი დანიშნულება. ამ მხრივ, განსაკუთრებულად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისის მეტეხის ტაძარი, სადაც მთავრობამ ქალაქის ციხე გასსნა. ამ ფაქტით აღშფოთებული სამღვდელოება ხელისუფლებას თხოვნით მიმართავდა, რომ დაეცვა ისტორიული ძეგლი საბოლოო განადგურებისაგან, სადაც ინასებოდა წმინდა მოწამე შუშანიკის ნაშთები, რომელიც ქართული და სომხური ეკლესიის წმინდანადაა შერაცხული. ქართველი სამღვდელოება ხელისუფლებას თხოვნით მიმართავდა შენობის განთავისუფლებისათვის, რომელიც არ იქნა დაკმაყოფილებული (194, 2-4). საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკის მთავრობის წინაშე არაერთგზის დააყენა ეს საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. ასევე უყურადღებოდ იქნა დატოვებული საკათალიკოსო ტაძრების შეკეთებისათვის მოთხოვნილი თანხების გამოყოფის საკითხიც, როდესაც საამისოდ თბილელმა მიტროპოლიტმა მიმართა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და მათ დასაცავად წელიწადში 486.200 მანეთი მოითხოვა სახელმწიფო ხაზინიდან (196, 9). ეს უკანასკნელი გაითვალისწინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც სიონის საკათედრო ტაძრის შესაკეთებლად და მისი კრებულის დასახმარებლად გამოსცა კანონ-პროექტი, რათა სახელმწიფო ხაზინიდან გაცემულიყო კრედიტი 6.513 მანეთისა და 37

კაპიკის რაოდენობით (196ბ, 19,), ხოლო, როდესაც მოცემული საკითხი განიხილა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ, კანონ-პროექტი უწყებას უკან დაუბრუნა (196, 25). ამ ფაქტმა ქართველ სამღვდელოებას საბოლოოდ დააკარგვინა იმედი საქართველოს მთავრობისადმი და მის მიმართ უარყოფითად განაწყო - "....საქართველოს ეკლესიას, რომელიც ყველაზე ფხიზლად სდარაჯობს ქართულის ეროვნულ თავისუფლებას, თუ საპატიო არა, თანასწორი ადგილი მაინც უნდა დათმობოდა და ხელისულებას მასზე ებრუნა....." - აღნიშნავდა გულნატკენი ეპისკოპოსი ლეონიდი (161, 1). მოგვიანებით, როდესაც საქართველოში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ მთავრობამ ეროვნული ეკლესიისადმი მკაცრი დამოკიდებულება შეარბილა, სამღვდელოების მოთხოვნების გათვალისწინებაც დაიწყო. კერძოდ, 1920 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით, სიონის ტაძარს, მცხეთის საკათედრო ტაძარს სახელმწიფო სახსრებიდან შესაკეთებლად გამოეყო 930.215 მანეთი და 94 კაპიკი (196ა, 6).

საქართველოს ეკლესიისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ის ეკონომიკური კუთხით ისტორიულად არასდროს ყოფილა სახელმწიფოზე დამოკიდებული. ეკლესია, როგორც მძლავრი, ფეოდალური, დამოუკიდებელი სოციალური ინსტიტუტი, შესანიშნავად უძღვებოდა თავის შიდა სამეურნეო საქმეს და, როგორც ეკონომიურად ღონიერი დაწესებულება, ის არათუ საკუთარ თავს ინახავდა, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეშიც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა. მას შემდეგ, რაც თვითმპყრობელობამ და უწმინდესმა სინოდმა გააუქმეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა, მოახდინეს მისი რეფორმაცია, ჩამოართვეს ეკლესიას დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება და ის იმპერიის საერთო ეკონომიკის ნაწილად აქციეს, საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდელოება იმპერიის სახელმწიფო ხაზინაზე დაქვემდებარებული გახდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ქართული ეკლესია და მისი კრებული იმავე მდგომარეობაში

დარჩა, როგორშიც ცარიზმის უღელქვეშ იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქვეყნის დემოკრატიული წყობილების გამოცხადებისთანავე, საქართველოს სამღვდელოებამ მთავრობის წინაშე დააყენა საერთოდ ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის არსებობა-გადარჩენის საკითხი.

საქართველოს ეკლესია ქვეყნის ხელისუფლებისაგან თანადგომას ითხოვდა; ავალდებულებდა მას დაეცვა ეკლესია გარეშე ძალის აგრესიისაგან (რუსული მართლმადიდებელი ეკლესია - ქ.პ.), რომელიც ვერ ეგუებოდა ქართული ეკლესიის მოთავეთა "თვითნებურ საქციელს", ნებადაურთველი დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ასეთ ქმედებას უკიდურესი აგრესიით პასუხობდა - არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის ეროვნულ და ტერიტორიალურ თვითმოწესეობას; საელესიო ქონებას ედავებოდა და რუსეთის იმპერიის კუთვნილი ქონებისა და თანხების მითვისებაში ადანაშაულებდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებდა მთავრობის თანადგომაზე, და მისი წარმატება-დღეგრძელობისათვის სათანადო საეკლესიო ღონისძიებებსაც ატარებდა (207, 3), დემოკრატიული ხელისუფლება არაფერს აკეთებდა ეროვნული ეკლესიის დაცვისათვის. პირიქით, ატარებდა ანტისაეკლესიო პოლიტიკას, რაც ქართველ სამღვდელოებას უკიდურეს სასოწარკვეთილებაში აგდებდა - "... ამას ვერ წარმოვიდგენდით, რომ დღევანდელი მთავრობა, რომელიც ყველას და ყოველ დაწესებულებას თავისუფლებას და ავტონომიურ უფლებებს ანიჭებს, ვერას გაიმეტებდა ჩვენთვის კათალიკოსობის ტიტულის მეტს!.... რასაკვირველია, თუ არა ნაკლებს, არასოდეს იმის მეტს მაინც არ გაიმეტებს, რასაც წინა მთავრობა (ოზაკომი -ქ.პ.) იმეტებდა და მაშასადამე, უსაქართველოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღიარება მარტო ფრაქციაა (208,2)" - აცხადებდნენ სასულიერო ფენის ლიდერები. მენშევიკური მთავრობის საქციელით აღშფოთებულმა სამღვდელოებამ დაინახა, რომ მას არად უღირდა ეროვნული ეკლესიის ბედი.

მისი იდეოლოგიურ-ეკონომიკური დაძაბუნება ინტერესს დააკარგვინებდა ქართველ მრევლს საერთოდ სარწმუნოებისადმი. ეს გზა კი ყველაზე რეალური უნდა ყოფილიყო ეკლესიის სახელმწიფო საქმიანობიდან ჩამოცილებისათვის. სამღვდელოებამ შენიშნა სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებული იდეური დაქსაქსულობა, მანკიერ მხარეთა მომძლავრების შედეგად ეროვნული საკითხისადმი გულგრილობა - "..... ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, შორიდან თვალყურს გადევნებდით, ვფიქრობდი, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმაოდ შეიგენით საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ როგორც ეხლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ. თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრივ თქვენი გამობრუნება შეუძლებელია (13, 17)" - აღნიშნავდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II საეკლესიო წრეში წარმოთქმულ მის ბოლო სიტყვაში.

მიუხედავად ქართველი სამღვდელოების მოწოდება-პროტესტისა, საქართველოს მთავრობა და მისი ხელმძღვანელი პარტია თავისი ანტისაეკლესიო პოლიტიკის ქვეყანაში გატარების საქმეს აქტიურად, დაუბრკოლებლივ ასორციელებდა; სახელმწიფო პარლამენტში მიმდინარეობდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯვნის საკითხზე მსჯელობა და სათანადო კონსულტაციები. მიმდინარე პროცესს ქართველი სამღვდელოება მწვავე კრიტიკით ესმაურებოდა და თავისი ქმედების დასასაბუთებლად აცხადებდა, რომ იმ ეტაპზე (1918 წლის ოქტომბერი - ქ.პ.), მოცემული საკითხის არათუ გადაწყვეტა, არამედ მასზე მსჯელობაც კი საეალალო შედეგებს მოუტანდა როგორც სახელმწიფოსა და ერს, ისე თავად ეკლესიასაც. კათალიკოს-პატრიარქისადმი მიწერილ წერილში მღვდელი ერასტი თუთბერიძე შენიშნავდა - "...ეკლესიის სახელმწიფოსგან განშორების საკითხის გარჩევა უნდა გადაიდოს იმ დროისთვის, როდესაც ომი გათავდება და, თითოეულ სახელმწიფოსა და ერის სახე მტკიცედ იქნება გამოკვლეული..." (179, 8). როგორც ირკვევა,

სამღვდელოებაში არსებობდა სათანადოდ მომზადებული აზრი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო ომს უნდა გადაეწყვიტა გამარჯვებული წყობილება ჯერ ახალი რუსეთის იმპერიაში და შემდგომ, მასთან შეფარდებით, საქართველოს უნდა მოეხდინა ისეთი პოლიტიკური ლავირება, რაც ქვეყანასა და ერს, მასთან ერთად მის ეკლესიას იხსნიდა იმ მოსალოდნელი აგრესიისაგან, რომელიც შესაძლებელი იყო წამოსულიყო რუსეთიდან. ამ შუალედში კი, ქართულ ეკლესიას არ უნდა შეეწყვიტა ბრძოლა თავისი უფლებების აღდგენა-დამკვიდრებისათვის როგორც რუსეთის მართლდმადიდებელი ეკლესიის, ისე საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინაშე.

საქართველოს ეკლესიაში გაიშალა ფართო და აქტიური მუშაობა იმ მიმართულებით, რომ ხელისუფლებას დაანახვოს თავისი ადგილ-დანიშნულება, ძალაუფლება მოსახლეობაში და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. სისტემატიური სახე მიეცა ეკლესიის ხელისუფალთა მეცადინეობას მთავრობასთან დაახლოება - საერთო ენის გამონახვის მიზნით, ჩაერთო ის თავის საქმიანობაში, კერძოდ, საქართველოს საკათალიკოსოს კანონ-პროექტებით, ისინი ქვეყნის მთავრობას საერო საქმის ერთობლივად განხორციელებას სთავაზობდნენ: ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობას, საეკლესიო ინვენტარის სარესტავრაციო საქმეს და ა.შ. (196, 25). მიუხედავად სამღვდელოების ძალისხმევისა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომებზე განხილულ საკითხთა შორის, საეკლესიო საკითხს დადგენილების ერთად-ერთი სახე გააჩნდა - "კანონპროექტი უწყებას უკან დაუბრუნდეს" (196, 9). ე.ი. ასეთი ქმედებით, ფაქტი იყო, რომ მთავრობას არ სურდა ეკლესიასთან თანამშრომლობა და მისგან იზოლაციისკენ ისწრაფოდა. 1919 წლის დეკემბრისა და 1920 წლის იანვრის სხდომების ჟურნალებში დაფიქსირებული დასკვნები მეტყველებენ, რომ ქვეყნის მთავრობა არათუ ცდილობდა ეროვნული ეკლესიისათვის რაიმე დახმარების

აღმოჩენას, არამედ პირიქით, თავისუფლებოდა "ზედმეტი ტვირთისაგან" და ეკლესიას ბედის ინაბრად ტოვებდა.

ქართველი სამღვდელოების განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პროექტის შედგენამ. ამ შემთხვევაში, სამღვდელოება დარწმუნდა, რომ, როგორც მათის აზრით რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა არ მოასწავებდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ თავისუფლებას, ისე სახელმწიფოდან ეკლესიის ჩამოცილება ვერ დააკმაყოფილებდა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნებს და ქართული დემოკრატიის წინაშე დაყენებულ ამოცანებს ვერ გადაჭრიდა (60, N817, 2).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აშკარა აგრესიამ ეკლესიისადმი, სამღვდელოების ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მოღვაწეობის გააქტიურება გამოიწვია; სიტემატიური სახე მიეცა ეპარქიალურ კრებათა მოწყობას, სადაც სამღვდელოება მსჯელობდა ქართულ ეკლესიაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, მისი და საერო ხელისულების ურთიერთობაზე, ეკონომიკურ საკითხებზე და ა.შ. სამღვდელოების შეხვედრებში გაისმოდა მოწოდებები ეროვნული ეკლესიის კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსსნისათვის. სასულიერო პირთა თავშეყრის ძირითადი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო დეკრეტი იყო საერო და სასულიერო სფეროთა გამიჯვნაზე. სამღვდელოება ცდილობდა დეკრეტის გამაბათილებელი არგუმენტაციის შექმნას; ამავდროულად, რადგან პროექტი უკვე სავალდებულო კანონი იყო ეკლესიისათვის, სამღვდელოების მიზანი გახდა დეკრეტში მისთვის ხელჩასაჭიდი მასალის მოპოვება, რაც საშუალებას მისცემდა სამღვდელოებას კომპრომისზე წასვლით შეენარჩუნებინა მთავრობასთან კეთილგანწყობა და კიდევ უფრო არ დაეძაბა მასთან ურთიერთობა. ასეთ წითელ ზოლად ეკლესიამ დეკრეტში სინდისის თავისუფლების აღიარება მიიჩნია. სამღვდელოებამ დაიწყო სათანადო მუშაობა

მრეველში, რათა მისთვის გაეცნო დეკრეტის შინაარსი, მისი ჭეშმარიტი მიზან-დანიშნულება.

საქართველოს ეკლესიაში არსებული რთული მდგომარეობისა და სამღვდელოება-მთავრობის მძიმე ურთიერთობათა შემსუბუქების მიზნით, ქართველი სასულიერო ფენა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მრეველში ავტორიტეტი აემაღლებინა; აღმოეფხვრა საკუთარ ფენაში არსებული მანკიერებანი და ეკლესია ერთ მთლიან ერთეულად შეეკრა - "...საჭიროა სამღვდელოების ფენა განიწმინდოს უგვანოთაგან, თუ არ გვინდა, საბოლოოდ უარი არ თქვას და ზურგი არ შეაქციოს გამწარებულმა და მოთმინებიდან გამოსულმა ერმა მამა-პაპათა ეკლესიას (163, 1-3)" - აღინიშნებოდა ეპარქიალურ კრებებზე. სამღვდელოების ყველაზე დიდ გულისტკივილს იწვევდა ქართველი სასულიერო ფენის რღვევის საკითხი. ძველმა თვითმპყრობელურ-საეკლესიო პოლიტიკამ, დემოკრატიულ საქართველოში შექმნილმა მძიმე მატერიალურმა პირობებმა, თავისი უარყოფითი ზემოქმედება იქონია სამღვდელოების ზოგიერთ წევრზე, მომძლავრდა მათში მანკიერი მხარეები; შური, გაუტანლობა, დაპირისპირება გამეფდა ქართულ ეკლესიაში, რაც მის არსებობას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა - "... გულახდილად ვიტყვი, რომ პირველად დამნაშავეა თვით მრეველი, თვით ხალხი და დრო,!!? მაგრამ, არც ჩვენ ვაკეთებთ, ჩვენც არ ვიქცევით, როგორც შეგეფერის, არ ვდგავართ იმ საფეხურზე, რა საფეხურზედაც უნდა ვიდგეთ; ჩვენ გავხდით ძმა - ძმის მოღალატენი. ოღონდ კი რომელიმე მღვდელს თავის მრევლში ერთი-ორ კაცთან მოუხდეს შეტაკება რაიმე კერძო ნიადაგზე, მაშინვე იქ გაჩნდება მეორე ანაფორიანი და ეუბნება: "გააგდეთ ეგა, - აი, მე აქ არა ვარ? სულ მუქთი, სულ იაფი, თქვენი მორჩილი მონა." ხალხსაც მართალი ჰგონია მოძღვრის ამნაირი დაპირება და აი, ამ უდანაშაულო მოძღვარს სოფელი სოფლიდგან აგდებს და ფარისეველურ ქურქში გახვეულს მოძღვარს უთმობენ მის ადგილს," - აღნიშნავდა მღვდელი მ.დაქიშვილი (174, 8-9).

სამღვდელოებაში შეპარული უზნეო ქმედებანი კიდევ უფრო აჩქარებდა ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის პროცესს მოსახლეობაში, რომელსაც თავის მხრივ, რესპუბლიკის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებში მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობა მრევლსა და სამღვდელოებას შორის. საარქივო მონაცემებით დგინდება, რომ ცალკეული თემის გამგეობები თხოვნით მიმართავდნენ ეპარქიის ხელმძღვანელობას ჩარეულიყვნენ მრევლისა და სასულიერო ფენის დაძაბულ ურთიერთობაში და ვითარების განსამ·უხტავად მიეღოთ საჭირო საეკლესიო ზომები. თემის გამგეობა ჩიოდა საეპარქიო ხელმძღვანელობის წინაშე, რომ სამღვდელოებას მრევლი ემდურებოდა თავიანთი მოვალეობის არაკეთილსინდისიერ შესრულებაში (176, 6).

რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან საქართველოს ეკლესიისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ განსაკუთრებულად მკაფიო გამოხატულება 1919-1920 წლების სახელმწიფო რეგოლუციებში მიიღო. ხელისუფლება ეკლესიისათვის აბსოლუტურად მიუღებელ დადგენილებებს სცემდა და ამ ქმედებას ასლადშექმნილი დამო·უკიდებელი რესპუბლიკის უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირით ხსნიდა. მაგალითად, 1919 წლის 17 ივნისს, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი უქმე დღეების რიცხობრივი შემცირების თაობაზე. კრებამ გააუქმა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წლის 29 ნოემბრის კანონით გათვალისწინებული უქმე დღეები, როდესაც მუშაობა არ წარმოებდა. მათ შორის იყო დიდი საეკლესიო დღესასწაულები: მირქმა უფლისა (15 თებერვალი), დიდი პარასკევი, აღდგომის მესამე დღე - სამშაბათი; სულიწმინდის მოფენის მეორე დღე; უფლის ფერისცვალება (19 აგვისტო); ღვთისმშობლის მიძინება (28 აგვისტო); ჯვართამაღლება (27 სექტემბერი) და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (4 დეკემბერი) (196, 25; 104, 273-274).

ეროვნული ეკლესიისადმი ასეთი დამოკიდებულება

უკიდურესად აშფოთებდა სასულიერო კრებულს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ სოციალისტ-დემოკრატ მენშევიკებს ეროვნული ეკლესიისადმი არავითარი ინტერესი არ გააჩნდათ, პირიქით, მათი პოლიტიკა ეკლესიისადმი სამღვდელოების ავტორიტეტს სცემდა მოსახლეობაში. საქართველოს მენშევიკური მთავრობის მხრიდან ქართული ეკლესიის შევიწროვების გამო, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნ.ჟორდანიას ეპისკოპოსმა ლეონიდმა ოფიციალური წერილით მიმართა, სადაც აღნიშნავდა, რომ მატერიალურ სახსარს მოკლებულ ეკლესიაში იმძლავრა უგვანო ჩვევებმა და ხალხისა და სამღვდელოების დაპირისპირებამ - "...მონასტრებში, ეკლესიებში ხალხი ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ, თუ მიწა არ ექნებათ?...რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა მორიგდეს მშრომელი ბერების შიმშილისგან გაწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით?... ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუებია ეკლესიას. თანასმა ვარ, დიახაც, ნუ შეეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები, დროზე დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან გაყრას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან, სხვა არაფერს" (8, 25) - აღნიშნავდა ეპისკოპოსი ლეონიდი. ყოველივეს შედეგად, იმძლავრა ხალხის აგრესიამ ეკლესიის მიმართ; თითქმის სისტემატიური სახე მიეცა შემორჩენილი საეკლესიო ქონების ძარცვა-დაყაჩაღების შემთხვევებს, სასულიერო პირთა შეურაცხყოფის ფაქტებს. მიმდინარე პროცესებში საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთს ადანაშაულებდა და საამისო არგუმენტაციას იშველიებდა. 1920 წლის 28 იანვარს, ზუგდიდის თვითმმართველობა (გამგეობის თავმჯდომარე - ლეო შენგელია) საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ატყობინებდა, რომ ადმინისტრაციის გამოკვლევით, წალენჯიხის ეკლესია სასულიერო პირებმა გაქურდეს,

რომელთა შორის იყენენ: ერთი მონაზონი და ხუთი მღვდელი (211, 3). ზუგდიდის ხელმძღვანელობა სახელმწიფო მთავრობას სასწრაფო ზომების მიღებას სთავაზობს, რათა ქვეყანას დიდძალი ქონება არ დაეკარგოს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სარგებლობს ზემოხსენებული ფაქტებით, რასაც თან ერთვის ქვეყნის არამდგრადი საშინაო პოლიტიკური ვითარება, რის გამოც, სახელმწიფოდან სისტემატიურად გაედინებოდა დიდი რაოდენობით საეკლესიო-ისტორიული, სამხატვრო-არქეოლოგიური ნივთები და 1920 წლის 28 მაისს ოფიციალურად გამოსცა ისტორიულ ძეგლთა სელშეუხებლობის კანონი განათლების მინისტრის ნებადაურთველად (104, 396-397). ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანად აკრძალულ საეკლესიო ნივთთა ნუსხაში შედიოდა: საეკლესიო-საღვთისმსახურო ჭურჭელი - ინვენტარი, ჯვარ-ხატები, სამოსელი, ქსოვილები, საეკლესიო ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები, ძველი ნაბეჭდი წიგნები, ქანდაკებანი და ჩუქურთმოვანი ქვები და სხვ. ზემოაღნიშნული ნივთების დაცვა-გადარჩენის მიზნით, რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესია-მონასტრებიდან გაიტანა საღვთისმსახურო ინვენტარი და სახელმწიფო მუზეუმს გადასცა, რამაც სასულიერო კრებულისა და მორწმუნე საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია - "...ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი გამოვუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ..." (13, 16-17). საქართველოს ეკლესიის ხელისუფლება დემოკრატიული საქართველოს მთავრობას ეროვნული ეკლესიის გაძარცვაში სდებდა ბრალს. ქ.ახალციხიდან მღვდელი გრიგოლ ფერაძე კათალიკოს-პატრიარქს გულისწუხილით უსამძიმრებდა გელათის ეკლესიიდან სიწმინდეთა გატანის ფაქტს: "... მიკვირს კი... როგორ სწიხლამენ მენშევიკები ჩვენს წმინდათა-წმინდას.... მთავრობა სცდილობს, განათლებულ მაღალ ლობუნგების ქვეშ გაკეთონ ყოველივე.... ვგრძნობ აგრეთვე, ამით არ შეჩერდება მთავრობის "მოღვაწეობა" და დეერევიან დამშეულ-

გაძარცული, გონება-ტვინ გალაყებული მენშევიკები მთელ საქართველოს სიწმინდეთა შესამუსრავად...” (179, 16-17).

ნიშანდობლივია, რომ ეკლესიისათვის ამ მძიმე პერიოდში ქართველმა მოწინავე საზოგადოებრიობამ, მისმა ინტელიგენციამ, ეკლესიას დიდი თანაგრძნობა და თანადგომა გამოუცხადა. 1919 წლის 18 მაისის დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო სხდომის ჟურნალი იუწყება, რომ განხილულ იქნა საეკლესიო დაწესებულებათა დაცვა-გადარჩენის საკითხი. კრების მონაწილე ექვთიმე თაყაიშვილმა მოითხოვა გამოეტანათ დადგენილება, რომ საეკლესიო კულტურის ძეგლები დაცული ყოფილიყო ძარცვა-ყაჩაღობისაგან, რისთვისაც უნდა გამოყოფილიყო საგანგებო საფინანსო სახსარი სახელმწიფო რეზერვიდან; გაცემულიყო თანხები საქართველოს ეკლესიისა და მისი სასულიერო კრებულის შესანახად და სხვ. (196, 31). პარალელურად, ქართველი ინტელიგენცია შეშფოთებას გამოთქვამს რესპუბლიკის ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკის გამო, ამ ფაქტს ეროვნულ უსამართლობად აცხადებს და ქართულ ეკლესიას აგრესიისაგან დაცვას ჰპირდება. ცნობილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს 1920 წლის 10 დეკემბრის წერილით მიმართავს - “მე და ჩემი ოჯახი უკიდურესად აღშფოთებულნი ვართ იმ უმაგალითო უსამართლობით, რომელიც მიაყენეს საქართველოს ეკლესიას და მის მამახელმძღვანელს - თქვენს უწმინდესობას... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ღვთის შეწევნით, ჩვენი მოთმინება-მოკრძალებაც და სხვათა კადნიერებაც, ადრე თუ გვიან, დაფასდება ქართველი ხალხის მიერ და ყველას თავისი ხვედრი მიეძღვნება. ეს დრო შორს არ არის. ვკადინიერდები და მოგახსენებთ, რომ თქვენი სამწყსო ქართულ ეკლესიას დაიცავს ბოლომდე; იგი არავის აპატიებს მის შებღალვა-დამცირებას და მხარს დაუჭერს თავის მწყემსს თავისი წმიდათა წმინდის შენარჩუნებისათვის (184, 21)”.

ეროვნული ეკლესიის საბოლოო განადგურებისაგან გადარჩენისათვის, ქართველი სამღვდელოება ხსნის გზებს

ეძებდა და საამისოდ მრავალ მეთოდს მიმართავდა. ერთ-ერთ ასეთ გზას სამღვდელოების მრევლთან ურთიერთობის მოწესრიგება წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ცარიზმისდროინდელი საწმუნოებრივი პოლიტიკის შედეგად, ქართველ სამღვდელოებას სერიოზულად ჰქონდა ავტორიტეტი შელახული ხალხში, რასაც ერთვოდა თანამედროვე პირობებში საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ეკლესიისადმი. სასულიერო კრებული აქტიურ მუშაობას ეწევა ხალხის ვითარებაში გარკვეისათვის; ამასთან, განმარტავს ეროვნული ეკლესიის არსებობის აუცილებლობას და მისი არსებობისათვის სათანადო ელემენტარული პირობების შექმნის საჭიროებას. ქართული ეკლესია მოუწოდებს მრევლს, იხსნას თავისი ეკლესია დაღუპვისაგან, გაიღოს სახსარი სამღვდელოების გადარჩენისათვის, რომელიც დემოკრატიულმა მთავრობამ ბედის ინაბარა მიატოვა - "... რადგან ჩვენი ურწმუნო მთავრობა ეკლესიისა და სამღვდელოებისთვის არას იმეტებს და მისი დახმარება წმინდა და დიდ საქმისათვის არც საჭიროა, ჩემის აზრით, ყველა მორწმუნე და ერთგული ქართველი მოვალეა, ყოველთვიურად იხადოს საშუალოდ ხუთ-ხუთი მანეთი..." (179, 22-23) - იუწყებოდა ანონიმი ავტორი. არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობამ სპეციალური დადგენილებაც გამოიტანა, სადაც დაფიქსირდა, რომ საკათალიკოსო საბჭოს შესანახად, თითოეული საეპარქიო კრებულიდან ეკლესიის ხაზინაში შესულიყო ხუთი ლიტრი მარცვლეული (175,4). ქართველი საზოგადოებრიობის მორწმუნე მრევლი მთელი ძალისხმევით იღწვოდა შეძლებისდაგვარად გაეღო მცირედი სახსარი ეკლესიის შენარჩუნებისთვის, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საამისო საშუალებას უმეტეს შემთხვევაში არ იძლეოდა. რაც შეეხება მრევლის მიერ საეკლესიოდ გამოღებულ თანხებს, იგი იმდენად მცირე იყო, რომ სამღვდელოების საშუალო მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან იმედგაცრუებული და უგულვებელყოფილი საქართველოს სამღვდელოება ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურეს ზომებსაც მიმართავდა. საარქივო მონაცემებით დგინდება, რომ 1918-1919 წლებში სისტემატიური ხასიათი მიეცა სასულიერო წოდების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების გაფიცვებს; ღვთისმსახურება შეწყვიტა ბანძის, სუჯუნის, საჩილაოსა და აბაშის სამღვდელოებამ. გაფიცულები თავიანთი პროტესტის საბუთად მთავრობის მხრიდან სამღვდელოებისადმი უყურადღებობას ასახელებდნენ (188, 22-23). ბანძის ოლქის მედავითნეთა კავშირი საკათალიკოსო საბჭოს ატყობინებდა - "ჩვენი უმწეო ქონებრივი მდგომარეობა, ყოველმხრივ სრული უყურადღებობა, იძულებულს გვყოფს, დღეიდან შევაჩეროთ მღვდელმოქმედების აღსრულება-მოხმარება, მოვითხოვთ დაკმაყოფილებას ჯამაგირით, იძულებული ვიქნებით განვაგრძოთ გაფიცვა, სანამ მოთხოვნანი ჩვენი არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი (188, 1)". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო ფენაში აქტიური მუშაობა ტარდებოდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც სამღვდელოებაში შეჭრილი თავისი აგენტურის მეშვეობით (173,6), ყველაფერს აკეთებდა, რათა ეკლესიისათვის საბოლოოდ გამოეთხარა საძირკველი. რესპუბლიკის მთავრობის ასეთი ქმედებით შეშფოთებული დეკანოზი ნიკ. ნათიძე ეპისკოპოს ლეონიდს წერილით მიმართავდა - "... ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ გამოუცხადა სამშობლო ეკლესიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი... ისეთ უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი ჩვენი ეკლესია და ღარიბია არათუ მარტო მატერიალურად, არამედ შემომქმედი და აღმაშენებელი ძალებითაც და მაინც კიდევ აჩქარებენ მის უფსკრულში გადაჩეხვას..."(164,2).

საქართველოს ეკლესიამ და მისმა კრებულმა აშკარად დაინახა თავისი უმწეო მდგომარეობა; ის გრძნობდა, რომ დაჰკარგა თავისი ისტორიული მისია ქვეყნისა და ერის წინაშე

და სასოწარკვეთილებაში აღმოჩნდა, როდესაც სიონის ტაძარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ანდერძის აგებაზე 1918 წლის 7 ივლისს, დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ პატივცემული ცხედარის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში აღნიშნა - "....ჩვენ მხოლოდ უუფლებო კათალიკოს-პატრიარქად ამოგირჩიეთ! თითქოს ჩვენი ეკლესიის ხომალდის საჭეთმპყრობლად მოგიწოდეთ, ნამდვილად კი - ეს საჭე ხელიდან გამოგტაცეთ!

ქედმაღლობა, გამძვინვარებული შური, საარაკო თავხედობა და გულფიცხობა ვაწარმოეთ თვისს მამამთავრის გარშემო.... უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ჩავუმწარეთ მას და ახალ საქართველოში ეკლესიასაც ძირი გამოვუთხარეთ, არსებობის ნიადაგი გამოვაცალეთ....(13, 16-17)".

თავი მეოთხე - საქართველოს საკათალიკოსოს სტრუქტურულ-ეკონომიკური ორგანიზაცია (1917-1921 წწ)

როგორც აღინიშნა, საქართველოს ეკლესია საუკუნეების მანძილზე ძლიერ და გავლენიან სახელმწიფო ორგანიზაციას წარმოადგენდა. როგორც დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია მსოფლიო საქრისტიანო ეკლესიებს შორის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც ყველა იმ უფლებებითა და შიდამოწყობილი სტრუქტურით სარგებლობდა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით იყო დადგენილი.

საქართველოს ეკლესიას დიდი შემოსავალი, უძრავ-მოძრავი ქონება, მრავალი სოფლის, ციხე-სიმაგრის, აგარაკისა და მრავალრიცხოვანი საკუთარი ყმის შემცველი სამფლობელო გააჩნდა. ყოველივე ეს ეკლესიის დიდი მეპატრონეობის უფლებას ადასტურებდა, რაც საუკუნეების გამოცდილებითა და ცოდნა-უნარით თავისი ქვეყნის თავისუფლებას, სახელმწიფოებრივ ძლიერებასა და მის სიმტკიცეს სმარდებოდა. საქართველოს ეკლესია, როგორც ძლიერი და გავლენიანი საკუთარი პოლიტიკის პატრონი და დიდი საკუთარი მეურნეობის მფლობელი იყო. ასეთი ფართო და ძლიერი უფლებების მქონე ეკლესია, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი ადამიანის (კათალიკოს-პატრიარქის - ქ.პ.) სამართავი ვერ იქნებოდა და დამხმარე ორგანიზაციების ყოლას საჭიროებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის დადგენისთანავე, ქართველმა სამღვდელოებამ შექმნა მისი სტრუქტურა, რომელიც სათანადო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მოიცავდა (25, 13-19). ამ უკანასკნელთ მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული ქვეყნის, ერისა და ზოგადად, ეკლესიის წინაშე. მათი მეშვეობით ეკლესია უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მორალურ-ზნეობრივად ამაღლებული, პოლიტიკურად მტკიცე და ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამტარებელ-დამცველი, არამედ ეკონომიკურად შეძლებული

და მსოფლიო ეკლესიათა შორის მაღალი ავტორიტეტის მატარებელი.

საქართველოს ეკლესიის ხელისუფალი ორგანო - საკათალიკოსო საბჭო და მასზე დაქვემდებარებული საეკლესიო დაწესებულებები ჰქმნიდნენ ერთიან ქართულ საეკლესიო სტრუქტურას. შუა საუკუნეებში დადგენილ სტრუქტურას არსებითი ცვლილებები საქართველოს საკათალიკოსოში არ განუცდია, თუ არ დავუშვებთ მცირედ სიახლეებს, რაც ეპოქის მოთხოვნილებებიდან მომდინარეობდა.

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან, იმავე წლის 8-11 სექტემბერს, თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში, მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის პირველი კრება, რომლის ერთ-ერთი საგანიც ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებათა შემუშავება და საკათალიკოსო საბჭოს ორგანიზაცია იყო. კრებაზე მიღებული დებულების თანახმად, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა შემდეგი სახით მოეწყო: ქართული ეკლესია დაიყო ეპარქიებად, ეპარქიები - ოლქებად, ოლქები კი - სამრევლოებად. შუა საუკუნეების 76 საეპისკოპოსოდან, 1917 წლის საეკლესიო კრებით მხოლოდ 9 აღსდგა (9, 41-42). მოგვიანებით, მათი რიცხვი 13-ს უდრიდა: მცხეთის, თბილისის, ალავერდის, ბოდბის, ურბნისის, აწყურის, ჭყონდიდის, ბათუმის, ცხუმ-ბედიის, ქუთაისის, გაენათის, ნიკორწმინდის, ცაგერის. თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის ეპარქიებს განაგებდნენ მიტროპოლიტები, სხვებს - ეპისკოპოსები.

საქართველოს ეკლესიის მეთაურად დადგინდა სრულად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, თბილისისა და მცხეთის მთავარეპისკოპოსი, რომელიც მართავდა ეკლესიის უმაღლეს ორგანოს - საკათალიკოსო საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით კი, კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. საკათალიკოსო საბჭო შედგებოდა 12 წევრისაგან, რომელთა

შორის იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირნი და ირჩეოდნენ საერთო საეკლესიო კრებაზე. სასულიერო პირთაგან, საბჭოს შემადგენლობაში ირჩეოდნენ ეპარქიებიდან ორი მღვდელმთავარი რიგ-რიგობით ორი თვის ვადით. საბჭოს უშუალოდ ემორჩილებოდა ყველა ეპარქიის ეპისკოპოსი. საბჭო კი ეპარქიას ზედამხედველობდა ორდინარიუსის დახმარებით. საკათალიკოსო საბჭოს სხდომები იმართებოდა კვირაში ერთხელ და გადაწყვეტილებას ძალაში იღებდა, თუ საბჭოს წევრთაგან 8 წევრი მაინც ესწრებოდა. რაც შეეხება კათალიკოს-პატრიარქს, მას, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, ორი ხმის უფლება ჰქონდა. თავად საბჭოს გააჩნდა საკუთარი საქმეთწარმოების კანცელარია, სამეურნეო და სამონასტრო გამგეობის ჯგუფი და იურისკონსულტი.

საქართველოს ეკლესიის უმაღლეს ორგანოს - საეკლესიო კრებას, იწვევდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ. კრებაზე ირჩევდნენ პრეზიდიუმის წევრებს და მდივანს. კრების უფლებამოსილებაში იყო: საქართველოს საეკლესიო კანონმდებლობებში ცვლილებების შეტანა; უზენაესი საეკლესიო სასამართლოს ფუნქციები და მისი მუშაობა; საკათალიკოსო საბჭოს მიერ წარმოდგენილი რიგი საკითხის განხილვა-გადაწყვეტა; საკათალიკოსო საბჭოსა და სასამართლოს წევრთა დანიშვნა-განთავისუფლება; ეპარქიათა გაუქმება-აღდგენის, ან ახლის დაარსების საკითხების შესწავლა; ეპარქიათა საზღვრების დადგინება; სასულიერო სასწავლებლებთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა და სიახლის შეტანა; მათი მატერიალური უზრუნველყოფა; საეკლესიო მართვა-გამგეობის შტატების დამტკიცება, გაუქმება, ან აღდგენა და ა.შ.

საქართველოს ეკლესიის ცალკეულ ეპარქიებს თავიანთი მმართველობის ორგანოები ჰქონდათ, რომელიც საეპარქიო კრებას წარმოადგენდა. კრებაზე ეპარქიაში შემავალი ოლქებიდან ოთხი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. კრების თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა

ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავარი და მის იურისდიქციაში შედიოდა: საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს წევრთა შერჩევა-დადგინება; საეპარქიო ცხოვრების თვალყურის დევნება; ეპარქიის ოლქების საზღვრების დადგენა; ცალკეულ საეკლესიო დაწესებულებებზე ზრუნვა და სხვ. საეპარქიო კრების აღმასრულებელ ორგანოდ ითვლებოდა საეპარქიო საბჭო, რომლის თავმჯდომარე იყო ეპარქიის მღვდელმთავარი და ის შედგებოდა 6 წევრისაგან, რომელთაც ირჩევდნენ სამი წლის ვადით. ეპარქიაში შემავალი ოლქი 10-15 სამრევლოს აერთიანებდა. სამრევლოებს სათავეში ედგა დეკანოზი, რომელიც ოლქს ეპისკოპოსის ზედამხედველობით მართავდა. დეკანოზს ირჩევდნენ სამრევლო კრებაზე და ის არჩეული და დასახელებულია ეპისკოპოსის მიერ. ცალკეულ ეკლესიებს ჰყავდათ სამრევლოსთან არსებული მთავარი საბჭო, რომელიც ზრუნავდა თავისი ეკლესიის ცხოვრებასა და მის ქონებაზე. რაც შეეხება მონასტრებს, ისინი უშუალოდ მთავარეპისკოპოსებს ექვემდებარებოდნენ, გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, რომელიც უშუალოდ უმაღლეს საკათალიკოსო საბჭოს ემორჩილებოდა.

გარდა ზემონახსენები ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის წესების დადგინებისა, სექტემბრის საეკლესიო კრებას საყურადღებო საკითხებად ჰქონდა შეტანილი დღის წესრიგში ის საკითხები, რომლებიც იმ დროის საპრობლემო საკითხებად იყო მიჩნეული. საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობას უნდა დაეკანონებინა ისეთი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც ძველი ქართული და მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით ითვალისწინებოდა და გაამართლებდა მათ საფუძველზე ყველა იმ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც იმ დროის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, საქართველოს ეკლესიას რეალურ დამოუკიდებლობას მიანიჭებდა. კრებაზე განიხილეს რუსული ეკლესიის საბოლოო

განდევნის საკითხი საქართველოს ტერიტორიიდან, რაც საერთოდ კავკასიაზე მის ბატონობას ალაგმავდა. ესენი იყო: ყოფილი სასინოდო კანტორის საკათალიკოსო საბჭოზე გადაცემის საკითხი; საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის ქართული ეკლესიის იურისდიქციაში გადასვლის საკითხი; კათალიკოსის რეზიდენციაში შემორჩენილი რუსი ეროვნების ბერ-მონაზონთა გამოსახლების საკითხი და ქართული ეკლესიის სასულიერო ეროვნული ორგანოს - "სვეტიცხოველის" გამოცემის საკითხი (138,3).

1917 წლის სექტემბრის პირველ საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილებები 1918 წლის დასაწყისისათვის ძალაში შევიდა, რასაც, თავის მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამაც შეუწყო ხელი. ქართული ეკლესიის სასულიერო ხელისუფლებამ თამამად დაიწყო ეროვნული ეკლესიის რეფორმაციის განხორციელება, რომელ გზაზედაც ის სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა როგორც ქვეყნის მთავრობის, ისე რუსული საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან, რაზეც ზევით უკვე აღვნიშნეთ.

მიუხედავად სერიოზული ბარიერებისა, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკათალიკოსომ შესძლო ძველი ტრადიციების გათვალისწინებით რეორგანიზაციის მოხდენა, რამაც ძლიერი გავლენა იქონია ეკლესიის სიმტკიცის შენარჩუნებაზე, სერიოზული წინააღმდეგობების წარმატებით გადალასვაზე არათუ მხოლოდ დემოკრატიული საქართველოს არსებობის, არამედ მის შემდგომ - საბჭოური ეპოქის პერიოდშიც.

საქართველოს საკათალიკოსო, რომ ძლიერ ერთეულს წარმოადგენდა, კარგად მეტყველებს მასში შემავალი ორგანიზაციების სიმრავლე და მრავალფეროვნებანი, რაც საგრძნობლად აღემატებოდა საქართველოს საეგზარქოსოსა და კავკასიის საეგზარქოსოს ირგვლივ არსებულ მონაცემებს. თუ საქართველოს საკათალიკოსო მოიცავდა 8 ეპარქიალურ საბჭოს და ამავე რაოდენობის სასამართლოს თავისი საქმეთწარმოების კანცელარიებით, საქართველოს

საეგზარქოსოში 4 ეპარქიული კანცელარია იყო, ხოლო კავკასიის საეგზარქოსოში - სულ ორი (183,6). ამასთან, თუ საქართველოს საეგზარქოსოსა და კავკასიის საეგზარქოსოს კანტორა-კანცელარიების ორგანიზაციაში უჯრედის სახით არსებობდა სამეურნეო და საწავლო სექტორები, საქართველოს საკათალიკოსოში მათ ცალკე კომიტეტ-სამმართველოები გააჩნდათ და ბუნებრივია, სათანადო ყურადღება და ძალისხმევა უფრო მაღალ დონეზე იდგა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს უკანასკნელნი, საეგზარქოსოებისაგან განსხვავებით, ეროვნულ საეკლესიო საქმეს ემსახურებოდნენ.

როგორც ცნობილია, ეკლესიას დაქვემდებარებული და მასში შემავალი ეკლესია-მონასტრები პერიოდულად საეკლესიო მმართველობისაგან სათანადო ფულად და მატერიალურ დახმარებას იღებდნენ. ამ მხრივაც საგრძნობი უპირატესობა იგრძნობა საქართველოს საკათალიკოსოში. იგი სისტემატიურ დახმარებას უწევდა 9 წამყვან საკათედრო ტაძარს და მასთან არსებულ ორ-ორ ეკლესიას, მაშინ, როდესაც საქართველოს საეგზარქოსო ბრუნავდა მხოლოდ ოთხ საკათედრო ტაძარზე, ხოლო კავკასიის საეგზარქოსო კი - ერთზე (183,6).

საქართველოს საკათალიკოსოს სხვა უძრავ და მოძრავ ქონებასთან ერთად, 1917 წლიდან ჰქონდა რვა არქიელის სახლი, საქართველოს საეგზარქოსოს - ხუთი, ხოლო კავკასიის საეგზარქოსოს - სამი (183, 6). თუ საკათალიკოსოს კათალიკოს-პატრიარქთან ერთად სამი მიტროპოლიტი და ოთხი ეპისკოპოსი ჰყავდა, საქართველოს საეგზარქოსოს ერთი მთავარეპისკოპოსი, სამი ეპისკოპოსი და ორი ვიკარი ემსახურებოდა, სოლო კავკასიის საეგზარქოსოს - ერთი მიტროპოლიტი, ერთი ეპისკოპოსი და ორი ვიკარი (183,6).

ზემოჩამოთვლილი მონაცემები აშკარად მეტყველებენ, რომ მიუხედვად ქართული ეკლესიის ხანგრძლივი ტყვეობისა რუსულ ეკლესიაში, მას მაინც შესწევდა უნარი ჰყოლოდა სათანადო მონაცემების, მაღალი სასულიერო კატეგორიის

კადრი, რომელიც ეროვნულ ეკლესიას ღირსეულ სამსახურს გაუწევდა.

საქართველოს ეკლესიის მმართველი ორგანო - საკათალიკოსო საბჭო განსაკუთრებული სახსრებით ფინანსდებოდა. მის ეკონომიკურ უზრუნველყოფასა და სიძლიერეზე ზრუნავდა როგორც ეკლესიის მთლიანი სამმართველო აპარატი, ისე სრულიად საქართველოს მრევლი. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად ძნელბედითი ეკონომიკური მდგომარეობისა, ეკლესიის მსახურნი და მთელი ერი შესაფერისად დროისა, დამაკმაყოფილებლად ინახავდა საბჭოს. ეს ვითარება დემოკრატიული საქართველოს დაარსებისთანავე იგრძნობოდა. მაგალითად, 1918 წლის იანვრიდან - აპრილამდე საკათალიკოსო საბჭოს წლიური შემოსავალი უდრიდა 69.791 მანეთსა და 20 კაპიკს, ხოლო გასავალი - 59.971 მანეთსა და 83 კაპიკს; ივნისიდან - აგვისტომდე შემოსავალი იყო 187.260 მანეთი, გასავალი კი თითოეულ თვეზე – 21 ათასიდან - 22 ათასამდე მერყეობდა. რაც შეეხება ოქტომბერ-ნოემბრის შემოსავალს, იგი 45.323 მანეთი და 90 კაპიკი იყო, ხოლო გასავალი არ აღემატებოდა 42.707 მანეთსა და 90 კაპიკს (182,2). როგორც მონაცემებიდან ჩანს, ზაფხულის თვეებში გასავალი ზოგიერთ შემთხვევაში შემოსავალს აღემატებოდა, რაც ბუნებრივი მოვლენა იყო - დემოკრატიული საქართველოს პირველ წლებში, ახლადაღდგენილ ქართულ ეკლესიას სოლიდური თანხები ესაჭიროებოდა როგორც საკათალიკოსოს ორგანიზაციისათვის, ისე სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

ამ მონაცემებით მსჯელობისათვის, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია საქართველოს ეკლესიის თანამშრომელთა ხელფასების რაოდენობაც, რომელზედაც ძირითადად მიდიოდა საკათალიკოსო საბჭოში შესული თანხები. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კანცელარიის თანამშრომლებიდან, 1918 წლისათვის მდივანს წელიწადში ეძლეოდა 2.500 მანეთი, მწიგნობარ-გადამწერს - 1.800 მანეთი; მსახურისა და საკანცელარიო ხარჯებისთვის

გამოყოფილი იყო 1.200 მანეთი, ხოლო საგანგებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად - 500 მანეთი. კათალიკოსის სახლს ემსახურებოდა ერთი ეკონომისტი წელიწადში - 1.200 მანეთად, ორი იერომონარქი - 600 მანეთად, ორი იეროდიაკონი - 600 მანეთად, ორი მედავითნე - 500 მანეთად, საეკლესიო ხარჯისათვის გამოყოფილი იყო 500 მან., კანცელარიისთვის - 2.000 მან., ტრაპეზისთვის - 1.000 მან., ხოლო წვრილი ხარჯებისთვის - 900 მანეთი (186,25).

საკათალიკოსო საბჭოს წევრებისათვის (8 წევრი) გამოყოფილი იყო წლიურად 5.000 მან., იურისკონსულტისათვის - 3.000 მან., არქიტექტორისათვის - 3.000 მან., კანცელარიის გამგისათვის - 4.000 მან., მდივნისათვის - 3.000 მან., არქივარიუსისათვის- 2.000 მან., გადამწერისათვის - 1.500 მან., მბეჭდაველისათვის - 1.500 მან., მსახურისათვის - 1.000 მან., დარაჯისათვის - 1.300 მანეთი. საბჭოს გათბობა-განათებას სმარდებოდა წელიწადში 2.000 მანეთი, სხვა საკანცელარიო ხარჯებისა და საგანგებო შემთხვევებისათვის - 3.000 მანეთი (186,25).

1918 წლისათვის საკათალიკოსო საბჭოს წევრებზე: მღვდელი ქრ. ციცქიშვილი, დეკანოზი ანტონ თოთიბაძე, მღვდელი ვასილ კარბელაშვილი, ირაკლი გუნცაძე, ალექსანდრე ყანჩელი, გიორგი ჟორდანია, ივანე ფერიაშვილი და გიორგი გორდეზიანი (186, 13) წელიწადში ხელფასად იღებდნენ 7.400 მანეთს, მდივანი - 3.000 მან., გადამწერი - 1.500 მან., მსახური - 1.500 მან., გათბობა-განათებისათვის - 1.000 მან., მსახურ-კურიერისთვის - 1.000 მან., საკანცელარიო ხარჯებისა და სხვა შემთხვევებისათვის - 4.000 მანეთი.

საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო სამმართველოს ჰყავდა თავისი დირექტორი, რომელიც ხელფასად იღებდა 3.500 მანეთს, მდივანი - 2.500 მანეთს, ბუღალტერი - 3.000 მან., გადამწერი და მემანქანე - ცალ-ცალკე 1.500 მანეთს, მსახური - 1.000 მან., სამღვდელოებისათვის გაცემული სასულიერო ლიტერატურის და სახელმძღვანელოებისათვის გამოიყოფოდა 20.000

მანეთი; ნაგებობის განათება-გათბობას ხმარდებოდა 500 მან., ხოლო საკანცელარიო ხარჯებსა და საგანგებო შემთხვევებს - 5.500 მანეთი. რაც შეეხება სასწავლო კომიტეტის ხელფასებს: თავმჯდომარეს წლიურად ეძლეოდა 3.500 მან., კომიტეტის ორ წევრს - 2.000 მან., მდივანს - 2.500 მან., გადამწერსა და მემანქანეს . 1.500 მან., გათბობა-განათებას ხმარდებოდა 500 მან., საკანცელარიო და საგანგებო ხარჯებისთვის გამოყოფილი იყო 2.000 მანეთი (186, 25).

საქართველოს ეკლესიაში შემოსული თანხები შედმეგნაირად ნაწილდებოდა: კათალიკოსის სახლის შესანახად ყოველწლიურად გამოიყოფოდა 53.100 მან., საკათალიკოსო საბჭოსა და მისი კანცელარიისათვის - 255.200 მან., სასამართლოსათვის - 358.100 მან. თბილისის ეპარქიისათვის - 12.000 მან., თბილელი მიტროპოლიტის რეზიდენციისათვის - 15.600 მან. მისი საბჭოსა და სასამართლოსათვის კი - 98.800 მან. მცხეთის საეპარქიო წლიურად საეკლესიო თანხებიდან იღებდა 71.200 მან.; ქუთაისის - 12.000 მან., ხოლო მისი სამიტროპოლიტო სახლი - 15.600 მან.; საბჭო და სასამართლო - 98.800 მან,. ჭყონდიდის ეპარქია - 12.000 მან. ჭყონდიდის მიტროპოლიტის სახლი - 15.600 მან.; ხოლო საეპარქიო საბჭო და სასამართლო - 98.800 მან; ალავერდის ეპარქია - 12.000 მან; ეპისკოპოსის სახლი - 15.600 მან., ხოლო საბჭო და სასამართლო - 98.800 მანეთს. ასეთსავე ფინანსებს იღებდნენ: ურბნისის, სოხუმის, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიებიც. სულ საეკლესიო ხაზინიდან გადიოდა 1.120.900 მანეთი (196, 1-5). როგორც წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, ყველაზე მაღალი დაფინანსება მცხეთის ეპარქიაზე მოდიოდა. ცალკეულ მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა წლიური ხელფასი 3.600 მანეთს არ აღემატებოდა (186,40), საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს წევრებისა - 3.000 მანეთს, ეს მაშინ, როდესაც თბილისის მიტროპოლიტის ხელფასისათვის წელიწადში 8.000 მანეთი იყო. მისი საეპარქიო საბჭოსა და სასამართლოს წევრებისა კი - 1.200 მან. ნიშანდობლივია, რომ მათი წევრების

რაოდენობა ექვსს არ აღემატებოდა (186, 26).

როგორც მოტანილი მონაცემებით ირკვევა, საქართველოს ეკლესიის ხაზინაში არსებული თანხები ვერ სწვდებოდა ცალკეულ ეპარქიათა და საკათალიკოსო ორგანოთა ელემენტარულ უზრუნველყოფას საჭირო მოთხოვნილებებისათვის. საქართველოს ეკლესიის ხელისუფლება არსებული მდგომარეობიდან გამოსავალ გზებს მუდმივად ეძიებდა და საჭირო ღონისძიებებსაც სახავდა. მოსალოდნელი გაუგებრობებისა და უზუსტობა-უსამართლობის თავიდან აცილებისათვის, პირველ რიგში საჭირო იყო ზუსტად დადგენილიყო, რა ოდენობის ფინანსები იყო საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის ცალკეულ რეგიონებში პირველ ეტაპზე საშუალო დონის საეკლესიო ცხოვრება მოწყობილიყო. საამისოდ, საქართველოს საკათალიკოსოს სინოდალურმა კანცელარიამ 1918 წლის 26 ივლისს გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ სრულიად საქართველოს საკათალიკოსოს ტერიტორიაზე არსებული ვითარების შესასწავლად, ფინანსების ობიექტურად გასანაწილებლად, შექმნილიყო სამი კომისია, რომლებიც იმუშავებდა თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. ცალკეული კომისია თავის უფლებამოსილებას განავრცობდა შემდგნაირად: თბილისის კომისიას უნდა გამოეკვლია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონი, ქუთაისისას - დასავლეთი საქართველო, ხოლო სოხუმისას - აფხაზეთის ოლქი. ცალკეულ კომისიებს თავმჯდომარეობდა ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმთავარი, ხოლო კომისია შედგებოდა ორი სასულიერო პირისაგან (185, 5).

1918 წლის მიწურულისათვის, კომისიის მუშაობამ აშკარად ცხადყო, რომ საეკლესიო შემოსავალი ვერასგზით ვერ დააკმაყოფილებდა საეკლესიო ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარულ მოთხოვნილებებს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდზე მსჯელობის საფუძველზე, გადაწყდა – ეთხოვოს ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფო ხაზინიდან გამოეყოთ თანხები ეროვნული ეკლესიის დახმარებისათვის.

1919 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ განიხილა ეროვნული ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს შუამდგომლობა და მისი თანამშრომლების ხელფასებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან 10 მილიონი მანეთი გამოყო. საკათალიკოსო სელმძღვანელობამ მიღებული თანხა შემდეგნაირად გადაანაწილა: პირველ კვარტალში კათალიკოს-პატრიარქმე თვიურად დაწესდა 500 მანეთი, საბჭოს წევრებზე - 300-დან - 150 მანეთამდე, დეკანოზებზე 150 მანეთი. საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიაში გამოყვეს თვიურად 250 მან,. მდივანს 200 მან., საზინადარს - 192 მან., კანცელარიის დანარჩენ თითოეულ წევრს - 150 მანეთი. მეორე კვარტლიდან კათალიკოს-პატრიარქს - 1.000 მან., თბილისის მიტროპოლიტს - 800 მან., საბჭოს წევრებს - 500 მან., კანცელარიის მოხელეთ 150 მანეთი (187, 1). ნიშანდობლივია, რომ მთელი წლის მანძილზე ბოლო მონაცემებით იღებდნენ ჯამაგირს ეკლესიის მუშაკნი. ამ ფაქტის შემდგომ, ქართული ეკლესიისათვის სახელმწიფო ხაზინას ფულადი დახმარება აღარ გამოუყვია.

გარდა ზემოაღნიშნული ფულადი დახმარებისა, საქართველოს საკათალიკოსოს ძალისხმევით, საეკლესიო სახსრებიდან სამღვდელოებას ნივთიერი დახმარებაც ეძლეოდა. როგორც არაერთგზის აღინიშნა, ახლადაღდგენილი ქართული სახელმწიფო უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა, მძიმე მატერიალურ ყოფაში უხდებოდა ცხოვრება საზოგადოების ყველა ფენას და მათ შორის სამღვდელოებასაც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ შეჭირვებას განიცდიდა, რაც ბუნებრივი მოვლენა იყო. ცნობილია, რომ ისტორიულად სასულიერო ფენას თავისი მრევლი ინახავდა. მას ღვთისმსახურებაში ხალხი ფულით და უმეტესწილად სურსათით უხდიდა. საქართველოს ისტორიის არცერთ ეპოქაში ეს წესი არათუ არ დარღვეულა, არამედ მრევლსა და სამღვდელოებას შორის ამ საკითხში გაუგებრობასაც კი არ ჰქონია ადგილი. ორივე მხარემ კარგად იცოდა თავისი დანიშნულება და ნაკისრ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. რუსეთის

თვითმპყრობელობისა და მისი ეკლესიის გაბატონებამ საქართველოში ამ მიმართულებითაც მძიმე შედეგები გამოიღო: დაირღვა ეკლესიის მსახურთა და მრევლს შორის არსებული ჰარმონიული კავშირი; სამღვდელოებაში საკუთარი თავის რჩენისათვის ფეხმოკიდებულმა მანკიერებებმა მათი დეგრადაციის გზაზე დაყენებას შეუწყო ხელი; მრევლმა უნდობლობა გამოუცხადა სასულიერო კრებულს. ყოველივემ, ეკლესიის ავტორიტეტი დაცა ხალხში და მათი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ინდიფერენტიზმი გამოიწვია.

ასეთი ვითარების ფონზე, ბუნებრივია, ქართველი სამღვდელოების მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა ძვრებმა, საჭირო ნივთებზე ფასის კატასტროფულმა ზრდამ, ფულის დევალვაციამ, სამღვდელოების კუთვნილი ხელფასის უსუსურობა გამოიწვია. ვითარება იმდენად გართულდა, რომ სასულიერო ფენას ელემენტარული საარსებო პროდუქტის შეძენაც კი აღარ შეეძლო. საქართველოს ეკლესიის ხელისუფლება, თავად უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, ცდილობდა თავისი თანამშრომლებისათვის ეკლესიის მომარაგების ფონდიდან გაეცა სხვადასხვა სახის სურსათი: შაქარი, ჩაი, პური, ასანთი, ცხიმი და ა.შ. მაგალითად, 1918-1919 წლებში საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით, თითოეული სასულიერო პირის ოჯახისათვის ერთ სულზე თვიურად გაიცემოდა ორი გირვანქა შაქარი, 1/4 გირვანქა ჩაი, ერთი კოლოფი ასანთი და სხვ. (187,3).

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ეკლესიის სასულიერო კრებულის უპირველესი მიზანი საზოგადოებაში შელახული ავტორიტეტის აღდგენა, ხალხში ნდობის მოპოვება და მათი ეკლესიისაკენ შემობრუნება იყო; ამიტომ, სასულიერო ფენა მაქსიმალურად ერიდებოდა მოსახლეობასთან საკონფლიქტო და სადაო საკითხებში ურთიერთობას. ეკლესიას კარგად უწყოდა ხალხის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და ცდილობდა, თავი აერიდებინა

მათგან გამოსაღების აკრეფისათვის. ზემოაღნიშნული საკითხი იმდენად მტკივნეული იყო ქართული ეკლესიის ხელისუფლებისათვის, რომ ამ პრობლემაზე ფიქრსა და განსჯას მან თითქმის ერთი წელიწადი მოანდომა. 1918 წლის მიწურულისათვის, საკათალიკოსო საბჭომ დაუდგინა სამღვდელოებას ღვთისმსახურების სამსახურისათვის გასამრჯელოს აღების წესი და დაადგინა თანხების შემდეგნაირი კრიტერიუმი: მორწმუნე ოჯახიდან - 5 ლიტრი ხორბალი, მიცვალებულის ანდერძის აგებაში - 10 ლიტრი, წირვისათვის - 5 მანეთი, ჩვილი ბავშვის დაკრძალვისათვის - 7 წლამდე ასაკის – 5 მან., ორმოცისა და წლისათვის პანაშვიდი მიცვალებულისათვის მრევლთან მორიგებით; ჯვრისწერისათვის 50-60 მანეთი; სახლის კურთხევისათვის 2 მან., პარაკლისისათვის – 3 მან., ჯვრისწერის მოწმობისათვის – 5 მან.; ნათლობის გასამრჯელო ნებაყოფლობითი იყო და დამოკიდებული იყო სასულიერო პირის ზნეობაზე (185,1).

სამღვდელოებისათვის განკუთვნილი ხარჯის გარდა, საქართველოს ეკლესიას მძიმე ტვირთად აწვა თავად ეკლესიის მოწყობის, მისი გათბობა-განათების, სარემონტო სამუშაოების, კანალიზაცია-წყალგაყვანილობის, ეკლესიის კარმიდამოს მოწყობის ხარჯებიც, რაც უშუალოდ მისი ხაზინიდან გაიღებოდა. საამისოდ, თითოეულ ეპარქიას დაახლოებით 10000-დან 11000-მდე მანეთი ესაჭიროებოდა, ხოლო ღვთისმსახურებისათვის საჭირო პროდუქტის: ფქვილის, ღვინოს და სხვათა შესაძენად კი 9000-მდე მანეთი (178,7).

1918 წელთან შედარებით, 1919 წლისათვის ეკლესიის ფიანანსები საგრძნობლად შემცირდა. თუ წინა წელს რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას დახმარების სახით 10 მლნ. მან. გამოუყო, 1919 წლისათვის ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. რესპუბლიკის შიდა წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრებამ, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმებამ ეკლესიაზეც იქონია ზეგავლენა, იკლო საეკლესიო

შემოსავლებმაც, რისი მიზეზითაც შემცირდა საეკლესიო ხაზინიდან ეპარქიების შესანახად გამოყოფილი თანხები, სამღვდელოების ხელფასები. მაგალითად, 1919 წელს თბილისის საეპარქო საბჭოზე, ასევე მცხეთის, ურბნისის, ალავერდის საბჭოებზე გამოყოფილ იქნა თითოეულზე 1822 მან. და 91 კაპიკი. ეპისკოპოსთა ხელფასებისათვის წლიურად გადადებულ იქნა 1000 მან., თვიურად ისინი იღებდნენ მხოლოდ 80 მან., 38 კაპ-ს (183,13), რაც საგრძნობლად მცირე იყო წინა წელთან შედარებით.

1919 წლის პირველი ნახევრისათვის საეკლესიო ხაზინამ ქართლ-კახეთის მონასტრებისათვის გამოყო 3897 მან., 20 კაპ. მარტო თბილისის სიონის ტაძრის შესაკეთებლად – 728 მან., 50 კაპ. ქვრივ-ობოლთა სამზრუნველოსათვის კი – 541 მან.70 კაპ. (183,11).

მნიშვნელოვნად შემცირდა საკათალიკოსო საბჭოს წევრთა ჯამაგირი 1919 წლისათვის (184,48). მის წევრებს: ქრ. კაპანაძეს, პ. ბარათაშვილს, პ, ინგოროყვას და სხვებს წლიურად დაენიშნათ 8066 მან. კანცელარიის გამგეს - დეკ. კალ. ცინცაძეს 5.800 მან. ბაზინადარს ყ. მეხუბლას – 4585 მან., მდივანს – ნ. კურდღელაშვილს – 5215 მან., რაც შეეხება მათზე გაწეულ შემწეობას თანამდებობიდან გამომდინარე 800-დან 400 მანეთამდე მერყეობდა (172,9).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ მიმდინარე კამპანიამ, საქართველოს ეკლესიის შეშფოთება გამოიწვია. ეროვნული ეკლესიის მთავრობა უკვე ნათლად ხედავდა, რომ დემოკრატიული საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების სარწმუნოებრივი პოლიტიკა ეროვნული ეკლესიისათვის დამანგრეველი იყო. ამ პოლიტიკის ერთ-ერთ სერიოზულ გამოვლინებას სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოცილების პროექტის მზადება წარმოადგენდა. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ ეკლესიას სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დახმარებისა და თანადგომის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა და ის საკუთარ

შესაძლებლობებს უნდა დაყრდნობოდა. საამისოდ, სანამ აღნიშნული პროექტი დასრულდებოდა და ის ძალაში შევიდოდა, საქართველოს საეკლესიო საბჭომ 1920 წლის 6 ნოემბრისათვის მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც საკათალიკოსოს მართვა-გამგეობის ორგანოების, უმაღლესი სასულიერო იერარქებისა და საკათალიკოსოს საზოგადო საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის მიღებულიყო სათანადო ზომები. აღნიშნულ ღონისძიებებს მაქსიმალური შემოსავალი უნდა მიეცათ ეკლესიის საგინისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სანთლის წარმოებაზე; აუცილებლობა ითსოვდა, რომ საკათალიკოსოს ეკლესიებში იმ ოდენობის სანთელი გაყიდულიყო, რაც აანაზღაურებდა მისი წარმოებისათვის დანახარჯ თანხას და ეკლესიას მოგებასაც მისცემდა. ამ გზით შესული თანხის ერთი ნაწილი უნდა მოხმარებოდა ადგილობრივი ეკლესიის საჭიროებას, ხოლო დანარჩენი გადაგზავნოდა საკათალიკოსოს საბჭოს ზოგადი საჭიროებისათვის. საკათალიკოსოს საბჭოში შესული სანთლის გაყიდვიდან მიღებული მოგება უნდა დაფიქსირებულიყო სათანადო წიგნში და წარდგენილიყო საკათალიკოსოს საბჭოში, აქედან კი ის ცალკეულ ეპარქიებში გადანაწილებულიყო მომქმედ საკათალიკოსო საბჭოს რწმუნებულის მიერ. ნიშანდობლივია, რომ საკათალიკოსო საბჭოს დადგენილებით სანთლის საწყობებს მოლარის მიერ დამოწმებული სათანადო ბარათის მიღების შემდეგ ეძლეოდათ უფლება ეკლესიებზე გაეცათ გასაყიდი სანთელი.

სანთლით ვაჭრობასთან დაკავშირებული ოპერაციების გარდა, საკათალიკოსოს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკათალიკოსო ეკლესიების ყოველგვარი შემოსავლიდან 2% ქართული ეკლესიის ხაზინაში გადაერიცხა. თანხების გადარიცხვა ქალაქის ეკლესიებიდან უნდა მომხდარიყო წლის მესამედის დასასრულს, ხოლო დაბა-სოფლების ეკლესიებიდან კი ყოველი წლის ბოლოს. ამავდროულად, საკათალიკოსო საბჭომ დააწესა

საკათალიკოსო ტაძრებსა და მონასტრებში, მის მიდამოებში მიცვალებულის დაკრძალვისათვის შეწირული თანხიდან ამ ეკლესია-მონასტრებს საეკლესიო ხაზინაში გადაერიცხათ მიღებული თანხის 40% (153,31). არაობიექტურობისა და უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ 1920 წლის 14 სექტემბრის განჩინებით დაადგინა: "მონასტრის კრებულის ყოველგვარი შემოსავალი ფულით თუ ნატურით უნდა აღინუსხებოდეს საზოგადო დავთარში და ამ შემოსავლითგან წინამძღვარს უნდა ეძლეოდეს ათი ნაწილი, თითოეულ მღვდელმსახურს – ექვსი წილი, თვითოეულ იეროდიაკონს – ხუთი წილი და თითოეულ წიგნის მკითხველს და მორჩილს – ოთხ-ოთხი ნაწილი" (177,5).

ზემოაღნიშნულ ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად, 1920 წლის 2 ივლისის მეორე სადისკუსიო კრებაზე საეკლესიო მართვა-გამგეობაში შეტანილ იქნა სერიოზული ცელილებები: გაერთიანდა მცხეთა-თბილისის ეპარქიები, გაუქმდა საკათალიკოსო სასამართლო და ის შეითავსა საკათალიკოსო საბჭომ.

ამრიგად, 1919-1920 წლებში საქართველოს ეკლესიაში გატარებულმა ღონისძიებებმა ცხდაყო, რომ ეკლესიის ხელისუფლება თავის გადარჩენის მიზნით გზების ძიებისას მიდის იმ გადაწყვეტილებამდე, რომ აუცილებელია მისი ეკონომიკური მომძლავრება, საამისოდ კი ახდენს საეკლესიო ორგანიზაციათა კონცენტრაციას, რაც იწვევს თავის მხრივ შტატების შეკვეცასაც. აღსანიშნავია, რომ ეს შემცირებანი არა სასულიერო პირებზე მოდის, არამედ, ძირითადად სამეურნეო ნაწილში მომსახურე პერსონალზე. მოცემული რეფორმაცია მეტად გონივრული ღონისძიება იყო, რადგან მან ორი საქმე ერთდროულად შეასრულა: 1). ეკლესიის ხაზინას შესძინა სათანადო ფინანსები, დააზღვია ის იმ საშიშროებისაგან, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის უარყოფაში მდგომარეობდა და ამით ეკლესიას მოუპოვა ის ძირითადი ეკონომიკური ბაზისი, რამაც მას მისცა შემდგომი არსებობა-მოქმედების შესაძლებლობა; 2). ზემოაღნიშნული რეფორმებით,

ეკლესიის ხელისუფლებამ მოახდინა მისი ცენტრალიზაცია, ანუ საეკლესიო საბჭოს იურისდიქცია კიდევ უფრო გააძლიერა, რითაც თითქმის გამოირიცხა ეკლესიის შიგნით იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური განსხვავებების შექმნის საშიშროება.

მოგვიანებით, ფაქტი გახდა, რომ საქართველოს ეკლესია მორალურ-ზნეობრივად, ეროვნულ-პოლიტიკურად იმდენად სათანადოდ მაღალ დონეზე აღმოჩნდა, რომ მან გაუძლო დემოკრატიული საქართველოს მენშევიკური მთავრობისაგან შეეიწროვებას და შემდგომ საბჭოთა იმპერიის ანტირელიგიურ პოლიტიკას.

კარი მეოთხე
სასულიერო განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

თავი პირველი - სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაცია საქართველოში (1917წ.)

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ, მისი ათვისება-შემომტკიცებისათვის, იმპერიის დანამატად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობად იქცა სერიოზული რეფორმების გატარება კულტურის დარგში. საქართველოს კულტურული დაპყრობა ითვალისწინებდა მის სულიერად და ხორციელად შერწყმას რუსეთის იმპერიაში და ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის ამოძირკვას. სააბისოდ, კულტურის დარგში აქტიურად მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით რეფორმაცია ქართველთა ეროვნულობის, მისი ისტორიისა და კულტურის განადგურებისათვის. კულტურის სფეროში გატარებული ანტიქართული ღონისძიებებით, თვითმპყრობელობა ხელოვნურად ცდილობ-და წინ აღდგომოდა ქართველი ერის კულტურული ერთობის განმტკიცების პროცესს, რათა ამით დაეშალა ერის მთლი-ანობა და თითოეულის ცალ-ცალკე ასიმილაცია მოეხდინა.

ქართველი ერის გადაგვარებისათვის თვითმპყრობელო-ბას მრავალი საშუალება გააჩნდა: სამხედრო სამსახური, ეკლესია, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი და ძირითადი საშუალება იყო ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა, რომლის განადგურებისათვისაც ცარიზმი მთელი ძალისხმევით იღწვოდა და მის ადგილზე რუსიფიცირებულ სისტემას ამკვიდრებდა. ასეთი პოლიტიკა უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ეროვნული კულტურის არა თუ განვითარებას, არამედ არსებობას, იწვევდა მის დაკნინებას და საერთო ჯამში ერის გადაგვარებას (2,227) - "იმ ხალხს, რომელსაც თავის ენას გადაავიწყებენ, ხალხის სახელი აღარ ჰქვიან, მნიშვნელობა და პატივი აღარ აქვს და ქვეცნობიერებაში ისე

გამოწყდება, რომ იმის სასსენებელიც აღარა დარჩეს რა" – აღნიშნავდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი (19,46).

ცარიზმის მიერ ქართული განათლების დევნა გამოწვეული იყო იმით, რომ ეს უკანასკნელი სწავლა-აღზრდის ეროვნულ პრინციპებს ეყრდნობოდა და ბუნებრივია, ის თვითმყრობელობის ინტერესთა დამცველი ვერ იქნებოდა. თვითმყრობელობამ განაპირა მსარეებში თავისი პოლიტიკის გატარებისა და დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის უდიდესი ფუნქცია დააკისრა საქართველოს ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებს. მას კარგად ესმოდა, რომ ქართულ ეკლესიასთან არსებულ სასწაელებლებს ძლიერი ეროვნულ-პოლიტიკური მისია ჰქონდათ დაკისრებული მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, რადგან ქართული ეკლესიის ისტორია საუკუნეების მანძილზე მჭიდროდ უკავშირდებოდა ქართველი ხალხის კულტურის ისტორიას, მის განათლებას. რუსეთის ხელისუფლება კი, რადგან ყოველგვარ ეროვნულს უპირისპირდებოდა, თავისთავად მისი ინტერესების სფეროში სასულიერო განათლებაც ხვდებოდა.

საქართველოს სასულიერო-საგანმანათლებლო სფეროში რეფორმის განხორციელებას საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელი ემსახურებოდა. მათი ძირითადი დანიშნულება იყო ქართული სასულიერო სასწავლებლებიდან მშობლიური ენის განდევნა, რაც მათი გადაგვარების წინაპირობა იქნებოდა – "ქართული ენის სისტემატიურმა დევნამ სასწავლებლებში შესამჩნევად დასწია ქართველთა გონებრივი და საზოგადოდ სულიერი ინტერესები. მან შეამცირა ქართველების სამეცნიერო მოღვაწეობა, ... სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ..." (77,6) – აღნიშნავდა ჟურნალი "ივერია".

ქართველი საზოგადოების ეროვნული განათლების და კერძოდ, სასულიერო სასწავლებლების გადაგვარებისათვის

გაწეულმა ძლიერმა წინააღმდეგობამ, რუსეთის მთავრობა მიახვედრა, რომ – "... ქართული ენის დევნა სასწავლებლებიდან, უპატივცემულობა ადგილობრივი ენისადმი, იწვევს რუსულისადმი მხოლოდ სიძულვილს. გასაგები უნდა იყოს, რომ ორივე ენა – ქართულიცა და რუსულიც, როგორც სახელმწიფო ენა ერთდროულად უნდა ისწავლებოდეს..." (28,30)

1915-16 წლებში საქართველოში, რუსეთის სასულიერო ხელისუფლების მიერ დაარსებული სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც რუსულ ეკლესიას ერთგულ სასულიერო პოლიტიკის გამტარებელ სამღვდელოებას უზრდიდა - 295 იყო. მათ შორის ერთი ბოდბეს ქალთა მონასტერთან არსებული საეკლესიო-სამასწავლებლო სკოლა, ორკლასიანი სკოლები 42, ერთკლასიანი 249, წერა-კითხვის შემსწავლელი – 2.

ზემოჩამოთვლილ სკოლებში 92 ქართველი ეროვნების ბავშვი სწავლობდა, 103 – რუსი, 13 ოსი, 2- სომეხი და ა.შ. (199,1). სკოლებში ღვთისმეტყველების პედაგოგი იყო 322, მღვდელი 192, დიაკონი – 7, მედავითნე – 4, საერო პედაგოგი – 119. 1916 წლისათვის მოწაფეთა რაოდენობა უდრიდა –

15867, საიდანაც ვაჟი იყო – 9416, ქალი – 6451. რუსი ეროვნების მოწაფე იყო – 3780, ქართველი – 5734, ბერძენი – 4609, სომეხი – 879, აისორი – 188, გერმანელი – 23, სომეხი – 322, ებრაელი – 13, აზერბაიჯანელი – 114, პოლონელი – 1 და სხვა ეროვნების – 205 მოსწავლე (99,2). ბუნებრივია, რომ სასულიერო სასწავლებლების პედაგოგთა ძირითადი შემადგენლობა რუსი ეროვნებისა იყო; ყველა ეროვნების მოსწავლე რუსული სასულიერო-საგამანმანათლებლო სისტემით სწავლობდა და მშობლიურ განათლებას იყო მოწყვეტილი.

ასეთი ვითარების ფონზე, საქართველოს ეკლესიას ფაქტიურად აღარ გააჩნდა სასულიერო კადრი, რომელიც ეროვნულ სასულიერო ნიადაგზე იქნებოდა აღზრდილი და საკუთარ ეკლესიას მოემსახურებოდა. ქართველი სამღვდელოება იწყებს ბრუნვას საკუთარი სახსრებით გახსნას

სასულიერო სასწავლებლები, სადაც ქართველ სამღვდელო პირთა შვილები მიიღებდნენ სასულიერო განათლებას. 1917 წლის დასაწყისში საქართველოში იხსნება მედავითნეთა ორკლასიანი სასწავლებელი (54 '21,3), სადაც მშობლიურ ენასა და ეროვნულ ორიენტაციაზე იზრდებოდნენ ქართული ეკლესიის მსახურნი. აქ ასწავლიდნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას როგორც ხუცურს, ისე მხედრულს, ტიპიკონის კითხვას, გალობას და ა.შ. ეროვნული სასულიერო სასწავლებლების გახსნისათვის მუშაობა გაიშალა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ქართლში, სამაჩაბლოში, იმერეთში და ა.შ. (61,3; 54,3).

თვითმპყრობელობის დამხობისა და საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენისთანავე, ქართველმა სამღვდელოებამ განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული სასულიერო განათლების მიმართულებაზე გაამახვილა. თავისუფალ ეკლესიას და მის სამწყსოს ეროვნულ ფესვებსა და ცნობიერებაზე აღზრდილი თაობა ესაჭიროებოდა, რომლის სამჭედლოც ისტორიული ტრადიციით ქართული სასულიერო სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. ამიტომ, საქართველოს ეკლესიის წინაშე, ერთ-ერთ აუცილებელ ამოცანად წამოიჭრა რუსული ეკლესიის მიერ დამკვიდრებული სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის ქართულით შეცვლა, ე.ი. საქართველოში უნდა მომხდარიყო საეგზარქოსოს სასწავლებელთა რეორგანიზაცია, რისი განხორციელებაც საერთო სასწავლო ქსელის ნაციონალიზაციით შეიძლებოდა.

ეროვნული სასულიერო სკოლის აღდგენა-აღორძინებისათვის ფართო მოძრაობა გაიშალა საქართველოს ეკლესიასა და მის სამღვდელოებას შორის. მათ სისტემატიურ შეკრებებზე მსჯელობის საგნად იქცა ეროვნული სასულიერო სკოლის ნაციონალიზაცია-რეორგანიზაციის, საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებისა და სხვა საკითხები. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული ეკლესიის აღორძინება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა წარმოუდგენელი იქნებოდა ეროვნული განათლების

კერათა ამოქმედების გარეშე, რომელსაც ზემოხსენებული პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძირითად კომპონენტად მიიჩნევდნენ – "... უსათუოდ უნდა დადგენილება გამოვიტანოთ, რომ დაარსდეს სულ პატარა მასშტაბით ღირსეული სამღვდელო კანდიდატების მოსამზადებლად სასწავლებელი და თქვენვე იშოვნოთ სასწავლებელში შესვლის მსურველები, თქვენვე მიიღოთ მათ შენახვაში შესაძლო დახმარება..." – მიმართავდა საქართველოს საეკლესიო ხელისუფლება ეპარქიულ კრებაზე თავის სამღვდელოებას (163,1-3).

საქართველოს ეკლესიის დროებითმა ხელისუფლებამ სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის ნაციონალიზაცია-რეორგანიზაციისათვის ქმედითი ღონისძიებების დასახვა დააკისრა ცალკეულ ეპარქიათა ხელმძღვანელობას. მართალია, ეს უკანასკნელნი ამ კუთხით მუშაობისას სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ როგორც ადგილობრივი დროებითი მთავრობის (ოზაკომი), ისე საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს ხელისუფლებისაგან, მაგრამ გაბედულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ეკლესიის მთავრობის თამამი განცხადება – "... 12 მარტიდან, საეკლესიო მმართველობა და სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე სრული მმართველობა საქართველოს საკათალიკოსოს მთელს ტერიტორიაზე გადმოვიდა ჩემს იურისდიქციაში..." – აცხადებდა 1917 წლის 17 მარტს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ეპისკოპოსი ლეონიდი (34,13).

სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაცია-ნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობაში უდიდესი მოვლენა იყო სრულიად საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე (1917წ.) საქართველოს საკათალიკოსოს საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მოწყობის დებულების შემუშავება. ქართველი სამღვდელოება ახალი ღონისძიებების დასახვით

ცდილობდა ეროვნული სასულიერო განათლების სისტემის შემუშავებას და ამით ეროვნული სასულიერო სკოლის ისტორიული ტრადიციის აღდგენას. საეკლესიო კრებაზე განიხილეს სასულიერო სკოლის ნაციონალიზაციის საკითხი საერთო სასწავლო ქსელის რეორგანიზაციის საფუძველზე. ამ საკითხის დამუშავება და რეალიზება დაევალა კრებაზე შექმნილ საგანგებო კომისიას, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ საქართველოს ეკლესიის საეპარქიათა ხელმძღვანელები, მისი წარმომადგენლები და საერო პირები.

საეკლესიო კრებაზე შემუშავებული და დამტკიცებული დებულება 14 მუხლისაგან შედგებოდა. დებულება ითვალისწინებდა, რომ საქართველოს ეკლესიას უნდა ჰქონოდა საკუთარი დაბალი და საშუალო ტიპის სასწავლებელი, რომელიც უნდა მომსახურებოდა სამღვდელოთა ოჯახებს შეღავათიან ფასებში და აღეზარდა ისინი ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანობის საფუძვლებზე. სასწავლებლებში სწავლება უნდა ყოფილიყო მშობლიურ ენაზე, ხოლო საღვთო სჯულის სწავლება სავალდებულოდ გამოცხადებულიყო. სასწავლო პროგრამებითა და სწავლების უფლებით ისინი უნდა გათანასწორებულიყვნენ საერო სასწავლებლებთან: გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებთან. აღნიშნულის საფუძველზე, 1917 წლიდან საქართველოს ყველა სასულიერო სასწავლებელი სწავლების პროგრამით გადაკეთდა სრულუფლებიან პროგიმნაზიად.

საქართველოს საკათალიკოსოს დებულებით თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები სარგებლობდნენ სახელმწიფო გიმნაზიების პროგრამებით. ისინი ამ უკანასკნელთან სასულიერო სასწავლებლებს აერთიანებდნენ იმ პირობით, რომ რვა კლასის დამთავრებისთანავე აღსაზრდელები დაეუფლებოდნენ სპეციალურ საღვთისმეტყველო დისციპლინის კურსს, რომელიც ორწლიანი იყო და სამღვდელო კანდიდატთა მომზადებას ითვალისწინებდა. აღნიშნულ კურსებზე ნებადართული იყო სხვა საშუალო

(საერო) სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიღებაც. იგივე ღონისძიება გატარდა ქალთა საეპარქიო სასწავლებლებზეც (თბილისის და ქუთაისის). მოცემული ღონისძიება ზუსტი დასტურია იმისა, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა ნაციონალიზაცია-რეორგანიზაცია 1917 წელს ჩატარდა კავკასიაში მიმღინარე სასწავლო ოლქის რეორგანიზაციის საფუძველსა და მისი დებულებების ნაწილობრივი გათვალისწინებით.

საქართველოს საკათალიკოსოს სასულიერო სასწავლებელთა უზენაესი მართვა-გამგეობა გადაეცა საკათალიკოსო საბჭოს, რომელთანაც დაარსდა სამი პირისაგან (თავმჯდომარე და ორი წევრი) შემდგარი განსაკუთრებული სასწავლო კომიტეტი, რომლის შესახებაც ზევით უკვე აღვნიშნეთ. კომიტეტს ირჩევს ოთხი წლის ვადით სასწავლებელთა დელეგატების კრება, ხოლო წარდგენილ კანდიდატურებს ამტკიცებს საკათალიკოსო საბჭო. სასწავლო კომიტეტის საქმიანობა და მისი კომპეტენცია ავტონომიურია იმ ზოგადი დირექტივებისა და საეკლესიო ბიუჯეტის ფარგლებში, რომელსაც ის საკათალიკოსო საბჭოსაგან მიიღებს. საქართველოს ყველა სასულიერო სასწავლებელი სასწავლო კომიტეტს ექვემდებარება, ხოლო თავად ეს სასწავლებლები შიდა საქმეების მოწყობაში ავტონომიურ უფლებებს ფლობენ.

ყველა სასულიერო სასწავლებლის ავტონომიურ უფლებებს განაგებს ადგილობრივი პედაგოგიური საბჭო, რომელიც შედგება სასწავლებლის გამგის, პედაგოგ-აღმზრდელთა, ექიმის, ეპარქიის წარმომადგენლებისა და მშობელთა წრის სამი წევრისაგან, ამასთან, ქალაქის თვითმმართველობის ერთი წარმომადგენლისაგან. პედაგოგიური საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებიან უფროსი კლასის სამი დელეგატი მოსწავლე. თუ თვალს გადავავლებთ სახალხო განათლების რეორგანიზაციის დებულებებს, შევნიშნავთ, რომ საეკლესიო სწავლების დებულებანი იმავე პრინციპით

შემუშავდა, როგორიც სახელმწიფო სკოლებში გატარდა.

როგორც აღინიშნა, დებულებამ სასულიერო სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს ადგილობრივად დამოუკიდებელი მოქმედების უფლება მიანიჭა. მის კომპეტენციაში შეეიდა სასწავლებლის შტატები, სასწავლო წესდება-პროგრამებით მოქმედება, რომელსაც იმუშაეებს საბჭოს დასმარებით სასწავლო კომიტეტი და ამტკიცებს საკათალიკოსო საბჭო. გარდა აღნიშნულისა, პედაგოგიური საბჭო იმუშაეებს გაკვეთილების ცხრილს; ატარებს სასწავლო-აღმზრდელობით სამუშაოებს, იხილავს წლიურ ხარჯთაღრიცხვას და სასწავლებლის შემოსავალ-გასავალის ანგარიშს. სამეურნეო საქმის მოგვარებისათვის პედაგოგიური საბჭოს წევრებისაგან უნდა შემდგარიყო ორი კომისია: სამეურნეო და სარევიზიო.

სამეურნეო კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: თავმჯდომარე, ორი მასწავლებელი, ორი წევრი საეპარქიოდან და მშობელთა წრიდან ეკონომისტი. კომისიის ფუნქციაში შედიოდა სამეურნეო ცხოვრების სათანადო გაძღოლა სასულიერო სასწავლებელში, ხარჯთაღრიცხვების, წლიური ანგარიშების შედგენა და ა.შ. რაც შეეხება სარევიზიო კომისიას, ის შედგებოდა: ერთი მასწავლებლისაგან, ერთიც საეპარქიოს წარმომადგენლისაგან. ის ამოწმებდა სამეურნეო კომისიის ანგარიშებს და დასკვნებს და წერილობითი სახით წარუდგენდა სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს (180,1-2).

რესპუბლიკაში მიმდინარე ზოგადად განათლების სისტემის რეორგანიზაცია-ნაციონალიზაციის პროცესში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა, მისთვის შესაფერისი სასულიერო განათლების დებულების შედგენა, იმ ეტაპზე საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის ფრიად გონივრულ გადაწყვეტილებებზე მიგვანიშნებს. ქართველ სამღვდელოებას რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კავკასიის უჯრედის (ოზაკომი – ქ.პ.) საქართველოში ბატონობის ფონზე, უკეთესი გადაწყვეტილების მიღების არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდა; მხოლოდ

ასეთი დებულების საფუძველზე იყო შესაძლებელი ქართული სასულიერო ქსელის აღდგენა და შემდგომ, მისი აღორძინება და საეგზარქოსოს მიერ მიტაცებული ქართული სასულიერო სასწავლებლების დაბრუნება და ნაციონალიზაცია.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე მიღებული დებულების საფუძველზე ქართველმა სამღვდელოებამ აქტიური მუშაობა გააჩაღა საკათალიკოსოს მთელს ტერიტორიაზე. ქართულმა ეკლესიამ სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაცია თბილისის სასულიერო სემინარიით დაიწყო, რომლის რექტორიც იყო პროტოსვიტერი კ.კეკელიძე. მას სწრაფადვე მიჰყვა გორის სასულიერო სასწავლებელი (დირექტორი – მღვდელი ფხალაძე), თელავის (დირექტორი – მიმინოშვილი), თბილისის ეპარქიული ქალთა სასწავლებელი (დირექტორი – გორგაძე) (34,32).

საქართველოს ეკლესიის ამ მიმართულებით მუშაობამ საქართველოს რუს სამღვდელოებაში უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ისინი ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებზე თავიანთი ძალაუფლება არ დაეთმოთ. კავკასიის საეგზარქოსოს ხელისუფლება დახმარებას ითხოვდა რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდისაგან – "... საქართველოს ეკლესიის თვითნება ხელისუფლებამ თბილისის ეპარქიული ქალთა სასწავლებლიდან იძულებით განდევნა 107 არაქართველი ეროვნების გოგონა..." – შენიშნავდა აღშფოთებით კავკასიის ეგზარქოსი (34,32).

ფაქტიურად ვითარება იმაში მდგომარეობდა, რომ თბილისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებლებში მკაცრი რუსიფიკატორული რეჟიმის გამო აღსაზრდელები ეროვნულ სწავლებას სრულიად მოკლებულნი იყვნენ. ყველა სასწავლო დისციპლინა მხოლოდ რუსულ ენაზე ისწავლებოდა, რაც მოსწავლეთა და მათი მშობლების უარყოფით რეაქციას იწვევდა. თბილისის ქალთა ეპარქიული სასწავლებელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომლითაც საქართველოს ეკლესიამ სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაციის

პროცესი დაიწყო. ქართული ეკლესიის დროებითმა
მთავრობამ 1917 წლის 25 ივლისს გამოიტანა დადგენილება,
რომ ამ სასწავლებელში ყველა საგანი მხოლოდ ქართულ
ენაზე სწავლებულიყო, რამაც არაქართველ, განსაკუთრებით
რუსი ეროვნების მოსწავლეებს პრობლემები შეუქმნა. ისინი
იძულებულნი იყვნენ სწავლა მიეტოვებინათ, ხოლო სასწავ-
ლებლის რუსი ეროვნების პედაგოგებმა თავიანთი ფუნქცია
დაჰკარგეს და სასწავლებლის მიღმა დარჩნენ. ასეთი რთული
ვითარების გამოსასწორებლად ეპარქიული სასწავლებლის
ხელმძღვანელობა თხოვნით მიმართავდა კავკასიის
სასწავლო ოლქის კომისარიატს, რათა არაქართველი
მოსწავლენი უზრუნველეყო სწავლის გაგრძელებით
ნებისმიერ სხვა მათთვის შესატყვის გიმნაზიაში გამოცდების
ჩაბარების გარეშე. საგულისხმოა, რომ სასწავლებლის
ხელმძღვანელობამ იზრუნა ფრიადოსან მოსწავლეებზე და
მათი კუთვნილი სტიპენდია ხელზე გასცა, ხოლო დანარჩენთა
სწავლის საფასური ქართული და რუსული საეკლესიო
ქონების გაყოფის საქმისათვის გადარიცხა.

ცენტრიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე
კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კომისარი 1917 წლის
28 დეკემბერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
სამმართველოს უგზავნის სასწრაფო შეტყობინებას -
"ვითვალისწინებ უწმინდესი სინოდის 15.11.1917წ. N9749-ის
კანონით თბილისის ახალი სასულიერო სემინარიის გადაცემას
რუსული ეკლესიის გამგეობაში. ახლა ეს შენობა დაკავებული
აქვს რექტორს კაბინეტად და ბინად – კ. კეკელიძეს გთხოვთ
სასწრაფოდ გაათავისუფლოთ შენობა" (222,4).

თბილისის სასულიერო სემინარიის ნაციონალიზაციის
პროცესმა სერიოზული კამპანია გამოიწვია, როგორც რუს
ისე ქართველ საზოგადოებაში. სემინარიის ქართველი
მოსწავლეები აქტიურ აგრესიას ავლენდნენ რუსი
პედაგოგებისა და მათი რეჟიმის წინააღმდეგ. ისინი
სასწავლებლების ხელმძღვანელობისაგან ითხოვდნენ რუსი
მასწავლებლების სემინარიიდან განდევნას. რაც შეეხება ა

უკანასკნელთ, მათ სემინარიის რექტორის – კ. კეკელიძის, საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებისა და ობაკომის მთავრობის წინაშე ოფიციალურად დააყენეს საკითხი ორი დამოუკიდებელი სემინარიის არსებობისათვის თბილისში, რომლებიც ცალ-ცალკე მოემსახურებოდნენ ქართველ და არაქართველ აღსაზრდელებს (213,29).

საქართველოს სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაციის პროცესს სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა არა თუ მხოლოდ რუს სამღვდელოებასთან დაეა, არამედ ის მძიმე ეკონომიკური ვითარება, რომელშიც საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქართველი სასულიერო პედაგოგები აღმოჩნდნენ. მთლიანად გაძარცვული უსახსროდ დარჩენილი იყო სასწავლებლები, ხელფასები კი არ ეძლეოდათ პედაგოგებს. ამიტომ საქართველოს ეკლესიის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დადგა საკითხი პედაგოგთა ელემენტარული მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, 1917 წლის 5 მაისს თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის შენობაში გაიმართა საქართველოს ეპარქიების საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელ დელეგატთა თათბირი. სხდომას თავმჯდომარეობდა თბილისის გუბერნიის მასწაელებელთა საბჭოს თავმჯდომარე ვ.ა. ბურჯანაძე. საქართველოს ეკლესიის დროებითი მთავრობიდან სხდომას ესწრებოდა მისი წარმომადგენელი ვ. ბარნოვი. თათბირის სამუშაო კომიტეტი შედგებოდა: თავმჯდომარის – ვ.ა. ბურჯანაძის, ორი მოადგილის – ბერიევის (ბერიაშვილი) და გოროდეცკის, ორი მდივნის: ო. ჭიკაძისა და მაციორკოვსკისაგან. როგორც ჩანს სასულიერო სასწავლებელთა თათბირში რუსი სამღვდელოებაც მონაწილეობდა, რადგან მის მუშაობაში სერიოზული ადიგილი დაეთმო რუსული და ქართული სამრევლო-საეკლესიო სკოლების ერთმანეთში გადანაწილების პრობლემებსაც.

ზემოაღნიშნული საკითხი სერიოზული შეუთანხმებლობის გამო ჩიხში მოექცა და სამომაელოდ, ქართული და რუსული

საეკლესიო ქონების გადანაწილებისათვის საგანგებოდ შექმნილი კომისიის კომპეტენციას გადაეცა. კრების მნიშვნელოვანი საკითხი იყო პედაგოგთა მატერიალური მდგომარეობის შესწავლა. თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, რომ საეკლესიო სკოლების პედაგოგთ დანიშნოდათ თვეში 120 მანეთი ხელფასი, 20% ნამატით ხუთი წლის მანძილზე, ხოლო ადრე ნამსახურევი წლები სტაჟში ჩათვლილიყო. იმ სასულიერო მასწავლებლებს, რომელთაც არ გააჩნდათ ბინა და უკიდურეს მატერიალურ შეჭირვებაში იყვნენ, დამატებით დანიშნოდათ ხელფასის 40%. პენსია განისაზღვრა ხელფასის ძირითადი ოდენობით. საპენსიო ვადად დადგინდა ნამსახურევი 20 წელი, ავადმყოფობის გამო 15 წელი. სასულიერო პედაგოგთა ხელფასები უნდა გაცემულიყო სახელმწიფო ხაზინიდან (213,18).

სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაციის პროცესის დაჩქარებისა და რეორგანიზაციის დროულად დასრულებისათვის საეკლესიო-სამრევლო სკოლების პედაგოგთა ყრილობამ შეიმუშავა დროებითი კომისიის შექმნის პროექტი, რომელიც 5 კაცისაგან უნდა შემდგარიყო. ორი თვის მანძილზე კომისიას უნდა დაეარსებინა ეპარქიებში ეროვნული კურსები; დადგინა რა რაოდენობის სკოლა იყო საჭირო გახსნილიყო თითოეულ ეპარქიაში უფასო სწავლებისათვის; და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კომისიას ეკისრებოდა ეროვნული სასულიერო სკოლის რეორგანიზაციის პროექტის დამუშავება-მომზადება (213,18).

დროებითი კომისიის შემადგენლობაში კრებამ აირჩია: ლავრენტი ჩიმაკაძე, გრიგოლ ტოლიკაევი, ალექსანდრე თიბილოვი, ივანე ბერიაშვილი და ივანე პოლუმორდინოვი. რაც შეეხება სამაგრო-სასკოლო საქმეს, მისი ზედამხედველობა დაეკისრა საგანგებო სამაგრო კომისიას, რომლის კომპეტენციაში მოექცა ცალკეულ საეპარქოებში სასკოლო და სამეურნეო მუშაობის თვალყურისდევნება.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ კომისრები: თელავ-თიანეთის მაგრაში – ო.ი. ჭიკაძე; გორის მაგრაში –

გ. უთურაშვილი, სიღნაღის მაზრაში – ალ. ბარნაბიშვილი, დუშეთის მაზრაში – ნესტორ ძიძიგური, ბაქოს მაზრაში – ვერა კურდიუკოვა, ყარსის მაზრაში – მ. კირიაკოვი (213, 119-20).

როგორც აღინიშნა სასულიერო განათლების რეორგანიზაციისათვის ჩატარებული საეკლესიო ყრილობის ერთ-ერთ ძირითად საკითხს საეკლესიო-სამრევლო სკოლების მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებისათვის მუშაობის დასახვა წარმოადგენდა. კავკასიის ხელისუფლება ამ მიმართულებით "შესაშურ" აქტიურობას იჩენდა. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო ომის დაწყების წინა პერიოდში, რუსეთის ჯარების ერთი ნაწილი, რომელიც კავკასიაში მსახურობდა, აქაური ხელისუფლების ყურადღების ქვეშ იყო და მათი გულის მოგების მიზნით, მაქსიმალურად ცდილობდა მათთვის დახმარების აღმოჩენას. სამხედრო ნაწილების წევრთა ოჯახების დიდი ნაწილი საქართველოში ცხოვრობდა და მათი შვილები რუსული ყაიდის სასულიერო სასწავლებლებში იღებდნენ განათლებას, კერძოდ წმ. ნინოს სახელობის ბოდბის მონასტერთან არსებულ საეკლესიო სკოლაში, მცხეთის წმ. ნინოს ქალთა მონასტერთან გახსნილ ქალთა სკოლაში ხელმოკლე ოჯახებისათვის და სხვა. აღსაზრდელთა მშობლები თადარიგის მებრძოლები იყვნენ და იმ ეტაპზე ფრონტის ხაზზე იმყოფებოდნენ. ბუნებრივია, რომ მათი შვილებისადმი კავკასიის დროებითი ხელისუფლება განსაკუთრებულ ზრუნვას ავლენდა. ზემოაღნიშნული სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები, მონასტრის მონაზვნები, რომელთა რაოდენობაც 130 კაცს აჭარბებდა უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდნენ. ოზაკომის ხელისუფლებისათვის ასეთი სახის სასწავლებლები ერთად-ერთი სამგრუნყელო დაწესებულებები იყო, რომელთაც საგანგებო სახსარს გამოუყოფდა დახმარებისათვის. ამასთან, ადგილობრივ ხელისუფლებას მოუწოდებდა სამრევლო-საეკლესიო სკოლების დახმარებისაკენ (217,1-2).

რაც შეეხება ქართულ სასწავლებლებს, მათდამი საერო

ხელისუფლება ყურადღებას საერთოს არ ავლენდა. საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაფინანსება მთლიანად საქართველოს ეკლესიის ხაზინაზე მოდიოდა. 1917 წლის ზაფხულში ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობამ არა ერთგზის დააყენა ოზაკომის ხელისუფლების წინაშე თბილისის, ქუთაისის ქალთა გიმნაზიების, თელავის, გორის, სამეგრელო-ოზურგეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლებისათვის სახელმწიფოსაგან კრედიტის გამოყოფის საკითხი (183,7,), მაგრამ უშედეგოდ. მიუსედავად, ეკლესიის უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, ის მაინც ახერხებდა სასულიერო სასწავლებლების დაფინანსებას. მაგალითად, 1917-1918 წლების მიჯნაზე საქართველოს საკათალიკოსომ ქალთა სასულიერო სასწავლებელს გამოუყო 165.700 მანეთი, ხოლო ვაჟთა სასწავლებელს 167.005 მანეთი. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიამდე ორივე სასწაელებლისათვის მთლიანად მხოლოდ 85.534 მანეთი და 95 კაპ. გამოყო, ხოლო ამ სასწავლებელთა სასულიერო პედაგოგებისათვის – 4554508 მან. 6 კაპ. (183,7).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ზოგადად სარწმუნოებისა და კონკრეტულად საქართველოს ეკლესიისადმი დამოკიდებულების პოლიტიკა მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობის (1919 წლის 18-23 მარტი) რეზოლუციების საქართველოში დანერგვის მცდელობაში. რეზოლუციები ირწმუნებოდნენ, რომ - "... პოლიტიკური პროპაგანდისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ მასებში საჭიროა სახელმწიფო სკოლა გამოეყოს ყოველგვარ რელიგიას" (105,577). მოცემული რეზოლუციის საქართველოს ცხოვრებაში გატარება ქართველმა მენშევიკურმა მთავრობამ აქტიურად დაიწყო, რაც ბუნებრივი მოვლენა გახლდათ მისი მხრიდან. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ზოგადად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე მიმდინარეობა (ბოლშევიკები და მენშევიკები – ქ.პ.) ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე სახელმწიფოსა და ეკლესიის, ამ უკანასკნელისა და სკოლის (განათლების) გამიჯვნას უჭერდნენ მხარს; მეორეც იმიტომ, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა, როგორც ზოგადად სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიური აზროვნების მატარებელი, ვერ შეიცავლიდა ამ მიმართულებით აზროვნებას.

განათლების ეკლესიისაგან გამიჯვნის შესახებ, სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები თავიანთი არსებობის დღიდან საუბრობდნენ და მოსახლეობაში ამ აზრის გავრცელებისათვის იბრძოდნენ. სხვა მრავალ ანტისაეკლესიო ფაქტორთან ერთად, ამ საკითხმაც ფართო განვითარება ჰპოვა მოსახლეობაში და დააჩქარა ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლები. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველი ხალხი არა ეროვნულ სასულიერო განათლებას უპირისპირდებოდა, არამედ გარუსებულ საეკლესიო-სამრევლო სკოლას, რაც ახალგაზრდა თაობის ეროვნულ

დეგრადაციას იწვეედა.

ასეთ ვითარებას, ბუნებრივია, ქართველი სამღვდელოება ვერ შეეგუებოდა და მიმდინარე პოლიტიკურ, ანტიხალხურ და ანტისაეკლესიო პოლიტიკისადმი დაპირისპირებისას, არც ეროვნულ სასულიერო განათლებას ივიწყებდა.

ქართველი სამღვდელოების განსაკუთრებულ საზრუნავ საგნად იქცა საქართველოს მოსახლეობის ქართულ ქრისტიანობასთან დამოკიდებულების გამოსწორება. მათი ყურადღება მთელი სიმძაფრით მომავალი თაობებისადმი ზრუნვაში გამოელინდა. აღნიშნული კი, სასულიერო სასწავლებლების ეროვნული მიმართულების მოღვაწეობაში უნდა დანერგილიყო. საჭირო და სასწრაფოდ აუცილებელი გახდა აღსაზრდელებში მშობლიური ენის, ეროვნული ეკლესიის, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივება. მართალია, ამ მიმართულებით ბრძოლა ქართველ სამღვდელოებას დღიდან რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა არც ერთი დღე არ შეუჩერებია, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის მხრიდან შექმნილმა საშიშროებამ, ის კიდევ უფრო დახვეწა და დააჩქარა. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება საერო სასწავლებლებზე გამახვილდა, სადაც სასულიერო დისციპლინების სწავლება შეზღუდვას განიცდიდა. ამ შემთხვევაში, აქტიურობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდით პოლიტიზირებული აღსაზრდელები და საღვთო სულის სწავლების გაუქმებას, სკოლის ეკლესიისაგან აბსოლუტურ ჩამოცილებას ითხოვდნენ. აღნიშნული გახდა იმის მიზეზი, რომ რევოლუციის წინა წლებში (1911-1912წწ.), თბილისის საერო სასწავლებლების საღვთო სჯულის პედაგოგებმა დაარსეს ე.წ. "ძმობა", რომლის მიზანიც იყო სამშობლოს უზრუნველყოფა რელიგიურად ჯანმრთელი თაობით – "... სულიერად გაეზარდა ხალხისათვის მისი ხვალინდელი დღე - ბავშვები" (134, 16-17). "ძმობამ" თაეის დროზე გააერთიანა იმ პერიოდის დიდი სასულიერო მოაზროვნენი: ეპისკოპოსი გაბრიელი, მღვდლები – მირიანაშვილი, ღამბაშიძე, კოზმოვი

და სხვ. (24,75-76). "ძმობის" წევრები ცდილობდნენ აეხსნათ ახალგაზრდებისათვის, რომ საქართველოს ეკლესიამ შექმნა ის ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ორგანიზმი, რომელსაც საქართველოს სახელით იცნობდნენ (160,3) და, რომ ეკლესია და სკოლა იყო სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო "... თვით ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა" (3,317).

ეკლესიის განათლებისაგან განცალკევების საკითხმა აქტიური სახე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა პერიოდში მიიღო, მაგრამ, 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით შექმნილი რთული საშინაო და საგარეო ვითარების გამო, კავკასიის ხელისუფლება ვერ იცლიდა ამ პრობლემის გადაჭრისათვის და დროებით ძალაში დატოვა ეკლესიის უფლებები განათლებაზე. მართალია, კავკასიის დროებითი მთავრობა სამომავლოდ გეგმავდა ეკლესიისა და განათლების გაყოფის საკითხის მოგვარებას, რომლის პირველი ეტაპიც საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვა უნდა ყოფილიყო სასწავლებლებში, მაგრამ ამავდროულად, დაწყებით სკოლებში აუცილებლადაც კი მიაჩნდა მისი სწავლება, ამ უკანასკნელის პროგრამა-გეგმებისა და საათების რაოდენობათა შემცირებით. როგორც ჩანს, კავკასიის მთავრობაში საღვთო სჯულის ამოღების საკითხი სერიოზულად სადაო იყო: საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთი ნაწილი მის სრულ ლიკვიდაციას იზიარებდა სასწავლებლებში, სოლო მეორე კი შემცირებული პროგრამებითა და საათებით დასაშვებად მიიჩნევდა მის სწავლებას. კავკასიის მთავრობაში საკითხისადმი მერყეევი დამოკიდებულება და იმ ეტაპზე მისი განუხორციელებლობა გამოწვეული იყო თავად რუსეთის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებითაც. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს პროფესორ გარდის პროექტი, რომელიც სასკოლო პროგრამიდან ღვთისმეტყველების ამოღების ინიციატორი იყო

რუსეთში, მაგრამ, რადგან ამ საკითხმა რუსეთის საზოგადოებაში სერიოზული წინააღმდეგობა ჰპოვა და დროებითი მთავრობა მათ გაღიზიანებას ერიდებოდა, საკითხი ხელისუფლებისაგან ხანგრძლივად არასანქცირებული დარჩა. როგორც ირკვევა, რუსეთის დროებითი მთავრობა საამისოდ შესაფერის დროს ელოდა. რაც შეეხება კავკასიის ხელისუფლებას, მას, როგორც რუსეთის დროებითი მთავრობის უჯრედს კავკასიის რეგიონში უფლება არ გააჩნდა დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება და, როგორც რიგ სხვა საკითხზე, ამ პრობლემაზეც რუსეთიდან ელოდა დირექტივებს. როდესაც პროფესორ გარდის პროექტი პირველად განსახილველად გადაეცა თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდს, მან 1917 წლის 29 ოტომბერის საქართველოს ეკლესიის ხელისუფლების სხდომაზე მიღებული დასკვნის საფუძველზე, ქალაქის თვითმმართველობას პროექტის რეალიზაციაზე უარი განუცხადა. მოგვიანებით, თბილელ მიტროპოლიტთან ქალაქის უკმაყოფილო სამღვდელოება და მრევლი ჩიოდა (1918 წ. თებერვალი,), რომ სასწავლებლებიდან იდევნებოდა ღვთისმეტყველება და მიტროპოლიტისაგან დახმარებას ითხოვდნენ (204,1-3).

ზემოაღნიშნული ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა, 1917 წ. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე მიღებულ იქნა დებულებანი საქართველოს საკათალიკოსოს საშუალო და დაბალი სასულიერო სასწავლებლების შესახებ. მათი დანიშნულება იყო სამღვდელოთა შვილების აღზრდა-განთლების მიცემა შეღავთიან ფასებში. ამასთან, სასწავლებლებში სწავლება უნდა ყოფილიყო მშობლიურ ენაზე; საღვთო სჯულის სწავლება გამოცხადდა სავალდებულოდ და საერთოდ, სასულიერო სასწავლებლები თავიანთი პროგრამა-გეგმებით, უფლებებით თანასწორნი უნდა ყოფილიყვნენ საერო სკოლებისა (180,1-2).

კავკასიის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური

მთავრობის საეკლესიო პოლიტიკა უფრო სწორსაზოვანი და თამამი იყო. ამოდიოდა რა სახელმწიფოს ეკლესიისაგან გამოყოფის პრინციპიდან, მენშევიკური მთავრობა ეკლესიისაგან განათლების სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდა და ამ პრინციპის სწრაფად განსორციელებას უჭერდა მხარს. აღნიშნულს, დემოკრატიული მთავრობა იმით ხსნიდა, რომ მომავალი საქართველოს თაობა უნდა აღზრდილიყო და განათლება მიეღო არა სარწმუნოებრივ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე. ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ რელიგიური აღზრდისათვის არსებობდა სპეციალური სასულიერო სასწავლებელი – "...ჩვენ არ გვინდა მისდამი (რელიგიური აღზრდისადმი – ქ.პ.) მფარველობა. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ჩვენ ამ საკითხისადმი ნეიტრალიტეტს ვიცავთ" (17, 180-181) – აცხადებდა მენშევიკური მთავრობა. ფაქტი იყო, რომ მომქმედი მთავრობის ინტერესებში არ შედიოდა ეროვნული ეკლესიის მუშაობის მეთოდები სასწავლებლებში და მის საწინააღმდეგოდ ქვეყანაში აქტიური კამპანია გაჩაღდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინა დღეებში, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს კომისარი ლ. იშკოვი სახალხო განათლების მინისტრს 1918 წლის 23 მაისს N6642-ის ბრძანებულებით ატყობინებდა, რომ უკვე შემუშავებული იყო კავკასიის სასწავლო კომისარიატის მიერ საღვთო სჯულის აკრძალვის პროექტი ამიერკავკასიის ყველა უმაღლეს და დაბალ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სასწაელებლებში და ითხოვდა სეიმში ამ პროექტის დამტკიცებისათვის გატანას (198,11). თითქმის იგივე შინაარსის მიმართვას, მოგვიანებით (1918წ. 31 ოქტომბერი), საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უგზავნის უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხენკელი და ითხოვს პროექტის პარლამენტის უახლეს სხდომაზე განხილვისათვის შეტანას (198,17).

სათანადო მსჯელობის შემდეგ, საქართველოს

პარლამენტმა იმავე წლის 12 ნოემბერს გადაწყვიტა ყველა სასწავლებელის, მათ შორის სასულიერო სასწავლებლის იზოლაცია ეკლესიისაგან და ისინი განათლების სამინისტროს დაუქვემდებარა (199,6). აღნიშნული გახდა წინაპირობა იმისა, რომ პარლამენტს 22 ნოემბერს მიეღო კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებაზე საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებელში (198,31). კანონი ძალაში 26 ნოემბრიდან შევიდა და სასელმწიფო ბეჭედით ორგანოში – გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" N106-ში დაიბეჭდა:

"1). ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძოუფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და მისი მასწავლებლის თანამდებობა;

2). ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებლის ჯამაგირისათვის;

3). შტატს გარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის 5 ივლისის კანონით;

4). იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ შვილებს თავიანთი ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოთ

სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საგნების სწავლებას (202,5; 104,110)".

კანონპროექტს ხელს აწერდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე – ნ.ჟორდანია.

დაახლოებით კანონ-პროექტის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ამხანგმა მდივანმა მინისტრთა საბჭოს უპატაკა, რომ "თბილისის სემინარია თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა გადავიდა განათლების სამინისტროს უწყებაში და გადაკეთდა ერთ საშუალო სასწავლებლად – გიმნაზიად, რომელსაც ეწოდა "ტფილისის ვაჟთა მე-8 გიმნაზია" (200,12). ასეთი გადაწყვეტილებებით ეკლესია არა თუ იზოლირებული აღმოჩნდა ეროვნული განათლებისაგან,

არამედ მან ფაქტიურად დაჰკარგა სასწავლებელი, რომელსაც ქრისტიანობის გამტარებელ-დამცველი უნდა აღეზარდა.

მენშევიკურმა მთავრობამ ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიას უმძიმესი დარტყმა მიაყენა; უკიდურესად მძიმე მორალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი სასულიერო კრებული. ასეთი პროექტით, დემოკრატიულმა ხელისუფლებამ "გაანთავისუფლა ეკლესია განათლების მძიმე ტვირთისაგან", ფაქტიურად კი თავად დაისსნა თავი ეკლესიის დაფინანსების ზედმეტი ვალდებულებისაგან, ჩამოაცილა ის სკოლას, ე.ი. ეროვნული განათლება-პროპაგანდის საქმიანობას, რაც საქართველოს ისტორიული ტრადიცია იყო. საღვთო სჯულის აკრძალვის პროექტმა უდიდესი ზარალი მოუტანა ქართულ ეკლესიას: გაუქმდა ასობით საღვთო სჯულის პედაგოგთა თანამდებობა და ისინი უსახსროდ დატოვა; დაიხურა სახელმწიფო კრედიტები, რომელიც პედაგოგთა ხელფასებისათვის იყო გახსნილი. მთავრობამ თავისი ქმედების შემსუბუქებისა და ეკლესიისაგან მწვავე დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, შტატგარეშე დარჩენილ სასულიერო პედაგოგებს დაუნიშნა ერთჯერადი ფულადი ჯილდო (180,1-2).

მიუხედავად ზემოაღნიშნული კანონ-პროექტის ამოქმედებისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებულ სასულიერო სასწავლებლებში სამღვდელოების დიდი ძალისხმევით ინერციით მიმდინარე საღვთო სჯულის სწავლების პროცესი, მაგალითად, ქალთა და ვაჟთა ეპარქიალურ სასწავლებლებში სხვა დისციპლინებთან შედარებით მცირე საათებით, მაგრამ მაინც ისწავლებოდა საღვთო სჯული (16 საათი), ეს მაშინ, როდესაც რუსულ ენასა და ლიტერატურას ყველა სხვა დისციპლინასთან შედარებით ყველაზე მეტი საათი ჰქონდა გამოყოფილი (48 საათი) (178,3-4). ამასთან, სასულიერო სასწავლებლებში მოქმედებდა რუსული ენა-ლიტერატურის, ქართული ენა-ლიტერატურის, ისტორია-გეოგრაფიის, მათემათიკის, ბუნებისმეტყველება-ლათინური ენის, გერმანული და ფრანგული ენების შტატიანი

კათედრები, სადაც სასულიერო პედაგოგი ერთ საათში 75 მანეთს ღებულობდა (118,4-6,), ხოლო თვიური ხელფასი 270 მანეთს უდრიდა (201,2).

საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებისა და ქართველი სამღვდელოებისათვის ნათელი გახდა ქვეყნის ხელმძღვანელობის ეკლესიისადმი ზრახვები და უკიდურესად აღაშფოთა ასეთმა ვითარებამ. ქართველმა სამღვდელოებამ ხმამაღლა გამოსატა თავისი პროტესტი საქართველოს ხელისუფლების ასეთი პოლიტიკისადმი – "საღეთო სჯულის სწავლების აკრძალვის, ან მისი მინიმუმამდე შეზღუდვის ღონისძიება არსებულ პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს თვით სახელმწიფო ღონისძიებად, ის უფრო კერძო პარტიულობის ნაყოფია... საკათალიკოსო საბჭო უმორჩილესად გთხოვთ და თავის მოვალეობად მიიჩნევს მომავალი თაობების წინაშე არ იქნეს ცხოვრებაში გატარებული ეს ღონისძიება" – მიმართავდა განათლების მინისტრს საქართველოს საკათალიკოსო 1918 წლის 17 ივლისს N2354-ის ბრძანებულებით და მას ხელს აწერდა საბჭოს წევრი პროტოირეი კალ. ცინცაძე.

ქართველი სამღვდელოება რესპუბლიკის მთავრობას ეროვნული ეკლესიის გადაგვარებაში ადანაშაულებდა და მასებს გონიერებისაკენ მოუწოდებდა – "... ერის მშობელ-აღმზრდელი ეკლესია ამავე ერის გადასაგვარებელ იარაღად გაიხადეს!... და ამ სახით თითქმის შეაძულეს ერს თავის-თავი, თავისი ეკლესია. აკი გაისმის კიდეც განუსჯელი ბრალდება ჩვენს ეკლესიაზე: - "ეკლესია ცრუ-მორწმუნეობის ბუდეაო" – გაიძახიან ზოგიერთები! ნამდვილად კი ქრისტეს ეკლესია არსებითად მოწოდებულია შეებრძოლოს და მოსპოს მორწმუნე ერში ცრუ-მორწმუნეობა. ამისათვის საჭიროა ეკლესიის ჩვენი ერის ცხოვრებაში ამოქმედება, ამეტყველება, გაცხოველება და ამოძრავება ერის განმანათლებლად და ზნეობრივ აღსაზრდელად..." (166,3) – აღნიშნავდა ანჩისხატის დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

ნიშანდობლივია, რომ ქართველი სამღვდელოების ასეთ

შეხედულებას ნაწილობრივ საერო სასწავლებლების პედაგოგებიც კი იზიარებდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ, რადგან სარწმუნოებრივი აღზრდა საოჯახო საქმე იყო, აუცილებელ პირობად მიაჩნდათ საღვთო სჯულის სწავლების დატოვება დაწყებითი სკოლების პირველ კლასებში. ეს საქმე კი სასწავლებელსა და მოსწავლე-მშობლებში დამსახურებულ და ნდობით აღჭურვილ სასულიერო პედაგოგს უნდა შეესრულებინა. მასწავლებელთა ეს ნაწილი მხარს უჭერდა საღვთო სჯულის სწავლების არა სრულიად ამოღებას სასწავლო პროგრამებიდან, არამედ მისი დატვირთვის მინიმუმამდე შემცირებას (კვირაში ერთი საათი) (213,12).

საღვთო სჯულის აკრძალვის კანონ-პროექტის ცხოვრებაში დანერგვის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ განსაკუთრებულად აქტიური სახე მიიღო საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც გარე და შინა პოლიტიკური ზეწოლის გამო, ქართულ კულტურულ ელემენტს უკიდურესად უჭირდა. აფხაზეთის ეპარქიაში უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა გააჩნდა საღვთო სჯულის სწავლებას საეკლესიო-სამრევლო და სახელმწიფო სკოლებში. ქართველი სასულიერო პედაგოგები ღვთისმეტყველების მეშვეობით აღსაზრდელებში ქართულ ქრისტიანობას, მის ისტორიასა და მნიშვნელობას თესდნენ, სოლო ამ პროცესით კი საქართველოს სსენებულ რეგიონში ქართულ ცნობიერებას, მის კულტურას ამკვიდრებდნენ. ამ მეტად რთულ პროცესს სერიოზული ბარიერები გააჩნდა: განსხვავებული აღმსარებლობისა და ეროვნების მოსახლეობისაგან, შემორჩენილი რუსული შოვინისტური აზროვნების სამღვდელოებისაგან, სექტანტური დაჯგუფებებისაგან, რასაც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკა ემატებოდა. ამ უკანასკნელის ანტისაეკლესიო, ანტიეროვნულმა ღონისძიებებმა: ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯვნის პროექტმა, საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვამ ფრთები შეუზღუდა ეროვნული ეკლესიის ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საქმიანობას – "... ჩვენმა სოციალურმა

მთავრობამ გამოუცხადა სამშობლო ეკლესიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი... ამ თავის საომარი ხერხებით მთავრობამ პირდაპირ საძირკველში ჩასცა ეკლესიას წერაქვი..." – იტყობინებოდა ანჩისხატის დეკანოზი ნიკ. ნათიძე ეპისკოპოს ლეონიდესადმი გაგზავნილ 1919 წლის 5 მარტის წერილში (198,3).

1918 წლის 5 ოქტომბერს სოხუმის ოლქის საძმოს საბჭომ სოხუმში იქონია მსჯელობა საღვთო სჯულის სწავლების შესახებ სასწავლებლებში და დაადგინა:

"ვთხოეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რათა საღმრთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებელში სავალდებულო საგნად" (198,3). შეჭირვებული პედაგოგები ეროვნული საბჭოსაგან საქართველოს საკათალიკოსოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებას ითხოვდნენ, რაც მათ ელემენტარულ მატერიალურ უბრუნველყოფას შეიცავდა. საძმოს წევრები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და მისი მსახურნი (სამღვდელოება – ქ.ბ.) წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას და ეწევიან სახელმწიფოებრივ სამსახურს. ზემოაღნიშნულ მოთხოვნას ხელს აწერდნენ საძმოს წევრები, მღვდლები: მიხ. გვაზავა, ილ. ჩხეიძე, დავით ხუციშვილი, თეოფილე და ბესარიონ შენგელიები, სპირიდონ არქანია, ალექ. გვაზავა და სხვ. (198,3). მოთხოვნას უერთდებოდა ქ. სოხუმის მრავალრიცხოვანი მრევლიც.

მთავრობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ ლაშქრობაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქრისტიანი მრევლი. ისინი რესპუბლიკის მთავრობისაგან ითხოვდნენ საღვთო სჯულის სწავლების აღდგენას ყველა სახის სასწავლებელში და აღნიშნავდნენ ამ საქმის დიდ ეროვნულ-ისტორიულ მნიშვნელობას. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სისტემატიური სახე მიეცა ეკლესიის მრევლის საერთო კრებების მოწყობას, სადაც მრევლი –

მოსწავლეთა მშობლები ითხოვდნენ ხელისუფლებისაგან საღვთო სჯულის, როგორც სავალდებულო დისციპლინის დატოვებას სასწავლებლებში (198,2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზევით შეენიშნეთ, და, როგორც ეს ხელისუფლების ორგანოებში არსებობდა, მრევლშიც საღვთო სჯულის სწავლებაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მრევლის ერთი ნაწილი ამ დისციპლინას სავალდებულოდ მოიაზრებდა, ხოლო მეორენი კი არასავალდებულო საგნად, თუმცა, ერთიცა და მეორეც მის სასწავლებელში დატოვებას უჭერდა მხარს. მაგალითად, 1918 წლის დეკემბერში, ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში ჩატარდა მოსწავლეთა მშობლების საზოგადო კრება, სადაც მიიღეს დადგენილება, რომ საღვთო სჯულის სწავლება ყოფილიყო არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფილობითი, რომ ეს დისციპლინა სწავლებულიყო შეკვეცილი პროგრამით და განსაზღვრულ საათებში. მშობელთა კრებამ მოითხოვა განათლების სამინისტროსაგან, რომ საღვთო სჯულის დისციპლინის სწავლების კურსი ერთწლიანი ყოფილიყო, ხოლო მისი გაგრძელების მსურველთათვის საგანგებო ჯგუფი შექმნილიყო სასწავლებელში. რაც შეეხება სასულიერო პედაგოგებს, მშობლების მოთხოვნით, ჯამაგირი უნდა მისცემოდათ არა სახელმწიფო ხაზინიდან, როგორც სხვა საგნის მასწავლებლებს ეძლეოდათ და, რასაც სამღვდელოება ითხოვდა, არამედ მშობელთა მიერ შემოტანილი თანხებიდან. კრებამ დაადგინა, რომ საღვთო სჯულის მასწავლებლებს ესარგებლათ იმავე ყველა უფლებით, რითიც სარგებლობდნენ სხვა საგნის პედაგოგები და არ განეცადათ შევიწროება სასელმწიფო სტრუქტურებიდან (198,25-26).

საქართველოს ჯანსაღად მოაზროვნე მრევლს (აღსაზრდელთა მშობლებს – ქ.პ.) ღრმად სწამდათ, რომ სასწავლებლებში ქრისტიანული თეორიის სწავლება ისტორიულ-ზოგადსაკაცობრიო მორალური ფაქტორით იყო განპირობებული და ახალგაზრდა თაობისათვის მხოლოდ ვიწრო, განყენებული ცოდნა, რომელსაც არ ახლავს ზნე-

ჩვეულებათა, გრძნობა-მოვალეობათა, ეროვნულ ხასიათთა შესწავლა, ვერ ჩამოაყალიბებდა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკისათვის მაღალი იდეალებით აღჭურვილ მოქალაქეს, პირიქით, ის ქვეყანას მისცემდა არასასურველ, მავნე. ანტიეროვნულ ელემენტს (198,23). ამ სულისკვეთებითა და რწმენით გაჯერებული მოსახლეობა, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობას, ქართველ სამღვდელოებას და სრულიად საქართველოს მორწმუნე მრევლს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ხოლო თავიანთ შეხედულებებს სისტემატიურად აცნობდნენ საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას და მის სასელმწიფო ორგანოს – გაზ. "საქართველოს რესპუბლიკას" (184,18). საქართველოს ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შეგულიანებული ქართული ეკლესია მთელი ენერგიით იბრძვის რწმენის, ეკლესიისა და ეროვნული სასულიერო განათლების გადასარჩენად. ქართველ სამღვდელოებას კარგად უწყის, რომ მრევლთან მუშაობის ერთ-ერთ შესანიშნავ ფორმად სასულიერო ჟურნალისტიკა წარმოადგენდა. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ამ მხრივ ქართულმა ეკლესიამ სათანადო ცოდნა-გამოცდილებაც შეიძინა. მას ღრმად სწამდა, რომ ჯანსაღ დემოკრატიულ პრინციპებზე დაარსებული ორგანო საქართველოს ეკლესიის გულშემატკივართ გარსშემოიკრებს, სწორ გზას უჩვენებს ეკლესიის ხელმძღვანელობას თავის გადარჩენისათვის, გამოააშკარავებს საზოგადოების მძიმე და მანკიერ მხარეთ, მოიძიებს ეკლესიის საზოგადოებასთან გართულებული ურთიერთობის მიზეზებს; დაანახვებს მათ სასულიერო განათლების საჭიროებას; საღვთო სჯულის სწაელების აკრძალვით მოსალოდნელ შედეგებს: ქართული ეკლესიისადმი მიმართულ არსებული მთავრობის პოლიტიკას და ა.შ. და სულიერ საზრდოს მიაწვდის ერს.

ამ მეტად დროულ გადაწყვეტილებაში საქართველოს ეკლესია ფართოდ აბავს საქმეში ქართველ ინტელიგენციას, კულტურის მოღვაწეთ, მოწინავე საზოგადოების სხვადასხვა

ფენებს (55,2-3). შექმნილ პერიოდულ ორგანოს უნდა ჰქონოდა არა სპეციფიურად სასულიერო წოდებისათვის საჭირო მიმართულება, არამედ, საზოგადოებრივი ხასიათიც და მომსახურებოდა როგორც ეკლესიას, ისე ფართო საზოგადოების გათვითცნობიერების საქმეს ქართული ეკლესიისა და ქვეყნის ცხოვრებაზე.

1920 წლის 22 ოქტომბერს საკათალიკოსო საბჭომ გამოიტანა შემდეგი სახის განჩინება:

"1). გამოიცეს საკათალიკოსო საბჭოს საკუთარი დროგამოშვებითი (ყოველკვირეული) ბეჭდვითი ორგანო;

2). მოწვეულ იქნეს რედაქტორად იაკობ ცინცაძე;

3). შესდგეს საკათალიკოსო საბჭოს წევრთაგან სარედაქციო კოლეგია;

4). გასამრჯელო რედაქტორს მიეცეს ყოველი გამოცემული ნომრის მიხედვით" (184,20)

საქართველოს სასწავლებლების ხელმძღვანელობის, მისი აღსაზრდელებისა და მშობლების დაინტერესება-დაჯერებულობისათვის ღვთისმეტყველებასა და ქართულ სარწმუნოებაში, საქართველოს ეკლესიამ და მისმა კრებულმა კულტურის სხვა სფეროებშიც გაშალა მუშაობა. ქართველმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ ეროვნულ კულტურასთან მჭიდრო კავშირს, მასთან თანამშრომლობას, რომლის სისხლსორცეული ნაწილიც იყო ქართული მართლმადიდებლობა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არსებულ ვითარებაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამღვდელოებამ აქცენტი აიღო საისტორიო-რელიგიური ნივთების დაცვა-გადარჩენაზე; მისი ყურადღება გამახვილდა გამოფენა-მუზეუმების დაარსებისაკენ. ქართულმა ეკლესიამ ალღო აუღო დემოკრატიული მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომლის თანახმადაც მომავალ თაობას განათლება უნდა მიეღო არა სარწმუნოებრივ, არამედ სამეცნიერო საფუძვლებზე. მუზეუმ-არქივებსა და ეროვნულ-ისტორიული გამოფენებზე დაცული ისტორიული სიძველენი კი ქართული კულტურისა და ეროვნული სარწმუნოების

ნიმუშებიც იყო და ღრმა მნიშვნელობაზე მიანიშნებდნენ ახალგაზრდობას. ეკლესიისა და სამღვდელოების ამ მიმართულებით საქმიანობას მეტად დიდი და არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ დროისათვის შექმნილ პირობებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში აღსდგა და აქტიურად ამოქმედდა საეკლესიო მუზეუმი, რომელსაც ვიზუალურ-შემეცნებითი ფორმით აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გაეწია ეკლესიისა და ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის საქართველოს საზოგადოებაში. ამ მიმართულებით საქმიანობაში ქართველ სამღვდელოებასთან ერთად აქტიურობს საქართველოს ინტელიგენციაც. 1918 წლის 10 ივნისს საქართველოს საკათალიკოსოს საბჭომ შეჰქმნა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, ხოლო კომისია დაკომპლექტდა შემდეგნაირად: იუსტინე აბულაძე, მღვდელი ეასილ კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი (165,1). კომისიას, როგორც უკვე აღინიშნა ევალებოდა არა მხოლოდ საეკლესიო სიძველეთა დაცვა, არამედ ეროვნული ისტორიულ-კულტურული განძეულობის გაცნობა ახალგაზრდა მოსწავლე თაობისათვის. მაგრამ, ბუნებრივია, ეს ღონისძიება არ იყო საკმარისი მუზეუმის არსებობისათვის; ეკლესიის მწირი ეკონომიკური შესაძლებლობანი ვერ აკმაყოფილებდა მუზეუმებისათვის წაყენებულ მოთხოვნილებებს. ყოველივეს ისიც ემატებოდა, რომ კულტურულ-საეკლესიო განძეულობა სისტემატიურად იძარცვებოდა; დაუცველობისაგან ნადგურდებოდა და, რომ თავი დავანებოთ საეკლესიო ინტერესებს მათდამი, ისინი მომავალი საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის სამუდამოდ ნადგურდებოდა.

საეკლესიო მუზეუმისა და მისი ინვენტარის გადარჩენის საქმეში აქტიურად ჩაებნენ ქართველი მეცნიერები, კულტურის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი. რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ქალაქების მუზეუმებიდან სამშობლოში

ბრუნდებოდნენ ქართველი მეცნიერები, მხატვრები, მოქანდაკენი და კულტურის სხვა მუშაკნი. მათი მიზანი იყო განასლებული, თავისუფალი საქართველოსადმი სამსახური, ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობა. სანკტ-პეტერბურგის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების სახელოსნოს გამგე, მხატვარ-რესტავრატორი კონსტანტინე ზურაბის ძე ქავთარაძე დიდ ამაგს სდებს საეკლესიო განძეულობის შენახვას, უგრუნველყოფს მას სათანადო საშუალებებით და იცავს ხრწნა-განქარვებისაგან (181,5). მის სახელს უკავშირდება საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა ნამუშევრების პირველი გამოფენის მოწყობა. საქართველოს ეკლესიის ხელისუფლების უშუალო დახმარება-თანადგომით კ. ქავთარაძემ შეკრიბა თითქმის ყველა უძველესი დროიდან მოყოლებული 1918 წლამდე არსებული საეკლესიო ფერმწერთა ნამუშევრები, დაამზადა მათი ასლები; ძველი საეკლესიო მოდელის მიხედვით შეჰქმნა ახალი ნივთები სხვადასხვა ლითონისაგან; რესტავრირება ჩაუტარდა სიძველისაგან დაზიანებულ ნიმუშებს; აღსდგა სასულიერო პირთა სამოსელი და სამკაულ-აქსესუარი; საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობიდან შესრულდა მრავალი ქანდაკების და ფრესკის მოდელი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მისი ძალისხმევით შეგროვდა რუსეთისა და უცხოეთის მუზეუმ-გალერეებში დაცული უძველესი ქართული საეკლესიო განძეულობათა ასლები (181,6).

საქართველოს საეკლესიო განძეულობის დაცვა-გადარჩენის საკითხი მხოლოდ ქართული ეკლესიის ინტერესებში არ შედიოდა. ამ პრობლემით საქართველოს მენშევიკური მთავრობაც იყო დაინტერესებული. ეამთა ვითარებისაგან განადგურებული, რუსული ეკლესიისაგან ხელყოფილი და თანამედროვეთაგან გაძარცვულ-დაყაჩაღებული ეკლესია-მონასტრები ბრუნვას ითხოვდნენ. საამისოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

მიიღო კანონპროექტი საქართველოს საკათალიკოსოს ტაძრებისა და ეკლესიების შესანახად. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე (1919წ. 18 მაისი), რომლის თავმჯდომარე იყო ი. სალაყაია, მდივანი გ. ანჯაფარიძე, წევრები: დ. თოფურიძე, ი. სალაყაია, დ. ონიაშვილი, ა. ჭიაბრიშვილი, გ. ანჯაფარიძე, გ. ნათაძე, გ. გიორგაძე, დ. შარაშიძე, ს. მდივანი,. ალ. ასათიანი, ი. ელიგულაშვილი, ივ. ჭავჭანიძე – განიხილეს ზემოხსენებული კანონპროექტი. სხდომაზე დამფუძნებელი კრების წევრმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ექე. თაყაიშვილმა მოითხოვა კომისიისაგან გამოტანილიყო დადგენილება, რომ უძველესი კულტურული მემკვიდრეობის ძარცვისაგან დასაცავად გამოყოფილიყო განსაკუთრებული რაზმი. ამავდროულად, მეცნიერმა დააყენა საკითხი ძირითად ისტორიულ-კულტურული ღირებულებების სასულიერო ნაგებობებში მომსახურე სამღვდელოებას დანიშნოდა ყოველთვიური სელფასი სახელმწიფო საზინიდან, მაგალითად, მღვდელს – 200 მან., დიაკვანს – 150 მან., მედავითნეს – 100 მან. სხდომაზე გადაწყდა, რომ საკათალიკოსოს მიერ წამოყენებული ხარჯთაღრიცხვა შემცირებულიყო 30%-ით, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შენახვას უნდა მოხმარებოდა (196,31). მართალია, თათბირზე დაისახა ამ მიმართულებით მუშაობის გზები, შედგა კიდეც საგანგებო კომისია, მაგრამ ყოველივეს შედეგი არ მოჰყოლია. ეკლესია-მონასტრების ირგვლივ ყოველგვარ საზრუნავს მაინც საქართველოს ეკლესიის ხელისუფლება მარტო უძღვებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ღვთისმეტყველების დისციპლინის სასწავლებლებში გაუქმებას ანტისაეკლესიო პოლიტიკის ახალი ღონისძიებების გატარება მოჰყვა. საღვთო სჯულის სასწავლო პროგრამებიდან ამოღებამ, ბუნებრივია, მისი პედაგოგების სასწავლებლებიდან დათხოვნა გამოიწვია. 1918 წლის 1 დეკემბრიდან, ყველა ტიპის სასწავლებლიდან

ღეთისმეტყველების მასწავლებლები განთავისუფლდნენ სალიკვიდაციო თანხის გაცემით. გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ისინი სასწავლებლებთან არსებული ე.წ. კარის ეკლესიათა მოძღვრები, მომსახურე სხვადასხვა რანგის სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც პედაგოგობიდან განთავისუფლების შემდგომ კარის ეკლესიებში განაგრძობდნენ სამსახურს. მით უფრო, რომ ამ საეკლესიო დაწესებულებათა და მისი თანამდებობების გაუქმება არ იყო შეტანილი 1919 წლის 28 იანვრის პარლამენტში მიღებულ კანონში.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი კარის ეკლესიების მსახურთა დაფინანსებაზე, რადგან თუკი სასწავლებლები სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდოდა, მაშინ მასთან დარჩენილი კარის ეკლესიების სასულიერო პირთა მატერიალური უზრუნველყოფა მის კომპეტენციაში უნდა შესულიყო. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ეკლესიისაგან თავისუფლდებოდა და მის არსებობაზე პასუხისმგებლობას აბსოლუტურად იხსნიდა. საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის მიუღებელი იყო სამღვდელოებაზე სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასის გაცემა და აღნიშნულის მიზეზად ქვეყნის ეკონომიკურ სიდუხჭირეს ასახელებდა. ასეთ შემთხვევაში, საერო ხელისუფლება საეკლესიო შტატების შემცირებას აწარმოებდა იმ ადგილებში, სადაც სახელმწიფო კომპეტენცია ვრცელდებოდა. ასეთს წარმოადგენდა კარის ეკლესიები, ამიტომ მან ამ ეკლესიათა გაუქმება მიზანშეწონილად მიიჩნია, მით უფრო, რომ მთავრობის შენიშვნით ქართველი საზოგადოება ეკლესია-მონასტრების სიმცირეს არ განიცდიდა, კარის ეკლესიებს არ საჭიროებდა და ამ უკანასკნელსაც მოღვაწეობის აღარც სუბიექტი (მოსწავლე-ახალგაზრდობა – ქ.პ.) და აღარც ობიექტი (სასწავლებლები – ქ.პ.) არ გააჩნდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ, რადგან კარის ეკლესიებს კონკრეტული ფუნქცია გააჩნდათ – მომსახურებოდნენ სასწავლებლების

პედაგოგიურ პერსონალს და მოსწავლეებს, სასულიერო საგრდო მიეწოდებინათ მათთვის – ბუნებრივია, ჩვეულებრივი სამრეველო ეკლესიებისაგან განსხვავდებოდნენ, სადაც არ სრულდებოდა ისეთი საეკლესიო წესები, როგორიცაა: ქორწინება-ჯვრისწერა, მიცვალებულის ზიარება-ანდერძის აგება, ნათლობა და ა.შ. ასეთი მსჯელობის საფუძველზე, 1919 წლის 29 ნოემბერს, განათლების მინისტრის შუამდგომლობის შედეგად საქართველოში გაუქმდა კარის ეკლესიები (203,1-5,), ხოლო სასწავლებლების ხელმძღვანელობებს მიეცათ დირექტივები: შეედგინათ სასწავლებლების კარის ეკლესიათა კუთვნილი ქონების ნუსხა; ცალკე სია შეედგინათ საეკლესიო ძვირფასეულობებისა და ინვენტარის, კერძოდ, ბარძიმ-ფეშხუმის, ჯვარ—ხატების, ტანისამოსის, სასულიერო წიგნების და სხვ., აღენუსხათ საეკლესიო ავეჯეულობა, რომელსაც სასწავლებლებს დაუტოვებდნენ ხმარებაში საინვეტარო წიგნში გატარებით და ა.შ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებულების საფუძველზე, მართალია კარის ეკლესიათა ნაგებობები არ განადგურებულა, რადგან ისინი ხელისუფლებამ ეარგისიანად მიიჩნია და სასწავლებლებს გადასცა პირად საკუთრებაში, მაგრამ მთლიანად მოშალა ეკლესიათა ტრაპეზები და საკურთხევლები. მას მოუშალა ეკლესიისათვის დამახასიათებელი ინტერიერი და უმეტესი ნაწილის გარე ფასადიც გადააკეთა. საეკლესიო ნაგებობათა ძირითად ნაწილში მთავრობის ბრძანებულებით სკოლებმა მოაწყვეს გასართობი ადგილები, კერძოდ, სასკოლო კლუბები, სააქტო დარბაზები, სპორტული დარბაზები, სამეცნიერო-სალექციო აუდიტორიები, სინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი ოთახები და ა.შ.(203,6,34).

როგორც უკვე აღენიშნეთ, სასწავლებლების სასულიერო პედაგოგები ღვთისმეტყველების გაუქმების შემდეგ კარის ეკლესიებში დარჩნენ, სადაც მათ თვიურად ხელფასი 300 მანეთი ეძლეოდათ (178,3-6). კარის ეკლესიების გაუქმებამ ისინი სრულიად უმუშევარი დატოვა და უკიდურეს სიღატაკეში

მოახვედრა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მათ მხოლოდ ერთჯერადი თანხა გამოუყო და უფასოდ თითო ხელი სამღვდელო შესამოსელი გადასცა (203,15).

საქართველოს რესპუბლიკის ამ სახის უმკაცრესმა დამოკიდებულებამ ეკლესიისადმი არა თუ სამღვდელოების, არამედ მორწმუნე მრევლის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს ყველა კუთხიდან საყვედურებს იღებდა მოსახლეობისაგან ეროვნული ეკლესიის გაწირვისათვის. სრულიად საქართველოს მოწინავე საზოგადოება სახელმწიფო ხელისუფლებისაგან კატეგორიულად ითხოვდა ქართული ეკლესიისადმი პატივისცემით და გულისხმიერ დამოკიდებულებას, ღვთისმეტყველების სწავლების აღდგენას სასწავლებლებში, კარის ეკლესიაია ამოქმედებას და საერთოდ, მთავრობის პოლიტიკის შეცვლას ეროვნული ეკლესიისადმი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და საშინაო დამძიმებელი ვითარება, მის მთავრობას კომპრომისული პოლიტიკისაკენ უბიძგებდა. ქვეყანაში მიმდინარე არასტაბილური მდგომარეობა, ხალხთა მასებს მთავრობას დაუპირისპირებდა. ამიტომ იყო, რომ სახალხო განათლების სამინისტრო 1920 წლის აგვისტოს მთავრობის საქმეთა სამმართველოს ატყობინებდა, რომ რიგი საეკლესიო საქმის გადასინჯვა აუცილებელი პირობა იყო, რომ სამინისტრო გეერდს ვერ აუვლიდა ღვთისმეტყველების სასწავლებლებში სწავლების აკრძალვის კანონ-პროექტის ხელახალ გადასინჯვას (198,32). ნიშანდობლიეია, რომ ქვეყნის ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებას აპირებდა, მაგრამ შემდგომმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მას ამისი აღსრულების საშუალება აღარ მისცა.

ამრიგად, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის რეალური რეფორმა დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ფაქტიურად განათლებისაგან ეროვნული ეკლესიის აბსოლუტური განცალკევებით განახორციელა. მიუხედავად ეკლესიისა და მოწინავე

მორწმუნე საზოგადოების აღნიშნულისადმი საწინააღმდეგო დამოკიდებულებისა, საერო ხელისუფლება შეუპოერად და ინტენსიურად აწარმოებდა ქართული ეკლესიის მოქმედების არეალის შეზღუდვას, მისი შემოქმედების ვიწრო ჩარჩოებში მოქცევას და ამით აცილებდა მას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისაგან; ფაქტიურად, ქართული ეკლესიის სრულ ლიკვიდაციას აწარმოებდა.

საქართველოს რესპუბლიკის ანტისაეკლესიო პოლიტიკის წყალობით, დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოში ეროვნული ეკლესია განყენებული აღმოჩნდა და მანაც საერო ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ოპოზიციური მდგომარეობა დაიკავა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია აღნიშნავდა – "... თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოველად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენდნენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკური გადაშენებისა და სულიერი გაველურებისა და გასრწნის კარამდე..." (138,33).

ქართეელი სამღვდელოება ყველა ძალისხმევით ცდილობდა შეეხსენებინა ქვეყნის ხელისუფლებისათვის სასულიერო კრებულისა და ეროვნული ეკლესიის დანიშნულება ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკაში, რომლის მაგალითებითაც სავსეა მსოფლიო ქარისტიანული ეკლესიის ისტორია. მაგრამ უშედეგოდ, დემოკრატიულ საქართველოს, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური მიმართულება იდგა არ ძალუძდა ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლა, რამეთუ მისი პარტიის მრწამსი ზოგადად ეკლესიისა და ნებისმიერი სარწმუნოებისადმი საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, მისი ეროვნულ-პოლიტიკური დანიშნულების უგულებელმყოფელი იყო.სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მან ნებსით, თუ უნებლიედ ხელი შეუწყო მის შემდგომ ხელისუფლებას უსეში ფორმებით განეხორციელებინათ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა მთელს საბჭოთა იმპერიაში და მის შემადგენელ

ნაწილში – საქართველოში. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უნებლიე ნიადაგის შემქმნელი აღმოჩნდა იმ ვერაგული ღონისძიებებისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებდა ეკლესიის საბოლოო განადგურებისათვის.

საქართველოს მოსახლეობა ფაქტიურად თიოქმის მოუმზადებელი შეხვდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის რელიგიისადმი დაპირისპირებულ იდეოლოგიას. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და რუსეთის თვითმპყრობელური სარწმუნოებრიეი პოლიტიკის დამსახურებით საქართველოს მოსახლეობაში ქრისტიანულ ეკლესიასა და მის მსახურთ სერიოზულად ჰქონდათ ავტორიტეტი შელახული; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფაქტორი არ ერცელდებოდა ეროვნულ ეკლესიაზე, იგი რუსული ანტიხალხური ეკლესიისადმი იყო მიმართული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც რუსეთის ბატონობის დროს არ მოითხოვდა ქართველი საზოგადოება ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიას და, არც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის პოლიტიკისაგან მის დაცვას არ შეეცდებოდა.

რუსეთის თვითმპყრობლური იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის, მისი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის გაუქმებისთანავე, საქართველოში არ შეწყვეტილა ბრძოლა ამ უკანასკნელთა აღდგენისათვის, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის.

XX საუკუნის დასაწყისიდან მთელს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მანძილზე, უკიდურესად გამწვავდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღორძინებისათვის ძალისხმევა.

ქართველმა ერმა საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში გააერთიანა და ერთმანეთთან სისხლსორცეულად დააკავშირა საერო და საეკლესიო საკითხები. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სრულიად საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა, სადაც ეკლესიის საკითხში წამყვანი როლი ქართველ სასულიერო ფენას ეკავა. ნიშანდობლიეია, რომ საქართველოს მოსახლეობის როგორც საერო, ისე სასულიერო ნაწილი ერთსულოვანი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნაში. მათ კარგად გაიაზრეს საქართველოს ისტორიული გამოცდილება, ქართული ეკლესიის დატვირთვა ეროვნული სახელმწიფოს აღშენება-განვითარების საქმეში და სრულიად გაითავისეს ეს აზრი. ასეთი შეხედულება და გადაწყვეტილება გახდა ის საძირკველმყარი წანამძღვარი, რამაც შესაძლებლობა მისცა საქართველოს ეკლესიას და მის სასულიერო კრებულს გაბედული, უკომპრომისო ნაბიჯი გადაედგათ ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების გამოცხადებისათვის. ასეთმა მოვლენამ რეალიზება ჰპოვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ, დროებითი ხელისუფლების მმართველობის სანაში, როდესაც

საქართველოსთან მიმართებაში საქართველოს ეკლესია და მისი საერო ხელისუფლება დარწმუნდა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის სამომავლო გეგმებში.

საქართველოს ისტორიაში XIX-XX სს-ის პირველი 10-წლეული, თვითმპყრობელური რუსეთის ბატონობის ხანა, განსაკუთრებული პოლიტიკური დაძაბულობით ხასიათდება. რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართველი ერის დაშლა-დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის ერთმანეთისათვის დასაპირისპირებლად, მშობლიური მიწისაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად იყო მიმართული. საამისოდ, ცარიზმი ასდენდა ქვეყნის ახალ-ახალ ადმინისტრაციულ დაყოფას, რათა ამ გზით საბოლოოდ მოესპო ის ერები, რომელთაც თავიანთი სახელმწიფოებრივი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნდათ.

რუსეთის იმპერია საქართველოს დაპყრობამდე და მით უფრო მისი ათვისების შემდეგ, განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა აფხაზეთისადმი. ეს რეგიონი მისთვის თურქეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ უბანს წარმოადგენდა. აფხაზეთის მეშვეობით რუსეთი ცდილობდა პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ჩრდილო-კავკასიაზე და სამხრეთის საზღვრებზე მშვიდობიანობის დამყარებას. ამიტომ, რუსეთის მთავრობა აფხაზეთის ათვისებას ერთ-ერთ "ურთულეს" საკითხად მიიჩნევდა.

საქართველოს საეგზარქოსო, რომელიც აფხაზეთში რუსეთის თვითმპყრობელობის იდეოლოგიის გამტარებელი იყო, თავის საეკლესიო ღონისძიებებს აფხაზეთის მოსახლეობის გარუსებისაკენ, მისი გადაგვარებისაკენ მიმართავდა.

საქართველოს ეკლესია, ბუნებრივია, ვერ შეეგუებოდა საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის გამარუსებელ პოლიტიკას აფხაზეთში. ქართველი სამღვდელოება მთელი ძალისხმევით იღწვოდა საქართველოს ამ უძველეს ეპარქიაში

ეროვნული მართლმადიდებლური რწმენისა და ქართული კულტურის გადარჩენისათვის და, როდესაც საქართველოს საეგზარქოსოსა და ცარიზმის სერიოზული პოლიტიკური მარცხი გამოვლინდა, ქართველი სასულიერო ფენა ქართული რწმენის, ეროვნული თვითშეგნების, ენისა და კულტურისადმი ინტერესის გაღვივებისათვის თავდაუზოგავ ბრძოლას აგრძელებდა. მიმდინარე პროცესებს თვითმპყრობელობა მტკივნეულად განიცდის, ნათლად ხედავს, რომ აფსაზეთის ათვისების საქმეში სერიოზულ ბარიერს უქმნის მას ქართული ეკლესია და ქართველი სამღვდელოება. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, სოხუმის ეპარქიის ჩამოცილება დედა ეკლესიისაგან სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღებასა და ქმედითი ღონისძიებების დასახვას ითხოვდა. ცარიზმმა საჭიროდ მიიჩნია სწრაფად მოეხდინა აფხაზეთის ეპარქიის იზოლირება ქართული კულტურის ზემოქმედებისაგან.

მოცემული წინადადება უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებაში, სადაც ცდილობდნენ სხვადასხვა არგუმენტაციის მოშველიებით დაესაბუთებინათ აღნიშნული მოსაზრება.

ქართული ეკლესიისაგან აფხაზეთის ეკლესიურად ჩამოცილების პროექტმა დასაბამი საუკუნის დასაწყისიდან დაიდო და მან განვითარების სერიოზული ეეოლუციაც განიცადა. პროექტის ცხოვრებაში დანერგვისათვის აქტიური მცდელობის მიუხედავად, XX ს-ის დასაწყისისათვის მას სისრულეში მოყვანა არ ეწერა, რადგან მთელს იმპერიასა და მათ შორის საქართველოშიც რევოლუციური მღელვარებები დაიწყო, რომელმაც საქართველოში საგლესო გამოსვლების სახე მიიღო. რუსეთის ხელისუფლებამ ვეღარ მოიცალა პროექტის განხორციელებისათვის, რადგან მისი სისრულეში მოყვანა კიდევ უფრო გაამწვავებდა საქართველოში ეროვნულ მისწრაფებებს.

მეორედ, სოხუმის ეპარქიის პროექტი პოლიტიკურ ასპარეზზე პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მარცხისა

და რეაქციული პოლიტიკის დაწყების დროს გამოდის. ამ შემთხვევაში, ცარიზმისა და მისი ეკლესიის მიერ წაყენებული ინტერესები აფხაზეთის ეპარქიისადმი უფრო დახვეწილი და ვერაგი ჩანს. ახალი პროექტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაცია, სოხუმის ეპარქიის გადანაწილება, მისი რუსულ ეკლესიაზე დაქვემდებარება და მასში სვანეთის რეგიონის მოქცევაც. მაგრამ, ათიანი წლების დასაწყისიდან მთელს იმპერიაში ახალი ძალებით აზვირთდა სახალხო დემოკრატიული მოძრაობის ტალღა. საქართველოში გააქტიურდა ეროვნული ეკლესიის საკითხი. ასეთ ვითარებაში, რუსეთის მთავრობის კომპრომისული პოლიტიკა ყველა სფეროში იჩენს თავს, მათ შორის საეკლესიო საკითხშიც. მართალია, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება აზრადაც არ უშვებს ქართული ეკლესიის თავისთავადობის აღიარებას, მაგრამ მისი დათმობითი პოლიტიკა იმაში ვლინდება, რომ სოხუმის ეპარქიის პროექტის განხორციელებაზე დროებით თავს იკავებს და ელის შესაფერისი დროის დადგომას მისი ხელახალი წამოყენებისათვის.

ასეთი დრო, რიგით მესამედ, 1916 წელს დადგა, როდესაც უწმინდესი სინოდი იხილავდა კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებას და საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას. სამიტროპოლიტოს დაარსების პროექტი პირდაპირ ითვალისწინებდა სოხუმის ეპარქიის ქართული ეკლესიისაგან ჩამოცილებას. რუსეთის მთავრობა აშკარად აცხადებდა საქართველოს საეკლესიო საზღვრების მოშლის სურვილს და ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს იმპერიის "დანამატ უბნად" ქცევას.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ქართველი და აფხაზი საზოგადოების უარყოფითი რეაქცია სოხუმის ეპარქიის პროექტისადმი და ეს საკითხი თავისი პოლიტიკურ-სარწმუნებრივი ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტა. მაგრამ, ამ საქმესაც განხორციელება არ ეწერა, რადგან რუსეთში მოხდა დიდი

პოლიტიკური გადატრიალება, რამაც პირდაპირი არეკვლა ჰპოვა საქართველოს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაზე.

თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობა, დროებითი ხელისუფლების დაკანონება რუსეთში და ამ უკანასკნელის მეცადინეობა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის შენებისათვის არ მოასწავებდა მისი პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ინტერესების ალაგმვას საქართველოსა და ზოგადად კავკასიის მიმართ. რუსეთის მიზანი იყო ახალი წყობის სახელმწიფოში შემუშავებულიყო მმართველობისა და პყრობის ისეთი მეთოდ-ხერხები, რაც ხელს შეუწყობდა მისი ბატონობის შენარჩუნებას კავკასიის რეგიონში. ამ საქმის განხორციელებისათვის, ცარიზმის მსგავსად რუსეთის დროებით მთავრობას რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დასმარება ესაჭიროებოდა, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელიც არ აპირებდა თავისი სარწმუნოებრივი უფლებების აღკვეთას კავკასიაზე. ისე, რომ ამ ორი ძალის საერთო სამომავლო ინტერესების სფერო მაინც ვერ მიჯნავდა მათ თანამშრომლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან რუსეთის დროებითი მთავრობა არ აპირებდა საქართველოს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის კომპეტენციის შეწყვეტას, ქართული ეკლესია იძულებული ახდა მისდამი სრული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო პერიოდის საქართველოს ისტორიაში ყველაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოცხადება.

რუსეთის საერო და სასულიერო ფენის საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენისაკენ მიმართული აგრესია ბუნებრივი რეაქცია იყო, გამომდინარე იქიდან, რომ დროებითი მთავრობის ინტერესებში არ იყო საქართველოში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის არა თუ არ

არსებობის, არამედ უფლება-მოვალეობების შეკვეცაც კი და ის, ყველანაირად ცდილობდა რუსი სამღვდელოების კავკასიისადმი ინტერესების გამოყენებას თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ამ რეგიონში. ამიტომ იყო, რომ ის უდიდეს ანგარიშს უწევდა უწმინდესი სინოდის მოთხოვნებს (კავკასიის საეგზარქოსოს დაარსება – ქ.პ.) და რუსულ საეკლესიო საკითხს საქართველოში მის სასარგებლოდ წყვეტდა. რუსეთის დროებითი მთავრობისა და უწმინდესი სინოდის ინტერესები კავკასიაზე, ამიერკავკასიის საეგზარქოსოს შექმნის მცდელობით გამოაშკარავდა. ასეთი გზით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ გაელენას შეინარჩუნებდა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაზე. როგორც ირკვევა, კავკასიისა და საქართველოს მორჩილებას, მის სამომავლო ბედს ახალი რუსეთის ხელისუფლება, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის აშენებას ლამობდა, ცარიზმის მსგავსად რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობით ახორციელებდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამ, რომელიც რუსეთის მთავრობამ და სასულიერო უწყებამ არაკანონიერ აქტად გამოაცხადა, ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიის დადგენისათვის ბრძოლის ახალ განზომილებაში გადაიყვანა. ქართული ეკლესია მთელი ძალისხმევით ცდილობს გაილაშქროს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა არ განსორციელებულიყო ეროვნული ეკლესიის უფლებების დადგინება რუსეთის სახელმწიფოში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ეკლესიას ამ ბრძოლაში სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა უჭერდა მსარს.

საქართველოს ეკლესიის დროებითი ხელისუფლება აქტიურ მუშაობას იწყებს საქართველოს მოსახლეობაში, რათა გაარკვიოს ის მიმდინარე მოვლენებში, რომ ეროვნული ეკლესიის მსოლოდ ეროვნული უფლებების მინიჭება უპრეცედენტო შემთსვევა იყო მსოფლიო საეკლესიო ისტორიაში და მისი კანონმდებლობის უხეში დარღვევა.

ქართველი სამღვდელოების ღრმა რწმენით ქართველ მოსახლეობას მთლიანად დაერღვეოდა ეკლესიური ცხოვრება რუსული ეკლესიის ელემენტის გეერდით, რადგან ეს უკანასკნელი ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ აღედგინა თავისი საეკლესიო უფლებები საქართველოში.

მიუხედავად ქართველი სასულიერო ფენისა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობის სერიოზული წინააღმდეგობისა, რუსეთის დროებითი მთავრობა და უწმინდესი სინოდი აქტიურად მოქმედებდა; მიმდინარეობდა ქართული ეკლესიის რუსეთის ახალ სახელმწიფოში უფლებათა დადგინების საგანგებო წესების შემუშავებისათვის მოღვაწეობა. პროექტის შედგენისას ისინი ამოდიოდნენ ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მოსახლეობის ინტერესების "დაცვიდან".

რუსეთის დროებითი მთავრობის არაობიექტურ, ანტიეროვნულ გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესიამ, მისმა სასულიერო კრებულმა და მრევლმა მტკიცე პროტესტი გამოუცხადა. ამ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ქართული ეკლესიის საშინაო ცხოვრების მოწესრიგებას: ხანგრძლივი ტყვეობის გამო გადაგვარებული ქართული საეკლესიო წესების აღდგენა-დადგინებას და კათალიკოს-პატრიარქის არჩევას. საქართველოს ეკლესიის დღის წესრიგში დადგა საეკლესიო კრების დაუყოვნებელი მოწვევა.

ავტოკეფალიის აღდგენიდან მოწვეულმა პირველმა საეკლესიო კრებამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა არა თუ კონკრეტულად ქართული ეკლესიის ისტორიაში, არამედ ზოგადად საქართველოს ისტორიაშიც. ამ ფაქტით, ქართველმა ხალხმა სრული უგულველყოფა მოახდინა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მას აბსოლუტური დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

1917 წლის სექტემბრის ზემოაღნიშნული მოვლენით დასრულდა საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალური უფლებების შენარჩუნებისათვის ბრძოლის

პირველი ეტაპი. ამის შედეგომ, საქართველოს ეკლესია ბრძოლის კიდევ ერთ ახალ განზომილებაში ინაცვლებს. ამ შემთხვევაში ის უპირისპირდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და დროებითი მთავრობის მეცადინეობას ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში რუსული ეკლესიის დაარსებაზე; პარალელურად, აქტიურად იღწვის დაკარგული საეკლესიო ქონების დაბრუნებისათვის.

რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა თავისი სასიათით კონტრრევოლუციური იყო. მის ინტერესებში არ შედიოდა ყოფილი თვითმპყრობლური იმპერიის მიერ დაპყრობილ სალსთა ეროვნული თავისუფლების მინიჭება. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, რუსეთის ბურჟუაზიული დიქტატურა მაქსიმალურად ცდილობდა თავისი ძალაუფლების გამოყენებას კავკასიის შენარჩუნებისათვის, რაც მთელი სიმძაფრით საქართველოსთან მიმართებაში გამოვლინდა.

რუსეთის დროებითი ხელისუფლების კავკასიის უჯრედის – ოზაკამის (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი – ქ.პ.) მმართველობის პერიოდში, საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ცარიზმის დროინდელი ბიუროკრატიული აპარატი უცვლელად მოქმედებდა: კავკასიის მეფისნაცვალის კანცელარია, კავკასიის სასწავლო კომისარიატი, საქართველოს საეგზარქოსო და სხვა დაწესებულებანი. მათი სხვაობა თვითმპყრობლური დაწესებულებებისაგან მხოლოდ გარეგნულ "გადემოკრატიულობაში" მდგომარეობდა. მათ მხოლოდ სახელწოდება შეიცვალეს: ოზაკომის კანცელარია, კავკასიის საეგზარქოსო და ა.შ., შინაარსითა და მისწრაფებებით კი ძველი დაწესებულებების მსგავსნი იყვნენ. ყოველივე ნათელპყოფს, რომ თვითმპყრობელობის დამხობას იმპერიის განაპირა მხარეებში შედეგად ამ ხალხების ეროვნული თავისუფლება კი არ მოჰყოლია, არამედ ეროვნული ჩაგვრის ძველი, უხეში მეთოდები შეიცვალა ახალი, მოქნილი უფრო დახვეწილი, მაგრამ ვერაგული ფორმებით.

დროებითი მთავრობის განსაკუთრებულად მკაცრი და უკომპრომისო პოლიტიკა ქართული ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში გამოვლინდა. მის ინტერესებში არ შედიოდა ქართული ეკლესიის რეალური თავისუფლების მინიჭება, რადგან ის ეროვნული თვითშეგნების გამღვივებელი იყო სალხში და მათი დამაპირისპირებელი რუსეთის ახალი ხელისუფლებისადმი.

თვითმპყრობლური რუსეთის მსგავსად, დროებითი ბურჟუაზიული რუსეთი კავკასიაში თავისი ბატონობის საძირკვლის ჩაყრას რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას ანდობს, რისთვისაც მას დიდ დახმარებას უწევს, რათა ავტორიტეტი მოიპოვოს კავკასიასა და საქართველოში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ახალ რუსეთს სახელმწიფო მმართველობის ახალი ფორმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერთგულ სამსახურს უწევს.

კავკასიაში თავისი საეკლესიო მმართველობის დამყარებისათვის, დროებითი მთავრობა ახალ გზებს ეძიებს, ისე, რომ მისი ინტერესები ამ რეგიონში არ დაზარალდეს და ერთდროულად რამდენიმე საქმე შეასრულოს: დააკმაყოფილოს რუსული ეკლესიის მოთხოვნები კავკასიაში და რუსი მრევლისადმი ზრუნვის საბაბით შექმნას ამ რეგიონში ისეთი სასულიერო ინსტიტუტი, რომელიც ბურჟუაზიული რუსეთის იდეოლოგიური საყრდენ-გამტარებელია. სხვა დაწესებულებების მსგავსად, ეს ორგანოც მხოლოდ გარეგნულ იერსახეს, სახელწოდებას იცვლიდა (კავკასიის საეგზარქოსო – ქ.პ.), ფაქტიურად კი იგივე მისია ეკისრებოდა, რაც თავის დროზე ცარიზმის ეკლესიას კავკასიაში.

ამ მიმართულებით რუსეთის საერო ხელისუფლების მუშაობას ართულებდა უწმინდესი სინოდისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმათა ჯერ კიდევ გაურკვევლობა, რაც დროებითი მთავრობის საეკლესიო პოლიტიკასა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისადმი დუმილში გამოიხატა. მაგრამ, როგორც კი 1917 წლის მეორე ნახევარში გამოიკვეთა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების

საერთო ინტერესებისათვის შეთანხმებული თანამშრომლობის ფორმები და, რომლებიც ძველი იმპერიის პრინციპებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაიწყო "ბრუნვა" საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე. აღნიშნული შეთანხმებით, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დროებით დასთმო სახელმწიფო ხელისუფლებისაგან განთავისუფლების მოთხოვნა (პატრიარქობის აღდგენა - ქ.პ.) და სამაგიეროდ მოიპოვა დროებითი მთავრობისაგან კავკასიაში გაბატონებისათვის (კავკასიის საეგზარქოსოს დაარსება – ქ.პ.) მხარდაჭერა. ამ დროიდან იწყება რუსული ეკლესიის კონტრშეტევითი პოლიტიკა საქართველოში, რომლის გამოვლინებაც იყო რუსული საეკლესიო ორგანიზაციის დამკვიდრება კავკასიაში.

საქართველოში აღმოცენებულ ახალ რუსულ სასულიერო უწყებას საჭირო საქმიანობისათვის სათანადო თანხები ესაჭიროებოდა, მაგრამ ამ საქმეში ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა დახმარებას მას ვერ გაუწევდა, იმ რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო, რომელსაც ამ დროს რუსეთი განიცდიდა. ზემოაღნიშნულის გამო, კავკასიის საეგზაროქსო იძულებული შეიქმნა სახსრების მოპოვების გზები ეძია და ეს გზა ქართული ეკლესიის ქონებისკენ იყო მიმართული, რაც სერიოზულ საპრობლემო საკითხად იქცა ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობაში. საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ბრძოლის კიდევ ერთი ეტაპი გამოიკვეთა – დაებრუნებინა დაკარგული საეკლესიო ქონება და შეენარჩუნებინა ჯერ კიდევ მის განმგებლობაში მყოფი სახსრები.

რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, საქართველოს ეკლესია დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი იყო და ეკონომიკურად სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. ქართული ეკლესიის თვითმოწესეობის გაუქმების შემდეგ,

საქართველოში ცარიზმის მიერ დაარსებული საქართველოს საეგზარქოსოს იმპერიის საეკლესიო-პოლიტიკურ სისტემაში ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტა ეკისრებოდა. საამისოდ, საჭირო იყო საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია, რომლის ძალითაც ის საერთო რუსული ეკონომიკური ძლიერების წყარო უსლა გამხდარიყო. ეს რეფორმა ქართულ ეკლესიას არსებობის ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა და მის სრულ განადგურებას მოასწავებდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ, როდესაც საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, მაშინვე წამოიჭრა კუთვნილი საეკლესიო ქონების დაბრუნების საკითხი. ორი ეკლესიის ქონების გამიჯვნის გარეშე, ქართული ეკლესია ისევ რუსულზე იქნებოდა დამოკიდებული და ავტოკეფალიაც მხოლოდ ფორმალურ ფაქტად დარჩებოდა. ქართული ეკლესიის ქონების დაბრუნება რუსეთის დროებით მთავრობას ხელს არ აძლევდა, რადგან სწორედ ამ სახსარზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული კავკასიის საეგზარქოსოს სამომავლო არსებობა. ქონებრივმა საკითხმა მწვავე ხასიათი კავკასიის საეგზარქოსოს არსებობის მთელ მანძილზე შეინარჩუნა, სანამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მის საქართველოში საქმიანობას საბოლოო წერტილი არ დაუსვა.

რუსული და ქართული საეკლესიო ქონების გაყოფისათვის, დროებითმა მთავრობამ შეჰქმნა საგანგებო კომისია, რომელიც ორივე ეკლესიის წარმომადგენლებისაგან იყო დაკომპლექტებული, მაგრამ სერიოზული ხარვეზების, არაობიექტური გადაწყვეტილებების გამო ერთ წელიწადში აშკარა გახდა, რომ რუსულ-ქართული საეკლესიო ქონების გამიჯვნის საკითხი ჩიხში მოექცა. ერთა შორის საეკლესიო საკითხით გამოწვეულმა დაპირისპირებამ აშკარად პოლიტიკური სასიათი შეიძინა და ქვეყანაში ისედაც დაძაბული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

შემდგომში, საქმის ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოში სახელმწიფოებრივი, დამოუკიდებელი,

დემოკრატიული წეს-წყობილება აღსდგა, რომლის ხელისუფლებასაც თავისი დამოკიდებულება გააჩნდა არა თუ ქართული ეკლესიის თავისთავადობისა და ქართულ-რუსული საეკლესიო ქონებრივი დავისადმი, არამედ საერთოდ და ზოგადად სარწმუნოებისადმი.

1918 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში შექმნილმა უკიდურესად რთულმა საშინაო და საგარეო ურთიერთობებმა მთელი სიმძაფრით გამოავლინა საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ტენდენცია, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები ასაზრდოებდა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა აღსდგა თავის უფლებებში. საქართველოში გაჩაღდა მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის სფეროში ნაციონალიზაციის, დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის მიმართულებით.

საქართველოს ეკლესიის ჭეშმარიტი ავტოკეფალიის დადგინების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას, რადგან, როგორც ეროვნული ეკლესიის დემოკრატიზაციისათვის აუცილებელი იყო ავტოკეფალური მმართველობა, ისე სახელმწიფოს დემოკრატიზაციისათვის საჭირო პირობას პოლიტიკური დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. ქვეყნის დემოკრატიული წყობისა და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებაში, ერში ეროვნული იდეალების გაღვივებაში ეროვნულ სამღვდელოებას გადამჭრელი როლი მიენიჭა.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკლესია დემოკრატიული სამშობლოს მოსახლეობის მბრუნველ ღედა-ეკლესიად ჩამოყალიბდა და ენერგიული მუშაობა გააჩაღა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სარბიელზე. საქართველოს მოსახლეობაში, დემოკრატიული მთავრობის ავტორიტეტის შექმნა-დამკვიდრების საქმეში, ეკლესია უდიდეს მუშაობას ეწევა; რადგან ქართული ეკლესია დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკას უდიდეს ნდობას და თანადგომას უცხადებდა, ბუნებრივია, ქვეყანაში შექმნილი

საშინაო და საგარეო კატაკლიზმები პირდაპირ არეკვლას პოულობდა ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში, დემოკრატიული საქართველოს მთავრობა და ეკლესიის ხელისუფლება შესაშურ თანადგომას ავლენდნენ.

საქართველოს ეკლესია არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის პოლიტიკის იდეოლოგიის განმტკიცებას ემსახურებოდა ერში, არამედ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური ვითარების გამოსწორებაშიც შეძლებისდაგვარი წვლილი შეჰქონდა: ეხმარებოდა სტიქიური უბედურებებითა და მოუსავლიანობით დაზარალებულ მოსახლეობას; ისედაც თავად გასაჭირში მყოფი ეკლესია, ეძიებდა გზებს ქვეყნის ბიუჯეტში მცირედი სახსრების შეტანისათვის: ცალკეულ ეპარქიებში გროვდებოდა მრევლიდან ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სასულიერო პირთა მცირე გასამრჯელოდან თანხები, საეკლესიო შემოსავლებიდან: სანთლით ვაჭრობიდან, ჯვარ-ხატების გაყიდვითა და ქრისტიანული დღესასწაულებისას შემოსული თანხებიდან და ა.შ.

ამრიგად, საქართველოს ახლადავტოკეფალია აღდგენილი ეკლესია, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა არსებობის გამყარებული ნიადაგი და მუდმივი საფრთხის ქვეშ უხდებოდა მოღვაწეობა, უდიდესი სიხარულით შეხვდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გამოცხადების ფაქტს. ეს მოვლენა კანონზომიერი იყო, რადგან თავისუფალი ეკლესიის დაცვა-დამკვიდრებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებელ, ეროვნულ სახელმწიფოს. საქართველოს ეკლესიამ, ისტორიული გამოცდილებით ამ შემთხვევაშიც იტვირთა მძიმე დანიშნულება ქვეყნის ერთიანობის, თავისუფლებისა და დემოკრატიულობის მშენებლობის საქმეში. იგი პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სრულ თანადგომას უცხადებს დემოკრატიული საქართველოს მთავრობას მისთვის ყველაზე მძიმე პირობებში და მასთან ერთად იტანს ყველა იმ სირთულეს, რომელსაც არსებული ვითარება ჰქმნიდა.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის

გამოცხადებისთანავე, ხელისუფლების სათავეში მდგომმა სოციალისტ-დემოკრატმა მენშევიკებმა მაშინვე გამოავლინეს თავიანთი დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ და ეროვნული ეკლესიის მოწინააღმდეგე პოზიცია დაიკავეს. მათ უნდობლობა გამოუცხადეს ქართულ ეკლესიას და მისი სახელმწიფოსთან კავშირი ცარიზმის აპარატისა და უწმინდესი სინოდის ურთიერთობის მაგალითით მოიაზრეს. მათ ვერ გაითავისეს სახელმწიფო და სასულიერო ხელისუფლების თანამშრომლობის შესაძლებლობა თავისუფალი, ზნეობრივი ფორმებით, რომელიც რწმენა-სინდისზე იქნებოდა დამყარებული. მათ არ გაიაზრეს საქართველოს ისტორიული გამოცდილება, რომ ქრისტიანული საქართველო ოდითგანვე მოვალე იყო თავისი ეკლესიისათვის ნდობა გამოეცხადებინა, რადგან ეს უკანასკნელი მისი სიმტკიცის დამცავი იყო. საქართველოს ისტორიაში ეს ნდობა არა იურიდიულ საფუძველს, არამედ ზნეობრივ პრინციპებს ემყარებოდა. საქართველოს ხელისუფლებას არც კი უცდია საქართველოს ეკლესიის ეროვნული სახელმწიფოს შენების სამსახურში ჩაყენება. მენშევიკურ მთავრობას დემოკრატიული სახელმწიფოსა და მისი საზოგადოების შექმნისათვის ეროვნულ ეკლესიასთან გამიჯვნის საჭიროება მიაჩნდა. სახელმწიფო აპარატი გაანთავისუფლა ეროვნული ეკლესიისა და სამღვდელოებაზე ზრუნვისაგან და ეკლესია მთლიანად გამიჯნა სახელმწიფოსაგან. ყოველივე კი იმის მანიშნებელი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ რუსული ეკლესიის ბატონობისაგან განთავისუფლების ფაქტი იყო და არა ეროვნული თავისუფლების მოპოვების მანიშნებელი, რამეთუ ეკლესია თავისი შინაგანი და გარეგანი ცხოვრებით ვერ შეესატყვისებოდა სოციალიზმის იდეებს.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიება სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნაზე ღრმა მნიშვნელობის მოვლენა აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ამ პროექტის საფუძველზე ყველა რელიგიური ორგანიზაცია და უპირველესად ქართული ეკლესია ჩამოცილებულ იქნა

სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეკლესია სახელმწიფოსაგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახდა და მისი ფუნქციები მრევლის საეკლესიო მოთხოვნილებათა უზრუნველყოფით შემოიფარგლებოდა.

საქართველოს ხელისუფლება არანაირ პრივილეგიას არ ანიჭებდა ქართულ სარწმუნოებას სხვებთან შედარებით და ერთგვარად ზღუდაედა კიდეც მისი უპირატესობისაკენ მისწრაფებას. ასეთი პოლიტიკის საფუძველზე ირღვეოდა საყოველთაო მართლმადიდებლურ-სარწმუნოებრივი დოგმატიკა, როდესაც სქიზმატური ეკლესიის გვერდით სექტანტური წარმონაქმნი და მისი მიმდევრები ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ.

სამოქალაქო ომის პერიოდი ერთნაირ სირთულეს უქმნიდა როგორც რუსეთს, ისე საქართველოს ახალ ხელისუფლებას, სამაგიეროდ, კავკასიაში რუსულ ეკლესიას კიდევ ერთხელ ხელსაყრელ შემთხვევას უქმნიდა თავისი ინტერესების რეალიზებისათვის: აღდგენილიყო რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა, რაც ერთგვარი გარანტი იქნებოდა მისი გაბატონებისა კავკასიაში. ბუნებრივია, საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის მიუღებელი იყო რუსეთის ორივე ხელისუფლებისა და მისი ეკლესიის ზრახვანი საქართველოში, ამიტომ კავკასიის საეგზარქოსო, რომელიც თეთრგვარდიელთა ინტერესების გამტარებელი იყო კავკასიაში, საქართველოს ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ მოექცა, ხოლო 1920 წლიდან საქართველოს ტერიტორიაზე მენშევიკურმა მთავრობამ აკრძალა რუსული ეკლესიის იურისდიქცია, რაც დემოკრატიული ხელისუფლების მიერ დადებით გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. ამის შემდგომ განხორციელდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენა სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე. ბუნებრივია, გამომდინარე ხელისუფლების სარწმუნოებრივი პოლიტიკიდან, ვერ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ ეს გადაწყვეტილება საერო ხელისუფლებამ ეკლესიის ინტერესებისათვის მიიღო. აშკარაა, რომ აღნიშნული

განპირობებული იყო მთავრობის პოლიტიკურ ჩიხში მოქცევით, ქვეყნის შიდა და საგარეო მდგომარეობის სირთულეებით, რაც მთავრობას კომპრომისული პოლიტიკისაკენ უბიძგებდა ეკლესიის წინაშე და, რაც დიდ მამულიშვილურ, ეროვნულ საქმეს წარმოადგენდა.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკამ, საქართველოს ეკლესიის სასულიერო ფენის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. ქართული ეკლესიისათვის ამ მძიმე ხანაში, ქართველმა სამღვდელოებამ დიდი პოლიტიკურ-საეკლესიო ლაპირების უნარი გამოავლინა. ის საინტერესო ანალიზს ახდენს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ირგვლივ და ხსნის გზას ეძიებს. მას დროთა ვითარებაში ჩამოუყალიბდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან დამოკიდებულების საინტერესო მიდგომა. ქართველი სამღვდელოება აკრიტიკებს სახელმწიფოზე ეკლესიის დაქვემდებარებას, მაგრამ ამავდროულად, დიდ შეფასებას აძლევს სამღვდელოების მონაწილეობას ქვეყნის ინტერესებისათვის, თუ ეს უკანასკნელი ერის კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. ქართველმა სამღვდელოებამ თავის მოვალეობად მიიჩნია ხალხის გარკვევა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში. მას უნდა დაენახვებინა ერისათვის ხელისუფლების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, გაერკვია ის მენშევიკური მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკის უსამართლობაში.

საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე რთული პროცესებისა და სამღვდელოება-მთავრობის დაძაბული ურთიერთობის შემსუბუქების მიზნით, ქართველი სასულიერო ფენა ყოველ ძალისხმევას ხმარობდა, რათა მრევლში ავტორიტეტი აემაღლებინა; აღმოეფხვრა საკუთარ კრებულში არსებული მანკიერი მხარეები და ეკლესია ერთ მთლიან ერთეულად შეეკრა.

საქართველოს ეკლესია საუკუნეების მანძილზე ძლიერ და

გავლენიან სახელმწიფო ორგანიზაციას წარმოადგენდა. როგორც დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია, მსოფლიო საქრისტიანო ეკლესიებს შორის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც ყველა იმ უფლებებითა და შიდამოწყობილი სტრუქტურით სარგებლობდა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით იყო დადგენილი.

საქართველოს ეკლესია, როგორც ძლიერი და გავლენიანი, საკუთარი პოლიტიკური ორიენტაციისა და მეურნეობის მფლობელი იყო. ასეთი ფართო და მტკიცე უფლებების ეკლესია ბუნებრივია, რთული მართვის სისტემას საჭიროებდა. ამიტომ იყო, რომ 1917 წელს ქართული ეკლესიის იურისდიქციის დადგენისთანავე, ქართველმა სამღვდელოებამ ისტორიული ტრადიციის საფუძველზე ეკლესიას საკუთარი სტრუქტურა დაუდგინა თავისი მრავალრიცხოვანი დაწესებულება-ორგანიზაციებით. ამ უკანასკნელთ ევალებოდათ ეკლესიის იდეოლოგიური და სამეურნეო საქმიანობის მართვა-გამგეობა. მათ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული საქართველოს ეკლესიის, ქვეყნისა და ერის წინაშე. ასევე, მათი მეშვეობით ქართული ეკლესია უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მორალურ-მნეობრივად ამაღლებული, პოლიტიკურად მტკიცე და ეროვნული სახელმწიფოს იდეოლოგიის გამტარებელი, არამედ ეკონომიკურ-მატერიალურად შეძლებული და მსოფლიო ეკლესიათა შორის მაღალი ავტორიტეტის მატარებელი. ნიშანდობლივია, რომ შუასაუკუნეებში დადგენილ ქართული ეკლესიის სტრუქტურას 1917 წლისათვის საკათალიკოსოში არსებითი ცვლილებები არ განუცდია, თუ არ დავუშვებთ მცირედ სიახლეებს, რაც ეპოქის მოთხოვნილებებით იყო განპირობებული.

მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობებისა, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკათალიკოსომ შესძლო ძველი ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით ეკლესიის რეორგანიზაციის აღსრულება, რამაც ძლიერი გავლენა იქონია მისი, როგორც

დამოუკიდებელი ერთეულის სიძლიერის შენარჩუნებაზე, დაეხმარა მას წინააღმდეგობათა წარმატებით დაძლევაში არა მხოლოდ დემოკრატიული საქართველოს არსებობის, არამედ მის შემდგომ – საბჭოური ეპოქის პერიოდშიც.

1918-1921 წლებში საქართველოს ეკლესიაში გატარებულმა საორგანიზაციო რეფორმებმა მოახდინა საეკლესიო ორგანიზაციათა კონცენტრაცია, რაც ეპოქის შესაბამისად უაღრესად გონივრულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, რადგან მან ერთდროულად რამდენიმე ამოცანა გადაჭრა:

1). საეკლესიო ხაზინა შეავსო; დააზღვია ის იმ საფრთხისაგან, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის უარყოფაში მდგომარეობდა. მოუპოვა ეკლესიას ის ძირითადი ეკონომიკური ბაზისი, რამაც მას შემდგომ მისცა არსებობა-მოქმედების შესაძლებლობა;

2). ეკლესიაში განსორციელდა ცენტრალიზაციის პროცესი, ანუ გაძლიერდა საკათალიკოსო საბჭოს უფლებამოსილება, რითიც თითქმის გამოირიცხა ეკლესიის შიგნით იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური განხეთქილების საშიშროება.

მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ საქართველოს ეკლესია მორალურ-ზნეობრივად, ეროვნულ-პოლიტიკურად იმდენად მაღალ დონეზე აღმოჩნდა, რომ მან ეპოქით განპირობებული შემდგომი დროის მძიმე და სერიოზულ წინააღმდეგობებს გაუძლო.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მისი ათვისება-შემომტკიცებისათვის აუცილებელი პირობა იყო სერიოზული რეფორმების გატარება კულტურის დარგში. საქართველოს კულტურული დაპყრობა ითვალისწინებდა მის სულიერ-ხორციელად შერწყმას რუსეთის იმპერიაში და ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის განადგურებას. საამისოდ, კულტურის დარგში აქტიურად წარმოებდა ყველა მიმართულებით რეფორმაცია, განსაკუთრებით კი განათლების სფეროში. ამ მხრივ, ცარიზმი

განსაკუთრებულ აგრესიას საქართველოს ეკლესიასთან არსებულ სასულიერო სკოლებისადმი აყენებს, რადგან მათ მაღალი ეროვნულ-პოლიტიკური მისია ეკისრებოდათ მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

თვითმპყრობელობის დამხობისა და საქართველოს ეკლესიის თვითმოწესეობის აღდგენისთანავე, ქართველმა სამღვდელოებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეროვნული სასულიერო განათლების მიმართულებით, რადგან ეროვნულ სახელმწიფოს და მის თავისუფალ ეკლესიას ეროვნულ ტრადიციასა და ცნობიერებაზე აღზრდილი თაობა ესაჭიროებოდა.

სასულიერო-საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაცია-ნაციონალიზაციის მიმართულებით განსაკუთრებულ საქმიანობაში უდიდესი მოვლენა იყო სრულიად საქართველოს პირველ საეკლესიო კრებაზე (1917წ.) საქართველოს საკათალიკოსოს დაბალ და საშუალო სასულიერო სასწავლებელთა მოწყობის დებულების შემუშავება. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასულიერო სკოლის ნაციონალიზაციის საკითხი საერთო სასწავლო ქსელის რეორგანიზაციის საფუძველზე მომხდარიყო. ამ მეტად რთულ პროცესში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა, მის მიერ სასულიერო დებულების შემუშავება, იმ ეტაპზე ეკლესიის ხელმძღვანელობის ფრიად გონივრულ გადაწყვეტილებაზე მიუთითებს. ქართველ სამღვდელოებას რუსეთის დროებითი მთავრობის კავკასიის უჯრედის (ოზაკომი) საქართველოში გაბატონების ფონზე, უკეთესი გადაწყვეტილების მიღების არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდა. მსოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა ქართული სასულიერო ქსელის აღდგენა და შემდგომ მისი აღორძინება; ამასთან, საქართველოს საეგზარქოსოს მიერ მიტაცებული ქართული სასულიერო სასწავლებლების დაბრუნება და ნაციონალიზაცია.

განათლების ეკლესიისაგან გამიჯვნის შესახებ სოციალ-

დემოკრატიის წარმომადგენლები თავიანთი არსებობის დღიდან საუბრობდნენ და მოსახლეობაში ამ აზრს ნერგავდნენ. კავკასიის ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობის საეკლესიო პოლიტიკა უფრო გაბედული იყო. ამოდიოდა რა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პრინციპიდან, მენშევიკური მთავრობა ეკლესიისაგან განათლების სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდა და ამ პრინციპის სწრაფად განხორციელებას უჭერდა მხარს. ასეთ გადაწყვეტილებას დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იმით ხსნიდა, რომ მომავალი საქართველოს თაობა უნდა აღზრდილიყო და განათლება მიეღო არა სარწმუნოებრივ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე.

ეკლესიის განთლებისაგან გამიჯვნა ხელისუფლებამ ყველა ტიპის სასწავლებლიდან ღვთისმეტყველების დისციპლინის გამოძევებით დაიწყო და საამისო კანონ-პროექტიც შეიმუშავა. ასეთი გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ საქართველოს ეკლესიას უმძიმესი დარტყმა მიაყენა და აუწერელი ზარალი მოუტანა: გაუქმდა ასობით საღვთო სჯულის პედაგოგთა თანამდებობა და ისინი უსახსრებოდ დატოვა; დაიხურა სახელმწიფო კრედიტები, რომლებიც პედაგოგთა ხელფასებისათვის იყო გასხნილი და ა.შ. ხელისუფლების ზემოაღნიშნულ კანონს სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობის პროგრესულმა ნაწილმა ბრძოლა გამოუცხადა. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ხელისუფლებას, ის ცდილობს ქართული კულტურის ყველა სფეროს ჩართვას სასულიერო განათლების დაცვის საქმეში და ამ მიმართულებით მუშაობაში აქტიურად ამბავს კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, საზოგადო მოღვაწეთ, მეცნიერებს.

მიუხედავად ეკლესიისა და მოწინავე მორწმუნე საზოგადოების დიდი წინააღმდეგობისა, საერო ხელისუფლება აქტიურად და შეუპოვრად აწარმოებდა ქართული ეკლესიის მოქმედების არეალის შეზღუდვას, მისი შემოქმედების ვიწრო,

მხოლოდ სასულიერო ჩარჩოებში მოქცევას და ამით მას ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა და მოღვაწეობისაგან აცალკევებდა; ფაქტიურად, ამით ქართული ეკლესიის სრულ ლიკვიდაციას ახდენდა.

საქართველოს რესპუბლიკის ანტისაეკლესიო პოლიტიკის შედეგად, დემოკრატიულ, დამოუკიდებელ საქართველოში ეროვნული ეკლესია გარიყული აღმოჩნდა და მანაც საერო ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ოპოზიციური მდგომარეობა დაიკავა. დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას არ ძალუძდა ეკლესიისადმი დამოკიდებულების შეცვლა, რამეთუ მისი პარტიული მრწამსი ყველა სარწმუნოებისა და მისი ეკლესიის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მან ნებსით თუ უნებლიედ ხელი შეუწყო მის შემდგომ ხელისუფლებას უსეში ფორმებით განესორ-ციელებინათ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა მთელს საბჭოთა იმპერიაში. საქართველოს დემოკრატიული მთავრო-ბა თავისი სარწმუნობრივი პოლიტიკით უნებლიე ნიადაგის შემქმნელი აღმოჩნდა იმ ვერაგული რეფორმებისა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა ეკლესიის საბოლოო განადგურებისათვის.

საქართველოს მოსახლეობა ფაქტიურად თითქმის მოუმზადებელი შესვდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის რელიგიისადმი დაპირისპირებულ პოლიტიკას. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის დამსახურებით საქართველოს ეკლესიას და მის მსახურთ ავტორიტეტი ჰქონდათ შელახული, რომელიც არა ეროვნული ეკლესიიდან, არამედ რუსეთის ანტიხალხური ეკლესიიდან ვრცელდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არც რუსეთის ბატონობის დროს არ მოითხოვდა ქართველი საზოგადოება ეროვნული ეკლესიის ავტო-კეფალიის აღდგენას და, არც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ანტისაეკლესიო პოლიტიკისაგან მის დაცვას არ შეეცდებოდა.

THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN THE YEARS 1917-1921

It is for a long Time ego, already comprehensive known fact, that the explaning of any riddles is the hardest process. Only its unactualy describtion of reality or consideration to Object it is not sufficient, but it is necessary to have studed the whole Process of historical Development; to uncover each evolutional Stage. However it is possible to explain the sequence of that History. The of the Church is one of the Part/side of the public Development. And in difference of ecclesiastical History, which describes the political-economical, social-cultural Development, the Church History is for Nations spiritual-behaviourlly degradation-hightening, it shows the performed Work for its salvation those two Factors are so deeper connected with the public Life so that the public Life as the background of the political History often will be explained by current events of the Church. However they can handle with each other with positive also negative Influence, it is through that limitated the studding History of any Country and Nation in realization of the scientific Research is unimaginable without knowledge of the History of the Church and also reversed.

The above mentioned is directly with contact with Question of the Research of Georgian Government and its History of the Church. The deep and objective Study of the Disciples Church is doubtless unimaginable without the Georgian History and the Object of the Public Life, because the both Side are as the powerful organizations (the Government and the Church) are playing big Role in the Development in the History of the Nations, they are representing their moving Powers.

By historical Tradition, in Georgian public Life in its governmental Development the Georgian orthodox Church car-

ried out especial difficulty and very responsible Function. It was ideologist-protector of governmental power: the reunifier of all Classes of the Public for the governmental unity, the active participator of public-political movement the fighter against the external powers and the protector of the national Culture for its Development and Progress, and for the national Consciousness.

After the Collapse of the Soviet Union to the detached Republics in it was given a possibility to Build the National Country. Under this heaviest political circumstance when the need is demanding their political Orientations determination in the World Universe, when it is Time to develope their national Existence of historical Tradition and the confirming capacity of this Tradition, to Study the historical Stages is dedicated biggest importance in this case on the Georgian example, at first place doesn't rise up the Abstract or proprietor appearance, but the consciousness - generality. Through the Evaluation of the series of the Facts and Events and to put the Employment of national-governmentality Building on the level of the contemporarity, Mr. Ivane Djavakhishvili was noticing, that to the old Time and to the old People may be forgiven writing of Legends but actually we due to make a different the Legends from the historical Reality.... The Abstract lawers neccessary must feel only that, who looks for in the past the Salvation. And who wants satisfy and tranquilize the feeling of national damage through the Studding of the Past, but such must never mind that the representative of the nationality who thinks about Life and about handle. The knowledge about Georgian past is not for imitate by ourselves, it is for the Study and for the taking in consideration for satisfying the feel of self consciousness.

The contemporary Historiography, is puting afront of his-

tories the new requirements - deeper and objective must be studded any Epoch of Georgian History on the background of Development Stages of Georgian orthodox Church.

In this considering cut of the Question. in the Historiography no any almost unstudied Problem the different section of the Georgian Church History is.

After the Collapse of the Soviet Empire and Georgian Independence is came a Time to get a possibility for the Georgian Historics for to Study the Church History and without that on duration of last Years by this direction was no one Question objected, the Research of the Georgian newest History of our Country is in the Vacuum and demands the Scientific objective consideration. At this side will chose one difficult Factor jet: the Barriers which constructed at past Time has limited for the Georgian Scientists the possibility to considerate objectively the different section of newest History and naturally, during the Soviet Regiment the Research of the Church History was announced the Question put with Tabu. We think that to day for the Georgian Historics the one of the important condition of the scientific Research will be just this Section of Georgian History, where through objecting of different branches will be covered with brightness on the historical Rightness.

Over and above that, the Object of our Research is with full unstudied Section - the Time of activity of Georgian Democratic Republic on the background of the Georgian disciples Church.

A Chronological frame of our Work Engages the Years 1917-1921 for the periodisation of the Georgian History the present Chronology is for us unexcpted, because it takes in the same Time three from each other different and particularly similar Periods: the Political crisis Time of selfruler Russia, the Period of Russian temporary Government, the Period of

Caucasian temporary Government.

And the Epoch of the Georgian Democratic Republic. By Regard to Georgian Church History, the present chronological Frame is discharged by us exepted, because at this three Epoch the Georgian Church is fighting for the selforderly and for salving, the Object of our Research is the History of Georgian orthodox Church, its Situation, the Participation (Role), Location and Appointment in the 10-th Years of XX-th Century, it is clear that in this small Section in fast changing political Cataclysms the Church has the same position and it was against the same power.

Since the Time of canceling the Authokephaly and Georgias Governmentality from Russias Selfrulery it was begining the fight of georgian Publicity for reabilitation of above montioned. The Georgian People has considerated the Role of the national Church, accustomed its Determination and the entry of reconstructions affair of national Country. With its Study by this Direction has made a strong Preacher for the Fact of Georgian Church and for the Collection Freedoms anounsment Fact.

In the present work we have studied at first in the historiography monographicaly the Union of sweeping up of Sukhum Eparchy from the Georgian Church by Caucasion Mitropolity fundation, what was the Reason of keeping Politic on the Caucasion of the Rule of Russian temporary Government to Georgia which was developed in its Dipending to the Anouncment of the Authokephaly of Georgian Church.

The scientific Analize of given Events has demanded to Object the Work in this Direction and it was characterised appropriate the real Importance in the Russian Country the right Cercumstance of Georgian Church. It was generalised the fight of the Georgian Church and its Assambly for the legitimation

of conquested Authokephaly whose unic Statement was the Question of Material Dessission Georgian and russian two Churches.

The Georgian Church meyt turn Back with Russian Selfruler - beliving Politic lost ecclistiastical Estate and by this Grade to confirm conguested Independance otherwise economical about the russian Church the Georgian independent Church would be realy Authokephaly, in the Work is objected all that Difficultes, which was done in connection of given Question constructed of Georgian Church as Russian temporary Government, so from the saint Sinods empire.

In the Monography at first in the historical Science was definited the Arm of Fundation of Exarkhosis and its Appointment in the political-economical Russias Life it is given the whole History of Fundation-Activity of Caucasian Exarkhosis; its interests in the Caucasus and the Activity in the empires Work.

The main Part of this Work is dedicated to the Existing Period of the Georgian Democratic Republic. Here was first religious Politic of the Government of the Democratic Georgia, its Dipending to the Reugion and concretly, to the Georgian Church and the Dipending of Georgian Priesthood to Georgian Democratic Republic and its Government.

The presented Work has taken a Plan to show the fight of Georgian Friesthood against the Georgian antiecclestiastical Menshevik governmental Politic; also, the active Lesson for its existance-Development Fundation. It has taken the seriously in the Monography of the Proccess in the Democratic Georgia of Georgian Catholicism structural-economic Organisation, for its realisations Aim and within excepted Successes. Also it was scientifical objected by Georgian Church the Fighting for the Nationalisation of the spiritual-educational

Network; the Marity of the Development of Georgian Culture.

During the working Proccess on the Research Theme we have aimed to Proof, that the Temporary Government and its Church is fundated at the February of 1917 by Bourgoise-Democratic Revolution against the Georgia Reveals the temption Planes of democratic Russia for the Future, on this Side the sertain Agression is revealing against the Georgian Church. Which ocasion for it was to anounce its Authokephaly.

The Georgian Church, its spiritual Assambly and all progressive thinking Public was against the Russias political Aims which is like Zarism with the Support of Saint Sinod, is doing everything for Keeping the Influence about the Caucasion.

In the Period of 1917 bourgoise and October Revolution and after that, it can be devided the fight in several Stages for Keeping of Authokephalial Right of Georgia: the Anouncment of Georgian Authokephaly, in the new Russian State the fighting againts the Richt of Georgian Church, the Lesson for the Funation of national-territorial Borders of the Georgian Church, the fight for the Keeping of Abkhasian Eparchy, to appear against the caucasian Exarchosis, to Regulate the estate Problems of Russian and Georgian Churches the opposition against the antiecclesiastical Politic of Georgian Democratic Republic, Restoration-Renesance of the spiritual-educational Network, the Nationalisation-Democratisation of the spiritual Schools and their Organization.

One of the monographical Aim was the Orientation - Demonstration of the cercumstance of Georgian Church the Management of Georgian Republic.

The Appropriate Research has showed us and the Generation of the Archive Materials showed us, that during the Peri-

od of Democratic Republic the Georgian Church was fundated as the supporting Mother- Church and it has carried out the hard Work for the political - economical and cultural Currant it has played the biggest Role in the Population for the Construction - Fundation of Authority of democratic Government.

It is determined by appropriate Sourses, that the social-democratic Menshevik State by coming at chairmanship has developed its negative Relation toward the religion and national Church, it has category refused to inclose the Georgian Church in the Building of national Country and for that it has, it was put the Question about the separation of Government and the Church from the State in Progress of this Project, the Georgian Church was removed from the State and Public.

Political Life, it has became the Independance and its Functions only was circled by Church Requiriments cecurity.

In the present Work it has taken the important Place the Fighting of Georgian Church, for the Keeping of Selfdetermination. The Georgian Church, what was refused from the Georgian democratic Government is trung to built strong organised Branch, which would be in the Future the Existing Development Gharantor.

national - political and with economical-political and with economical reguard so much strong theived and escalated to high Place, which would be with this Epoch the serious and heavy Barriers to hold.

ГРУЗИНСКАЯ ПРАВОСЛАВНАЯ ЦЕРКОВЬ В 1917-1921 ГОДАХ

Начиная с древнейших времен, известно, что разгадка тайн историй любой нации является одним из самых сложных процессов. Беспристрастное описание ее реальности или объективное освещение не достаточно, необходимо изучить весь процесс ее исторического развития, все этапы ее эволюционного развития насколько это возможно, объяснить ход той или иной истории. История церкви, говоря обобщенно, является стороной, частью общественного развития и в отличии от светской истории, отражающей политико-культурное, социально-экономическое развитие общества, показывает морально-духовную деградацию или возвышение общества, вклад внесенный для его спасения. Два этих фактора настолько тесно связаны с общественной жизнью, что фон политической истории часто можно объяснить с помощью церковных явлений. Они оказывают друг на друга как положительное, так и отрицательное воздействие. Именно этим обусловлено, что изучение истории любой страны или нации и проведение по ним научных исследований трудно представить без изучения истории церкви или наоборот.

Вышесказанное имеет непосредственное отношение к исследованию истории грузинского государства и ее церкви. Глубокое и объективное изучение истории Грузинской апостольской церкви вне всякого сомнения невозможно без освещении истории Грузии, ее общественной жизни, так как обе стороны как мощные организации (государство и церковь), играли огромную

роль в развитии истории нации, являлись ее движущей силой.

По исторической традиции, в общественной жизни Грузии, в ее историческом развитии, грузинской православной церкви принадлежало особо сложная и весьма ответственная функция. Она была идеологом и защитником его государственного могущества, объединяющей силой государства для всех слоев общества, активным участником общественно-политического движения, борцом против внешних сил, защитницей и покровительницей национальной культуры, основой его национального сознания, развития и продвижения вперед.

После развала советской империи, входящим в ее состав республикам представилась возможность строительтва своих национальных государств. В этой сложной обстановке, когда необходимо определить их политическую ориентацию в мире, когда надо выявить самобытность их исторических традиций, а также возможности утверждения этих традиций, большое значение приобретает изучение исторических традиций. В этих условиях на примере Грузии на первый план выдвигается не преувеличенное восхваления или тенденциозный показ исторического прошлого нации, а ее объективное осмысление и обобщение, оценка ряда факторов и событий на современном уровне, которые должны быть поставлены на службу строителства национальных государств. Ив. Джавахишвили отмечал – «Для древних времен и древних людей простимы создание легенд, в то же время, со всей стороны, наша объязанность отличить легенды от исторической правды...нужду в преувеличенно восхвалительной

аналогической истории должны испытывать те, кто изучением прошлого хочет восстановить, утешить свою поруганную национальную честь, но это и в голову не должно приходить тем, кто думает о жизни и созидании. Знание прошлого Грузии, нужно не для подражания, а для изучения и учета на будущее, для удовлетворения собственного самосознания.»

Современная грузинская историография ставит перед историками новые требования – глубоко и объективно изучить все этапы истории Грузии на фоне всех этапов развития грузинской православной церкви.

В этом разрезе, в грузинской историографии почти неизученной проблемой остаются разные образцы истории православной церкви Грузии.

После развала советской империи и обретения независимости Грузией пришло время, когда грузинские историки получили возможность изучить историю грузинской церкви.Несмотря на то, что за последние годы в этом направлении было многое сделано, было освещено много вопросов, исследование новейшей истории грузинской церкви все еще находится в вакууме и требует научно объективного осознания. В этом отношении приходится сталкиваться с еще одной сложностью-препятствия, которые ставились в прошлом перед грузинскими учеными, сузили возможности объективного осознания разных этапов новейшей имтории. Изучение истории церкви было табуировано советским режимом. Думаем, что сегодня основной темой научного изучения грузинских историков должен стать именно этот этап грузинской истории, где освещение различных сфер, воссоздаст историческую справедливость.

Исходя из этого, объектом нашего исследования стал еще не полностью изученный отрезок грузинской истории – период существования демократической Грузии на фоне места и назначения грузинской апостольской церкви.

Хронологические рамки нашего труда охватывают 1917-1921 годы. Мы не согласны с данной хронологией для периодизации истории Грузии, так как она одновременно включает три независимых друг от друга различных и в тоже время похожих периода – время политического кризиса самодержавной России, период существования Временного правительства России и Временного правительства Кавказа и эпоху Грузинской демократической Республики. Для церковной истории Грузии мы считаем оправданными данные хронологические рамки, так как – все три периода грузинской церкви приходилось бороться за свое самоутверждение и спасение. Так как темой нашего исследования является история грузинской православной церкви, ее положение, роль, место и назначение в 10-х годах XX века, стало ясно, что на столь коротком отрезке времени, в быстроменяющих взаимозависимых политических катаклизмах, церковь сохраняла свое положение и ей приходилось сталкиваться с одними и теми же силами.

После потери независимости Грузии и ликвидации автокефалии ее церкви, грузинская общественность начинает борьбу за их восстановление. Грузинский народ осознал историческую роль национальной церкви, ее назначение и вклад в деле восстановления и строительства национального государства. В своем стремлении к развитию в этом направлении он создал

хорошие предпосылки для объявления независимости грузинской церкви и ее паствы.

В представленной работе впервые в историографии монографически изучена связь созданного кавказского митрополитства с отделения сухумской епархии от грузинской церкви, которое было обусловлено желанием Временного правительства России, сохранить господство на Кавказе. Впервые в истории постановки вопроса, попытались представить реальные замыслы Временного правительства России по отношению к Грузии, выявывшиеся в ходе объявления автокефалии грузинской церкви. Научный анализ данных явлений потребовал освещения деятельности буржуазного правительства России в этом направлении. Была дана соответствующая оценка реального значения правового положения грузинской церкви в российском государстве. Здесь же была обобщена борьба грузинской церкви и ее паствы за узаконение автокефалии, одним из подтверждаений которого являлось разрешение вопроса раздела имущества грузинской и российской православных церквей. В этом случае грузинская православная церковь, вернув себе церковное имущество, потерянное в результате самодержавной политики в области религии, должна была доказать свою независимость и с этой точки зрения. В противном случае экономически зависимая от русской церкви грузинская церковь не могла считаться реально независимой. В работе освещены все те сложности, с которыми пришлось сталкнуться грузинской церкви в этом вопросе, как с российским Временным правительством, так и со святым синодом.

В монографии, впервые в истрической науке была

определена цель создания экзархата и его назначения в политико-экономической жизни «демократической» России, дана вся история создания и деятельности кавказского экзархата, его интересы на Кавказе и его деятельность на службе Временного правительства.

Основная часть труда посвящена периоду существования Грузинской демократической Республики. Здесь впервые была освещена религиозная политика правительства демократической Грузии, ее отношение к религии и конкретно, к грузинской церкви. Здесь же соответствующее место уделено отношению грузинской церкви и грузинского духовенства к демократической Республике Грузии и его правительству.

Указанный труд поставил целью ясно показать борьбу грузинского духовенства против антицерковной политики грузинского меньшевитского правительства Грузии, а также активную деятельность за свое утверждение и развитие. Серьезное место в монографии занимает процесс структурно-экономической организации грузинского каталикосата в демократической Грузии, реализация этой цели и ее результатам. Было также научно освещена борьба грузинской церкви за национализацию духовно-просветительской сети, заслуга грузинского духовенства в деле развития национальной культуры.

В процессе работы над темой мы поставили своей целью доказать, что образованное в результате февральской 1917 года революции Временое правительство и ее церковь вырашивали коварные планы в отношении ее Временного правительства

Грузии. Особенно это проявлялось в отношении к грузинской церкви, причиной которого стало провозглашение ее автокефалии.

Грузинская церковь, ее духовная паства и вся ее прогрессивно мыслящая общественность выступила против политических целей буржуазной России, которая подобно царизму, с помощью синода делала все, чтобы сохранить свое влияние на Кавказе.

Борьбу грузинской церкви за сохранение своей автокефалии в ходе буржуазной и октябрьских революций 1917 года и после них, можно подразделить на несколько этапов: провозглашение автокефалии грузинской церкви, борьба нового русского государства против прав грузинской церкви, стремление определить национально-территориальные границы грузинской церкви, борьба за сохранение абхазской епархии, выступление против кавказского экзархата, урегулирование имущественных проблем, существующих между грузинскими и россискими церквами, противостояние антицерковной политики правительства демократической Грузии, восстановление национальной духовно-просветительской сети, национализация и демократизация духовных училищ и их организационное устройства и т. д.

Одной из главных целей монографического исследования было определение и показ состояния грузинской церкви в период Грузинской демократической Республики. Соответствующее исследование и обобщение архивного материала показали, что в период демократической Республики грузинская церковь сформировалась в качестве

заботливой матери-церкви, ведя энергичную работу на политико-экономическом и культурном поприще. Она сыграла огромную роль в формировании авторитета демократического правительства, среди населения.

Соответствующими источниками было установлено, что социал-демократическое правительство с момента своего прихода к власти выявило свое отрицательное отношение к религии и национальной церкви. Оно категорически отвергло участие грузинской церкви в деле строительства национального государства и поставило вопрос об отделении церкви от государства. В результате этого, грузинская церковь была отделена от государства и исключена из общественно-политической жизни страны, стала экономически независимой, ограничилась удовлетворением церковных запросов паствы.

В представленной работе определенное место было уделено борьбе за сохранение самобытности грузинской церкви. Отвергнутая правительством демократической Грузии церковь пытается создать сильный организационный аппарат, которая должна стать гарантом ее будущего существования и развития. В результате проведенных в 1918-1921 годах организационных реформ, грузинская церковь настолько укрепилась в морально-нравственном, национально-политическом и экономических отношениях, взошла на столь высокий уровень, что смогла выдержать все серьезные и тяжелые испытания, выпавшие на ее долю в последующие годы.

შენიშვნები

I. სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბენდიანიშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1861-1921 წწ., თბ., 1980
2. გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 წწ., თბ., 1928
3. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1990
4. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბ., 1990
5. გურული ვ., ვაჩნაძე მ., ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999
6. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959
7. ეარდოსანიძე ს., კირიონ II, თბ., 1984
8. ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927წწ., თბ.,2000
9. თარხნიშვილი მ., წერილები, თბ., 1994
10. კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, ტფ., 1900
11. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთ., 1918
12. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში, თბ.,1996
13. ყვანია ზ., საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, თბ.,1994
14. ყორდანია ნ., ნაციონალური კითხვა ჩვენში. ნაწერების კრებული ეროვნული საკითხების შესახებ, თფ., 1922
15. რატიანი პ., თერგდალეულთა მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ.,1977
16. რატიანი პ., ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შესედულებანი, თბ.,1954
17. სარიშვილი ტ., სახალხო განათლების საკითხები რევოლუციამდელ ქართულ ბოლშევიკურ პრესაში (1901-1921), თბ.,1986

18. საქართველოს ისტორია ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ.2, თბ.,1962
19. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ,. I, ვ. ჯორჯაძის რედაქციით, თბ.,1953
20. სურგულაძე ა., მენშევიკური მთავრობა და თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია, ტ. VI, თბ., 1972
21. შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ტ. I, თბ.,1987
22. შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ტ. II, თბ.,1987
23. ხუნდაძე არკ., რექტორ ჩუდეცკის მკელელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფ., 1933
24. ხუციშვილი მ., საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ.,1972
25. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ VII, თბ.,1984
26. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I, თბ., 1996
27. Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский Монастырь, М., 1898
28. Гершельман Ф., Причины неурядиц на Кавказе, Спб., 1908
29. Грекулов Е.Ф., Церковь, самодержавие, народ, М., 1969
30. Дурново Н.Н., Исторический очерк автокефальных церквей; Иверской и Имеритинской, М; 1910
31. Дурново Н.Н., Мутный источник или по поводу речи Г.Пуришкевича в Государственной Думе по делам грузинской Церкви, М., 1909
32. Дурново Н.Н.; Судьбы Грузинской Церкви, М;1907
33. Е.Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и Экзархата за XIX столетие, Тиф; 1901
34. Егоров Вл., К истории провозглашения грузинами

автокефалии своей церкви в 1917 году, М., 1917
35. Зубов П., Картина Кавказа, т.1, М; 1870
36. Зырянов П.Н., Православная церковь и самодержавие, М., 1984
37. История Грузинской иерархии, М; 1853
38. Куров М.Н.; Революция 1905-1907 гг.,М.,1976
39. Найда С.Ф., О некоторых вопросах истории гражданской войны, М., 1968
40. Настольная книга атеиста под ред.С.Д.Сказкина, М., 1981
41. Тоинби А; Вселенские церкви. Цивилизация перед судом истории,М.,-СПб; 1996
42. Тонкмелис, Правда об автокефалии Грузинской церкви, Кут.,1905
43. Цагарели А.А.; Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, Спб., 1912

II. საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

44. ასლან-ბეი, ეკლესიის საკითხი აფხაზეთში, გაზ, სახალხო ფურცელი, N 815, 1917
45. აფხაზების შუამდგომლობა, გაზ. საქართველო, N87, 1916
46. აფხაზთა დეპუტაცია ეგზარქოსთან, გაზ. სახალხო ფურცელი N 565, 1916
47. ბუაჩიძე მ. ივერიის ეკლესია, გაზ. სამშობლო, N 417, 1916
48. გაზ. ბაქო, N 73, 1916
49. გაზ. დროება, N 20, 1909
50. გაზ. ერთობა, N 187, 1917
51. გაზ. ერი, 20 III, 1991
52. გაზ. ზეირთი, N 45, 1916
53. გაზ. ლიტერატურული საქართველო, N 30, 1988
54. გაზ. საქართველო, N 136, 1916
54. გაზ. საქართველო, N21, N52, N59, N62, N63, N71, N72, N125, N198, N200, N205, N319, 1917

55. გაზ. საქართველო, N 45, 1918
56. გაზ. საქართველო, 20. X. 1919
57. გაზ. სახალხო განათლება, 30. VIII, 1990
58. გაზ. სახალხო საქმე, N18, N25, N51, 1917
59. გაზ. სახალხო ფურცელი, N17, N524, N529, 1916
60. გაზ. სახალხო ფურცელი, N785, N817, N827, N828, N851, 1917
61. გაზ. ქართლი, N39, 1916
62. გაზ. ქართული გაზეთი, N10, 1916
63. გაზ.ჩვენი მეგობარი, N300, N303, N319, 1917
64. გაზ. ჩვენი ქვეყანა, N130, 1917
65. გაზ. ცნობის ფურცელი, N2941, 1905
66. გაზ. ცნობის ფურცელი, N633, 1916
67. დურნოვო ნ. საქართველოს ეკლესიის ბედი, ჟურნ. განთიადი, N10, 1990
68. ეპ. ლეონიდე და საქართველოს ეკლესიის საკითხი, გაზ. ჩვენი მეგობარი, N175, 1916
69. ივერიის ეკლესიის გარშემო, გაზ. საქართველო, N69, 1916
70. კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, გაზ. საქართველო, N52, 1916
71. კედია სპ., საქართველოს ეკლესიის გულისათვის, გაზ. საქართველო, N72, 1916
72. კეკელიძე კ., კავკასიის სამიტროპოლიტი ოლქი, გაზ. საქართველო N51, 1916
73. მიტროპოლიტი პიტირიმი და ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, გაზ. ქართული გაზეთი, N10, 1916წ.
74. მჭედლიძე გ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წ., გაზ. განათლება 9. X, 1991
75. პავლიაშვილი ქ., შევაღოთ გულის კარები, ;აზ. ცხოვრება, 22.V,1991
76. ჟორდანია ნ., ახალი და ძველი, გაზ. ჩვენი ცხოვრება, N20, 1912
77. ჟურნ. ივერია, N15, 1906
77ᵃ ჟურნ. მნათობი, N6, 1976

78. ჟურნ. სვეტიცხოველი, N1, 1917
79. ჟურნ. ჯვარი ვაზისა, N11, 1909
80. სამღვდელოების წარმომადგენლები ამიერკავკასიის კომისარიატში, გაზ. სახალხო ფურცელი, N827, 1917
81. საქართველოს თავისუფალი ეკლესია, N817, 1917
82. საქართველოს საეგზარქოსო, თუ კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი? გაზ. სახალხო ფურცელი, N524, 1916
83. საქართველოს საეგზარქოსოს შესახებ, გაზ. დროება, N259, 1909
84. სინოდი და საქართველოს საეგზარქოსო, გაზ. დროება, N264, 1909
85. ქართველი სამღვდელოება, გაზ. იმერეთი, N34, 1914
86. ქართველი სამღვდელოების მომავალი საკითხი , გაზ. საქართველო, N164, 1916
87. ქართველი მღვდელის წერილი დეპუტატ ჩხენკელისადმი, გაზ. მერცხალი, N22, 1913
88. ქართული ეკლესიის გარშემო, გაზ. საქართველო, N8, 1917
89. შველიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, გაზ. განათლება, 11.IX,1991
90. Волховский Г.,О грузинской церкви, газ.Закавказская Речь, N137, 1916
91. Вопрос об упразднении Грузинского Экзархата, журн.На Кавказе,N 2, 1909
92. Газ. Голос Москвы, 9.VIII.1908
93. Газ.Закавказская Речь, N 2,1906
94. Газ.Закавказская Речь,N 26, 1917
95. Газ.Закавказье, N 67, 1908
96. Газ.Тифлис, N16, 1906
97. ДурновоН.Н., По поводу агитации против автокефалии грузинской церкви, Газ.Тифлисский листок, №20,1906
98. журн.Векь, N 17, 1907

99. Журн.. Вестник Грузинкого Экзархата, N7, 1916
100. Журн. Христианское чтение, IV, 1905
101. Журн. Церковные ведомости, N 7, N 51, 1905
102. Катанский А., Трехчленная формула, журн. Церковный ведомость,N 51, 1905
103. Покровский М., Обособление и единение, журн.Духовный Вестник Грузинского Экзахата, N 4, 1906

III გამოქვეყნებული წყაროები

104. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წწ., თბ., 1990
105. სკკპ, ყრილობები, კონფერენციები და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, თბ., 1954
106. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტ. I, თბ., 1989
107. Акты,Собранные Кавказскою археографическою комиссиею (в дальнейшем Акак),т.7, 198
108. Акак, т.7, 199
109. Акак, т.8. 172
110. Всеподданейшая записка по управлению Кавказским Краем генерал-губернатора графа Воронцова-Дашкова, Спб; 1907

IV. გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი
111. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთი 668

2. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემოკლებით სსცსა)

112. ფ.12, აღწ.7, საქ. 2707
113. ფ.12, აღწ.13, საქ. 751
114. ფ.12, აღწ.13, საქ. 1799
115. ფ.13, აღწ.3, საქ. 1688
116. ფ.13, აღწ.3, საქ. 1799
117. ფ.13, აღწ.3, საქ. 2152
118. ფ.13, აღწ.6, საქ. 808
119. ფ.13, აღწ.6, საქ. 922
120. ფ.13, აღწ.15, საქ. 3238
121. ფ.13, აღწ.17, საქ. 26
122. ფ.13, აღწ.27, საქ. 4651
123. ფ.13, აღწ.27, საქ. 4671
124. ფ.13, აღწ.27, საქ.5071
125. ფ.13, აღწ.27, საქ. 5076
126. ფ.13, აღწ.27, საქ. 5308
127. ფ.13, აღწ.27, საქ. 5412
128. ფ.488, საქ.60
129. ფ.488, საქ.1112
130. ფ.488, საქ.1201
131. ფ.488, საქ.23247
132. ფ.488, საქ.23248
133. ფ.488, საქ.23269
134. ფ.488, საქ.24175
135. ფ.488, საქ.24544
136. ფ.488, საქ.24576
137. ფ.488, საქ.25452
138. ფ.488, საქ.26389
139. ფ.488, საქ.26391
140. ფ.488, საქ.26429
141. ფ.488, საქ.26868
141*. ფ.488, საქ.27259
142. ფ.489, საქ.27
143. ფ.489, საქ.101

144. ფ.489, საქ.127
145. ფ.489, საქ.402
146. ფ.489, საქ.1021
147. ფ.489, საქ.1201
148. ფ.489, საქ.47418
149. ფ.489, საქ.59470
150. ფ.489, საქ.60353
151. ფ.489, საქ.60358
152. ფ.489, საქ.60362
153. ფ.500, აღწ.1,საქ.15
154. ფ.500, აღწ.6,საქ.71
155. ფ.1438, საქ.278
156. ფ.1458, საქ.32
157. ფ.1458, საქ.174
158. ფ.1458, საქ.187
159. ფ.1458, საქ.188
160. ფ.1459, საქ.20
161. ფ.1459, საქ.41
162. ფ.1459, საქ.152
163. ფ.1461, საქ.123
164. ფ.1461, საქ.290
165. ფ.1471, საქ.15
166. ფ.1683, აღწ.1, საქ.104
167. ფ.1683, აღწ.1, საქ.679
168. ფ.1683, აღწ.1, საქ.680
169. ფ.1683, აღწ.1, საქ.681
170. ფ.1683, აღწ.1, საქ.707
171. ფ.1683, აღწ.1, საქ.875
172. ფ.1698, საქ.4
173. ფ.1698, საქ.5
174. ფ.1698, საქ.6
175. ფ.1698, საქ.7
176. ფ.1698, საქ.10
177. ფ.1698, საქ.21
178. ფ.1699, საქ.35

179. ფ.1699, საქ.57
180. ფ.1699, საქ.61
181. ფ.1699, საქ.64
182. ფ.1699, საქ.65
183. ფ.1699, საქ.66
184. ფ.1699, საქ.68
185. ფ.1699, საქ.69
186. ფ.1699, საქ.76
187. ფ.1699, საქ.77
188. ფ.1699, საქ.104
189. ფ.1700, აღწ.1, საქ.1
190. ფ.1700, აღწ.1, საქ.26
191. ფ.1701, აღწ.1, საქ.22
192. ფ.1701, აღწ.1, საქ.24
193. ფ.1818, აღწ.1, საქ.139
194. ფ.1818, აღწ.1, საქ.140
195. ფ.1825, აღწ.1, საქ.49
196. ფ.1863, აღწ.1, საქ.681
196ª ფ.1863, აღწ.1, საქ.707
196ᵇ ფ.1863, აღწ.1, საქ.679
196ᵃ ფ.1863, აღწ.1, საქ.875
197. ფ.1863, აღწ.1, საქ.791
198. ფ.1935, აღწ.1, საქ.3
199. ფ.1935, აღწ.1, საქ.152
200. ფ.1935, აღწ.1, საქ.210
201. ფ.1935, აღწ.1, საქ.334
202. ფ.1935, აღწ.1, საქ.345
203. ფ.1935, აღწ.1, საქ.597
204. ფ.1935, აღწ.1, საქ.652
205. ფ.1937, საქ.1
206. ფ.1937, საქ.5
207. ფ.1938, აღწ. 1, საქ.41
208. ფ.1938, აღწ. 1, საქ.52
209. ფ.1938, აღწ. 1, საქ.237
210. ფ.1938, აღწ. 1, საქ.661

211. ფ.1938, აღწ. 1, საქ.871
212. ფ.2080, აღწ. 1, საქ.149
213. ფ.2080, აღწ. 1, საქ.157
214. ფ.2080, აღწ. 1, საქ.228
215. ფ.2080, აღწ. 1, საქ.229
216. ფ.2080, აღწ. 1, საქ.230
217. ფ.2080, აღწ. 1, საქ.240
218. ფ.2080, აღწ. 1, საქ.246
219. ფ.2080, აღწ. 1, საქ.494
220. ფ.2081, აღწ. 1, საქ.247
221. ფ.2081, აღწ. 1, საქ.586
222. ფ.2081, აღწ. 1, საქ.587
223. ფ.2081, აღწ. 1, საქ.602

სარჩევი

შესავალი 3-13

კარი პირველი - საქართველოს ეკლესია 1917 წელს

თავი პირველი - საქართველოს ეკლესია და ქართველი საზოგადოებრიობა ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (1906-1917 წწ.) 14-39

თავი მეორე - კავკასიის სამიტროპოლიტო და საქართველოს ეკლესიიდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის ისტორია (1906- 1917 წწ.) 40-83

თავი მესამე - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (1917წ).

§ 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება და რუსეთის დროებითი მთავრობა. 84-97

§2. საქართველოს ეკლესიის უფლებები რუსეთის სახელმწიფოში და ქართველი საზოგადოების ბრძოლა ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. 98-112

კარი მეორე - კავკასიის საეგზარქოსო (1917-1919 წწ.)

თავი პირველი - კავკასიის საეგზარქოსოს დაარსების მიზანი და მისი ისტორია 113-130

თავი მეორე - საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა ქონებრივი გამიჯვნის პრობლემა 131-143

კარი მესამე - ქართული ეკლესია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ)

თავი პირველი - ქართული ეკლესიის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი 144-156

თავი მეორე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა ქართული ეკლესიის მიმართ 157-179

თავი მესამე
ქართველი სამღვდელოება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანტისაეკლესიო პოლიტიკის მიმართ 180-201

თავი მეოთხე
საქართველოს საკათალიკოსოს სტრუქტურულ-ეკონომიკური ორგანიზაცია (1917-1921 წწ) 202-218

კარი მეოთხე - სასულიერო განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

თავი პირველი - სასულიერო სასწავლებლების ნაციონალიზაცია საქართველოში (1917წ.) 219-232

თავი მეორე - ეროვნული კულტურა და ქართველი სამღვდელოება (ღვთისმეტყველების სწავლების გაუქმების პროექტი) 233-253

დასკვნა 254-274

THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH
IN THE YEARS 1917-1921 275-281

ГРУЗИНСКАЯ ПРАВОСЛАВНАЯ ЦЕРКОВЬ
В 1917-1921 ГОДАХ 282-289

შენიშვნები 290-299

ქეთევან პავლიაშვილი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში

რედაქტორი: გ. აფრიდონიძე
ყდა: ს. დათუაშვილი
აკრეფა-დაკაბადონება: თ. ლაღიძე,
ა. სანიკიძე, ვ. ცერცვაძე